ტრისტან ბუაძე

აღწერითი სტატისტიკის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები

მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა

თბილისი 2010

სახელმძღვანელოში გადმოცემულია აღწერითი სტა-ტისტიკის, ალბათობის თეორიისა და დასკვნითი სტატის-ტიკის მნიშვნელოვანი საკითხები. თეორიული მასალის გადმოცემასთან ერთად მოყვანილია შესაბამისი პრაქტი-კული ამოცანები, მათი ამოხსნები, მეთოდური მითითებები და სათანადო სავარჯიშოები.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი ტექნიკური სასწავ-ლებლების სტუდენტებისათვის, შედგენილია ამჟამად მოქ-მედი პროგრამის მიხედვით და ავტორთა მიერ მრავალი წლის განმავლობაში უმაღლეს სასწავლებლების შესაბა-მის სპეციალობებით წაკითხული ლექციების საფუძველზე. იგი დახმარებას გაუწევს ინფორმატიკისა და სოციალური მეცნიერებების გრიფით გაერთიანებული სპეციალობების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.

წარმოდგენილი სახელმძღვანელოთი შეიძლება ისარ-გებლონ აგრეთვე უმაღლესი პროფესიული განათლების, საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწაულებლების მათე-მატიკის პედაგოგებმა და აბიტურიენტებმა. იგი დიდ დახ-მარებას გაუწევს პრაქტიკული სოციოლოგიური კვლევე-ბით დაინტერესებულ პირებს.

რეცენზენტები:

პროფესორი ი. მიქაძე

პროფესორი გ. სოხაძე

ISBN 978-9941-0-2551-8

წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის

სახელმძღვანელოში გადმოცემულია აღწერითი სტატისტიკის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მნიშვნელოვანი თეორიული საკითხები, შესაბამისი პრაქტიკული ამოცანები და მათი ამოხსნისათვის საჭირო მეთოდური მითითებები. მოცემულია ძირითადი სტატისტიკური მეთოდების კონცეპტუალური განვითარებისა და თანამედროვე თეორიულ და პრაქტიკულ მეცნიერულ კვლევებში მათი გამოყენების შესაძლებლობების აღწერა.

სახელმძღვანელო დაწერილია და განკუთვნილია უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების, ინფორმატიკისა და სოციალური მეცნიერებების გრიფით* გაერთიანებული სპეციალობების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. შედგენილია ამჟამად მოქმედი პროგრამის მიხედვით ავტორის მიერ მრავალი წლის განმავლობაში უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სპეციალობების სტუდენტებისათვის წაკითხული ლექციების საფუძველზე.

წარმოდგენილი სახელმძღვანელოთი შეიძლება ისარგებლონ აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლის მათემატიკის პედაგოგებმა და აბიტურიენტებმა.

სახელმძვანელოს წინამდებარე გამოცემა სტრუქტურულად წარმოდგენილი მასალის თანმიმდევრულად მოწოდების ლოგიკური პრინციპითაა აგებული, ამასთან შევეცადე მკითხველი არ გადამეტვირთა რთული მათემატიკური ფორმულებით, მაგალითად, საწყის თავებში წარმოდგენილი სტატისტიკები უმარტივეს მათემატიკურ აპარატს საჭიროებენ და მათი შესწავლა არ გაუჭირდება ნებისმიერ დაინტერესებულ მკითხველს, მათ შორის უფროსკლასელ მოსწავლეებსაც კი.

---

* საქართველოს განათლების სამინისტროს 2005 წლის №633 ბრძანების საფუძველზე, განისაზღვრა ბაკალავრიატის სპეციალობების ჩამონათვალი, რომელშიც სოციალური მეცნიერებების გრიფით გაერთიანებულია შემდეგი სპეციალობები: „ეკონომიკა, გეოგრაფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებანი, საერთაშორისო ურთიერთოებები, საზოგადოებრივი ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, საბიბლიოთეკო, საარქივო და საინფორმაციო საქმე და სხვა“ (http:// www. mes. gov.ge).

სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე პრაქტიკული სოციოლოგიური კვლევებით დაინტერესებულ პირებს.

პირველ თავში გადმოცემულია შემთხვევით მოვლენათა მათემატიკური მოდელირების შესავალი და დასაბუთებულია ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის შესწავლის აუცილებლობა. ***მეორე თავი*** ეძღვნება აღწერითი სტატისტიკის საკითხების შესწავლას. გადმოცემულია მონაცემთა მოპოვება-წარმოდგენის მეთოდოლოგიის საკითხები და მონაცემთა ანალიზის ზოგიერთი მეთოდი. ***მესამე*** და ***მეოთხე თავში*** შეისწავლება შესაბამისად ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ძირითადი საკითხების თეორიული ასპექტები, ხოლო ***მეხუთე*** და ***მეექვსე თავში*** მოცემულია შესაბამისი სავარჯიშოები და ამოცანები სათანადო მეთოდური მითითებებითა და ტიპური ამოცანების ამოხსნით.

პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას საჭირო ძირითადი ალბათურ-სტატისტიკური ფუნქციების მნიშვნელობათა ცხრილები მოცემულია დანართში (იხ. ცხრილი I-VII).

მეორე თავის §2-ში მოცემულია სასწავლო ექსპერიმენტული ანკეტის ნიმუში, რომლითაც ალალბედზე შერჩეულ სტუდენტთა ჯგუფში, სტუდენტთა მონაწილეობითვე ჩატარდა სასწავლო ექსპერიმენტული სტატისტიკური კვლევა კონკრეტულ სოციოლოგიურ თემაზე, რაც ვფიქრობ, საგნის შესწავლისთვის საინტერესო იქნება. ***დანართი IV*** და ***V***-ში მოცემულია 2000 წელს საქართველოს განათლების სისტემაში შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ რეალურად ჩატარებული სტატისტიკური კვლევის კითხვარები სრული სახით, რაც ვფიქრობ, დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო სტუდენტებს, არამედ სოციოლოგიაში პრაქტიკული სტატისტიკური კვლევებით დაინტერესებულ პირებს, როგორც თეორიული ცოდნის შეძენაში, ისე პრაქტიკაში ამ ცოდნის რეალურად გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

ზოგიერთი თავის ბოლოს მოცემულია კითხვები თვითშემოწმებისათვის, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს არა მარტო გაიმეოროს განვლილი მასალა, არამედ შეამოწმოს მის მიერ შეძენილი ცოდნის დონე.

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ზოგიერთი მასალა არსებული თანამედროვე პუბლიკაციებიდანაა აღებული, შესაბამისი წყაროს იმდენად ზუსტი მითითებით, რომ დაინტერესებულ სტუდენტს თავისუფლად შეუძლია დამოუკიდებლად მათი მოძებნა.

ამ სახელმძღვანელოს წინ უძღოდა ავტორთა კოლექტივთან ერთად დაწერილი მისი პირველი გამოცემა: ტ. ბუაძე, გ. ყირმელაშვილი, ი. ბეჟუაშვილი, გ. ფიფია – –ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები (რედაქტორი ტ. ბუაძე), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009. სახელმძღვანელოს წინამდებარე მეორე გამოცემაში გამოვიყენე მრავალი კონცეპტუალური მოსაზრება და სტრუქტურული მიდგომა ზემოთ ხსენებული პირველი გამოცემიდან. დიდ მადლობას მოვახსენებ პროფესორებს: გ. ყირმელაშვილს, ი. ბეჟუაშვილს, გ. ფიფიას ამ მოსაზრებათა ჩამოყალიბებისა და პირველ გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის და იმისათვის, რომ მათ წინამდებარე სახელმძღვანელოში ამ მასალის გამოყენების ნება დამრთეს.

დიდ მადლობას მოვახსენებ პროფესორებს: მ. ნადარეიშვილს, ა. კვალიაშვილს, გ. ჯავახიშვილს, ზ. კანდელაკს მათთან ერთობლივი შრომით შექმნილ სახელმძღვანელოებში გადმოცემული ზოგიერთი მეთოდური სიახლის გამოყენების ნებართვისათვის.

დიდი პატივისცემით ვუხდი მადლობას პროფესორ გ. სოხაძეს მნიშვნელოვანი მოსაზრებების გამოთქმისა და სამომავლოდ მრავალი კეთილი რჩევისთვის. ასევე დიდი მადლიერების გრძნობით ვიგონებ პროფ. ი. მიქაძის ღვაწლს.

დიდ მადლობას მოვახსენებ ქ-ნ მაკა ბედიანაშვილს სახელმძღვანელოს კომპიუტერული უზრუნველყოფისა და საქმიანი რჩევებისათვის.

მეორე გამოცემა პირველის არა მარტო შესწორებული და შევსებული ვარიანტია, არამედ მისი არსებითად გადასინჯვისა და გადამუშავების შედეგადაა მიღებული.

ავტორი ყველა საქმიან შენიშვნას დიდი სიამოვნებით მიიღებს, რისთვისაც წინასწარ დიდ მადლობას გიხდით.

ტრისტან ბუაძე

თავი I. შემთხვევით მოვლენათა მათემატიკური მოდელირების შესავალი

§1. მათემატიკური მოდელირების ეტაპები*

მათემატიკა შეისწავლის გარემომცველი სამყაროს რეალურ მოვლენათა მათემატიკურ მოდელებს და ადგენს იმ რაოდენობრივი ხასიათის კანონზომიერებებს, რომელთაც ეს მოვლენები ემორჩილებიან. მათემატიკის ადგილი რეალური სამყაროს კანონზომიერებათა დადგენისას შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის სახით (ნახ.1)



(ნახ.1)

* სახელმძღვანელოს პირველად გაცნობისას ამ პარაგრაფის ღრმად შესწავლა აუცილებელი არ არის.

მათემატიკის კავშირი გარემომცველი სამყაროს მოვლენებთან ხორციელდება საფეხურებად:

1) თავდაპირველად ხდება მრავალმხრივი ფაქტორებიდან მეორეხარისხოვანი ფაქტორების ჩამოშორება.

2) არსებითი ფაქტორების განზოგადებით, საწყის ცნებებზე და აქსიომებზე დაყრდნობით აიგება მათემატიკური მოდელი.

3) აგებული მოდელის ფარგლებში აქსიომებიდან გამომდინარე ყალიბდება ახალი დებულებები – თეორემები.

4) ხდება მოდელში მიღებული ახალი მათემატიკური ფაქტების ინტერპრეტაცია თავდაპირველი რეალური მოვლენების ცნებებში.

5) მოწმდება აგებული მათემატიკური მოდელის ვარგისიანობა – ხდება მათემატიკურ მოდელში წარმოდგენილი გათვლების პრაქტიკული შემოწმება.

პრაქტიკული დასკვნები საიმედოა, თუ აგებული მოდელი აღწერს შესასწავლი მოვლენის არსებით მხარეებს.

კარგად, წარმატებით აგებული და მომუშავე მათემატიკური მოდელის მაგალითად გამოდგება ნიუტონის აქსიომებზე აგებული მექანიკა.

§2. შემთხვევითობა ჩვენს ცხოვრებაში ცვალებადობა და კანონზომიერება. ცვლადის ცნება

„ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“ –
„გონის ფენომენოლოგია“
გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (Hegel 1770-1831)

ჩვენ, ადამიანებს, ყოველდღიურ საქმიანობაში ხშირად საქმე გვაქვს ისეთ ფაქტებთან და მოვლენებთან, რომელთა მიმდინარეობისა და შედეგების წინასწარ ზუსტად, ცალსახად განსაზღვრა შეუძლებელია, რაც ართულებს ჩვენს პრაქტიკულ მოღვაწეობას. ამ მოვლენებს ***შემთხვევით*** მოვლენებს უწოდებენ.

მეორეს მხრივ, ადამიანები მოაზროვნეები და გონიერები ვართ. გვინდა არ გვინდა, ჩვენ „ვსწავლობთ“ („ვაკვირდებით“) ამ მოვლენებს, ფაქტებს, ადამიანთა, ცხოველთა ქცევებს და ა.შ. ამით ჩვენდაუნებურად ვახდენთ ამა თუ იმ შემთხვევით მოვლენაზე, ან შესასწავლ ობიექტთა რაიმე მახასიათებელზე (თვისებაზე) ***„სტატისტიკურ დაკ-***

ვირვებებს“. შედეგად, ***„სტატისტიკური მონაცემების“*** სა-ხით მოვიპოვებთ გარკვეულ **ინფორმაციას** ამ მახასია-თებლების შესახებ. ვაანალიზებთ მოპოვებულ მონაცემებს, ანუ ინფორმაციას, ვადგენთ გარკვეულ კანონზომიერებებს (ან ვერ ვადგენთ მათ), ვაკეთებთ დასკვნებს, ვირჩევთ სტრატეგიებს (გეგმებს) ჩვენი შემდგომი მოქმედებისათვის და პრაქტიკული მოღვაწეობით ვანხორციელებთ არჩეულ სტრატეგიას.

ჩვენი გონიერი, პრაქტიკული მოღვაწეობის ზოგადი სქემა შემოკლებული სახით ასეთია:

სქემა 1

ინფორმაციის მოპოვება → **ანალიზი** → **პრაგმატიზმი** → **გამოყენება (ქმედება)**

ეპიზოდი I*. წარმოვიდგინოთ და მიმოვიხილოთ ერთი დღის შესაძლო ეპიზოდი რომელიმე ჩვენთაგანის ცხოვრე-ბიდან (ყურადღება მიაქციეთ ფრჩხილებში ჩაწერილ მი-ნიშნებებს მოვლენათა კატეგორიებად დაყოფის შესახებ):

ამ სემესტრში ლექციები უნივერსიტეტში ყოველდღე 9 საათზე გეწყებათ (სისტემატიურობა, კანონზომიერება). უნივერსიტეტიდან საკმაოდ შორს ცხოვრობთ (ფაქტი). უნივერსიტეტისაკენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გი-წევთ მგზავრობა, ამიტომ ჩვეულებისამებრ (სისტემატიუ-რად) დილით 7 საათზე დგებით (კანონზომიერება). დღეს დილით კი 20 წუთის დაგვიანებით გეღვიძებათ (შემთხვე-ვითი მოვლენა, დაირღვა სისტემატიურობა) ***ემოციებით*** დატვირთულს. (***ემოცია*** ადამიანების მახასიათებელი თვი-სებაა)... წინა ღამით დიდხანს მოგიწიათ “Facebook“-ში სტუდენტ რესპოდენტებთან ურთიერთობა (შემთხვევითი მოვლენა, ცვალებადობა); თემაც საინტერესო იყო: ***„სიყვა-რული“, „შფოთი“, „მოვალეობა“*** და ***„ბედნიერება“. შე-საძლებელია უფლის, სამშობლოს, დედის, შვილის, საქ-მის, მოყვასის და ა.შ. სიყვარულის, ანდა პიროვნული ბედ-ნიერებისა და მოვალეობის გრძნობის, შფოთის გაზომვა? როგორ გავზომოთ ეს მახასიათებლები ადამიანებში? –*** ამ და მრავალ მსგავს საკითხზე მოგიწიათ პაექრობა. რო-

* ეპიზოდის იდეა იხ. წიგნში [18]

გორც იქნა დაიძინეთ, მაგრამ „დღე-ღამის“ რეჟიმი დაგერღვათ (ცვალებადობა, შემთხვევითი მოვლენა).

დილით, კარგად გამოფხიზლებული არც კი ხართ, რომ დგებით, მიდიხართ ფანჯარასთან, გაზაფხულის თბილი, სასიამოვნო დილა თენდება. დადებითი ***ემოციით*** იტვირთებით და კარგი ***განწყობა*** გეუფლებათ, მაგრამ ***გაშინებთ*** ის, რომ ლექციაზე არ დაიგვიანოთ. გონებაში სწრაფად ***„აკეთებთ გათვლას“*** და ***აცნობიერებთ***, რომ, თუ დილის ხანმოკლე შხაპითა და სწრაფი საუზმით შემოიფარგლებით, ლექციაზე არ დააგვიანებთ (***ანალიზი*** და ***პროგნოზი****). აჩქარებით იცვამთ და სწრაფად ჯდებით მაგიდასთან სასაუზმოდ, მაგრამ სიჩქარეში ვეღარ ზომავთ და ფინჯნიდან ცხელი ჩაი გეღვრებათ ტანსაცმელზე (შემთხვევითი მოვლენა). თავიდან გიწევთ წასასვლელად მომზადება. აჩქარებული ნაბიჯით ეშვებით კიბეზე. მოულოდნელად მეზობელი შემოგეყარათ (შემთხვევითი მოვლენა), თქვენთან საუბარი სურს. „ლექციებიდან დროულად დავბრუნდებიო“, – მიაძახეთ და სწრაფად მიემართებით ქუჩისაკენ, ტაქსის საპოვნელად, რადგან ***აცნობიერებთ***, რომ სხვაგვარად ლექციაზე დააგვიანებთ. თქვენდა ბედად, ტაქსიც მალე გამოჩნდა (შემთხვევითი მოვლენა), ჯდებით მანქანაში და ფიქრებს აძლევთ თავს: „დავაგვიანებ? ან, თუ დავაგვიანებ, რამდენ წუთს დავაგვიანებ“? – ფიქრობთ თქვენ. საკუთარ თავთან პირობას დებთ, რომ მომავალში ასე გვიან აღარ დაიძინებთ (***არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა და გადაწყვეტილების მიღება)***. ქუჩაში მანქანების მოძრაობის ინტენსივობა ჩვეულებრივზე ნაკლებ დატვირთულია (შემთხვევითი მოვლენა), გიმართლებთ და ლექციაზე დროულად მიდიხართ. ***რწმენაც*** გემატებათ: „დღეს ყველაფერი კარგად იქ-

---

* იხ. ქ.ს.ე., ტ. 8, გვ 194. **პროგნოზი** – გარკვეულ მონაცემებზე დამყარებით რაიმე მოვლენის, პროცესის განვითარებაში მოსალოდნელ ცვლილებათა წინასწარ განჭვრეტა, წინასწარმეტყველება.

დაავადების პროგნოზი – საექიმო მსჯელობა დაავადების სავარაუდო მიმდინარეობისა და დასასრულის შესახებ. იგი ეყრდნობა ეტიოლოგიის, პათოგენეზის სტატისტიკური მონაცემების ცოდნასა და ავადმყოფობის ინდივიდუალური მონაცემების ანალიზს.

პროგნოზირება – მოვლენის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული პერსპექტივის დადგენა. რაიმე მოვლენის პროგნოზირება შესაძლებელია მასზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

ნება“, – ფიქრობთ თქვენ (***პროგნოზი, რომელიც არ ეყრდნობა მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს***).

ეს ხანმოკლე ცხოვრებისეული ეპიზოდი შეიძლება თქვენ გადაგხდათ თავს, ან არ გადახდათ. მთავარი აქ ისაა, რომ ის წარმოადგენს ამ პარაგრაფის დასაწყისში გადმოცემული მასალის ილუსტრირებას. ამ ეპიზოდის დანიშნულებაა დაგვანახოს, რომ შემთხვევითობა ჩვენს ცხოვრებაში არსებით როლს თამაშობს. მასში ფრაგმენტული მაგალითების სახით წარმოჩენილია შემთხვევითი ფაქტები და მოვლენები, მათთვის დამახასიათებელი ცვალებადობები და კანონზომიერებები, შემთხვევითობის პროგნოზირების შესაძლებლობის იდეები. გარკვეული ობიექტების რაოდენობრივი ან თვისებრივი მახასიათებლების ცვალებადობის განხილვას ცვლადის ცნებამდე მივყავართ. ეპიზოდში დასმულია ამ მახასიათებლების, ანუ ცვლადების „გაზომვის“ შესაძლებლობის საკითხი და სხვ.

განხილული ეპიზოდის მიხედვით ამჩნევთ გარკვეულ კანონზომიერებებს და სისტემატიურობას თქვენს ცხოვრებაში: მიმდინარე სემესტრში ლექციების დაწყების დრო, დროის ჩვეული ოდენობა, რომელსაც თქვენ უთმობთ ღამით ძილს, გაღვიძებისა და ადგომის ჩვეული დრო, შხაპის მიღებისა და საუზმობის ჩვეული დრო, დაძინების ჩვეული დრო, კომპიუტერთან გატარებული ჩვეული დრო, გაზაფხულისათვის ჩვეული თბილი ამინდი, უნივერსიტეტამდე მისვლისათვის საჭირო ჩვეული დრო, ავტომანქანების მოძრაობის ჩვეული ინტენსივობა, გარკვეულწილად მოძრაობის ინტენსივობა და უნივერსიტეტამდე მისვლისათვის საჭირო ჩვეული დრო, კონკრეტული მეზობლის ჩვეული ტიპური ქცევა და ა.შ.

- ამავე დროს თქვენ ამჩნევთ, რომ ცვალებადობასაც განიცდით. ზოგიერთ ღამეს ძილის დრო სხვებთან შედარებით უფრო გრძელი ან უფრო მოკლე გეჩვენებათ. დღიდან-დღემდე იცვლება ის დრო, რომელსაც თქვენ უთმობთ დილის შხაპის მიღებას და საუზმეს, უნივერსიტეტისკენ მგზავრობისას მანქანების მოძრაობა მეტ-ნაკლებად უფრო გადატვირთულია (***ინტენსიურია***) და უნივერსიტეტამდე მისვლას ზოგჯერ უფრო მეტ დროს ანდომებთ, ვიდრე ჩვეულებრივ ***საშუალო დროა.*** ამჩნევთ, რომ ***ადამიანთა განწყობა, ქცევა*** ცვალებადია.

მაშასადამე, ჩვენი ცხოვრება აღსავსეა კანონზომიერებებითა და ცვალებადობით, ამასთან ცვალებადობა შემთხვევით ცვალებადობას ყოველთვის არ გულისხმობს. მაგალითად, ჩვენი ასაკი ცვალებადია, იგი ყოველწამიერად კანონზომიერად და არა შემთხვევით იცვლება – უწყვეტად, ყოველწამიერად იზრდება და ა.შ. (ამ შემთხვევაში შემთხვევითობა ღმერთმა გაშოროთ). თუ ცვალებადობა შემთხვევითი ხასიათისაა, მაშინ საქმე გვაქვს შემთხვევით მოვლენებთან (შემდგომში მათ ***შემთხვევით ხდომილობებსაც*** ვუწოდებთ).

• მოვლენათა ეს ცვალებადობა გარემოში ცვლადების არსებობას გულისხმობს. ფსიქოლოგები და ***ბიჰევიორისტული*** * **(behaviour –** ***ქცევა*)** მეცნიერებების წარმომადგენლები ცვლადს განსაზღვრავენ ასე:

• ***ცვლადი* variable *– არის გარემოს ნებისმიერი მდგომარეობა ან მოვლენა, ნებისმიერი სტიმული, პიროვნული მახასიათებელი ან ქცევა, რომელმაც შეიძლება მიიღოს სხვადასხვა მნიშვნელობა სხვადასხვა დროს ან სხვადასხვა ადამიანებთან.***

• ***ცვლადის ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, შესასწავლი ობიექტის კონკრეტული მახასიათებელი (თვისება) განიხილება როგორც ცვლადი.*** წარმოდგენილ ეპიზოდში **ცვლადია:** იმ დროის ხანგრძლივობა, რამდენ ხანსაც გეძინათ, საუზმისა და შხაპის მიღების დროის ხანგრძლივობა, უნივერსიტეტში მისვლისათვის დახარჯული დროის ხანგრძლივობა, ქუჩაში მოძრაობის ინტენსივობა, მოძრაობის სიჩქარე, მეზობლის გუნება-განწყობილება, „Facebook"-ში მუშაობის დროის ხანგრძლივობა, რესპოდენტებთან ურთიერთობის ინტენსივობის დონე, თქვენი ფსიქოლოგიური გუნება-განწყობილება, ემოციები, მეცადინეობისა თუ შესრულებული სამუშაოს ნაყოფიერება და სხვა.

• ახლა უკვე შეგვიძლია შემოგთავაზოთ ***სტატისტიკის*** *წინასწარი* ***არაფორმალური და არასრული განსაზღვრება.***

• ***სტატისტიკა არის მეცნიერება, რომელიც პოულობს რაღაც მუდმივს და ამ მუდმივის მიმართ ცვალებადობას ზომავს.***

---

* **ბიჰევიორიზმი** – იხ. წინამდებარე სახელმძღვანელოს დანართი (VI), ან ქ.ს.ე. ტ. 2. გვ. 424, სტატ. ავტ. ა. შეროზია.

ეპიზოდი II. თბილისის თქვენი საცხოვრებელი სახლიდან რაჭის სოფ. ხონჭიორში მდებარე საგარაკე სახლამდე 255 კმ-ია. დღეს 8 საათზე გინდათ გაემგზავროთ თქვენი „მერსედესით“. ფიქრობთ და აცნობიერებთ, რომ თუ იმოძრავებთ $V = 85$კმ/სთ სიჩქარით, S=255 კმ-ის გავლას მოანდომებთ $t = \frac{S}{V} = \frac{255}{85}$=3 საათს. ესაა მექანიკიდან ცნობილი ***ფიზიკური დეტერმინისტული კანონზომიერება,*** რომელიც ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ, თუ საწყისი მონაცემებით ზუსტად, ცალსახად განისაზღვრება შედეგი, მაშინ აგებული მოდელი დეტერმინირებულია.

მობილურით რეკავთ და ახლობლებსატყობინებთ, რომ 11 საათზე ჩახვალთ მათთან (ესაა ***შემთხვევითი ცვალებადობის*** გაუთვალისწინებლად გაკეთებული ***დასკვნა, პროგნოზი,*** თუმცა რეალურ სიტუაციას უფრო კარგად აღწერს ***შემთხვევითობასთან დაკავშირებული მათემატიკური მოდელები).***

დათქმულ დროს, 8 საათზე, უკვე მანქანაში ჯდებით და მიემგზავრებით. ჩადიხართ შეპირებული 11 საათის ნაცვლად 12 საათზე.

დავალება: მოკლე ჩანაწერის სახით წარმოადგინეთ თქვენი მგზავრობისა და დაგვიანების ერთ-ერთი სავარაუდო ვარიანტი. შეძლებისდაგვარად ამოწერეთ ცალ-ცალკე შემთხვევითი მოვლენები, ცვლადები, სავარაუდო პროგნოზები.

მითითება. ერთი ვარიანტი შეიძლება ასეთი იყოს: თბილისის ერთ-ერთი ქუჩის გავლისას საცობში ხვდებით (შემთხვევითი მოვლენა). ცვლადია მითითებული ქუჩის გავლის დროითი ხანგრძლივობა, საცობში დგომის დროითი ხანგრძლივობა, გზატკეცილზე დიდი საბარგო ავტომანქანების მოძრაობის ინტენსივობა (ავტომანქანების მოძრაობის მახასიათებელი), რომელიც გაზრდილია, რის გამოც „გორის“, „სურამისა“ და ნაქერალას“ გადასასვლელებზე საგრძნობლად გიჭირთ გადასწრებები, ამით ეცემა თქვენი მოძრაობის ***საშუალო სიჩქარე*** (ცვლადი). გზატკეცილის სარემონტო უბნებშიც დიდხანს გიწევთ მანქანების რიგში დგომა, დგომის დრო ცვლადია. ამასთან, „ნაქერალას“ გადასასვლელზე ნისლია, გაწვიმდა კიდეც (შემ-

თხვევითი მოვლენა), სოფელში დათქმული 11 საათის ნაცვლად ჩადიხართ 12 საათზე.

ეპიზოდი III. დილით, სამსახურში წასვლამდე თქვენს სახლთან მდებარე სუპერმარკეტში შედიხართ პურის საყიდლად. თქვენთვის სასურველი გემოვნების ქართული „დოლის“ პური უხვად აწყვია თაროებზე, რადგან დღეს იგი გაცილებით მეტი მიუღიათ, ვიდრე წინა დღეებში ღებულობდნენ. „სამსახურიდან დღეს ადრე ვბრუნდები, პურს მაშინაც ვიყიდი, რადგან ძალზე ბევრია, თანაც შაქარიც მინდა“, – ფიქრობთ თქვენ („სტატისტიკური მონაცემების“ გაუთვალისწინებლად გაკეთებული პროგნოზი) და მიემგზავრებით სამსახურში. უკან დაბრუნებულს თქვენთვის სასურველი სახის პური აღარ გხვდებათ, 1 კგ. შაქრის ფასიც 10 თეთრით გაზრდილა (შემთხვევითი მოვლენა).

დავალება: უპასუხეთ კითხვებს: რა მოსაზრება შეეძლო დაედო საფუძვლად სუპერმარკეტის გაყიდვების მენეჯერს იმისათვის, რომ პურის მოცემული სახეობა წინა დღეებთან შედარებით მეტი მიიღო? რა სტრატეგია უნდა აირჩიოს სუპერმარკეტის მენეჯერმა მომავალ დღეებში და რატომ?

❖ უამრავი მსგავსი ეპიზოდის განხილვა შეიძლება, რომლებშიც შემთხვევითობა არსებით როლს შეასრულებდა ჩვენს ცხოვრებაში. თეორიულად შემთხვევითობის უშუალო შესწავლას ვერ ვახერხებთ. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია შევისწავლოთ შემთხვეეითობასთან დაკავშირებული მათემატიკური მოდელები, როგორ რიცაა, მაგალითად, **სტატისტიკური დაკვირვებებით მიღებული სტატისტიკური მოდელები და მოვახდინოთ შემთხვევითობის „პროგნოზირება“** ზემოთ მითითებული სქემა 1-ის რიგითობით, რაც სტატისტიკის შესწავლის საგანს შეადგენს. ამ საკითხებს შემდგომში უფრო დეტალურად განვიხილავთ.

ზოგადი მიმოხილვა:

1) ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გამოდის, რომ, გარკვეული აზრით, ჩვენ ყველანი დამწყები „სტატისტიკოსები“ ვართ;

2) ობიექტის მახასიათებელი, შესაბამისად ცვლადი შეიძლება იყოს რაოდენობრივი, ან თვისობრივ-ხარისხობ-

რივი. ინტუიციის მოშველიებით შეიძლება ვთქვათ, რომ რაოდენობრივი ცვლადები (მახასიათებლები) შეიძლება გაიზომოს „ტრადიციული“, კლასიკური გაგებით. თუმცა მათ და თვისობრივ მახასიათებლებს ასევე „ზომავენ“ სპეციალური, მეცნიერულად დამუშავებული მეთოდებით, ანუ შეუსაბამებენ გარკვეულ რიცხვებს.

რაოდენობრივი ცვლადია, მაგალითად: დროის ხანგრძლივობა, სიჩქარე, მანძილი, სიმაღლე, საკრედიტო თანხის ოდენობა, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, მოგება, ეროვნული შემოსავალი, რენტაბელობა, შრომის ნაყოფიერება, ელექტროენერგიის დანახარჯი, ღირებულება, მოცდის დრო, მოთხოვნათა ინტენსივობა, მოძრაობის ინტენსივობა, ლეტალურ შემთხვევათა რაოდენობა, ინფექციის გავრცელების ინტენსივობა და ა.შ.

თვისობრივი ცვლადია, მაგალითად: პროფესია, ოჯახური მდგომარეობა – დაქორწინებული, დაუქორწინებელი, ფსიქოლოგიური განწყობა, შფოთი, ემოცია, ზნეობა, გამბედაობა, ინტელექტი, რელიგიური მრწამსი, იდეოლოგიური შეხედულება, პარტიულობა, სქესი, დაავადებულობა, სოციალური მდგომარეობა, პროფესია, ხარისხი, სტანდარტულობა, სამართლებრივი მდგომარეობა, ეროვნება, ეთნიკური ჯგუფის კუთვნილება და ა.შ.

3) ცვლადების აღსანიშნავად შეიძლება გამოვიყენოთ სიმბოლოები: X, Y, Z და ა.შ.

§3. გაზომვა. ცვლადის გაზომვის სკალები. რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლადები

„განმეორება ცოდნის დედაა“- ი. გოგებაშვილი
«Повторение – мать учения» *– უშინსკი*

ცვლადი (variable) [18;2] ***არის გარემოს ნებისმიერი მდგომარეობა ან მოვლენა, ნებისმიერი სტიმული, კვლევის ობიექტის შესასწავლი მახასიათებელი, პიროვნული მახასიათებელი ან ქცევა, რომელმაც შეიძლება მიიღოს სხვადასხვა მნიშვნელობა სხვადასხვა დროს ან სხვდასხვა ადამიანთან.***

დავუბრუნდეთ §2-ის ეპიზოდ I-ში ჩვენს წინაშე წა მოჭრილ ერთი შეხედვით არცთუ ისე რთულ კითხვებს. მათზე პასუხის გაცემა თავისთავად ითხოვს ცვლადების გაზომვას. კიდევ უფრო ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს.

შემთხვევითი მოვლენის მეცნიერული კვლევისას დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა დაკვირვების ობიექტის შესასწავლი მახასიათებლის, ანუ ***ცვლადის გაზომვა.*** ***„გაზომვა***“ განვსაზღვროთ ზოგადად:

გაზომვა (measurement) არის გარკვეული წესების მიხედვით ცვლადებისთვის რიცხვითი მნიშვნელობის მინიჭების პროცესი.

განიხილავენ გაზომვის შედეგების მიკუთვნების ოთხ სკალას: ***სახელდების სკალა, რიგის სკალა, ინტერვალების სკალა, შეფარდების სკალა.***

როგორც წესი, ცვლადის „გაზომვის“ შედეგი მიეკუთვნება ერთ-ერთს ამ ოთხი სკალიდან.

გავეცნოთ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე.

3.1. სახელდების სკალა (Nominal measurement)

თუ ხდება გაზომილი ცვლადის მნიშვნელობების გაერთიანება სხვადასხვა კატეგორიებში და თითოეული კატეგორიისათვის პირობითი რიცხვითი ნომრის ან ასოითი სახელის მინიჭება, მაშინ მიღებულ სკალას ***სახელდების სკალა*** ეწოდება.

თითოეული კატეგორიისათვის პირობითი რიცხვითი ნომრის მინიჭებით ამ კატეგორიას და მასში გაერთიანებულ ყოველ ინდივიდს დაერქმევა ერთიდაიგივე სახელი. ასეთივე წარმატებით კატეგორიების აღსანიშნავად რიცხვითი სახელის ნაცვლად შეიძლება ასოების გამოყენება. როგორც ვხედავთ, სახელდების სკალაზე ხდება კატეგორიებისა და მასში შემავალი ინდივიდების იდენტიფიკაცია „სახელის დარქმევით“, ანუ სახელდებით. აქედან მომდინარეობს ამ სკალისათვის ***სახელდების სკალის*** დარქმევა.

მაგალითად, ისეთი ცვლადი, როგორიცაა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების ეთნიკური წარმომავლობა, შეიძლება გავაერთიანოთ კატეგორიებში სახელდების სკალაზე. ამ ცვლადის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები

საქართველოს მოქალაქეები შეიძლება სათანადო ნომრის მინიჭებით გავაერთიანოთ შესაბამისად, კატეგორიებში: ქართველი – მივანიჭოთ სახელად ნომერი 1, ან მივანიჭოთ ასოითი სახელი A (1=ქართველი ან A=ქართველი), აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქე (მივანიჭოთ სახელი 2 ან B), ოსური წარმოშობის საქართველოს მოქალაქე (მივანიჭოთ სახელი 3 ან C), აფხაზური წარმოშობის საქართველოს მოქალაქე (მივანიჭოთ სახელი 4 ან D), სომხური წარმოშობის საქართველოს მოქალაქე (მივანიჭოთ სახელი 5 ან E) და ა.შ.

კატეგორიისათვის მინიჭებული რიცხვითი ნომერი არაა მისთვის რიცხვითი მნიშვნელობის მატარებელი და რეალური საზომი. კატეგორიებისათვის მინიჭებული რიცხვები ასრულებენ მხოლოდ იდენტიფიკაციის ფუნქციას. ბიჰევიორისტული მეცნიერებების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ კატეგორიების დალაგება სახელდების სკალაზე არ იძლევა რაოდენობრივ ინფორმაციას გაზომილი ცვლადის შესახებ.

სახელდების სკალის კიდევ ერთი მაგალითია სტუდენტთა ცოდნის შეფასების არსებული სისტემის შემდეგი მოდიფიცირებული ვარიანტი:

შეფასება	ნიშანი (სახელის მინიჭება)	სახეობა
ფრიადი	**A**	დადებითი
ძალიან კარგი	**B**	დადებითი
კარგი	**C**	დადებითი
დამაკმაყოფილებელი	**D**	დადებითი
საკმარისი	**E**	დადებითი
ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა გამოცდის გადაბარების უფლება	**Fx**	უარყოფითი
ჩაიჭრა. სტუდენტმა კრედიტის მოსაპოვებლად საგანი თავიდან უნდა გაიაროს	**F**	უარყოფითი

3.2. რიგის სკალა (ordinal measurement). რანჟირება

რიგის სკალა არის ისეთი სკალა, რომელზედაც ცვლადი სიდიდე მნიშვნელობების მიხედვითაა დალაგებული.

მაგალითად, სტუდენტთა ***შფოთვა*** მათემატიკის გამოცდაზე გასვლის წინ შეიძლება გაიზომოს რიგის სკალაზე შემდეგი წესით: სკალაზე ინდივიდები შეიძლება დალაგდნენ უფრო მშფოთვარედან ნაკლებად მშფოთვარემდე. ინდივიდს, რომელიც ყველაზე მეტ შფოთს ამჟღავნებს, ენიჭება ნომერი – რანგი 1, მასზე ნაკლებად მშფოთვარეს – რანგი 2, შემდეგს – რანგი 3 და ა.შ. ინდივიდები რიგის სკალაზე დალაგდებიან უფრო მშფოთვარედან ნაკლებად მშფოთვარემდე.

შესაძლებელია რიგის სკალაზე ინდივიდების სხვა მიმდევრობით დალაგებაც – ნაკლებად მშფოთვარედან უფრო მშფოთვარემდე.

1) ამ მაგალითში ***ცვლადად*** განიხილება ***სტიმული – შფოთი*** (შფოთვა, შეშფოთება);

2) ***რიგის სკალაზე სიდიდის მნიშვნელობების მიხედვით ლაგდება ან სტიმული, ან ინდივიდები***. ხშირად რიცხვითი მნიშვნელობა 1, ანუ რანგი 1, ენიჭება სტიმულს ან ინდივიდს (რაღაცას ან ვიღაცას), რომელსაც გასაზომი მახასიათებელი (ცვლადის მნიშვნელობა) ყველაზე დიდი ოდენობით აქვს. შემდეგი რიცხვითი მნიშვნელობა 2, ანუ რანგი 2, ენიჭება იმ სტიმულს ან ინდივიდს, რომელსაც მოცემული მახასიათებელი დიდი ოდენობით აქვს, მაგრამ წინაზე ნაკლები. რიცხვითი მნიშვნელობა 3, ანუ რანგი 3 მიენიჭება შემდეგს და ა.შ.

რიგის სკალაზე ცვლადის (მახასიათებლის) მნიშვნელობების რანგებად დალაგებას ***რანჟირება*** ეწოდება.

ამრიგად, რიგის სკალა ახდენს ცვლადის მნიშვნელობების რანჟირებას, მაგრამ იგი ვერ იძლევა გაზომილი ცვლადის მნიშვნელობების რანგებს შორის განსხვავებულობის განსაზღვრას, ანუ რამდენად განსხვავდება გაზომილი ცვლადი რანგებს შორის. გაზომილი ცვლადის მიხედვით, შესაძლებელია მცირე განსხვავება იყოს რანგ 1-ს და რანგ 2-ს შორის, მაგრამ შეიძლება ეს განსხვავება გაცილებით დიდი იყოს რანგ 2-ს და რანგ 3-ს შორის.

მაგალითად: სიმაღლეზე ხტომაში საპრიზო სამეულში მოხვედრილმა სპორტსმენებმა აჩვენეს შედეგები 2მ 21სმ, 2მ 19სმ და 2მ 5სმ. შესაბამისად, მხტომელთა რანგები იქნება 1, 2 და 3. სიმაღლეზე ნახტომი პირველ და მეორე სპორტსმენს შორის განსხვავდება 2სმ-ით, თუმცა მეორე და მესამე სპორტსმენტს შორის განსხვავება 14სმ-ია.

ერთხელ კიდევ შევნიშნოთ, რომ ***რიგის სკალა*** იძლევა ინფორმაციას ცვლადის მიხედვით ინდივიდების თუ საგნების რიგითობის შესახებ, მაგრამ არ აჩვენებს გაზომილი ცვლადის სიდიდეს. დაზუსტებით ვერ ვიტყვით, რომ რანგი 1 შეესაბამება გაზომილი ცვლადის მეტ ოდენობას, ანდა უმცირესი რანგის მქონე ინდივიდს. ვერ ვიტყვით, რომ რანგი 1-ის მქონე საგანს ყველაზე ნაკლებად ახასიათებს გაზომილი მახასიათებელი.

მაგალითად, შეიძლება ვაჩვენოთ ბავშვებს მრავალ-სერიანი მულტიპლიკაციური ფილმი, ვთქვათ, „ტომი და ჯერი“, „აბა დამაცადე“ ან სხვ. და შეიძლება ვთხოვოთ მათ დაასახელონ ყველაზე უფრო სასაცილო სერია, შესაბამის ინდივიდს ან საგანს (ბავშვს ან სერიას) ენიჭება რანგი 1, შემდეგ მომდევნო, ყველაზე სასაცილოს, მაგრამ წინასთან შედარებით უფრო ნაკლებად სასაცილოს მიენიჭება რანგი 2 და ა.შ. მოკლედ, რანგის სკალაზე ხდება მულტიპლიკაციური ფილმის სერიების, ან შესაბამისი ინდივიდების დალაგება უფრო სასაცილოდან ნაკლებ სასაცილომდე.

შეიძლება მოვახდინოთ რანგის სკალაზე მულტიპლი-კაციური ფილმის სერიების, ან შესაბამისი ინდივიდების დალაგება უფრო მოსაწონიდან ნაკლებად მოსაწონი რან-გების მიხედვით.

რომელიმე ინდივიდმა, რომელიც მონაწილეობდა ექსპე-რიმენტში, შეიძლება ყველა სერია აღიქვა სასაცილოდ (ან მოსაწონად), მაგრამ მან მაინც ერთ რომელიმე სერიას მიანიჭა რანგი 1. მინიჭებული რანგი 1 იმავე ინფორმაციის მატარებელია, რა ინფორმაციასაც ფლობს რანგი 1, რომელიც მიანიჭა იმ ინდივიდმა, რომელსაც არცერთი სერია არ მოეჩვენა სასაცილოდ (ან მოსაწონად).

მიუხედავად ამისა, მაინც ითვლება, რომ რიგის სკალა პირველი წარმატებული ნაბიჯია ცვლადის უფრო ზუსტი გაზომვის განვითარებისაკენ.

3.3 ინტერვალების სკალა (Interval measurement)

გაზომვის სკალას, რომელზედაც ცვლადის მნიშვნელობები დალაგებულია რიგის სკალის მსგავსად და მინიჭებულ რიცხვებს შორის განსხვავება ასახავს ცვლადის მნიშვნელობებს შორის ერთი და იმავე სიდიდის სხვაობას, ინტერვალების სკალა ეწოდება.

❖ ინტერვალების სკალისათვის მასზე ნული პირობითადაა ათვლის საწყის წერტილად არჩეული. შეიძლება საწყის წერტილად მივიჩნიოთ ნებისმიერი სხვა მნიშვნელობა და მისგან დავიწყოთ ათვლა.

ადამიანებს აქვთ პიროვნული მახასიათებლები, დამოკიდებულებები, გააჩნიათ ოჯახური ბედნიერება, სიყვარული, საგნების შიში, მიზნის მიღწევის მოტივაცია ან ლიდერობა და სხვა. ამ მახასიათებლების, ანუ ცვლადების შესაფასებლად **ბიჰევიორისტული** მეცნიერებების წარმომადგენლები ხშირად იყენებენ ინტერვალების სკალებს.

ბუნებრივია, დაგებადათ კითხვა, მაინც რას წარმოადგენს კონკრეტულად ეს სკალა? როგორც წესი, ამ სკალაზე წინა პლანზეა წამოწეული დებულება კვლევის მიმართულების შესახებ და პასუხების სკალა ორი უკიდურესი პოლუსით (ვთქვათ, მარცხენა, მარჯვენა ალტერნატიული პასუხებით) და მათ შორის მოთავსებული რამდენიმე წერტილით (პასუხით), რომელსაც თავისი შეხედულების მიხედვით ირჩევს ინდივიდი (რესპოდენტი).

მაგალითად, დამოკიდებულების სკალაზე ინდივიდს შეიძლება მოეთხოვებოდეს უპასუხოს კითხვას (დებულებას): „**თამბაქოს წევის ამკრძალავი კანონი ამცირებს ფილტვის კიბოთი გარდაცვალებულთა რიცხვს**?“ რესპოდენტი პასუხს აღნიშნავს ასეთ სკალაზე:

მას შემდეგ, რაც რესპოდენტი გასცემს პასუხს, თითოეულ კატეგორიას ენიჭება რიცხვითი მნიშვნელობა.

❖ შეფასების სკალების ორ უკიდურეს პოლუსს შორის შეიძლება გაზომილი ცვლადის ნებისმიერი რაოდენობის კატეგორია მოთავსდეს. თუ მოთავსდა 5 კატეგორია, მაშინ ამ სკალას 5 ქულიანი სკალა ეწოდება, თუ მოთავსდა 7 კატეგორია, მაშინ სკალა 7 ქულიანია, ასევე მიიღება 9 ქულიანი სკალა და ა.შ.

განვიხილოთ მძღოლების ქცევაზე ცუდი ამინდის (ნისლი, წვიმა, თოვლი) გავლენის რწმენის 9 ქულიანი სკალა. საკვლევი დებულება ასეთია: **„კარგი აზრია ცუდ ამინდში სახლში დარჩენა.“**

1	2	3	4	**5**	6	7	8	**9**
სრულად არ ვეთანხმები				არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები				სრულად ვეთანხმები

რესპოდენტი (პიროვნება) ირჩევს რიცხვს 1-დან (სრულიად არ ვეთანხმები) 9-მდე (სრულიად ვეთანხმები), რითაც იგი მიუთითებს, თუ რამდენად ეთანხმება იგი საკვლევ დებულებას.

❖ შეფასების სკალა შეიძლება სხვა ფორმით იყოს მოცემული, შეიძლება მოითხოვებოდეს პიროვნების, ან მახასიათებლის შემდეგი ბიპოლარული ზედსართავი სახელებით შეფასება:

ჭეშმარიტი **1** **2** **3** **4** **5** არა ჭეშმარიტი

შესაფასებელი გასაზომი ცვლადის შესაბამისად, შეიძლება განიხილებოდეს ზედსართავი სახელები არაგულწრფელი – გულწრფელი; მშვიდი – არამშვიდი – მბორგავი; მიმზიდველი – არამიმზიდველი; ცივი – ცხელი; კეთილი – არაკეთილი და ა.შ.

❖ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას შემდეგ, რაც პიროვნება საკვლევი დებულების მიხედვით გასცემს კითხვებზე პასუხებს, სკალის თითოეულ კატეგორიას ენიჭება რიცხვითი მნიშვნელობა. ხშირად სკალის რომელიმე პოლუსზე მოთავსებული ზედსართავი სახელი ხდება პრიორიტეტული. ამ შემთხვევაში პრიორიტეტულ ზედსართავ სახელთა ნახევარს ათავსებენ სკალის მარცხენა

ნაწილში, ხოლო მეორე ნახევარს – მარჯვენა ნაწილში. ამით თავიდან ვიცილებთ სკალის მარჯვენა მხარეს მოთავსებულ დებულებათა გადასინჯვას.

❖ ხშირად ცდის პირის (რესპოდენტის) შეფასება ხდება ჯამური შეფასების სკალებით. ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თუ მოცემულია საკვლევი დებულების მიხედვით შედგენილი რამოდენიმე სკალა. ქვემოთ განიხილება ***ოთხი დებულებისაგან შედგენილი სკალის მაგალითი.***

სატელევიზიო ჟიური აფასებს სიმღერის სატელევიზიო კონკურსში მონაწილე ბავშვებს: თამარს (მცხეთა), მარიამს (თბილისი), ქეთის (ქუთაისი), სალომეს (ამბროლაური), ნინოს (თბილისი). შეფასება ხდება ქცევის ოთხი მახასიათებლის მიხედვით. ეს მახასიათებლებია: **ა) ხმის ტემბრი, ბ) ხმის დიაპაზონი, გ) მუსიკალურობა, დ) არტისტულობა.** გაზომვა მიმდინარეობს შესაბამისად, ერთნაირ 9 ქულიან ოთხ სკალაზე:



თითო სკალაზე მითითებული მახასიათებლის კვლევისას ჟიურის წევრი ირჩევს ერთ მისთვის მისაღებ რიცხვს 1-დან მარჯვენა პოლუსამდე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ეთანხმება მოცემულ დებულებას.

კონკურსანტის (მომღერლის) საბოლოო ქულის მისაღებად ცალკეულ სკალაზე მიღებული ქულები ჯამდება. შედეგად მიღებულ ქულათა შესაძლებელი დიაპაზონი ზემოთ მინიშნებული 4-დებულებიანი სკალებისათვის იქნება 1+1+1+1=4-დან (თუ ყველგან 1-ქულიანი შეფასებაა) 9+9+9+9=36-მდე (თუ ყველა სკალაზე მაქსიმალური ქულით იქნება შეფასება).

❖ სკალებზე ქულების მითითებული დალაგება 1, 2 და ა.შ., პირობითია. შეიძლება დალაგება იწყებოდეს სხვა რიცხვიდან, ვთქვათ, 10-დან, ყოველი მომდევნო ნომრის 10 ერთეულით გაზრდით. მაშინ მიღებული ჯამური შეფასების დიაპაზონი იქნება 40-დან (10+10+10+10=40) – 360 ქულამდე (90+90+90+90=360). გარკვეული მოსაზრებით, ალბათ აჯობებდა, რომ დებულებათა რაოდენობა, სკალაზე კატეგორიების მონიშვნათა რაოდენობა და კატეგორიების ინტერვალები თანაბარი (ტოლი) ყოფილიყო.

❖ ამ კონკურსში ვთქვათ, კონკურსანტებმა ქულების შეჯამების შემდეგ გაიყვეს ადგილები შემდეგი რიგის მიხედვით: 1. სალომე (ამბროლაური) – 31, 2. ნინო (თბილისი) – 30, 3. ქეთი (ქუთაისი) – 29, 4. თამარი (მცხეთა) – 28, 5. მარიამი (თბილისი) – 27. როგორც განხილულიდან ჩანს, ცალკეულ სკალაზე დებულებაში აღწერილი კონკრეტული მახასიათებელი უფრო მეტად უნდა „ჰქონდეს" დანაყოფ ქულა 5-ს, ვიდრე ქულა 4-ს, ასევე ქულა 4-ს უფრო მეტად, ვიდრე ქულა 3-ს, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ მახასიათებელში განსხვავება 5 და 4 ქულებს შორის იგივეა, რაც 4 და 3 ქულებს შორის. თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ რამოდენიმე ცალკეულ სკალაზე რესპოდენტისაგან (კონკურსანტისაგან) მიღებული შეფასებების შეჯამებით მიღებული საბოლოო ქულა უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე მხოლოდ რიგის შესახებ ინფორმაციას. ამიტომ სტატისტიკური ანალიზისათვის უპირატესობას ანიჭებენ ინტერვალების სკალებს.

❖ ინტერვალების სკალის ტიპური მაგალითებია ცელსიუსისა (C) და ფარენგეიტის (F) ტემპერატურის სკალები. ქვემოთ მოცემულია ორივე სკალაზე თანაბარი ტემპერატურების ურთიერთშესაბამისი განაწილების ცხრილის ფრაგმენტი:

თანაბარი ტემპერატურები	
^0C (ცელსიუსით)	^0F (ფარენგეიტით)
0	32
20	68
40	104
60	140
80	172

როგორც წესი, არცერთ ამ სკალას არ გააჩნია აბსოლუტური ნული. ეს აიხსნება იმით, რომ ტემპერატურა შეიძლება დაეცეს ნულ გრადუსზე ქვემოთაც. ცელსიუსის 20^0C -ით სხვაობა ყოველთვის ტოლია ფარენგეიტის 36^0F-ით სხვაობისა. 20^0C-სა და 40^0C-ს შორის სხვაობა იგივეა, რაც 60^0C-სა და 40^0C-ს შორის სხვაობაა. მაგრამ არასწორი იქნება დასკვნა, თუ ვიტყვით, რომ ტემპერატურა 40^0C-ზე ***ორჯერ*** უფრო მაღალია, ვიდრე 20^0C-ზე. ეს ფაქტი რომ ასე იყოს, მაშინ იგივე შეფასება უნდა იყოს ფარენგეიტის სკალის შესაბამის 104^0F-სა და 68^0F-ს შორის. ეს ასე არაა: $\frac{40^0C}{20^0C}=2,$ მაგრამ $\frac{104^0F}{68^0F}=1{,}5; \quad (1{,}5\neq 2)$

3.4 შეფარდების სკალა (Rato measurement)

სკალას, რომელზეც გაზომილი ცვლადის სიდიდეა დალაგებული და მინიჭებულ რიცხვებს შორის განსხვავება ასახავს ცვლადის მნიშვნელობებს შორის იმავე სიდიდის განსხვავებას, ეწოდება ***ცვლადის გაზომვის შეფარდების სკალა.***

შეფარდების სკალაზე მონიშნულია აბსოლუტური ნულის წერტილი, რომელიც შეესაბამება გასაზომი ცვლადის სრულ არარსებობას. ამ სკალაზე არსებობს ***საზომი ერთეული.*** თვით ***სკალის ერთეულები თანაბარი ინტერვალებით არიან ერთმანეთისაგან დაშორებული***. ამიტომ ცვლადის ზემოთ განხილული გაზომვის სხვა ცვლადებისაგან განსხვავებით, შეფარდების სკალაზე შესაძლებელია ვთქვათ გასაზომი ერთი და იგივე ცვლადით რამდენჯერ მეტად ხასიათდება რომელიმე კონკრეტული საკვლევი ობიექტი, მაგალითად: თუ იზომება დრო, რომელ-

საც გიორგი და ლაშა ანდომებს 200 მეტრი მანძილის გარბენას, მაშინ 20 წამს და 30 წამს შორის სხვაობა 30წმ-20წმ=10წამია. ეს იგივეა, რაც 40 წამსა და 50 წამს შორის სხვაობაა 50წმ – 40წმ = 10წმ-ს. ამასთან, ის, ვინც 50 წამს ანდომებს 200მ მანძილის გარნებას, ორჯერ მეტ დროს ხარჯავს იმასთან შედარებით, ვინც 25 წმ-ს ანდომებს მანძილის გარბენას.

შეფარდების სკალა გამოიყენება, თუ იზომება დრო, რომელიც დაიხარჯა რაიმე სამუშაოს შესასრულებლად, წონა, ფართობი, მანძილი, სიმაღლე და ა.შ. ამ სიდიდეებს (ცვლადებს) გააჩნიათ აბსოლუტური ნული და ამავე დროს სკალის ერთეულები თანაბარი მანძილებით არიან დაშორებული. ამ გამონათქვამის შემოწმება თქვენთვის მოგვინდვია, რაც იმედია, არ გაგიჭირდებათ პრაქტიკულად და არც თეორიულად.

ბიჰევიორისტულ მეცნიერებებშიც შეფარდების სკალას იყენებენ, როდესაც იზომება ადამიანის, ცხოველის რაიმე გამღიზიანებელზე რეაქციის დრო, ანდა რაიმე ფსიქოლოგიური დავალების, ტექსტის, ანდა თავსატეხის შესრულებაზე დახარჯული დრო.

ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში ხშირად სწორედ ცვლადების გაზომვის შეფარდების სკალას ვიყენებთ, თუნდაც გარკვეული სიდიდეების გაზომვისას ჩვეულებრივი კლასიკური გაგებით.

დავალება: თქვენთვის ცნობილია სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

ᲥᲣᲚᲔᲑᲘ	ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ	ᲜᲘᲨᲐᲜᲘ (ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ)	ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ
91-100	ფრიადი	**A**	დადებითი
81-90	ძალიან კარგი	**B**	დადებითი
71-80	კარგი	**C**	დადებითი
61-70	დამაკმაყოფილებელი	**D**	დადებითი
51-60	საკმარისი	**E**	დადებითი
41-50	ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა გამოცდის გადაბარების უფლება	**Fx**	უარყოფითი
0-40	ჩაიჭრა. სტუდენტმა კრედიტის მოსაპოვებლად საგანი თავიდან უნდა გაიაროს	**F**	უარყოფითი

გამოიყენეთ ამ ცხრილის სვეტები და ცალ-ცალკე შეადგინეთ ცვლადთა გაზომვის სხვადასხვა სკალა, თან მიუთითეთ სკალის დასახელება.

3.5 თვისობრივი, რაოდენობრივი მონაცემები და ცვლადები ბიჰევიორისტულ მეცნიერებებში. ცვლადების კლასიფიკაცია

ამ საკითხების შესწავლისას ჩვენი ყურადღების ცენტრში ისევ იქნება ცვლადების გაზომვის სკალები.

❖ ბიჰევიორისტული მეცნიერების წარმომადგენლები ***მონაცემებს*** (Data – მრ., Datum – მხ.) განსაზღვრავენ, როგორც ქულებს, ქცევის, სტიმულის ან მახასიათებლების (ცვლადების ***გაზომვის შედეგებს***, რომლებიც მიიღებიან ადამიანებზე ან ცხოველებზე დაკვირვების შედეგად.

❖ როგორც ადრე შევნიშნეთ, სახელდების სკალაზე ინდივიდების, ადამიანების, ცხოველებისა თუ საგნების სხვადასხვა კატეგორიებში გასაერთიანებლად გამოიყენება ძირითადად რიცხვები (ქულები), შესაძლებელია ასოების გამოყენებაც. მაგრამ ეს რიცხვები და ასოები ვერ იძლევიან რაოდენობრივ ინფორმაციას იმ ცვლადის შესახებ, რომლის მიხედვითაც მოხდა სკალაზე შესასწავლი ობიექტების ან მახასიათებლების კატეგორიებში გაერთიანება. კატეგორიებად გაერთიანებული ობიექტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რაღაც ***თვისებით*** (ფერი, რწმენა, მრწამსი, სტიმული, ოჯახური მდგომარეობა, ხარისხი და ა.შ.) მიხედვით. აქედან გამომდინარე, **სახელდების სკალა იძლევა თვისობრივ მონაცემებს: შესაბამისი ცვლადი, ანუ მახასიათებელი თვისობრივი ცვლადია.**

❖ რიგის ინტერვალებისა და შეფარდების სკალებზე ცვლადის გაზომვის შედეგად ცვლადისთვის მინიჭებული რიცხვები გამოხატავენ ამ **ცვლადის სიდიდეს, რაოდენობას.** ***რიგის, ინტერვალებისა და შეფარდების სკალები იძლევიან რაოდენობრივ მონაცემებს.***

ინტერვალებისა და შეფარდების სკალები გასაზომი ცვლადის ძირითადი თვისებებისა თუ მახასიათებლების რაოდენობის უფრო ზუსტად განსაზღვრის საშუალებას იძლევიან, ვიდრე რიგის სკალა.

ინტერვალებისა და შეფარდების სკალები სტატისტიკაში შეკრება-გამოკლებისა და გამრავლება-გაყოფის მათემატიკური ოპერაციების მრავალფეროვანი გამოყენების შესაძლებლობას იძლევიან. ამიტომ ამ სკალებზე მიღებულ მონაცემებს უპირატესობა ენიჭებათ.

შენიშვნა: თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლადებს, მახასიათებლებსა და მონაცემებს მომავალში ზოგადად ისევ დავუბრუნდებით.

❖ ცვლადები შეიძლება იყოს **დისკრეტული** და **უწყვეტი**. დისკრეტულ ცვლადს ხშირად წყვეტილ ცვლადსაც უწოდებენ.

დისკრეტული ცვლადი (Discrete variable) არის ისეთი ცვლადი (მახასიათებელი), რომელმაც შეიძლება მიიღოს მნიშვნელობები სასრული ან თვლადი სიმრავლიდან.

მაგალითად: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობა, თბილისში რეგისტრირებული ავტომანქანების რაოდენობა, ოჯახის ელექტრომრიცხველზე თვის განმავლობაში აღრიცხული დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობა, მზის გალაქტიკაში ციურ სხეულთა რაოდენობა – დისკრეტული ცვლადებია.

უწყვეტი ცვლადი (Continuous variable) არის ცვლადი (მახასიათებელი), რომელმაც შეიძლება მიიღოს მნიშვნელობები ცვლადის ნებისმიერ ორ დონეს შორის. უწყვეტ ცვლადს აქვს მნიშვნელობათა შემოუსაზღვრელი სიმრავლე. უწყვეტი ცვლადის მაგალითია სხეულის ტემპერატურა. ის შეიძლება იყოს 36,4^{0}C ან 36,7^{0}C. ტემპერატურა არ შემოისაზღვრება ორი რომელიმე მნიშვნელობით, ვთქვათ, 36^{0}C და 37^{0}C-ით, რადგან იგი შეიძლება იყოს ***ნებისმიერი*** რიცხვი ამ ორ დონეს შორის, ასევე ადამიანის წონა. ფსიქოლოგიური ცვლადები ხშირად განიხილებიან როგორც უწყვეტი ცვლადები. ასეთებია შფოთვა, ინტელექტი. ისინი გაიზომებიან სკალებით, რომლებზედაც ცდის პირებს დისკრეტული ქულები ენიჭებათ.

ხშირად ბიჰევიორისტული მეცნიერების წარმომადგენლები იკვლევენ ცალკეული ინდივიდებისა და ინდივიდთა ჯგუფების ქცევის მიზეზებს ექსპეტიმენტის მეშვეობით. ექსპერიმენტის ჩატარებისათვის გამოყოფენ ცვლადს, რომელსაც ***დამოუკიდებელი ცვლადი*** (Independent variable) ეწოდება და საფიქრებელია, რომ იგი გავლენას ახდენს ინდივიდების ქცევაზე, ანდა ექსპერიმენტის სხვა ცვლადზე. ცვლადს, რომელზედაც გავლენას ახდენს დამოუკიდებელი ცვლადი, ეწოდება ***დამოკიდებული ცვლადი*** (Dependent variable). მაგალითად, საკვებში ფერმენ-ტების გარკვეული რაოდენობის დამატება ზრდის ძროხის რძეში ცხიმიანობას. აღნიშნული დამოკიდებულებების ხა-რისხის შესწავლა ხდება გარკვეული სტატისტიკური მეთოდებით, რომელთაც მომავალში შევისწავლით.

3.6 გაზომვის რეალური საზღვრების დადგენა. დამრგვალება

- გავიხსენოთ დამრგვალების წესები.

თვლის ათობით სისტემაში რიცხვები ჩაიწერებიან ციფრებით: 0,1,2,3,4,5,6,7,8,9 სათანადო თანრიგებში, ამასთან, რიცხვით ჩანაწერში მარჯვნიდან მარცხნივ თანრიგები იცვლებიან დაბალი თანრიგიდან მაღალი თანრიგისაკენ, ანუ რიცხვით ჩანაწერში მარცხნივ მდგომი რიცხვი 10-ჯერ უფრო მაღალი თანრიგისაა, ვიდრე მისი მეზობელი ციფრი მარჯვენა თანრიგში.

- თუ დასამრგვალებელი თანრიგის მეზობელ დაბალ თანრიგში მდგომი ციფრი 5-ზე მეტია, მაშინ დასამ-რგვალებელ თანრიგში ჩაიწერება ერთით მეტი ციფრი, ხოლო მასზე დაბალ თანრიგში მდგომი ციფრები შეიცვლება 0-ებით:

$10\overset{\downarrow}{7}\overset{\rightarrow}{8}9 \approx 10800$, დამრგვალდა ათასეულამდე სიზუსტით.

$54,7\overset{\downarrow}{3}\overset{\rightarrow}{9} \approx 54,74$, დამრგვალდა მძიმის შემდეგ ორ თან-რიგამდე (ანუ მძიმის შემდეგ ერთ მეასედამდე სიზუსტით)

- თუ დასამრგვალებელი თანრიგის მეზობელ დაბალ თანრიგში მდგომი ციფრი ნაკლებია 5-ზე, მაშინ დასამ-რგვალებელ თანრიგში დარჩება იგივე ციფრი, ხოლო მასზე დაბალ თანრიგში მდგომი ციფრები შეიცვლებიან 0-ებით.

$10\overset{\downarrow}{7}\overset{\rightarrow}{4}9 \approx 10700,$

$54,7\overset{\downarrow}{3}\overset{\rightarrow}{1} \approx 54,73$

• თუ დასამრგვალებელი თანრიგის მეზობელ დაბალ მარჯვენა თანრიგში მდგომი ციფრია 5, მაშინ დასამრგვალებელ თანრიგში მდგომი ციფრი გაიზრდება 1-ით, თუ იგი კენტი ციფრია, ხოლო დარჩება იგივე, თუ იგი ლუწი ციფრია. ამასთან, მასზე დაბალ თანრიგებში ჩაიწერება ციფრი 0.

$$10\overset{\downarrow}{7}\overset{\rightarrow}{5}1 \approx 10800, \qquad 54,7\overset{\downarrow}{3}\overset{\rightarrow}{5} \approx 54,74$$

$$10\overset{\downarrow}{8}\overset{\rightarrow}{5}9 \approx 10800, \qquad 54,7\overset{\downarrow}{8}\overset{\rightarrow}{5} \approx 54,78$$

რატომ გავიხსენეთ დამრგვალების ეს წესები და რატომ გვჭირდება მიახლოებითი რიცხვები?

ამ საკითხის შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია შემდგომში გარკვეული სტატისტიკური გამოთვლების წარმოებისას მნიშვნელობათა დამრგვალებისათვის, სიხშირეთა განაწილებების აგებისა და გაზომვის რეალური საზღვრების დადგენისას. ამ ეტაპზე განვიხილავთ მხოლოდ გაზომვის რეალური საზღვრების დადგენის საკითხებს.

3.7. გაზომვის რეალური საზღვრები

გაზომვის რეალური საზღვრების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით, უწყვეტი ცვლადების გაზომვების შედეგების სტატისტიკური შესწავლისას.

როგორც უკვე აღინიშნა, ტემპერატურა, რაიმე სამუშაოს შესრულებისათვის დახარჯული დრო, თითოეული ჩვენთაგანის წონა, მრავალი ფსიქოლოგიური ცვლადი, როგორიცაა შფოთვა, ინტელექტი და ა.შ. ***უწყვეტ ცვლადებად*** მოიაზრება. ***უწყვეტი ცვლადის გაზომვისას უპირველეს ყოვლისა, უნდა შეირჩეს გაზომვის სკალა და გაზომვის სიზუსტე.*** როგორც პარაგრაფის დასაწყისში აღინიშნა, გაზომვისას უწყვეტი ცვლადის არსებულ სიდიდეებს გაზომვის სკალაზე ენიჭება კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობები, მაგრამ ეს რიცხვები ვერ ასახავენ ცვლადის სიდიდის რელურ მნიშვნელობებს, ისინი არიან ცვლადის რეალურ სიდიდესთან მხოლოდ მიახლოებული მნიშვნელობები. ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს ცვლადის გაზომვის რეალური საზღვრების დაზუსტებას. ცვლადის გაზომვის სიზუსტე მოთავსებულია

მინიჭებული რიცხვების რეალურ საზღვრებში. რას ნიშნავს ეს?

განვიხილოთ დროითი ცვლადის მაგალითი: ვთქვათ, გვაინტერესებს რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს სუნთქვის შეკავება. ცდის პირს, ადამიანს, ეძლევა შესაბამისი დავალება. დროის გაზომვა ხდება ***წამზომით***, რომელიც ზომავს უახლოესი მთელი წამის სიზუსტით (გაზომვის სკალა და სიზუსტე შერჩეულია). თუ დაკვირვების შედეგად წამზომზე დაფიქსირდა დრო 47 წმ, მაშინვე დაისმება კითხვა: რამდენად აფასებს ეს რიცხვი ცვლადის რეალურ სიდიდეს? ანდა რამდენად ზუსტია გაზომვის ეს შედეგი? გაზომვა ხდება უახლოესი 1 წმ-ის სიზუსტით, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაზომვის რეალური შედეგი ამ დაკვირვების მიხედვით შეიძლება ყოფილიყო 47,1 წამიც და 46,8 წამიც. რადგან დამრგვალების შედეგად 47,1 წმ ≈ 47 წმ, ასევე 46,8წმ ≈ 47წმ, უახლოეს წამამდე სიზუსტით, მაგრამ დაფიქსირებული სიდიდით (47წმ) და მითითებული სიზუსტით – წამზომის სკალის მიხედვით ვერ იქნებოდა 46წმ ან 48წმ. ამ გაზომვის (47წმ) სიზუსტე განისაზღვრება რიცხვის რეალური საზღვრებით. გაზომვის (რიცხვის) რეალური ქვედა საზღვარი არის რიცხვისა და მის წინა რიცხვის შუაწერტილი გაზომვის სიზუსტის გათვალისწინებით. 47წმ-ის წინა რიცხვია 46, ამიტომ შუაწერტილი იქნება 46,5 წმ. გაზომვის (რიცხვის) რეალური ზედა საზღვარი არის ამ რიცხვის (47წმ-ის) და მისი მომდევნო რიცხვის (48წმ-ის) შუაწერტილი, ანუ 47,5წმ. რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვები, შესაბამისად კი რეალური ქვედა საზღვრები და რეალური ზედა საზღვრები არიან საზომი ერთეულის მიხედვით სკალაზე „მომდევნო გაზომვადი მნიშვნელობები“. ამიტომ ვთქვათ **46**,5წმ-სათვის რეალური ქვედა საზღვარი იქნება შუალედი 46 წამსა (სკალაზე წინა მომდევნო გაზომვად მნიშვნელობასა) და 47 წმ-ს შორის. ასევე **47**,5 წამისათვის რეალური ზედა საზღვარი იქნება შუალედი 47 წმ-სა და (სკალაზე მომდევნო გაზომვად მნიშვნელობას შორის).

გაზომვის სიზუსტის შეცვლა გამოიწვევს გაზომვის რეალური საზღვრების შეცვლას იგივე გაზომვით დაფიქსირებული 47,00 წამისათვის. დავუშვათ, გაზომვა ***ელექტრონული წამზომით*** ხდებოდა, რომელსაც გაზომვა

შეუძლია 0,01=$\frac{1}{100}$ წმ-ის სიზუსტით. რეალური ქვედა საზღვარი იქნება 46,995წმ (ამ სკალაზე გაზომვის მომდევნო (წინა) რიცხვია 46,99), რეალური ზედა საზღვარი იქნება 47,015წმ (გაზომვის ამ სკალაზე მომდევნო გაზომვადი მნიშვნელობაა 47,01).

ამ წესით დაფიქსირებული 57,21 წამისათვის რეალური ქვედა და ზედა საზღვარი იქნება შესაბამისად რიცხვები: 57,205წმ (შუაწერტილი 57,20წმ-სა და 57,21წმ-ს შორის, სკალის ერთული 0,01წმ-ია).

ამრიგად, ნებისმიერ სკალაზე უწყვეტი ცვლადის ყოველ რიცხვით მნიშვნელობას აქვს გაზომვის რეალური ქვედა და ზედა საზღვრები. მაგალითად, თუ 9 ქულიან სკალაზე იზომება რაიმე სტიმული და გაზომვის შედეგები კატეგორიებად გამოიყოფა მთელი რიცხვებით, გაზომვის შედეგად დაფიქსირდა რიცხვი 3, მაშინ ადვილი მისახვედრია, რომ ზემოაღნიშნული წესით რეალური ქვედა და რეალური ზედა საზღვარი შესაბამისად ტოლია 2,5 და 3,5-ის.

⁂ სტატისტიკური დაკვირვების (ექსპერიმენტის) სწორად დაგეგმვის, გამოთვლების გამარტივებისა და კომპეტენტურობის მიზნით, რიცხვითი მნიშვნელობებისა და საბოლოო პასუხების დამრგვალების სიზუსტის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს. მკვლევარის მიერ რიცხვის დამრგვალებასთან დაკავშირებით მოსაზრებების დაფიქსირება კვლევის პროცესში წინასწარ გარკვევით ხდება და ემორჩილება გარკვეულ წესებს.

განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ, ინტერვალების 9 ქულიანი სკალის საკვლევი დებულებაა: „თქვენ ღიზიანდებით, როდესაც გვერდით მყოფი ადამიანები მობილური ტელეფონით საუბრობენ.“



სკალის დებულება შესაძლებელია ერთ-ერთი იყოს ჩვენ მიერ ადამიანის ქცევაზე გამღიზიანებლის ზემოქმედების შესწავლის პროცესში. ვთქვათ, ექსპერიმენტში მონაწილეობდა სამი ცდის პირი. თითოეულ მათგანს და-

ევალა სკალაზე პირადი შეხედულების მიხედვით მოენიშნა ცვლადის მნიშვნელობის აღმნიშვნელი ერთი მთელი რიცხვი, რომლითაც რესპოდენტი შეაფასებდა საკვლევი დებულებით განსაზღვრული ცვლადის (გაღიზიანების) სიდიდეს.

რესპოდენტებმა შესაბამისად სკალაზე მონიშნეს ცვლადის მთელი რიცხვითი მნიშვნელობები: 4, 5 და 5. თითოეული მათგანისათვის შეიძლება შეფასდეს გაზომვის რეალური ქვედა და რეალური ზედა საზღვარი: 4-ისათვის იგი შეადგენს შესაბამისად 3,5 და 4,5-ს, ხოლო 5-ისათვის 4,5 და 5,5-ს. ბუნებრივია, ცვლადის სიდიდის გაზომვის უკეთ შეფასებისათვის უნდა ვიპოვოთ მიღებული სამი განაზომის 4, 5 და 5-ის არითმეტიკული საშუალო ცნობილი წესით, რომელსაც უფრო საფუძვლიანად სახელმძღვანელოს შემდეგ პარაგრაფებში განვიხილავთ: $\frac{4+5+5}{3}=\frac{14}{3}=4,666...$ მიღებული პასუხი უსასრულო პერიოდული ათწილადია. საბოლოო პასუხის მისაღებად საჭიროა ამ რიცხვის დამრგვალება არსებული მისი მთელი ნაწილიდან, რომელიც ცვლადის გაზომვის ერთეული მთელი რიცხვითი მნიშვნელობაა. ცნობილი წესების დაცვით დამრგვალება შეიძლება მოხდეს ა) მძიმის შემდეგ ერთ მეათედამდე სიზუსტით, მაშინ მიიღება შედეგი 4,7; ანდა ბ) მძიმის შემდეგ ერთ მეასედამდე სიზუსტით. მიიღება 4,67. საბოლოო პასუხში, ან მიმდინარე რიცხვითი მნიშვნელობის დამრგვალებისას სიზუსტეზე შეთანხმება მკვლევარის მიერ წინასწარ ხდება.

გამოთვლების წარმოებისას გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი **წესი**: სტატისტიკური გამოთვლების წარმოებისას, კერძოდ, თუ საბოლოო პასუხის მიღებამდე დარჩენილია რამოდენიმე ეტაპი და შესასრულებელია შუალედური მნიშვნელობის დამრგვალების პროცესი, მაშინ საბოლოო პასუხში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, შუალედური მნიშვნელობის დამრგვალება უნდა მოხდეს ორ ან მეტ დაბალ თანრიგამდე, ვიდრე ეს პროცესი გათვალისწინებულია საბოლოო პასუხში. ე.ი. რიცხვი 4,6666... შუალედურად შეიძლება დამრგვალდეს მძიმიდან ერთ მეათიათასედ თანრიგამდე, მაშინ მიიღება 4,6667. ეს მაშინ მოხდება, თუ პასუხში

გათვალისწინებულია დამრგვალება მძიმიდან ერთ მეასედ თანრიგამდე.

§4. დაკვირვება (ცდა, ექსპერიმენტი). ხდომილობა. რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები

შემთხვევითი დაკვირვება, შემთხვევითი ცდა, შემთხვევითი ექსპერიმენტი სინონიმებია. შემდგომში ვიტყვით: ***დაკვირვება (ცდა, ექსპერიმენტი)*** წარმოადგენს გარკვეული პირობების კომპლექსის შესრულებას, გულისხმობს დამკვირვებელ სუბიექტს, დაკვირვების ობიექტს, დაკვირვების პირობებსა და დაკვირვების პოტენციურ ან რეალურ შედეგს. დაკვირვება შეიძლება ჩატარდეს რეალურად – უშუალოდ პრაქტიკულად, ან აზრობრივად - თეორიულად.

თუ დაკვირვების პირობების კომპლექსი ვერ იძლევა საშუალებას წინასწარ ცალსახად ზუსტად განისაზღვროს დაკვირვების შედეგი, მაშინ დაკვირვებას ***შემთხვევითი დაკვირვება (შემთხვევითი ცდა, შემთხვევითი ექსპერიმენტი)*** ეწოდება.

დაკვირვების პოტენციურ შედეგს ***ხდომილობას*** ვუწოდებთ. ხდომილობა გონებრივად გააზრებული დაკვირვების პირობათა კომპლექსის პოტენციური შედეგია. ხდომილობებს აღვნიშნავთ სიმბოლოებით Ω, $\varnothing$, ω, A, B, C, ω_1, ω_2, A_1, A_2, A_3,...

ხდომილობა ალბათობათა თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა და ხდომილობის ცნების ქვეშ გაიგება ყველაფერი ის, რის შესახებაც აზრი აქვს ითქვას, რომ დაკვირვების შედეგად იგი ხდება ან არ ხდება (მოხდება ან არ მოხდება).

რეალურად ჩატარებული დაკვირვების კონკრეტულ შედეგს მონაცემს ვუწოდებთ. მონაცემი დაკვირვების პირობათა კომპლექსის (დპკ) პრაქტიკული რეალიზაციის შედეგია. გავეცნოთ შემდეგ სქემას (ნახ. 2):



ნახ.2

განვიხილოთ უმარტივესი მაგალითები.

მაგალითი 1.1. (გთხოვთ, ამ მაგალითის პირობა მთელი სერიოზულობით პრაქტიკულად განახორციელოთ). აიღეთ ხელში ნებისმიერი ღირებულების მონეტა, დააგდეთ გლუვ ბრტყელ ზედაპირზე (მაგიდაზე, იატაკზე) და დაკვირვების შედეგი ჩანიშნეთ ცხრილ 1-ის იმ სვეტის მეორე სტრიქონში, რომლის პირველ სტრიქონში მინიშ-ნებულია დაკვირვების რიგითი №1

ცხრილი 1

დაკვირვების რიგითი №	1								. . .	
დაკვირვების შედეგი. მონაცემი									. . .	

მითითება: თუ მონეტა დავარდა ბორჯღალით (გერბით) ზემოთ, ჩაინიშნეთ „ბორჯღალი“, მოკლედ - ბ, ან დაწერეთ 1-იანი, ვამბობთ - „მონეტაზე მოვიდა ბორჯღალი“. ხოლო თუ მონეტა დაეცა საფასურით ზემოთ, ჩანიშნეთ „საფასური“, მოკლედ - ს, ან ჩაწერეთ 0. ვამბობთ - „მონეტაზე მოვიდა საფასური“. თითოეულ შემთხვევაში თქვენ მოიპოვეთ **თვისობრივი** მონაცემი. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც „ბორჯღალის“ მოსვლას აღნიშნავთ 1-ით, „საფასურისას“ კი – 0-ით, მაინც თვისობრივ მონაცემთან გაქვთ საქმე, რადგან თქვენ მხოლოდ სიმბოლურად დააფიქსირეთ 1-ით თვისობრივი მონაცემი – „ბორჯღალის“ მოსვლა, ან 0-ით – თვისობრივი მონაცემი – „საფასურის“ მოსვლა. გაიმეორეთ ცდა (დაკვირვება, ექსპერიმენტი) მეორედ, მესამედ და ა.შ., რამდენჯერაც გსურთ. ცხრილის პირველ სტრიქონში ჩაწერეთ დაკვირვების რიგითი ნომერი, მეორეში კი – ამ დაკვირვების შესაბამისად მოპოვებული მონაცემი. მიღებულ მონაცემებს **„ნედლ“** მონაცემებს ვუწოდებთ. ამრიგად, თქვენ შეავსეთ და მიიღეთ ნედლი თვისობრივი მონაცემების ცხრილი.

შევნიშნოთ, რომ, როგორც ვიცით, მონეტას ორი მხარე აქვს. ერთ მხარეზე მონიშნულია მონეტის მესაკუთრე (მომჭრელი, გამომშვები) ქვეყნის სიმბოლიკა – „ბორჯღალი“ ქართულ მონეტაზე, სხვა შემთხვევებში კი „ღერბი“ (იგივე „გერბი“), მეორეზე კი მინიშნებულია მონეტის ღირებულება – „საფასური“. ამასთან, მონეტა იმდენად თხელია, რომ გამორიცხულია წიბოზე გაჩერდეს, ან იგოროს დაუსრულებლად.

ხარისხობრივ (თვისობრივი) მონაცემი მიიღება შესასწავლი ობიექტის ხარისხობრივ-თვისობრივ მახასიათებელზე დაკვირვებით. იგი ობიექტს ან აქვს ან არ აქვს. ობიექტის თვისობრივი მახასიათებელი არ ემორჩილება გაზომვას. ასეთი მახასიათებლებია: ადამიანთა ინდივიდებისათვის – პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, სოციალური მდგომარეობა, რელიგიური მრწამსი, იდეოლოგიური შეხედულება, ფსიქოლოგიური განწყობა, სხვა შემთხვევებში – პროდუქციის ხარისხი, ფერი, გემო და ა.შ.

თვისობრივი, ხარისხობრივი მახასიათებელი შეიძლება იყოს **ალტერნატიული – ორმნიშვნელობიანი**, ან **მრავალმნიშვნელობიანი.**

ალტერნატიული მახასიათებლებია: ქალი და კაცი, ძლიერი და სუსტი (არაძლიერი), დაოჯახებული და დაუოჯახებელი, სპორტსმენი და არასპორტსმენი, დაავადებული და არადაავადებული, უმაღლესდამთავრებული და უმაღლესდაუმთავრებელი, ხარისხიანი და უხარისხო და ა.შ.

მრავალმნიშვნელობიანი მახასიათებლებია: გარკვეული აზრით ხარისხი - I ხარისხი, II ხარისხი, III ხარისხი, სისხლის ჯგუფი - I, II, III, IV, რეზუს უარყოფითი. ინფექციური დაავადებები: წითელა, ყივანახველა, შავი ჭირი, ქოლერა, ეროვნება - ქართველი, გერმანელი, ბერძენი, ესპანელი, რუსი, თურქი და ა.შ.

რაოდენობრივი მონაცემი მიიღება შესასწავლი ობიექტის რაოდენობრივ მახასიათებელზე (ნიშან-თვისებაზე) დაკვირვების შედეგად. **თვისობრივი მახასიათებლისაგან განსხვავებით ობიექტის რაოდენობრივი მახასიათებელი შეიძლება გაიზომოს ტრადიციული გაგებით.** ასეთია მაგალითად: სიჩქარე, მანძილი, სიმაღლე, შრომის ნაყოფიერება, სიმკვრივე, მასა, საკრედიტო თანხის რაოდენობა, მოგება, ხელფასი, სითბოს რაოდენობა, მუშაობა, სიმძლავრე, ინტენსივობა და ა.შ.

რაოდენობრივი მახასიათებელი (ცვლადი) დისკრეტულია, თუ იგი უკავშირდება დათვლის პროცესს (ახალშობილთა რაოდენობა და სხვა), ხოლო **უწყვეტია,** თუ იგი უკავშირდება გაზომვის პროცესს (ტემპერატურა, ცდომილება გაზომვებში და სხვა).

მაგალითი 1.2. რაოდენობრივი მონაცემების მიღების საილუსტრაციოდ, განხილულ მაგალით 1.1-ის პირობაში მონეტა შეცვალეთ ნარდის სათამაშო კამათელით, ანუ კუბით, რომლის თითოეულ წახნაგზე ამოტვიფრულია შესაბამისად 1, 2, 3, 4, 5, 6 – რიცხვები და დაკვირვების რიგითი ნომრის მიხედვით მიღებული რიცხვითი მონაცემები (ან 1, ან 2,..., ან 6) შეიტანეთ ცხრილ 1-ის მეორე სტრიქონში. მაგალითი 1.1-ის ანალოგიურად, დაკვირვების რიგითი ნომრები ჩაწერეთ პირველ სტრიქონში. მიიღებთ რაოდენობრივი ნედლი მონაცემების ცხრილს.

დავალება: ორივე განხილულ შემთხვევაში, კერძოდ, მონეტის აგდებისას და კამათელის გაგორებისას მიმოიხილეთ დაკვირვების პირობების კომპლექსი.

მითითება: პირველ მაგალითში დაკვირვების პირობათა კომპლექსის მიხედვით მაგიდაზე, ან იატაკზე რეალურად ერთჯერ ვაგდებთ ერთ მონეტას, მონეტა წარმოადგენს ლითონის ფულს, რომლის ერთ მხარეზე მისი ღირებულებაა მინიშნებული (საფასური), მეორეზე კი მფლობელი ქვეყნის ღერბია (ბორჯღალი). ამასთან იგულისხმება მონეტა იმდენად თხელია, რომ შეუძლებელია დადგეს წიბოზე ან დაუსრულებლად იგოროს.

მეორე შემთხვევაში დაკვირვების პირობების კომპლექსის დახასიათება მკითხველისთვის მიგვინდვია.

ახლა კი განვიხილოთ დაკვირვების აზრობრივად, თეორიულად ჩატარების საილუსტრაციო შემდეგი მაგალითი:

მაგალითი 1.3. რომ დავაგდოთ გლუვ ბრტყელ ზედაპირზე მონეტა, რა მოვლენებთან გვექნება საქმე?

სახელმძღვანელოებში ტექსტობრივად ამ ამოცანას წერენ ასე: ვაგდებთ მონეტას გლუვ ბრტყელ ზედაპირზე, რა მოვლენებთან გვექნება საქმე (ე.ი. აქ იგულისხმება კონტექსტი: რომ დავაგდოთ..., თუ დავაგდებთ....)?

პირობათა კომპლექსის შესაბამისად, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ მოსალოდნელი, პოტენციური შედეგები, რომლებსაც **ხდომილობებს** ვუწოდებთ. ასეთებია: {მონეტაზე მოვა ბორჯღალი}={ბ}, {მონეტაზე მოვა საფასური}={ს}. შეიძლება განვიხილოთ სხვა ხდომილობებიც: {მონეტაზე არც ბორჯღალი მოვა, არც საფასური}={მონეტაზე არ მოვა ბორჯღალი და არც საფასური მოვა} - ეს ხდომილობა **შეუძლებელი ხდომილობაა**, რადგან იგი არ მოხდება არასოდეს, რამდენჯერაც უნდა ავაგდოთ მონეტა აზრობრივად თუ პრაქტიკულად. შეუძლებელ ხდომილობას აღვნიშნავთ $\varnothing$ - სიმბოლოთი.

{მონეტაზე მოვა ან ბორჯღალი, ან საფასური}={ბ; ს} - ეს ხდომილობა **აუცილებელი ხდომილობაა**, რადგან იგი დაკვირვების შედეგად ყოველთვის აუცილებლად მოხდება თეორიული მოსაზრებებიდან გამომდინარე და პრაქტიკულადაც. აუცილებელ ხდომილობას აღვნიშნავთ Ω სიმბოლოთი.

ხდომილობას, რომელიც დაკვირვების შედეგად შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს, შემთხვევითი ხდომილობა

ეწოდება. შემთხვევითი ხდომილობები აღინიშნება ω, A, B, C, ω_1... სიმბოლოებით.

§5. დინამიკური და სტატისტიკური კანონზომიერებები. ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საგანი

რეალური სამყაროს რაოდენობრივი კანონზომიერებები, რომელთაც შეისწავლის მათემატიკა, ძირითადად ორი სახისაა: **დინამიკური (დეტერმინირებული)** და **სტატისტიკური (სტოქასტური, ალბათური).** შესაბამისად, მოვლენებიც ორი სახისაა დინამიკური (დეტერმინირებული) და შემთხვევითი (სტოქასტური).

დინამიკური კანონზომიერებები საშუალებას იძლევიან წინასწარ დეტერმინისტულად, ზუსტად ცალსახად განვსაზღვროთ შესასწავლ მოვლენაზე დაკვირვების შედეგი. ასეთი მოვლენები დინამიკური მოვლენებია. ეს მოვლენები უფრო იდეალიზებული მოვლენებია. სამყაროს ადექვატური შეცნობის შესაძლებლობას ძირითადად **სტატისტიკური კანონზომიერებები** იძლევიან.

მოვლენა შემთხვევითია, თუ წინასწარ ზუსტად, ცალსახად შეუძლებელია გამოვიცნოთ მასზე დაკვირვების საბოლოო შედეგი. თუმცა ***მასობრივი ერთგვაროვანი შემთხვევითი მოვლენები ემორჩილებიან სტატისტიკურ კანონზომიერებებს. ეს კანონზომიერებები ძირითადად რაოდენობრივი სახისაა და შემთხვევითი მოვლენების ფარდობით სიხშირეთა სტატისტიკური მდგრადობის თვისებით ჩამოყალიბდებიან.***

სტატისტიკური კანონზომიერებები ერთგვაროვანი მასობრივი შემთხვევითი მოვლენების პროგნოზირების (მათზე წინასწარი ვარაუდების გამოთქმის) საშუალებას იძლევა, რაც შემთხვევითობასთან დაკავშირებით გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილებების მიღებაში და მოქმედების ოპტიმალური სტრატეგიების არჩევაში გვეხმარება.

დინამიკური მოვლენების საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

მაგალითი 1.4. ვთქვათ მატერიალურ წერტილზე მოქმედებს სიმძიმის ძალა. რომელიღაც მომენტში ცნობილია წერტილის მდებარეობა და სიჩქარე, მაშინ მისი შემდგომი მოძრაობა ცალსახად აღიწერება შესაბამისი დიფერენციალური განტოლებით (გაიხსენეთ აღნიშნული საკითხი ფიზიკიდან).

აღნიშნული დინამიკური მათემატიკური (მექანიკური) მოდელი დამაკმაყოფილებლად ყოველთვის ვერ ასახავს რეალურ ფიზიკურ მოვლენას, რადგან რეალურად სხვადასხვა კონკრეტულ პირობებში მატერიალური წერტილის მოძრაობაზე შეიძლება მოქმედებდეს დამატებით კიდევ სხვა შემთხვევითი ფაქტორები.

განვიხილოთ სტოქასტური მოვლენების საილუსტრაციო მაგალითი:

მაგალითი 1.5. განვიხილოთ გასროლილი ტყვიის მოძრაობა. არ შეიძლება ცალსახად, ზუსტად წინასწარ განისაზღვროს მისი ტრაექტორია. სხვადასხვა გასროლათა სერიებში ტყვიის საწყისი სიჩქარე შეიძლება სხვადასხვა იყოს, რადგან იგი დამოკიდებული იქნება მრავალ მიზეზზე (მრავალ **შემთხვევით** ფაქტორზე): დენთის ხარისხზე და რაოდენობაზე, გასროლის კუთხეზე, იარაღის სახეობაზე, ქარის მიმართულებასა და სიჩქარეზე და ა.შ., რაც გამოიწვევს შედეგთა სხვადასხვაობას. კერძოდ ტყვიის ტრაექტორიების განსხვავებულობას.

განვიხილოთ ფარდობით სიხშირეთა საილუსტრაციო შემდეგი მაგალითები:

მაგალითი 1.6. გიორგიმ მონეტა 10-ჯერ დააგდო სიბრტყეზე, ყოველი დაგდების შემდეგ რიგის მიხედვით ჩაინიშნა დაკვირვების შედეგი და მიღებული მონაცემები წარმოადგინა ცხრილის სახით:

ცხრილი 2.

დაკვირვების რიგითი №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დაკვირვების შედეგი. მონაცემი	გ	ს	გ	გ	ს	ს	გ	ს	გ	გ

შენიშვნა: თუ საწინააღმდეგო აზრი არაა დაფიქსირებული, მაშინ ყოველთვის ვიგულისხმებთ, რომ მონეტა „წესიერია“, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სიმეტრიულია და ერთგვაროვანი მასალისაგანაა დამზადებული.

დაკვირვებათა რაოდენობა 10-ის ტოლია. შესაბამისად მონაცემთა რაოდენობაც 10-ია. „ბორჯღალის“ მოსვლის სიხშირე ტოლია 6-ის, ხოლო - ფარდობითი სიხშირე 6/10-ის. „საფასურის“ მოსვლის სიხშირე ტოლია 4-ის, ხოლო ფარდობითი სიხშირე 4/10-ის. ამასთან, 6+4=10 და 0.6+0.4=1

შენიშვნა: **თუ k არის n-ჯერ ჩატარებულ ცდაში რაიმე A ხდომილობის მოხდენათა რაოდენობა, მაშინ რიცხვი: $\frac{k}{n} = P_n^*(A)$ არის n ცდაში A ხდომილობის ფარდობითი სიხშირე, რომელიც შეიძლება ჩავწეროთ პროცენტულადაც.**

დავუბრუნდეთ მაგალითს.

მასში განხილული ცდები **ორშედეგიანია** – ცალკეული ცდის (დაკვირვების) ჩატარებამდე თეორიულად მოსალოდნელია ორი პოტენციური შედეგი (ხდომილობა) {ბ}={მოვა ბორჯღალი} ან {ს}={მოვა საფასური}, მაგრამ კონკრეტულად რომელი ხდომილობის მოხდენა დაფიქსირდება, ამის ზუსტად, ცალსახად განსაზღვრა შეუძლებელია. აღნიშნული ხდომილობები შემთხვევითი ხდომილობებია.

გავერკვეთ ფარდობითი სიხშირის სტატისტიკური მდგრადობის თვისებაში. ამ კანონზომიერების ჭეშმარიტების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი პრაქტიკული მაგალითი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც შემჩნეული და შესწავლილია თეორიის განვითარების ადრე ისტორიულ ეტაპზე.

მაგალითი 1.7. ცხრილი 3-ით მოცემულია სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერ-დამკვირვებლის მიერ სიმეტრიული მონეტის n-ჯერ აგდების მიხედვით ჩატარებული ცდების სერიებში {საფასურის} მოსვლათა სიხშირეზე დაკვირვების შედეგები (იხ. [12], გვ. 163).

ცხრილი 3.

ცდის პირი	მონეტის აგდებათა რიცხვი n	საფასურის მოსვლათა სიხშირე	საფასურის მოსვლის ფარდობითი სიხშირე $\frac{K}{n}$	%
ჟ. ბიუფონი (1707-1788) ფრანგი მკვლევარი	4040	2048	0,5080	50,6%
კ. პირსონი (1857-1936) ინგლისელი მათემატიკოსი	12000	6019	0,5016	50,16%
კ. პირსონი	24000	12012	0,5005	50,05%

ცხრილიდან ჩანს, რომ დაკვირვებათა სხვადასხვა სერიებში „საფასურის“ ფარდობითი სიხშირეები მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და 0,5-ის ტოლი მუდმივი რიცხვისაგან. განსხვავება მით უფრო მცირეა, რაც უფრო დიდია დაკვირვებათა რიცხვი. **ესაა ფარდობითი სიხშირეების სტატისტიკური მდგრადობის კანონზომიერება.**

იგივე კანონზიმიერება ფიქსირდება ცდათა სერიებში {ბორჯღალი}-ს ({გერბი}-ს) ფარდობითი სიხშირეებისათვის.

ანალოგიური ფაქტი მოგვიანებით დაადასტურა ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაზე რიცხვების 1-ისა და 0-ის შემთხვევითი გათამაშების შედეგებმაც. რიცხვი 1 შეესაბამება მონეტაზე {საფასური}-ის მოსვლას, 0 კი {ბორჯღალი}-ის მოსვლას. კომპიუტერის (ე.გ.მ.) გამოყენება საშუალებას იძლევა თანმიმდევრულად გაიზარდოს როგორც დაკვირვებათა სერიების რაოდენობა, ასევე სერიებში დაკვირვებათა რაოდენობებიც.

„საფასურის“ მოსვლის აღმნიშვნელი ხდომილობის ფარდობითი სიხშირეების სტატისტიკური მდგრადობის ტენდენცია ნათლად ჩანს ჩატარებული კვლევების შედეგების შესაბამისად აგებულ ნახ. 3-ზე (იხ. [12], გვ. 11).



ნახ. 3

აბცისათა ღერძზე აღებულია ლოგარითმული მასშტაბი **(lgn)**, რაც ასე უნდა გავიგოთ: თუ მაგალითად, ჩატარდა $n=10$ ცდა, მაშინ აბცისათა ღერძზე გადავზომავთ $\lg 10=1$-ს და არა 10-ს. რიცხვი 10 გადაიზომება, თუ ჩატარებულია $n=10^{10}$ დაკვირვება (ცდა), რადგან $\lg 10^{10}=10$ და ა.შ.

ფარდობით სიხშირეთა სტატისტიკური მდგრადობის კანონზომიერების საილუსტრაციოდ, განვიხილავთ კიდევ ერთ მაგალითს დემოგრაფიული მეცნიერების სფეროდან. მსოფლიოს მრავალ რეგიონში სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში შობადობის საკითხის შესწავლისათვის ჩატარებულმა დემოგრაფიულმა კვლევებმა დაადასტურა შემდეგი სტატისტიკური კანონზომიერება, რომ დაკვირვებათა დიდი რიცხვის პირობებში ახალშობილთა საერთო რაოდენობიდან საშუალოდ 48-49% ქალია, ხოლო 51-52% ვაჟია.

აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი ცნობილი:

მაგალითი 1.8. ცხრილი 4-ით მოცემულია შვეციაში 1935 წელს დაბადებული ბავშვების სქესის მიხედვით სიხშირეთა და ფარდობით სიხშირეთა განაწილება (მონაცემები აღებულია შვეციის ოფიციალური სტატისტიკიდან, იხ. [12], გვ. 184; [19], გვ. 43).

ცხრილი 4

თვეები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	სულ წელში
ახალშო-ბილთა რიცხვი	7280	6957	7883	7884	7892	7609	7585	7393	7203	6903	6552	7132	88273
ბიჭები	3743	3550	4017	4173	4117	3944	3964	3797	3712	3512	3392	3761	45682
გოგო-ნები	3537	3407	3866	3711	3775	3665	3621	3596	3491	3391	3160	3371	42591
გოგონე-ბის ფარ-დობითი სიხშირე	0,486	0,489	0,490	0,471	0,478	0,482	0,462	0,484	0,485	0,491	0,482	0,473	0,4825

გოგონათა ფარდობითი სიხშირეები ფლუქტუაციას განიცდიან (მერყეობენ) $\frac{42591}{88,273} = 0,482$ რიცხვის მახლობლობაში, რაც პროცენტულად შეადგენს საერთო ახალშობილთა 48,2%-ს.

დავალება: იპოვეთ ბიჭების დაბადებათა შესაბამისი ფარდობითი სიხშირეები, ფორმულით - k/n (n დაკვირვებათა რიცხვია, k - ბიჭების სიხშირე).

ნახ. 4-ზე ნაჩვენებია ახალშობილ გოგონათა თვეების მიხედვით ნაპოვნი ფარდობითი სიხშირეების გადახრები წლიური მაჩვენებლისაგან.



ნახ. 4

აბცისათა ღერძზე მონიშნული უნდა იყოს გოგონათა რაოდენობა, ხოლო ორდინატთა ღერძზე – შესაბამისი ფარდობითი სიხშირეები.

დავალება: ანალოგიური დიაგრამა ააგეთ ახალშობილი ბიჭების ფარდობითი სიხშირეებისათვის.

ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა მათემატიკის უმნიშვნელოვანესი დარგია. იგი შეისწავლის შემთხვევით მოვლენებთან დაკავშირებულ მათემატიკურ მოდელებსა და მასობრივ შემთხვევით მოვლენათა რაოდენობრივ კანონზომიერებებს.

მასობრივი ერთგვაროვანი შემთხვევითი მოვლენების ფარდობით სიხშირეთა სტატისტიკური მდგრადობის თვისება იძლევა ამ შემთხვევით მოვლენათა პროგნოზირების საშუალებას, რაც გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილებების მიღებისა და მოქმედების ოპტიმალური სტრატეგიების არჩევაში გვეხმარება.

რამდენიმე შენიშვნა:

1) ერთგვაროვან შემთხვევით ხდომილობათა ფარდობითი სიხშირეების სტატისტიკური მდგრადობის თვისების თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ე.წ. „დიდ რიცხვთა კანონი“. ეს კანონი ალბათობათა თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა. მას მოგვიანებით შევისწავლით.

2) დაკვირვებათა n რიცხვის გაზრდის პირობებში რომელიმე ფიქსირებულ სერიაში გამორიცხული არაა სტატისტიკური კანონზომიერების ერთჯერადი დარღვევა თუნდაც რომელიმე დიდი n რიცხვისთვის.

3) თუ დაკვირვება ისეთია, რომ ფიქსირდება მხოლოდ ორი შედეგიდან ერთ-ერთი ა) განსახილველი ხდომილობა „ხდება“, ან ბ) „არ ხდება“, მაშინ მათ **ორშედეგიან დაკვირვებებს** ვუწოდებთ.

სიბრტყეზე მონეტის დაგდება ორშედეგიანი დაკვირვების მაგალითია.

რაიმე A ხდომილობის არ მოხდენას, მისი საწინააღმდეგო ხდომილობა ეწოდება, და აღინიშნება $\bar{A}$ სიმბოლოთი.

§6. გამოყენების სფეროები და მოკლე ისტორიული ექსკურსი

• ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკას კვლევისა და გამოყენების მრავალმხრივი მიმართულება აქვს.

შემთხვევითი მოვლენის უამრავი მაგალითის განხილვა შეიძლება მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგიდან. მაგალითად, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, დემოგრაფიაში, ეკონომიკასა და ბიზნესში, სადაზღვევო, საბანკო საქმეში, მართვის თეორიაში, მასობრივ წარმოებაში, ფსიქოლოგიაში, ეკოლოგიაში, მედიცინაში, სოციალურ მეცნიერებებში, საინჟინრო-ტექნიკურ მეცნიერებებში და სხვა.

მათემატიკური, ალბათურ-სტატისტიკური კვლევების, მეთოდებისა და გამოყენების სფეროების შესაბამისად ჩამოყალიბდა განსხვავებული მიმართულებები, როგორიცაა ეკონომეტრიკა, სტატისტიკური ფიზიკა, ეკონომიკური სტატისტიკა, ბიომეტრია, ბიო-სამედიცინო სტატისტიკა, სპორტული სტატისტიკა, ბიზნესის სტატისტიკა, სადაზღვევო სტატისტიკა, სოციალური სტატისტიკა და სხვა დარგების სტატისტიკა.

• ძველი ჩინეთის, ბაბილონის, ეგვიპტის, საბერძნეთის არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ ისტორიულად სტატისტიკური მეცნიერების განვითარება სათავეს იღებს უძველეს დროში და ვითარდებოდა სახელმწიფოთა წარმოშობა-განვითარებასთან ერთად. სახელმწიფოს სჭირდებოდა დაცვისა და შენახვის ხარჯები. სპეციალურად შერჩეული აღმრიცხველები აწარმოებდნენ მოსავლიანობის, მოსახლეობის დემოგრაფიულ და სხვადასხვა სახის აღწერებს, რამაც სათავე დაუდო პირველი მონაცემების შეგროვებასა და ამ მონაცემების ანალიზის აუცილებლობას. თავიდან მოპოვებული მონაცემების დამუშავება მარტივი მეთოდებით ხდებოდა. შეგროვილ სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების თეორიული საფუძვლების შექმნას დასაბამი მისცეს XVII საუკუნის ინგლისელმა მეცნიერებმა ვ. პეტიმ, ჯონ გრანტმა და შემდგომში განვითარება ჰპოვა ვ. კენეს შრომებში. მათ მასობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის საფუძველზე შეისწავლეს და დაადგინეს ამ მოვლენების განვითარების სტატისტიკური კანონზომიერებები. შემდგომში საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და ინტელექტუალურ განვითარებასთან ერთად მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის მეთოდები თანდათან იხვეწებოდა და მიაღწია განვითარების თანამედროვე დონეს.

• სახელდობრ, ალბათობის თეორია სათავეს იღებს XVII საუკუნის საფრანგეთში აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული შემთხვევითობის კვლევებში პასკალის (1623-1662), ფერმის (1601-1665) და ჰიუგენსის (1629-1695) შრომების წყალობით. განვითარების თანამედროვე დონეს ალბათობის თეორიამ მიაღწია აკადემიკოს ა.ნ. კოლმოგოროვის (1903-1987) შრომებში ჩამოყალიბებულ აქსიომებზე დაყრდნობით XX საუკუნის 30-იანი წლებიდან.

• საქართველოში ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის სწავლებას საფუძველი ჩაუყარა ანდრია რაზმაძემ (1889-1929) ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში. პროფესორმა გვანჯი მანიამ (1918-1985) საფუძველი დაუდო მათემატიკის ამ დარგის განვითარებას საქართველოში, ხოლო რევაზ ჩიტაშვილმა (1942-1995) კიდევ უფრო განავითარა კვლევები აღნიშნულ დარგში როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი მიმართულებით, მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოში სტოქასტური ფინანსური ანალიზის განვითარებას.

თავი II. აღწერითი სტატისტიკა
(Descriptive statistics)

§1. სტატისტიკური მონაცემები, პოპულაცია და შერჩევა

1. **მონაცემები (Data** - მრავლობითი, datum - მხოლობითი), **სტატისტიკური მონაცემები** ერთგვაროვან ობიექტთა რაიმე სიმრავლის რაოდენობრივ ან თვისებრივ მახასიათებელთა დაკვირვებული მნიშვნელობების ერთობლიობაა.

სტატისტიკური მონაცემები ჩატარებული ცდების (დაკვირვებების, ექსპერიმენტების) შედეგთა ერთობლიობაა.

სტატისტიკა (**Statistics**) წარმოადგენს მეცნიერების დარგს, რომელიც იკვლევს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის მეთოდებს.

აღნიშნული კვლევები ხორციელდება საზოგადოებრივი მეცნიერებების სხვადასხვა ამოცანის გადასაწყვეტად რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. მიღებული რეკომენდაციები წარმოადგენს ქმედების ოპტიმალური სტრატეგიების არჩევის საფუძველს ადამიანთა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, შემთხვევით მოვლენებთან და პროცესებთან დაკავშირებით.

მონაცემთა მოპოვების, დალაგების, დაჯგუფების, სხვადასხვა ხერხებით წარმოდგენის მეთოდოლოგია შეადგენს **აღწერითი** ანუ **დესკრიფციული სტატისტიკის (Descriptivc statistics)** საგანს.

აღწერითი სტატისტიკის მიზანს წარმოადგენს იმ მეთოდების დამუშავება, რომლებიც ემსახურებიან მონაცემების შეგროვებას, მოხერხებული ფორმით წარმოდგენას და სხვადასხვა რიცხვითი მახასიათებლებით აღწერას.

პოპულაცია (**Population**), ან **სტატისტიკური პოპულაცია** ეწოდება შესასწავლი ობიექტების კონკრეტული **რაოდენობრივი** ან **ხარისხობრივ-თვისებრივი** მახასიათებლების ყველა შესაძლო მნიშვნელობების ერთობლი-

ობას. პოპულაციის ელემენტთა რაოდენობას **პოპულაციის მოცულობა** (Population Size) ეწოდება.

პოპულაცია და გენერალური ერთობლიობა სინონიმებია.

პოპულაციის ელემენტარულ ერთეულებს (ობიექტებს, ინდივიდებს), რომელთაც ახასიათებს ერთი საერთო ნიშან-თვისება (მახასიათებელი) **პოპულაციის ბაზისს (Frame)** უწოდებენ. **საერთო ნიშან-თვისება წარმოადგენს მონაცემების მიღების ძირითად კრიტერიუმს.**

სტატისტიკური მონაცემები (დაკვირვებული მნიშვნელობები) საკვლევი ნიშან-თვისების მიხედვით უნდა იყოს ერთგვაროვანი, რაც შერჩევის საფუძველსაც შეადგენს.

განსხვავებული სტატისტიკური მონაცემები უნდა განვაცალკევოთ და დავყოთ კლასებად თითოეული საერთო ნიშან-თვისების მიხედვით.

ალალბედზე, პოპულაციის ნაწილზე დაკვირვებების მნიშვნელობათა ერთობლიობას (მოპოვებულ მონაცემებს) **პოპულაციიდან** შემთხვევითი **შერჩევა**, (ან შერჩევითი ერთობლიობა-ამონაკრეფი Probobility or Statistical) ეწოდება. ამ მეთოდით შერჩევის გამოყოფას პოპულაციიდან **შემთხვევითი შერჩევის (ან შემთხვევითი ამოკრეფის) მეთოდი ეწოდება.** ამ მეთოდისათვის ძირითადად დამახასიათებელია ის, რომ პოპულაციის თითოეული ელემენტისათვის განსაზღვრულია შერჩევაში (ამონაკრეფში) მოხვედრის შანსი.

შემთხვევითი შერჩევის ძირითადი მეთოდებია:

ა) მარტივი შემთხვევითი შერჩევა (Simple random sampling), როდესაც პოპულაციის ყოველ ელემენტს შერჩევაში მოხვედრის ერთნაირი შანსი აქვს.

ბ) სისტემატური შემთხვევითი შერჩევა, როდესაც ალალბედზე ვირჩევთ მხოლოდ პირველ ელემენტს 1-დან m-მდე, ხოლო შემდეგ ისევ ალალბედზე ვირჩევთ ყოველ მომდევნო k ბიჯით დაშორებულ ელემენტს. m რიცხვი განისაზღვრება პოპულაციისა და შერჩევის მოცულობების შეფარდების მიხედვით.

გ) განშრევებული ანუ სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევა, რომელიც ეფუძნება პოპულაციის

დაყოფას თანაუკვეთ ჯგუფებად, რომლებსაც შრეები ეწოდებათ. შრეები ისე უნდა შეირჩეს, რომ პოპულაციის განმსაზღვრელი მახასიათებელი, ნიშან-თვისება თითოეულ შრეში იყოს შეძლებისამებრ ერთნაირი. შემთხვევითი შერჩევა ისე უნდა განხორციელდეს, რომ ამ ჯგუფების პროპორციები შერჩევაში ისეთივე იყოს როგორც მთელ პოპულაციაში. შერჩევის ელემენტების არჩევა შრიდან ხდება მარტივი შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით.

დ) კლასტერული შერჩევა, რომლის მიხედვით პოპულაცია იყოფა თანაუკვეთ ჯგუფებად ანუ კლასტერებად, რომლებიც დამოუკიდებლად განიხილება როგორც მცირე პოპულაციები. ჯერ ხდება პირველადი კლასტერების მარტივი შემთხვევითი შერჩევა, ხოლო შემდეგ შერჩეული კლასტერებიდან ელემენტების გამოსაყოფად გამოიყენება შემთხვევითი შერჩევის რომელიმე მეთოდი.

შერჩევა შეიძლება იყოს **დაბრუნებითი (with replacement**), ან **დაბრუნების გარეშე (Nithout replacement)**.

პოპულაციიდან შერჩევა დაბრუნებითია თუ პოპულაციის ყოველი დაკვირვებული ელემენტი მორიგი დაკვირვების ჩატარებამდე ისევ პოპულაციაში ბრუნდება და შერჩევის პროცესი გრძელდება. ამ შემთხვევაში შერჩევის ელემენტების მნიშვნელობები განმეორებადია. თუ არა და შერჩევა ხდება **დაბრუნების** გარეშე.

ამონაკრეფში (შერჩევაში) ელემენტთა რაოდენობას **შერჩევის მოცულობა (Sample size)** ეწოდება. შერჩევის მოცულობა ყოველთვის სასრულია, მაშინ როცა პოპულაციის მოცულობა შეიძლება იყოს სასრული ან უსასრულო.

შერჩევას ეწოდება წარმომადგენლობითი, ანუ **რეპრეზენტატული (Representative),** თუ ის კარგად ასახავს იმ პროპორციებს, რომელიც პოპულაციას გააჩნია. **თუ შერჩევა არაა წარმომადგენლობითი, მაშინ ამბობენ, რომ პოპულაციიდან შერჩევას აქვს ცდომილება.**

სტატისტიკაში განიხილება **არაშემთხვევითი შერჩევის მეთოდიც (Convenience sampling),** ანუ **მიწვდომადი** შერჩევა, როცა შერჩევა ხდება მხოლოდ პოპულაციის მიწვდომადი

ნაწილის და მიზანმიმართული შერჩევა **(Judgement sampling),** როცა მცირე, მაგრამ არაერთგვაროვანი პოპულაციის გამოსაკვლევად შეისწავლიან მთელ პოპულაციას და ირჩევენ ტიპური ერთეულების მცირე რაოდენობას, ანუ ისეთებს, რომლებიც კარგად ასახავენ პოპულაციის ძირითად თავისებურებებს.

გავაკეთებთ რამოდენიმე არსებით შენიშვნას:

ბიოლოგიური (ზოოლოგიური) მეცნიერებების მიხედვით რაიმე საერთო ნიშან-თვისების მქონე ინდივიდთა (ობიექტთა) ერთობლიობა წარმოადგენს ოჯახს (სახეობას). სახეობა არსებობს პოპულაციის სახით, რომელიც ბინადრობს განსაზღვრულ გეოგრაფიულ გარემოში, არეალში, მაგალითად: შეგვიძლია ვისაუბროთ კუნძულ „ცეცხლოვან მიწაზე" მცხოვრები თოლიების პოპულაციაზე. კატისებრთა ოჯახის (სახეობის) შესახებ. მგლის სახეობა არსებობს სვანეთის მგლების პოპულაციის, რაჭის მგლების პოპულაციის და სხვა სახით. შეგვიძლია ვისაუბროთ მუშათა სხვადასხვა კატეგორიებზე მათი საერთო გამაერთიანებელი ხარისხობრივი, თვისობრივი ნიშნის (მახასიათებლის) ან რაოდენობრივი ნიშნის (მახასიათებლის) მიხედვით.

ისევ გვინდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ **პოპულაციის თითოეული ობიექტის, ანუ ელემენტარული ერთეულის შესწავლა მოცემული მახასიათებლის მიხედვით ხშირად ვერ ხერხდება, ან მიუღწეველია სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორიცაა: ამ ერთეულების დიდი რაოდენობა, რაც გამოიწვევდა შემოწმების დიდ დროით და მატერიალურ ხარჯებს. ანდა როდესაც შემოწმების შედეგად ობიექტი უვარგისი ხდება.** მაგალითად: სანადიროდ მიმავალმა მონადირემ, რომ შეამოწმოს წასაღები ყველა ასანთის ღერის ვარგისიანობა ანთებით, ანდა ნათურების ქარხანაში რომ ჩაატარონ ყოველი წარმოებული ნათურის შემოწმება გადაწვამდე (დაღლამდე) დროის განსასაზღვრავად. ხშირად პოპულაციის ერთეულების შემოწმება მიუღწევადია; ტბაში რომელიმე სახეობის თევზის შესწავლა წონის, ან დაავა-

დებულობის მიხედვით, ინდივიდების სიცოცხლის ხანგრძლივობის შესწავლა და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევებში ხდება პოპულაციიდან შემთხვევითი შერჩევის (შემთხვევითი ამონაკრეფის) გამოყოფა, მათი შესწავლა მოცემული მახასიათებლის (ნიშან-თვისების) მიხედვით და შემდეგ მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე კეთდება დასკვნები პოპულაციაში არსებული პროპორციების შესახებ.

განვიხილოთ კიდევ ერთი საილუსტრაციო **მაგალითი:**

რაიმე ტექნიკური სისტემის მოცემულ დროში საიმედოდ ფუნქციონირება დამოკიდებულია მისი თითოეული ელემენტის საიმედოდ ფუნქციონირებაზე, ამიტომ წარმოებებში, ქარხნებში ხდება ტექნიკური გამოცდების მოწყობა, მათზე დაკვირვება და მიღებული მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე კეთდება სტატისტიკური დასკვნები და შემდეგ ხდება გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება.

მათემატიკური სტატისტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს შერჩევის საშუალებით პოპულაციის შესწავლა. გარკვეულ პირობებში შერჩევის მახასიათებლებზე სტატისტიკური მეთოდებით გაკეთებული დასკვნები მიახლოებით სამართლიანია პოპულაციის იგივე მახასიათებლებისთვისაც, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ პირობებში შერჩევის მახასიათებლებს ვიყენებთ მთელი პოპულაციის ანალოგიური მახასიათებლების შესაფასებლად. ამასთან, რაც უფრო დიდია შერჩევის მოცულობა, მით უფრო ზუსტია პოპულაციის მახასიათებლების შესახებ გაკეთებული დასკვნები და პროგნოზები.

როგორც აღვნიშნეთ, მათემატიკური სტატისტიკა პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: **აღწერითი (დესკრიპციული) სტატისტიკა და სტატისტიკური დასკვნების თეორია,** რომელიც მოიცავს **პარამეტრულ და არაპარამეტრულ სტატისტიკურ შეფასებებს, ჰიპოთეზათა შემოწმებებს, ცვლადებს შორის კავშირების დადგენას,**

კორელაციურ და რეგრესიულ ანალიზს და პროგ-ნოზების გაკეთებას.

საზოგადოდ, სტატისტიკური დასკვნების მისაღებად არსებობს ორი ძირითადი მიდგომა: **შეფასება და ჰიპო-თეზათა შემოწმება.**

§2. მონაცემთა მოპოვების მეთოდები. ცვლადი.

1) **დაკვირვება** (observation), **გაზომვა, აღწერა,** რაც წარმოადგენს მონაცემების შეგროვების მეთოდს შესას-წავლ ობიექტზე უშუალოდ ჩატარებული დაკვირვებების პროცესში.

მაგალითი 2.1. ცხრილი 2.1.-ით მოცემულია შემთხვე-ვით შერჩეული ათი სტუდენტის სიმაღლე, გაზომვის რიგის მიხედვით (აღვნიშნოთ სიმაღლე X ცვლადით).

ცხრილი 2.1

დაკვირვების რიგითი №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სტუდენტის სიმაღლე X	164	178	172	166	162	174	178	176	168	182

სიმაღლეები გაზომილია სანტიმეტრებში და მიღე-ბულია **"ნედლი" მონაცემები.** „სიმაღლე" პოპულაციის რი-ცხვითი მახასიათებელია. იგი ზოგადად აღვნიშნოთ **X** ცვლადით. დაკვირვების რიგითი ნომრის მიხედვით გაზომვით მიღებული **X**-ის მნიშვნელობებია: x_1=164; x_2=178; x_3=172; x_4=166; x_5=162; x_6=174; x_7=178; x_8=176; x_9=168; x_{10}=182. მათ **ნედლ რიცხვით მონაცემებს ვუწოდებთ**. **X ცვლადის მნიშვნელობები შემთხვევით ფაქტორებზეა დამოკიდე-ბული. X-ს შემთხვევით სიდიდესაც უწოდებენ**. x_1, x_2,..., x_{10} მისი შესაძლო მნიშვნელობებიდან დაკვირვებით, „გაზომვით" მიღებული რიცხვითი მნიშვნელობებია (ანუ რიცხვითი მონაცემებია).

ცვლადები შეიძლება იყოს დისკრეტული და უწყვეტი ტიპის. ცვლადებს აღვნიშნავთ **X,Y,Z...** სიმბოლოებით.

- **დისკრეტული ცვლადები** წარმოადგენენ ისეთი მახასიათებლების აღმწერ (შესაბამის) ცვლადებს, რომლებმაც შეიძლება მიიღოს ცალკეული განმხოლოებული მნიშვნელობები.
- **ცვლადები უწყვეტია,** თუ ისინი შეესაბამებიან ისეთ მახასიათებლებს, რომლებმაც შეიძლება მიიღონ მნიშვნელობების უსასრულო რაოდენობა, ამასთან უწყვეტმა ცვლადმა შეიძლება მიიღოს ნებისმიერი რიცხვითი მნიშვნელობა რაიმე რიცხვითი ინტერვალიდან.
- ცვლადები, რომლებიც ახასიათებენ პოპულაციის ელემენტარული ერთეულების ისეთ თვისებას, რომლისთვისაც შესაძლებელია მხოლოდ იმის დადგენა, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ობიექტი, **კატეგორიზებული ცვლადები** ეწოდებათ.
- ცვლადებს, რომლებიც ყველაზე სრულფასოვნად გამოიხატება რიცხვების საშუალებით **რაოდენობრივი ცვლადები** ეწოდებათ.

2) ექსპერიმენტის ჩატარება (Experimentation), რაც წარმოადგენს ექსპერიმენტის წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მკვლევარის მიერ წარმოებულ ქმედებათა თანმიმდევრობას გამოსაკვლევი ობიექტების რაოდენობრივი ან თვისებრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების მონაცემების მოსაპოვებლად და საინტერესო პარამეტრების განსაზღვრისათვის. ექსპერიმენტის ჩატარებისას ხდება ერთი ან რამოდენიმე პარამეტრის შეცვლა ისე, რომ განისაზღვროს მათი ზეგავლენა გამოსაკვლევ პარამეტრებზე (მახასიათებლებზე).

3) მითითებულ რესპონდენტთა ჯგუფის გამოკითხვა მზა ანკეტით (კითხვარით) Survey.

მაგალითი 2.2. თვალსაჩინოებისათვის იხილეთ დანართი IV, V, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საქართველოს განათლების სფეროში რეალურად ჩატარებული გამოკვლევების კითხვარს (ანკეტას). იგი შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სახითაა წარმოდგენილი ორიგინალთან მიმართებაში, ამდენად დაინტერესებულ მკითხველს დიდ დახმარებას გაუწევს.

რესპონდენტი არის ადამიანი, რომელიც გამოკითხვის ჩატარების დროს ინფორმაციის უშუალო წყაროს წარმოადგენს.

კორესპონდენტი (ინტერვიუერი) არის ის პიროვნება, ვინც შეკითხვებით მიმართავს რესპოდენტს და ინიშნავს მიღებულ პასუხებს. იგი სპეციალურად შეიძლება მომზადდეს. **მას უნდა ჩაუტარდეს სათანადო ინსტრუქტაჟი** (გაეცანით დანართ IV, V-ს.

გამოკითხვის ძირითადი ეტაპებია:

- გამოკითხვის მიზნის და ამოცანების განსაზღვრა.
- გამოკითხვის მიზნებიდან გამომდინარე რესპონდენტთა კატეგორიების განსაზღვრა.
- კითხვარის შექმნა **დახურული, ღია ან შერეული** კითხვებით.
- კითხვარის წინასწარი ტესტირების ჩატარება.
- რესპონდენტთა რაოდენობისა და მათი შერჩევის მეთოდების განსაზღვრა.
- რესპონდენტთა შერჩევა და გამოკითხვის ჩატარება. მონაცემების შეგროვება.
- მონაცემების **ანკეტირებით** მოპოვების შემთხვევაში ძირითადად გამოიყენება **დახურული და ღია ტიპის** კითხვები **(Closed-end questions)** და **(Open end questions)**.
- **დახურული ეწოდება** კითხვას, რომელსაც თან ახლავს პასუხის შესაძლო ვარიანტები.
- **ღია ეწოდება** კითხვას, რომელსაც პასუხის შესაძლო ვარიანტები არ ახლავს.

მაგალითად, დახურულია კითხვა:

„რომელ ტაძარშია დაკრძალული ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო“?

ა) ალავერდის ბ) ბოდბის

გ) გელათის დ) სვეტიცხოვლის

ხოლო კითხვა: „რომელი ქართული ეკლესიები მდებარეობენ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე“ - **ღია ტიპისაა.**

- კითხვები, რომლებიც შეეხება რესპოდენტის პირად მონაცემებს **დემოგრაფიული (Demografic)** კითხვებია.

გამოკითხვის ჩატარების ფორმები შეიძლება იყოს:

• **პირადი ინტერვიუთი (Personal interview)** – **სტრუქტურიზებული** (Structured), როცა ყველა კითხვა წინასწარ არის განსაზღვრული, ან **არასტრუქტურიზებული** (**Unstructured**), რომელიც იწყება ერთი ან რამოდენიმე ზოგადი კითხვით და მომდევნო კითხვები დამოკიდებულია რესპოდენტის პასუხებზე.

• **სატელეფონო გამოკითხვები (Telephone survey)** და წერილობითი გამოკითხვები **(Telephone survey)**.

• **სატელევიზიო, რადიო და ზოგადად მედიასაშუალებებით** რესპოდენტთა გაზრდილი რაოდენობის ერთდროულად **ინტერაქტიული** გამოკითხვები.

ჩამოთვლილი მეთოდებით შეგროვილ მონაცემებს ეწოდებათ პირველადი მონაცემები.

4) მონაცემების მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია უკვე არსებული და გამოქვეყნებული მონაცემების გამოყენება **(Published source).** ამ მეთოდით მოპოვებულ მონაცემებს **მეორადი მონაცემები (Secondary Data)** ეწოდებათ.

მეორადი მონაცემები შეიძლება მოვიპოვოთ სტატისტიკური დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან, სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროების, უწყებების, ბიზნეს ორგანიზაციების, ფირმების გამოქვეყნებული მასალებიდან, კატალოგებიდან, საარქივო მასალებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, ინტერნეტიდან და სხვა.

5) საარქივო ჩანაწერები (archival records) წარმოადგენს ჩანაწერების სახით არქივებში დაგროვილ ინფორმაციას საზოგადოების წევრების შესახებ, როგორიცაა: დაბადების, ნათლობის, ქორწინების, გარდაცვალების, დაავადებების, მკვლელობების, მოსახლეობის აღწერის მონაცემების ჩანაწერების, ზოგადად კრიმინალური ანგარიშების სახით, არქივებში დაცული საწარმოო, საბუღალტრო-ეკონომიკური ანგარიშები და სხვ.

არსებობს მრავალი ისტორიული მაგალითი იმისა, თუ როგორ წარმატებით გამოიყენა საარქივო ჩანაწერები ამა თუ იმ მკვლევარმა. საილუსტრაციოდ შეგიძლიათ იხილოთ წინამდებარე სახელმძღვანელოში მაგ. 1.6., მაგ. 1.7.; ასევე ცნობილია, რომ ლონდონელმა მკვლევარმა ჯონ გრანტმა

(John Crant, 1620-1674) შეისწავლა დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ საარქივო ჩანაწერები და გამოიკვლია განსხვავება მამაკაცებისა და ქალების სიკვდილის მიზეზებში.

6) ბუნებრივი დაკვირვება (Naturalistic observation) წარმოადგენს სიტუაციებში ჩარევის გარეშე ბუნებრივ პირობებში ადამიანთა, ცხოველთა, ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელ ინდივიდთა ქცევებზე დაკვირვებების საფუძველზე მონაცემების მოტივების კვლევის მეთოდს, მაგალითად: ტრინკოუსი (Trincaus) 1982-1993 წლებში აკვირდებოდა მძღოლების ქცევას ერთ გზაჯვარედინზე. აღმოაჩინა, რომ მისი 10-წლიანი დაკვირვების განმავლობაში შემცირდა მძღოლების დამორჩილება შუქნიშნის წითელ შუქზე. მძღოლებმა დამკვირვებლის არსებობა არ იცოდნენ. **მონაცემების მოპოვებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მონაცემთა „დამახინჯება", ანუ ჩანაცვლება (Bias).** მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს: მკვლევარის სუბიექტური აღქმით გამოწვეული ჩანაცვლება **(Observer bias),** გაზომვის ცდომილება **(Measurement error),** ***გამოკითხვის დროს უპასუხოდ დარჩენილი კითხვების დიდი რაოდენობა (Nonresponse bias), კვლევისას დაკვირვებულ მნიშვნელობათა შერჩევის მეთოდით გამოწვეული ჩანაცვლება (Selection bias).***

სასწავლო ექსპერიმენტული გამოკვლევა

ქვემოთ მოცემულია ანკეტის ნიმუში, რომლითაც სახელმძღვანელოს ერთ-ერთმა ავტორმა ჩაატარა ინფორმატიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის II კურსის 20-კაციანი აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა სასწავლო ექსპერიმენტული გამოკითხვა. გამოკითხვა ჩატარდა რეალურ პირობებში ანკეტის ნიმუშის მიხედვით, წესების ფორმალური დაცვით, 2009 წლის 1 აპრილს. კვლევის თემა მითითებულია ანკეტაში.

დანართი I.

სასწავლო-ექსპერიმენტული ანკეტა

საქართველოში წარმატებული კარიერისათვის აუცილებელი წინაპირობის შესახებ სტუდენტთა აზრის გამოკვლევა.

სასწავლებელი ----------------------- ფაკულტეტი, კურსი --------------------------------------
ინტერვიუერი ------------------------------- --------------------------------- ---------------------------
(გვარი, სახელი) (ხელმოწერა) (თარიღი)
ინტერვიუერის შენიშვნები და კომენტარები ---

ზედამხედველი ------------------------------- ----------------------------- ---------------------------
(გვარი, სახელი) (ხელმოწერა) (შემოწმების თარიღი)
ზედამხედველის შენიშვნები და კომენტარები ---

კორექტორის შენიშვნები და კომენტარები --

• წინამდებარე კითხვარის მიზანია სამსახურებრივი კარიერისათვის აუცილებელი წინაპირობის შესახებ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა აზრის გამოკვლევა.

რესპონდენტს: თქვენი პასუხები გამოყენებული იქნება მხოლოდ სასწავლო მიზნით, განზოგადებული სტატისტიკური შეფასების მისაღებად.

ინტერვიუერს: გთხოვთ გამოჰკითხოთ მხოლოდ არსებული სასწავლებლისა და ფაკულტეტის სტუდენტებს, რესპონდენტს პირველ რიგში წარუდგინეთ თქვენი თავი, გააცანით ანკეტის შესავალი და ზოგადად აუხსენით გამოკვლევის მიზნები, შემდეგ კი - წინამდებარე კითხვარის სტრუქტურა და პირობები.

1. რა მიგაჩნიათ საქართველოში წარმატებული კარიერის წინაპირობად?

შრომა ☐

ნიჭი ☐

ბედი ☐

მემკვიდრეობითობა ☐

ახლობელთა და მეგობართა წრე ☐

განათლების მიღება უცხოეთში, თუნდაც
ნებისმიერ ქვეყანაში ☐

პასუხი არა მაქვს ☐

2. რომელი საგნის ან საგნების შესწავლა მიგაჩნიათ აუცილებელ პირობად თქვენს სპეციალობაში წარმატებული კარიერის მისაღწევად**?** -------------
----

3. რესპონდენტს (სტუდენტს): მოკლედ, წერილობით, გამოთქვით თქვენი მოსაზრებები და შენიშვნები წინამდებარე ანკეტის ადექვატურობის შესახებ კვლევის ძირითადი მიზნის მიღწევის საქმეში. კითხვარში რა საკითხს ჩაუმატებდით ან ამოიღებდით? ---
----

გმადლობთ ინტერვიუსათვის.

შენიშვნა: დანართ IV-ში შემოთავაზებული საქართველოში ქართველი მკვლევარების მიერ ჩატარებული ერთ-ერთი გამოკვლევის ანკეტის ნიმუში ვფიქრობთ, დაგეხმარებათ გამოკითხვით მონაცემთა შეგროვების სტრუქტურულ-ორგანიზაციული საკითხების გააზრებაში.

გამოკითხვის ანკეტის პირველი პუნქტის მიხედვით დაფიქსირებულ შედეგებზე დაყრდნობით შედგა მონაცემთა სიხშირეების დათვლის შემდეგი ცხრილი.

ცხრილი 2.2.

<table>
<tr><td>შრომა</td><td>|</td><td>1</td></tr>
<tr><td>ნიჭი</td><td>𝍸 |</td><td>6</td></tr>
<tr><td>ბედი</td><td></td><td>0</td></tr>
<tr><td>მემკვიდრეობითობა</td><td>||||</td><td>4</td></tr>
<tr><td>ახლობელთა და მეგობართა წრე</td><td>||</td><td>2</td></tr>
<tr><td>განათლების მიღება უცხოეთში</td><td>||</td><td>2</td></tr>
<tr><td>პასუხი არა აქვს</td><td>|</td><td>1</td></tr>
<tr><td>ბათილი ბიულეტენი</td><td>||||</td><td>4</td></tr>
</table>

ა) ავაგოთ მონაცემების სიხშირეთა შესაბამისი პროცენტული განაწილების წრიული დიაგრამა

ამოხსნა. წრიული დიაგრამის ასაგებად წრე იყოფა სიხშირეთა პროპორციულ სექტორებად, რისთვისაც ვპოულობთ თითოეული სექტორის შესაბამის ცენტრალურ კუთხეს მოცემული n_i სიხშირის მიხედვით ფორმულით:

$$\alpha_i = \frac{360^0 \cdot n_i}{100n} \cdot 100 = \frac{360^0 \cdot n_i}{n}$$

$\sum_{i=1}^{K} n_i = 20$, რესპოდენტთა რიცხვი ტოლია 20-ის. (n=20)

შედგება სამუშაო ცხრილი:

ცხრილი 2.3.

დონე	მონიშვნა	სიხშირე n_i	პროცენტული $n_i/n.100\%$	a %-ის შესაბამისი ცენტრალური კუთხე $\alpha=(3,6a)^0$
შრომა	|	1	5%	18^0
ნიჭი	~~||||~~ |	6	30%	108^0
ბედი	|	0	0%	0^0
მემკვიდრეობითობა	||||	4	20%	72^0
ახლობელთა და მეგობართა წრე	||	2	10%	36^0
განათლების მიღე-ბა უცხოეთში	||	2	10%	36^0
პასუხი არა აქვს	|	1	5%	18^0
ბათილი ბიულეტენი	||||	4	20%	72^0
სულ		20 რესპონ-დენტი	100%	360^0

ცენტრალური კუთხეების მიხედვით აიგება წრიული დიაგრამა.



ნახ. 2.1.

შენიშვნა:

- ***არ უნდა დაგვავიწყდეს ბათილი კითხვარების აღრიცხვა და იმ რესპოდენტთა აღრიცხვა, რომლებმაც***

პასუხისაგან თავი შეიკავეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლევა სრულფასოვანი არ იქნება.

- დიაგრამაზე კუთხეები მონიშნულია მიახლოებით, მხოლოდ შესაბამისი პროპორციების დაცვით.

5) ხარისხის ტექნიკური კონტროლის სტატისტიკური მეთოდი ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია, როგორც წარმოების ყოველი უბნისა და კონტროლის ობიექტისათვის, ისე პროდუქციის (ნაწარმის) ხარისხის შესწავლისათვის მოხმარების სფეროში. **(იხილეთ წიგნი ი. ზედგენიძე, მ. ბაიაშვილი, ხარისხის მართვა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008).**

ტექნიკურ კონტროლს ექვემდებარება ობიექტების როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მახასიათებლები და პარამეტრები. მოპოვებული მონაცემები ძირითადად სპეციალური დანიშნულებისაა.

შეიძლება გამოვყოთ ხარისხის ტექნიკური კონტროლის მონაცემების მოპოვების შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- ვიზუალური დათვალიერება (აღწერა), რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ვიზუალურად ზედაპირული დეფექტების არსებობა, ან არ არსებობა (თვისობრივი მონაცემები).

- ლაბორატორიული ანალიზი, რომელიც მასალის, ნაწარმის, დეტალის მექანიკური, ქიმიური, ფიზიკური, მეტალოგრაფიული და სხვა თვისებების განსაზღვრის საშუალებას იძლევა (რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები).

- მექანიკური გამოცდა - სიმტკიცის, გამძლეობის და სხვა პარამეტრების განსაზღვრისათვის (რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები).

- რენტგენოგრაფიული, ელექტროთერმული, ელექტრომაგნიტური და სხვა გამოცდის ფიზიკური მეთოდები (თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემები).

- ტექნიკური დისციპლინის კონტროლი და ტექნოლოგიური გასინჯვები, რომელიც ტარდება მაშინ, როდესაც ლაბორატორიული ანალიზი საკმარისი არ არის (თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები).

- საკონტროლო - ჩასაბარებელი გამოცდა - ხარისხის კონკრეტული მოცემული მაჩვენებლისა და მახასიათებლის განსაზღვრისათვის.

- მოხმარების სფეროში გამოკვლევებისა და კონტროლის ის მეთოდები, რომლებიც დამყარებულია ელექტრონული, იონური სხივების გამოყენებაზე, როგორიცაა ელექტრონული სპექტროსკოპია. ელექტრონულ - ზონდური რენტგენული მიკროანალიზი, მეორადი იონური მას – სპექტროგრაფია, რენტგენოსკოპია, ულტრაბგერითი კვლევები და სხვა.

ხარისხის კონტროლის შედეგად მოპოვებული მონაცემების დამუშავების, ანალიზისა და დასკვნის საუკეთესო საშუალებაა კვლევის ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები.

§3. სტატისტიკურ მონაცემთა წარმოდგენის ხერხები და ანალიზი

- განსაზღვრებიდან გამომდინარე, სტატისტიკური მონაცემები (შემდგომში მონაცემები) უნდა შეიცავდნენ ობიექტურ ინფორმაციას პოპულაციის შესასწავლი საერთო მახასიათებლის, ანუ პოპულაციის ობიექტთა შესასწავლი საერთო ნიშან-თვისების შესახებ. მონაცემების რეპრეზენტატიულობას (წარმომადგენლობითობას), მონაცემთა სწორად მოპოვებისა და წარმოდგენის ხერხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება და შემდგომში გვეხმარება ამ ინფორმაციის ადეკვატურად გააზრების, სწორი ანალიზის, შესაბამისად, სწორი დასკვნების გამოტანისა და შესასწავლი ნიშან-თვისების ობიექტურად, წარმატებულად პროგნოზირებაში.
- სტატისტიკური მონაცემების მოსახერხებელი ფორმით წარმოდგენის სხვადასხვა საშუალება არსებობს, როგორიცაა: ნედლი მონაცემების ცხრილი, პიქტოგრამა, ხისებრი ფოთლებიანი ღეროების დიაგრამა, წერტილოვანი დიაგრამა, ხაზოვანი დიაგრამა, მესერული დიაგრამა, სვეტოვანი დიაგრამა (Bar chart) – იგივე პარეტოს დიაგრამა, წრიული დიაგრამა, მონაცემების სიხშირეთა (ან ფარდობით სიხშირეთა) და პროცენ-

ტული განაწილების ცხრილებში მონაცემების სიხშირეთა (ან ფარდობით სიხშირეთა) ინტერვალური განაწილებისა და დაგროვილ ფარდობით სიხშირეთა (ან დაგროვილ სიხშირეთა) განაწილების ცხრილები.

- მონაცემების სიხშირეთა (ან ფარდობით სიხშირეთა) ინტერვალური განაწილების მიხედვით, აგებენ განაწილების შესაბამის ჰისტოგრამას (histogram), განაწილების პოლიგონს, ოგივას და სხვა.
- მონაცემების დაგროვილ ფარდობით სიხშირთა მიხედვით, მონაცემთა მისთვის ინტერვალებად დაყოფის გათვალისწინებით აგებენ განაწილების კუმულატას.

ზოგიერთი შენიშვნა

n_i არაუარყოფით მთელ რიცხვს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ განმეორდა რომელიმე x_i მონაცემი, ეწოდება ამ მონაცემის სიხშირე.

მონაცემის სიხშირის განაყოფს მონაცემთა რაოდენობაზე ეწოდება ამ მონაცემის ფარდობითი სიხშირე $\left(\frac{n_i}{n}\right)$.

პროცენტულად $\left(\frac{n_i}{n}\right)100\%$.

მოდა (Mo) ეწოდება იმ მონაცემს, რომლის სიხშირე (ან ფარდობითი სიხშირე) თითოეული სხვა მონაცემის სიხშირეზე (ფარდობით სიხშირეზე) მეტია.

მონაცემებს შეიძლება არ ჰქონდეთ მოდა, ეს მაშინ მოხდება თუ თითოეული მონაცემის სიხშირე ტოლია, შეიძლება ჰქონდეს ერთი ან ერთზე მეტი მოდა.

შინაარსობრივად სიტყვა „მოდა“ ცხოვრებაშიც მსგავსი შინაარსით გამოიყენება. პოპულარული, გავრცელებული, მაგრამ არა ყველა.

მაგალითად: 1) მონაცემებს 5; 3; 6; 0; 7; 9; 2; 1; 4; 8 მოდა არ გააჩნია. ხოლო მონაცემებს 4; 3; 5; 4; 3; 3; 4; 8; 6; 9 აქვს ორი მოდა 3 და 4.

მაგალითებში: 1.1; 1.5; 1.6; 1.7; 2.1, პირველადი ნედლი მონაცემები ჩაწერილია ცხრილში, ისეთივე თანმიმდევრობით, როგორც ისინი დაკვირვებათა (ცდების) მიხედვით მიიღებიან.

• ნედლი რიცხვითი მონაცემების მოწესრიგება და დამუშავება იწყება, მათი არაკლებადი მიმდევრობის სახით გადალაგებით. ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ მონაცემები დალაგებულია ვარიაციული მწკრივის სახით. მათ შორის უდიდეს და უმცირესს კიდურა მონაცემები ეწოდება.

– უდიდეს და უმცირეს მონაცემებს შორის სხვაობას მოცემული მონაცემების **გაბნევის დიაპაზონი** (**Range**) ეწოდება და აღინიშნება R-ით.

ვთქვათ $x_1',\ x_2',\ x_3',...,x_n'$ x ცვლადზე დაკვირვების რიგის მიხედვით ჩაწერილი ნედლი რიცხვითი მონაცემებია. n მონაცემთა მოცულობაა. დავალაგოთ მონაცემები „ვარი-აციული მწკრივის“ სახით:

$x_1, x_2, x_3,..., x_n$, სადაც $x_1 \le x_2 \le x_3 \le ... \le x_n$

(ან $x_1 < x_2 < x_3 < ... < x_k$, სადაც $0 < k \le n$)

x_1 არის უმცირესი მონაცემი, ხოლო x_n (ან x_k) - უდიდესი მონაცემია.

თუ $x_1 = \min\limits_{1\le i\le n} x_i'$; $x_k = \max\limits_{1\le i\le n} x_i'$, მაშინ

R=$x_k - x_1$

x_i-ს ვარიანტასაც უწოდებენ.

– **მედიანა** (Me) არის არაკლებადი მიმდევრობით დალაგებული მონაცემებიდან:

ა) შუა მონაცემი, თუ მონაცემთა n რიცხვი კენტია.

მონაცემების: 4; 4; 4; 5; 6; 7; 9 მედიანა 5-ის ტოლია

ბ) ორი მეზობელი შუა მონაცემის არითმეტიკული საშუალო, თუ მონაცემთა n რიცხვი ლუწია.

მონაცემების 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10 მედიანა 6-ის ტოლია, რადგან $\frac{5+7}{2} = \frac{12}{2} = 6$

• ზოგადად, თუ დავუშვებთ, რომ x_1, x_2, x_3,...,x_n ვარი-აციულ მწკრივად დალაგებული მონაცემებია და აღ-ვნიშნავთ მედიანას *Me* – სიმბოლოთი, მაშინ იგი გამო-ითვლება შემდეგი წესით:

ა) $Me = x_{\frac{1+n}{2}}$, რაც იმას ნიშნავს, რომ მედიანა $\frac{1+n}{2}$ ნომრიანი მონაცემია, თუ მონაცემების მოცულობა n კენტი რიცხვია.

მაგალითად, თუ გვაქვს სამი მონაცემი x_1, x_2, x_3, მაშინ შუა მონაცემი, ანუ მედიანა $Me = x_2 = x_{\frac{1+3}{2}}$. იგი $\frac{1+3}{2} = 2$ ნომრიანი წევრია, მონაცემების მოცულობა n=3, კენტი რიცხვია.

ბ) $Me = \dfrac{x_{\frac{n}{2}} + x_{\frac{n}{2}+1}}{2}$, თუ n ლუწი რიცხვია.

მონაცემების x_1, x_2, x_3, x_4 შემთხვევაში, n=4 და $Me = \dfrac{x_2 + x_3}{2}$, ანუ იგი $x_{\frac{4}{2}} = x_2$, მე-2 ნომრიანი წევრისა და $x_{\frac{4}{2}+1} = x_3$, ერთით მეტნომრიანი წევრის არითმეტიკული საშუალოა.

- ვარიაციის დიაპაზონს, მოდას, მედიანას სტატისტიკური მონაცემების რიცხვით მახასიათებლებს უწოდებენ. ისინი გარკვეულ საჭირო ინფორმაციას გვაწვდიან სტატისტიკური მონაცემების შესახებ. იგივე აზრით განისაზღვრება შერჩევისათვის დიაპაზონი, მოდა, მედიანა, რომლებიც საბოლოო ჯამში პოპულაციის (შესასწავლი ცვლადის, ანუ ატრიბუტის) ანალოგიური მახასიათებლების შეფასებას წარმოადგენენ.

მონაცემთა წარმოდგენის მაგალითები

ზოგჯერ წარმოდგენილი მონაცემები სპეციალური დანიშნულებისაა.

მაგალითი 2.4. მოცემულია A, B, C, D, M, N, L ქალაქებს შორის მანძილები (კილომეტრებში) შემდეგი ცხრილით:

ცხრილი 2.4.

A						
108	B					
176	81	C				
56	138	174	D			
104	78	74	102	M		
32	88	146	50	72	N	
74	36	122	124	92	74	L

ცხრილში რეალური ქალაქების დასახელებები გამიზნულადაა შეცვლილი პირობითი ასოებით. მონაცემები აღებულია [12] წიგნიდან.

ორ ქალაქს შორის მანძილი შესაბამისი ჰორიზონტალური სტრიქონისა და ვერტიკალური სვეტის გადაკვეთაზე მდგომი რიცხვია. მაგალითად CN მანძილი 146 კმ-ია.

ა) რა საშუალებით შეიძლებოდა ამ მონაცემების შეგროვება?

ბ) დაასახელეთ სხვადასხვა ქალაქების წყვილები და იპოვეთ მათ შორის მანძილები.

გ) დაასახელეთ მონაცემები, რომლებიც მეორდებიან და შესაბამისი ქალაქების წყვილები.

დ) რა უმოკლესი მანძილია B-დან N ქალაქამდე, D ქალაქის გავლით?

მაგალითი 2.5. საქართველოს ერთ-ერთმა ბანკმა იმ პირებს, რომლებიც მისი მომსახურებით სარგებლობენ და საშუალოდ ყოველთვიურად იხდიან არანაკლებ 100 ლარის კომუნალურ გადასახადს, შესთავაზა სესხის ახალი ფორმა.

ქვემოთ მოცემულია საბანკო სესხის (თანხის) განაწილების ცხრილი ლარებში:

ცხრილი 2.5.

ყოველთვიური საშუალო კომუნალური გადასახადი (ბოლო 6 თვის მონაცემების მიხედვით	სესხი 12 თვის ვადით
100	1000
150	1500
200	2000
250	2500
300	3000
350	3500
400	4000

მონაცემები წარმოდგენილია ბანკის სარეკლამო ბარათის მიხედვით. წარმოადგინეთ მონაცემები **ხაზოვანი დიაგრამის სახით**, ამისათვის აბსცისათა ღერძზე დაა-

ფიქსირეთ კომუნალური გადასახადის შესაბამისი, ორდინატთა ღერძზე კი სესხის შესაბამისი წერტილები. საკოორდინატო ღერძებზე მონიშნული წერტილები შეაერთეთ. აგებული დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

ა) რა თანხის აღება შეიძლება სესხად, თუ ყოველთვიური საშუალო კომუნალური გადასახადი შეადგენს 225 ლარს?

ბ) აღმოაჩინეთ კანონზომიერება მონაცემთა ცხრილში და გამოსახეთ ფორმულით კავშირი საშუალო კომუნალურ გადასახადსა და სესხის სიდიდეს შორის. რა თანხის აღება შეიძლება სესხად, თუ საშუალო კომუნალური გადასახადი შეადგენს 315 ლარს.

გ) რა თანხის აღება შეიძლება სესხად, თუ ბოლო 6 თვის განმავლობაში გადახდილია კომუნალური გადასახადები (ლარებში):

150; 160; 190; 140; 110; 90.

„ხარისხის კონტროლის შვიდი იაპონური ინსტრუმენტის“ ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია საკონტროლო ფურცელი. (იხილეთ წიგნი ი.ზედგენიძე, მ. ბაიაშვილი. ხარისხის მართვა. სტუ. თბილისი 2008). საკონტროლო ფურცელი მონაცემების შეკრების და მათი მოწესრიგების ინსტრუმენტია მოპოვებული (შეგროვილი) ინფორმაციის შემდგომი გამოყენების გასაადვილებლად.

საკონტროლო ფურცელი ქაღალდის ბლანკია, რომელზეც წინასწარ ამობეჭდილია საკონტროლო პარამეტრები, რომელთა შესაბამისად შესაძლებელია მონაცემების შეტანა სიმბოლოების საშუალებით. საკონტროლო ფურცლების შედგენისას საჭიროა ყურადღება მიექცეს, რომ ნაჩვენები იყოს, ვინ, პროცესის რომელ ეტაპზე და რა დროის განმავლობაში შეაგროვა მონაცემები, აგრეთვე იმას, რომ ფურცლის ფორმა იყოს უბრალო და დამატებითი განმარტებების გარეშე გასაგები.

მონაცემთა სიხშირეების დათვლა

მაგალითი 2.6. [იხ. წიგნი [11]. მოვიყვანოთ საკონტროლო ფურცელი, რომელიც გამოიყენება ტელევიზორის ნამტყუნები დეტალების ფიქსირებისათვის (ნახ. 2.2).

<table>
<tr><td colspan="2">ატელიეში შეცვლილი დეტალები
ყოველი შეცვლილი დეტალი აღნიშნეთ ხაზით
აღნიშნეთ ასე: | || ||| |||| 𝍸 (1, 2, 3, 4, 5)
დრო: 1-6 აპრილი 2008 წ.
ხელოსანი: კახიანი ა.ბ.</td><td>სიხშირე</td></tr>
<tr><td>მოდელი 1013</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>ინტეგრალური სქემები</td><td>|||</td><td>3</td></tr>
<tr><td>კონდენსატორები</td><td>𝍸 𝍸 𝍸 𝍸 𝍸 |</td><td>26</td></tr>
<tr><td>წინაღობები</td><td>|</td><td>1</td></tr>
<tr><td>ტრანსფორმატორები</td><td>||</td><td>2</td></tr>
<tr><td>გადამრთველები</td><td>𝍸 |||</td><td>8</td></tr>
<tr><td>მილაკები</td><td>|</td><td>1</td></tr>
<tr><td></td><td>სულ</td><td>41</td></tr>
<tr><td>მოდელი 1017</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>ინტეგრალური სქემები</td><td>|</td><td>1</td></tr>
<tr><td>კონდენსატორები</td><td>𝍸 𝍸 𝍸 𝍸 ||||</td><td>24</td></tr>
<tr><td>წინაღობები</td><td>||</td><td>2</td></tr>
<tr><td>ტრანსფორმატორები</td><td>|||</td><td>3</td></tr>
<tr><td>გადამრთველები</td><td></td><td>0</td></tr>
<tr><td>მილაკები</td><td>|</td><td>1</td></tr>
<tr><td></td><td>სულ</td><td>31</td></tr>
<tr><td>მოდელი 1019</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>ინტეგრალური სქემები</td><td>||||</td><td>4</td></tr>
<tr><td>კონდენსატორები</td><td>𝍸 𝍸 𝍸 𝍸 𝍸 ||</td><td>27</td></tr>
<tr><td>წინაღობები</td><td>|</td><td>1</td></tr>
<tr><td>ტრანსფორმატორები</td><td>||||</td><td>4</td></tr>
<tr><td>გადამრთველები</td><td>|||</td><td>3</td></tr>
<tr><td>მილაკები</td><td>|</td><td>1</td></tr>
<tr><td></td><td>სულ</td><td>40</td></tr>
<tr><td></td><td>ჯამი</td><td>112</td></tr>
</table>

ნახ. 2.2. საკონტროლო ფურცელი

- შეადგინეთ მტყუნებათა სიხშირეებისა და სიხშირეთა პროცენტული განაწილების ცხრილი

ამოხსნა

საკონტროლო ფურცლის საშუალებით შეგროვებული მონაცემების საფუძველზე შედგება ჯამური მტყუნებების სიხშირეთა ცხრილი 2.6

ცხრილი 2.6.

ყველა მოდელის მიხედ-ვით	ტყუნებების რაოდე-ნობა სიხშირე n_i	პროცენტული შემად-გენლობა $\left(n_i 100 \middle/ n \right)$
ინტეგრალური სქემები	8	7,1
კონდენსატორები	77	68,8
წინაღობები	4	3,6
ტრანსფორმატორები	9	8,0
გადამრთველები	11	9,9
მილაკები	3	2,6
ჯამი	112	100

ტელვიზორის ნამტყუნები დეტალების ჯამური რაოდენობა

სიხშირეთა (ან ფარდობით სიხშირეთა) განაწილების ცხრილი წარმოადგენს ცხრილს, რომელშიც წარმო-დგენილია დალაგებული მონაცემების ვარიანტების შესაძ-ლო x_i მნიშვნელობები და ყოველი x_i მნიშვნელობის შესაბამისი სიხშირე (ან ფარდობითი სიხშირე ni/n=Ni, $n=\sum_{i=1}^{k} n_i$) i=1,2,...,n. თითოეული მონაცემის ფარდობითი სიხშირის 100-ზე გამრავლებით მივიღებთ მონაცემთა პროცენტულ განაწილებას.

ფოთლებიანი ღეროების დიაგრამის აგება

მაგალითი 2.7. ნავთობმომპოვებელი კომპანიის მიერ მოპოვებული ნავთობის რაოდენობა დღეების მიხედვით (ბარელებში, 1 ბარელი=159 ლიტრს), წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. შევადგინოთ ა) ფოთლებიანი ღეროების დიაგრამა, სიხშირეთა, ფარდობით სიხშირეთა და პროცენტული განაწილების ცხრილი. წინასწარ დაალაგეთ მონაცემები ვარიაციულ მწკრივად და იპოვეთ გაბნევის დიაპაზონი, მოდა და მედიანა.

ცხრილი 2.7.

დაკვირვების ნომერი (დღეები)	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
მოპოვებული ნავთობის რაოდენობა	208	182	208	207	203	201	191	194	183	181	207	205	207	221

ამოხსნა. თვალსაჩინოების მიზნით ხშირად სტატისტიკურ მონაცემებს წარმოადგენენ **ფოთლებიანი ღეროების დიაგრამის სახით** შემდეგი წესით: ყოველი რიცხვი თუ მონაცემი დავყოთ ორ ნაწილად. რიცხვის პირველი ორი ციფრი ჩავწეროთ ვერტიკალური ხაზის მარცხნივ, ხოლო ბოლო ციფრი კი მივუწეროთ შესაბამისად ჰორიზონტალურად ამ ხაზის მარჯვენა მხრიდან. ამასთან დავიცვათ ზრდადობის ტენდენცია ზემოდან ქვემოთ და მარცხნიდან მარჯვნივ

ცხრილი 2.8.

ღეროები	ფოთლები
18	123
19	14
20	13577788
21	
22	1

არაკლებადი მიმდევრობით დალაგებული მონაცემები, ანუ ვარიაციული მწკრივია: 181, 182, 183, 191, 194, 201, 203, 205, 207, 207, 207, 208, 208, 221. გაბნევის დიაპაზონია R=221-181=40 (ბარელი) – იგი არის უდიდეს და უმცირეს მონაცემთა სხვაობა

მოდა Mo=207ბ (ბარელი) – იგი არის უდიდესი სიხშირის მქონე მონაცემი.

მედიანა $Me=\frac{1}{2}\left(x_{\frac{n}{2}}+x_{\frac{n}{2}+1}\right)=\frac{1}{2}\left(x_7+x_8\right)=\frac{203+205}{2}=204$ბ

სიხშირეთა (ფარდობით სიხშირეთა) განაწილების ცხრილს აქვს სახე:

ცხრილი 2.9

ვარიანტის № i	მოპოვებული ნავთობის რაოდენობა x_i (ვარიანტა)	შესაბამისი სიხშირე n_i	შესაბამისი ფარდობითი სიხშირე ni/n
1	181	1	-
2	182	1	1/14
3	183	1	1/14
4	191	1	1/14
5	194	1	1/14
6	201	1	1/14
7	203	1	1/14
8	205	1	1/14
9	207	3	3/14
10	208	2	2/14
11	221	1	1/14
ჯამი $\sum$		14	1

n=14 – მონაცემების მოცულობაა.

K=11 – ვარიანტების (ზრდადობით დალაგებული მონაცემების) რაოდენობაა.

$\sum_{i=1}^{K} n_i = n = 14$. ვარიანტების შესაბამის სიხშირეთა ჯამი მონაცემთა რაოდენობის ტოლია.

$\sum_{i=1}^{K} \frac{n_i}{n} = 1$. ვარიანტების შესაბამის ფარდობით სიხშირეთა ჯამი ერთის ტოლია.

მაგალითი 2.8. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ჯგუფის 10 სტუდენტს ჩაუტარეს ორმნიშვნელობიანი გამოკითხვა (იგულისხმება, რომ გამოკითხვის ყოველ შედეგს აქვს ერთი თვისებრივი ნიშანი ორი დონით: A - სტუდენტი სპორტსმენია, ან მისი უარყოფა $\bar{A}$ - სტუდენტი არაა სპორტსმენი. დაკვირვების შედეგები მოცემულია შემდეგი ცხრილის სახით.

ცხრილი 2.10.

გამოკითხული სტუდენტის რიგითი ნომერი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დონე A სპორტსმენია $\overline{A}$ არაა სპორტსმენი	Ā	A	A	Ā	A	Ā	A	A	Ā	A

დავაჯგუფოთ ეს მონაცემები მახასიათებელი ნიშნის დონეების მიხედვით და ჩავწეროთ სიხშირეთა განაწილების ცხრილის სახით. მივიღებთ:

ცხრილი 2.11.

დონე	A (სპორტსმენია)	Ā არაა სპორტსმენი	∑ ჯამი
სიხშირე	6	4	n=10
ფარდობითი სიხშირე	0,6	0,4	1
პროცენტული	60%	40%	100%

დავალება: სიხშირეთა, ფარდობით სიხშირეთა და პროცენტული განაწილებები თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგინოთ **მართკუთხედებიანი სვეტოვანი დიაგრამების (პარეტოს დიაგრამის)** სახით და **წრიული დიაგრამის სახით.**

ამოხსნა

პარეტოს დიაგრამის აგება.

I ეტაპი. დავალაგოთ მონაცემები სიხშირეების (ფარდობითი სიხშირეების) მიხედვით ზრდადი ან კლებადი თანმიმდევრობით (იხ. ცხრილი 1.7).

II ეტაპი. საკოორდინატო სიბრტყეზე ავიღოთ ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღერძები. ჰორიზონტალურ ღერძზე მოვნიშნოთ ასაგები მართკუთხედების მცირე გვერდები დონის მონიშვნით. ხოლო ვერტიკალურ ღერძზე მოვნიშნოთ შესაბამისი სიხშირის ან ფარდობითი სიხშირის სიდიდე. შესაბამისად პროპორციები უნდა შეირჩეს და მონიშნულ ფუძეებზე ავაგოთ სიხშირის (ფარდობითი სიხშირის) სათანადო სიმაღლის მართკუთხედები.

მართკუთხედები უნდა იყოს ტოლი სიგანის. მართკუთხოვან დიაგრამას სვეტოვან დიაგრამასაც უწოდებენ.



პარეტოს დიაგრამა (დონეთა სიხშირეების განაწილება). ნახ. 2.3.

წრიული დიაგრამის აგება

წრიული დიაგრამის ასაგებად ჯერ ვპოულობთ დონეთა შესაბამის პროცენტულ განაწილებას და წრეს დავყოფთ პროცენტების პროპორციულ სექტორებად. ჯერ უნდა ვიპოვოთ შესაბამისი ცენტრალური კუთხეები. ამისათვის 360^0 გავამრავლოთ შესაბამის პროცენტზე და გავყოთ 100-ზე.

ცხრილი 2.12.

დონე	A	Ā	ჯამი
პროცენტული წილი	60%	40%	100%

$$\frac{360^0 \cdot 60}{100} = 216^0, \quad \frac{360^0 \cdot 40}{100} = 144^0$$

წრიულ დიგრამას ექნება სახე:



ნახ. 2.4. სპორტსმენი 60% (დონე A), არასპორტსმენი 40% (დონე Ā).

ზოგჯერ წრიულ დიაგრამებს მოცულობით სახეს აძლევენ:



ნახ. 2.5 სპორტსმენი 60 % (დონე A),
არასპორტსმენი 40% (დონე Ā)

მაგალითი 2.9. ნახ.2.6.-ით მოცემულია საფერავის ჯიშის სუფრის წითელ ღვინოში სხვადასხვა ნივთიერებების კონცენტრაციის დონეები მოცულობითი სვეტოვანი დიაგრამის სახით. I დასაშვები და II ნიმუშიდან აღებული. თითოეული ნივთიერებისთვის იანგარიშეთ სხვაობები. იპოვეთ მოდალური გადახრა.



მოცულობითი სვეტოვანი დიაგრამა ნახ. 2.6.

ხაზოვანი დიაგრამის აგება

მაგალითი 2.10. ავადმყოფს ტემპერატურა გაუზომეს 20 საათზე, თერმომეტრმა 40,50 აჩვენა, ექიმმა ავადმყოფს დაუნიშნა წამლები და მედდას დაავალა ტემპერატურის ყოველ 2 საათში ერთხელ გაზომვა - დილის 6 საათიდან 24 საათამდე ჩათვლით. გაზომვებით მიღებული მონაცემების შესაბამისი ხაზოვანი დიაგრამა ასე გამოიყურება:



ნახ. 2.7. ტემპერატურის გაზომვის დრო (სთ-ში)

ა) როდის ჰქონდა ავადმყოფს ყველაზე მაღალი ტემპერატურა? რამდენი?

ბ) რამდენი საათის შემდეგ დაიწყო გამოჯანმრთელების პროცესი?

გ) რამდენჯერ გაუზომეს ტემპერატურა ავადმყოფს?

დ) დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემები (ტემპერატურები) დაალაგეთ ტემპერატურის კლებადობის მიხედვით და იპოვეთ: მედიანა, დიაპაზონი და მოდა. რამდენი მოდა აქვს?

მაგალითი 2.11. ქვემოთ მოცემულია დაუსრულებელი ცხრილი და მესერული დიაგრამა, რომლებიც ასახავენ ერთიდაიგივე აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა რაოდენობებს სემესტრში გაცდენილი დღეების მიხედვით:

ცხრილი 2.13.

გაცდენილი დღეები	ერთეულები	სტუდენტთა რაოდენობა (სიხშირე)
0	||	2
1	|	6
2	|||	
3		
4		
5		
6		0
7	|	
სულ		



ნახ. 2.8.

დაასრულეთ თითოეული მათგანი და უპასუხეთ კითხვებს:

თუ გაცდენების რაოდენობების მიხედვით სტუდენტებს დავანაწილებთ ჯგუფებად, მაშინ

ა) სტუდენტთა რამდენ ჯგუფს აქვს ტოლი რაოდენობის გაცდენები?

ბ) გაცდენილი დღეების მიხედვით სტუდენტთა რომელი ჯგუფია მრავალრიცხოვანი?

გ) სტუდენტთა რომელი ჯგუფის ხვედრითი წილია მეტი საერთო გაცდენებში?

დ) რა საშუალებით შეიძლება ყოფილიყო მოპოვებული ზემოთ მოყვანილი მონაცემები?

§4. მონაცემთა რიცხვითი მახასიათებლები. შერჩევის რიცხვითი მახასიათებლები

მონაცემების თვალსაჩინო ვიზუალური წარმოდგენის გარდა მონაცემების ანალიზისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი სხვადასხვა რიცხვითი მახასიათებლების პოვნა. როგორიცაა: **ა) მონაცემთა ცენტრალური ტენდენციის საზომები: მოდა** (**Mode**), **მედიანა** (**Median**), **საშუალო (Mean)**, **ბ) მონაცემთა გაფანტულობის საზომები (Measures of dispersio**n), **გაბნევის დიაპაზონი** (**Range**), **საშუალო გადახრა (Mean deviation), დისპერსია (Variance), თვისებრივი ვარიაციის ინდექსი (IQV), სტანდარტული გადახრა (Standard deviation).**

ზოგიერთი მათგანი კერძოდ გაბნევის დიაპაზონი, მოდა, მედიანა რიცხვითი მონაცემებისათვის წინა პარაგრაფებში განვიხილეთ.

ა) ცენტრალური ტენდენციის საზომები

მოდა (Mo) წარმოადგენს შესასწავლი ცვლადის იმ მნიშვნელობას, ანუ იმ მონაცემს, რომელსაც ყველაზე ხშირად ირჩევენ რესპონდენტები, ანუ რომელსაც აქვს ყველაზე დიდი სიხშირე. **მოდა შეიძლება ვიპოვოთ ნებისმიერი გაზომვის დონის მქონე ცვლადისათვის.**

იმისათვის, რომ ვიპოვოთ მოდა, უნდა ავაგოთ სიხშირეთა განაწილება და მასზე დაყრდნობით განვსაზღვროთ ის მონაცემი ან კატეგორიები, რომელთაც აქვთ უდიდესი სიხშირე. საზოგადოდ თითოეულ ცვლადს შეიძლება ჰქონდეს ერთი მოდა, როცა მხოლოდ ერთ კატეგორიას აქვს ყველაზე დიდი სიხშირე; ორი ან მეტი მოდა, როცა ორ ან რამოდენიმე კატეგორიას აქვს ერთნაირი დანარჩენ კატეგორიებზე მეტი სიხშირე; ცვლადს შეიძლება მოდა არ გააჩნდეს, როცა ყველა კატეგორიას აქვს ერთნაირი სიხშირე.

მედიანა (Me) წარმოადგენს იმ მონაცემს, რომელზე მეტი და ნაკლები მონაცემების რაოდენობა ერთნაირია. მედიანა არის ცვლადის შესაბამისი მონაცემების 50-პრო-ცენტილი. მედიანა შეიძლება განისაზღვროს რიცხვითი მონაცემებისათვის.

მონაცემების მედიანის მოსაძებნად შესაბამისი მონაცემები ჯერ უნდა დავალაგოთ არაკლებადი მიმდევრობით, ანუ უნდა ავაგოთ მონაცემთა ვარიაციული მწკრივი. შემდეგ, თუ ცვლადის შესაბამისი მონაცემების რაოდენობა კენტია, მაშინ მედიანა $(n+1)/2$ ნომრის მქონე მონაცემის ტოლი იქნება, სადაც n არის მონაცემების რაოდენობა. თუკი რიცხვითი ცვლადის შესაბამისი მონაცემების რაოდენობა ლუწია, მაშინ უნდა განვიხილოთ $n/2$ და $\frac{n}{2}+1$ ნომრის მქონე მონაცემები, რომელთა არითმეტიკული საშუალოს ტოლია მედიანა.

არითმეტიკული საშუალო $\bar{X}$ წარმოადგენს ცენტრალური ტენდენციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საზომს, რომელიც გამოითვლება რიცხვითი

ცვლადებისათვის და უდრის მონაცემთა ჯამის მათ რაოდენობასთან ფარდებას, ე.ი.

$$\overline{X}=\frac{x_1+x_2+x_3+\ldots+x_n}{n}=\frac{\sum_{i=1}^{n}x_i}{n},$$ სადაც n მონაცემთა მოცულობაა.

შევნიშნოთ, რომ თუ განვიხილავთ შესაბამისად მონაცემებისა და მათი არითმეტიკული საშუალოს სხვაობებს, მაშინ მათი ჯამი ტოლი იქნება ნულის, ე.ი. საშუალოდან გადახრების ჯამი ნულის ტოლია.

იმ შემთხვევაში, როცა ცვლადის შესაბამისი მონაცემები დაჯგუფებულია და მოცემულია თითოეული კატეგორიის სიხშირე, მაშინ საშუალო შეიძლება გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულის გამოყენებით.

$$\overline{X}=\frac{x_1n_1+x_2n_2+x_3n_3+\ldots+x_kn_k}{n}=\frac{\sum_{i=1}^{k}x_in_i}{n}$$

სადაც n_i წარმოადგენს i-ური x_i მნიშვნელობის სიხშირეს, ხოლო $x_1,x_2,\ldots,x_k$ კი ცვლადის განსხვავებული მნიშვნელობებია (მონაცემებია).

შევნიშნოთ, რომ მედიანა და მოდა წარმოადგენენ ცენტრალური ტენდენციის ისეთ საზომებს, რომლებზეც არ ახდენენ გავლენას განსაკუთრებული ანუ ძალიან დიდი ან ძალიან მცირე მონაცემები, მაშინ როცა არითმეტიკულ საშუალოზე დიდ გავლენას ახდენენ ამ ტიპის მონაცემები.

ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ განვიხილავთ სხვადასხვა **შერჩევებს, არითმეტიკული საშუალო არის ცენტრალური ტენდენციის ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი საზომი, რაც იმას ნიშნავს, რომ პოპულაციის საშუალოდან შერჩევების საშუალოს აბსოლუტური გადახრების საშუალო საზოგადოდ უფრო მცირეა, ვიდრე მედიანისა და მოდასათვის.**

განაწილებას ეწოდება **უნიმოდალური,** თუ მას აქვს **ერთადერთი მოდა.**

განაწილებას ეწოდება სიმეტრიული, თუ არითმეტიკულ საშუალოზე მეტი და მასზე ნაკლები მნიშვნელო-

ბების რაოდენობები ტოლია, ე.ი. როცა საშუალო უდრის მედიანას.

თუ ცვლადის მნიშვნელობების განაწილება არის იდეალურად ზარის ფორმის, ე.ი. არის სიმეტრიული, უნიმოდალური, არ არის ზემოთ ძალიან გაწელილი და არ აქვს დიდი ბოლოები, მაშინ მას ეწოდება ნორმალური განაწილება.

განაწილებას ეწოდება ასიმეტრიული, თუ საშუალო არ ემთხვევა მედიანას.

განაწილებას ეწოდება დადებითად ასიმეტრიული, თუ საშუალო მედიანაზე მეტია.

განაწილებას ეწოდება უარყოფითად ასიმეტრიული, თუ საშუალო მედიანაზე ნაკლებია.

x_1, $x_2,...,x_n$ შერჩევის ცენტრალური ტენდენციის მახასიათებლები ანალოგიურად განისაზღვრება.

ბ) მონაცემთა და შერჩევის გაფანტულობის საზომები

გაფანტულობის საზომები ახასიათებენ ცენტრის ერთ-ერთი საზომის მიმართ მონაცემების განლაგების სიმჭიდროვეს.

გავიხსენოთ: **გაბნევის დიაპაზონი** (R) წარმოადგენს მონაცემთა გაფანტულობის საზომს, რომელიც უდიდეს და უმცირეს მონაცემებს შორის სხვაობის ტოლია.

მონაცემთა საშუალო გადახრა (MD) უდრის საშუალოდან გადახრების აბსოლუტური მნიშვნელობების საშუალოს, ე.ი.

$$MD = \frac{\left|x_1 - \overline{X}\right| + \left|x_2 - \overline{X}\right| + \ldots + \left|x_n - \overline{X}\right|}{n} = \frac{\sum_{i=1}^{n}\left|x_i - \overline{X}\right|}{n}$$

სადაც $x_1, x_2,...,x_n$ მონაცემებია.

დისპერსია წარმოადგენს საშუალოს მიმართ მონაცემების გაფანტულობის საზომს, რომელიც მონაცემებიდან საშუალომდე მანძილების კვადრატების საშუალოს ტოლია და აღინიშნება S^2-ით.

$$S^2 = \frac{(x_1 - \overline{X})^2 + (x_2 - \overline{X})^2 + .. + (x_n - \overline{X})^2}{n-1} = \frac{\sum_{i=1}^{n}(x_i - \overline{X})^2}{n-1} = \frac{\sum_{i=1}^{n}x_i^2}{n-1} - \frac{n}{n-1}(\overline{X})^2$$

სადაც n - მონაცემების რაოდენობაა, $\bar{X}$ - საშუალოა.

სტანდარტული გადახრა (Standard deviation) წარმოადგენს კვადრატულ ფესვს დისპერსიიდან, ე.ი.

$$S=\sqrt{s^2}=\sqrt{\frac{\sum_{i=1}^{n}(x_i-\overline{X})^2}{n-1}}=\sqrt{\frac{\sum_{i=1}^{n}x_i^2}{n-1}-\frac{n}{n-1}(\overline{X})^2}$$

იმ შემთხვევაში, როცა შესასწავლი ცვლადისათვის მოცემულია სიხშირეთა განაწილება ანუ მონაცემები დაჯგუფებულია კატეგორიების მიხედვით, მაშინ სტანდარტული გადახრის გამოსათვლელად შეიძლება გამოვიყენოთ მოდიფიცირებული ფორმულა

$$S=\sqrt{S^2}=\sqrt{\frac{\sum_{i=1}^{n}x_i^2 n_i}{n-1}-\frac{n}{n-1}(\overline{X})^2}$$

სადაც $x_1, x_2, ..., x_k$ - განსხვავებული მონაცემებია, ხოლო $n_1, n_2, ... n_k$ წარმოადგენენ ამ მონაცემების სიხშირეებს.

ცვლადისათვის, რომლის შესაბამისი მონაცემების განაწილება არის ნორმალური, ე.ი. არის სიმეტრიული და აქვს ზარისებრი ფორმა, საშუალოდან სიმეტრიულ ინტერვალში მოხვედრილი მონაცემების რაოდენობის დასადგენად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი წესი:

მონაკვეთი [$\overline{X}$-S, $\overline{X}$+S] შეიცავს მონაცემთა დაახლოებით 68%;

მონაკვეთი [$\overline{X}$-2S, $\overline{X}$+2S] შეიცავს მონაცემთა დაახლოებით 95%;

მონაკვეთი [$\overline{X}$-3S, $\overline{X}$+3S] შეიცავს მონაცემთა დაახლოებით 99,7%,

სადაც $\overline{X}$ არის საშუალო, ხოლო S კი სტანდარტული გადახრა.

§5. მონაცემთა რანგი. მონაცემთა დაგროვილი სიხშირეები. კუმულატა

§§5, 6, 7, 8-ის მასალა ძირითადად აღებულია წიგნიდან: თ. ბეიტრიშვილი, გ. ბერიკელაშვილი, ტ. ბუაძე, დ.

კაპანაძე, მათემატიკა, XI კლასი, მოსწავლის წიგნი, გამომცემლობა „აზრი“, თბილისი, 2007 [7].

სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას იყენებენ გარკვეულ მახასიათებელს, რომელსაც რანგი ეწოდება.

მაგალითი 2.12. 10 მონაწილისაგან შედგენილმა სტუდენტ ვაჟთა გუნდმა სროლაში მოიპოვა ქულები: 98, 95, 97, 100, 94, 91, 99, 96, 93, 92.

თუ ამ მონაცემებს არაკლებადი მიმდევრობით დავალაგებთ, გვექნება: 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100.

თითოეულმა მონაწილემ განსხვავებული ქულა დააგროვა. მონაცემები არ მეორდებიან. ყველაზე ნაკლებ მონაცემს ანიჭებენ 1-ის ტოლ რანგს და ა.შ. 100-ის რანგია 10.

მაგალითი 2.13. 10 მონაწილისაგან შედგენილმა სტუდენტ გოგონათა გუნდმა სროლაში მოიპოვა ქულები: 98, 83, 99, 80, 99, 96, 100, 97, 99, 96.

დავალაგოთ ეს მონაცემები არაკლებადი მიმდევრობის სახით: 80, 83, 96, 97, 98, 99, 99, 99, 100.

წინა მაგალითის ანალოგიურად, 80 და 83-ის რანგები შესაბამისად არის 1 და 2. მაგრამ რა რანგი მივანიჭოთ თანატოლ 96 ქულებს?

ბუნებრივია ჩავთვალოთ, რომ განმეორებული მონაცემების რანგი დალაგებულ მიმდევრობაში მათი რიგითი ნომრების არითმეტიკულ საშუალოს ე.ი. 96-ის რანგი (3+4):2=3,5-ის ტოლია და ა.შ. 99 –ის რანგი კი (7+8+9):3=8-ის ტოლია.

მაგალითი 2.14. შეამოწმეთ შემდეგი ცხრილის სისწორე:

ცხრილი 2.14.

მონაცემები	98	83	99	80	99	96	100	97	99	96
რანგი	6	2	8	1	8	3,5	10	5	8	3,5

რანგი ეწოდება არაკლებადი მიმდევრობით დალაგებულ მონაცემთა რიგით ნომერს, თუ მონაცემები არ მეორდება, გამეორებადი მონაცემების შემთხვევაში კი ამ მიმდევრობაში მათი რიგითი ნომრების არითმეტიკულ საშუალოს.

ვთქვათ, x ნებისმიერი ნამდვილი რიცხვია, $x \in R$. n - მონაცემთა რაოდენობაა. **დაგროვილი სიხშირე)** $N_n(x)$ **ეწოდება ზრდადობით დალაგებულ მონაცემთა იმ მნიშვნელობების სიხშირეების ჯამს, რომლებიც მოცემულ x რიცხვზე ნაკლებნი არიან (ან არ აღემატებიან).**

$\frac{N_n(x)}{n}$ ფარდობას **დაგროვილი ფარდობითი სიხშირე** ეწოდება.

ვიზუალური თვალსაჩინოებისათვის აგებენ დაგროვილ სიხშირეთა, ან დაგროვილ ფარდობით სიხშირეთა გრაფიკებს.

კუმულატას აგება

მაგალითი 2.15. მოცემულია საავადმყოფოს კარდეოლოგიური განყოფილების ერთ-ერთი პაციენტის არტერიული წნევის 20-ჯერ გაზომვის მონაცემები:

ცხრილი 2.15.

გაზომვის №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
წნევის განაზომი მნიშვნელობა	170	140	150	180	178	160	155	150	170	160

გაზომვის №	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
წნევის განაზომი მნიშვნელობა	155	165	175	160	175	165	175	170	165	165

დავალაგოთ მონაცემები არაკლებადი მიმდევრობის სახით:

140, 150, 150, 155, 155, 160, 160, 160, 165, 165, 165, 165, 170, 170, 170, 175, 175, 175, 178, 180.

საიდანაც მივიღებთ ზრდადი მიმდევრობით დალაგებულ მონაცემებს შესაბამისი სიხშირეებით:

x_i: 140, 150, 155, 160, 165, 170, 175, 178, 180.

n_i: 1 2 2 3 4 3 3 1 1 $n = \sum_{i=1}^{n} n_i = 20$

შევადგინოთ მონაცემთა სიხშირეთა და ფარდობით სიხშირეთა განაწილების შემდეგი ცხრილი

ცხრილი 2.16.

დალაგებული მონაცემები X_i	140	150	155	160	165	170	175	178	180	ჯამი
სიხშირე n_i	1	2	2	3	4	3	3	1	1	n=20
ფარდობითი სიხშირე n_i/n	0,05	0,1	0,1	0,15	0,2	0,15	0,15	0,05	0,05	1
დაგროვილი სიხშირე $N_n(x)$	0	1	3	5	8	12	15	18	19	20
დაგროვილი ფარდობითი სიხშირე $N_n(x)\backslash n$	0	0.05	0.15	0.25	0.40	0.60	0.75	0.90	0.95	1

ამ ცხრილის მეოთხე სტრიქონი შემდეგი წესითაა მიღებული:

უმცირესი X1=140 მონაცემამდე დაგროვილი სიხშირეა 0; X1=140-სათვის დაგროვილი სიხშირეა 0+1=1: ფარდობითი სიხშირეა 1/20=0,05; X2=150-სათვის დაგროვილი სიხშირეა 0+1=2, დაგროვილი ფარდობითი სიხშირეა 2/20=0,05.

ცხრილის მეხუთე სტრიქონი მიიღებაზედა სტრიქონის რიცხვების გაყოფით n=20-ზე.

მონაცემთა სიხშირეები შეგვიძლია დაგვეთვალა ფოთლებიანი ღეროების დიაგრამით:

ღეროები	ფოთლები
14	0
15	0055
16	0005555
17	0005558
18	0

ავაგოთ მონაცემთა დაგროვილი ფარდობითი სიხშირეების შესაბამისი დიაგრამა (კუმულატა) შემდეგი წესით:

- სიბრტყეზე აღებული კოორდინატთა სისტემის აბსცისათა ღერძზე მოვნიშნოთ ვარიაციულ მწკრივად, ზრდადი მიმდევრობით დალაგებული მონაცემების შესაბამისი წერტილები. ღერძი დაიყოფა ინტერვალებად.
- ორდინატთა ღერძზე მოვნიშნოთ მიღებული დაყოფის ინტერვალების მარჯვენა საზღვრითი მონაცემებისა-

თვის დაგროვილი ფარდობითი სიხშირეების შესაბამისი წერტილები გარკვეული მასშტაბით (გარდა კიდურა მარჯვენა უსასრულო ინტერვალისა).

- დაყოფის ინტერვალს მისი მარჯვენა საზღვრითი მონაცემი არ მივაკუთვნოთ და აბსცისათა ღერძის პარალელურად თითოეული ინტერვალისათვის ავაგოთ მონაკვეთი, რომლის წერტილთა ორდინატები ინტერვალზე დაგროვილი ფარდობითი სიხშირეების ტოლია.
- მიიღება კიბისებური საფეხურებიანი გრაფიკი, რომელსაც **კუმულატას** უწოდებენ. იგი ასახავს ინფორმაციას დაგროვილ ფარდობით სიხშირეთა განაწილების შესახებ.
- თუ მონაცემთა რაოდენობა და დაყოფის ინტერვალების რაოდენობა დიდია, მაშინ კუმულატა გარკვეულწილად მრუდის მიახლოებას წარმოადგენს.



ნახ.2.9.

კითხვები განმეორებისათვის

1. მონაცემის რანგი წარმოადგენს:

ა) შუა მონაცემის ნომერს

ბ) მონაცემების პოზიციის მახასიათებელს

გ) დიდი სიხშირის მქონე მონაცემის ნომერს.

2. რა არის მონაცემის სიხშირე და ფარდობითი სიხშირე?

3. თვალსაჩინოდ როგორ შეიძლება წარმოვადგინოთ მონაცემთა სიხშირეები და ფარდობითი სიხშირეების განაწილება?

4. რას წარმოადგენს მონაცემთა დაგროვილი სიხშირეები?

5. როგორ შეიძლება წარმოვადგინოთ მონაცემთა დაგროვილი სიხშირეების განაწილება?

6. კუმულატას ასაგებად მონაცემები ზრადობის მიხედვით უნდა დალაგდეს თუ კლებადობის მიხედვით?

მაგალითი 2.16. მოცემული ცხრილი 2.17. გვიჩვენებს 10 კომერციული ბანკის აქტივებისა და წლიური მოგების მონაცემებს. ცხრილში თითოეულ ბანკს აქვს კოდური სახელწოდება, ნომრებით 1, 2, 3,... 10.

ცხრილი 2.17.

ბანკის №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
აქტივები (მლნ.ლარი)	10	15	20	25	30	30	50	60	70	80
წლიური მოგება (მლნ. ლარი)	0,5	0,5	0,7	0,6	0,7	1,3	1,0	1,3	1,5	2,0

გამოთვალეთ:

ა) აქტივების შესაბამისი რანგები.

ბ) წლიურ მოგებათა შესაბამისი რანგები.

გ) ფარდობითი წლიური მოგება ანუ წლიური მოგება გაყოფილი\აქტივების სიდიდეზე და მიღებული მონაცემთა რანგები. რანგების მიხედვით შეადარეთ ბანკების ეფექტურობა.

მაგალითი 2.17. მაგალითი 2.15-ის მონაცემებისათვის გამოთვალეთ რანგები.

მაგალითი 2.18. თვეების მიხედვით, თბილისში უცხოეთიდან შემოსულ ტურისტთა რაოდენობები მოცემულია შემდეგი ცხრილით (1:1000):

ცხრილი 2.18.

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ტურისტთა რაოდენობა	1	0,5	1,5	2	3	3	2	0,5	2	2,5	2	0,5

ა) შეადგინეთ დაგროვილ სიხშირეთა განაწილების ცხრილი.

ბ) დაგროვილ ფარდობით სიხშირეთა ცხრილი.

გ) ააგეთ კუმულატა.

დ) იპოვეთ მონაცემთა რანგები.

დავალება გამეორებისათვის

მაგალითი 2.19. ფირმის მენეჯერი იკვლევს პორტატული კომპიუტერის ბატარეების ექსპლოატაციის ხანგრძლივობას. ქვემოთ მოცემულია მის მიერ ალალბედზე შერჩეულ „A“ ტიპის 40 ბატარეაზე დაკვირვების მონაცემები (წთ-ში):

130	146	126	145	152	132	130	164	155	133
129	145	137	139	127	140	131	126	145	148
126	126	132	125	126	135	131	129	136	129
136	147	156	146	130	146	132	132	142	132

ა) ააგეთ ფოთლებიანი ღეროების დიაგრამა, რომლის ღეროებად პირველი ორი ციფრია გამოუყენებელი, დანარჩენები ფოთლებად.

ბ) დაალაგეთ ფოთლებად გამოყენებული ციფრები არაკლებად მიმდევრობად და დაწერეთ მონაცემების ფარდობით სიხშირეთა განაწილების ცხრილი.

გ) ააგეთ კუმულატა.

დ) გამოთვალეთ მონაცემთა რანგები.

ე) იპოვეთ ცენტრალური ტენდენციის საზომები.

ვ) იპოვეთ გაფანტულობის საზომები.

§ 6. რაოდენობრივ მონაცემთა დაჯგუფება ინტერვალებად

იმ შემთხვევში, როდესაც X ცვლადის დაკვირვებით მიღებული მონაცემთა რაოდენობა დიდია, ან ცვლადი უწყვეტია, შემდგომი ანალიზის მიზნით მიმართავენ მონაცემთა დაჯგუფებას ქვეინტერვალებად მითითებული წესით:

1. მონაცემებს ალაგებენ ზრდადობის მიხედვით;
2. მინიმალურ და მაქსიმალურ მონაცემს შორის ინტერვალს ყოფენ ტოლი ან არატოლი სიგრძის რამოდენიმე ქვეინტერვალად; ჯერ განვიხილავთ ტოლი სიგრძის ინტერვალებად დაყოფას.
3. გამოყოფენ ცალკეულ ქვეინტერვალში მოთავსებულ მონაცემთა ჯგუფებს;
4. დაითვლიან თითოეული ჯგუფის მონაცემების სიხშირეებსა და ფარდობით სიხშირეებს და ადგენენ მონაცემების სიხშირეთა და ფარდობით სიხშირეთა ინტერვალური განაწილების ცხრილს - სიხშირეთა ინტერვალურ განაწილებებს.
5. ქვეინტერვალების კიდურა მონაცემებისათვის გამოთვლიან დაგროვილ სიხშირეებს, დაგროვილ ფარდობით სიხშირეებს; მარჯვენა კიდურა მონაცემების მიხედვით ადგენენ მონაცემთა დაგროვილი სიხშირეებისა და დაგროვილი ფარდობითი სიხშირეების ინტერვალური განაწილებების ცხრილს - დაგროვილ სიხშირეთა ინტერვალურ განაწილებებს.
6. სიხშირეთა (ფარდობით სიხშირეთა) და დაგროვილ სიხშირეთა (დაგროვილ ფარდობით სიხშირეთა) განაწილებებს თვალსაჩინოდ წარმოადგენენ სხვადასხვა გრაფიკული ფორმით.

აღნიშნული მეთოდი აადვილებს ინფორმაციის აღქმასა და ანალიზს.

მონაცემის ინტერვალებად (ანუ კლასებად) დაჯგუფებისას, ასევე ჰისტოგრამების აგებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს ინტერვალთა რაოდენობის სწორად შერჩევას. ინტერვალების რაოდენობა არ უნდა იყოს 1) ძალიან დიდი და 2) არც ძალიან მცირე. პირველ შემთხვევაში ინტერვალების სიგრძეები ხდებიან მცირე და

მონაცემთა სიხშირეები მასში განიცდიან არაკანონზომიერ ცვალებადობას (ფლუქტაციას), მეორე შემთხვევაში ინტერვალების სიგრძეები დიდია და სიხშირეთა განაწილებები აღიწერებიან ძალიან უხეშად.

პრაქტიკით დადგენილია, რომ თუ მონაცემების რაოდენობა n∈(40-100), მიზანშეწონილია 7-9 ინტერვალის არჩევა, როცა n∈(100-500), მიზანშეწონილია 8-12 ინტერვალი, ხოლო როცა n∈(500-1000) – 10-16 ინტერვალი.

ვთქვათ X ცვლადია. მასზე დაკვირვების მონაცემების მიხედვით x_{min} არის უმცირესი მონაცემი, ხოლო x_{max} - უდიდესი მონაცემი. n მონაცემთა რაოდენობაა, აღწერილი მეთოდით n-ის მიხედვით ვთქვათ საჭიროა ავიღოთ k ინტერვალი. მაშინ ინტერვალის სიგრძე h გამოითვლება ფორმულით

$$h = \frac{x_{\max} - x_{\min}}{k}$$

მონაცემთა ინტერვალებად დასაჯგუფებლად და ჰისტოგრამების ასაგებად ასევე ხშირად მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს. ერთ-ერთია ***სტერ-ჯერსის ფორმულის*** გამოყენება. სტატისტიკური მონაცემების დაჯგუფებისას ჯგუფების ოპტიმალური k რაოდენობის განსაზღვრის ***სტერჯესის ფორმულას*** აქვს სახე:

$$k = 1 + 3,2\log n,$$

სადაც n მონაცემთა მოცულობაა.

ამჟამად შემოგთავაზებთ მონაცემების ინტუიციურ დაყოფას კლასებად.

მაგალითი 2.20. წინა პარაგრაფის მაგალითით 2.15-ის მიხედვით პაციენტის არტერიული წნევის გაზომვით მიღებული მონაცემების ცვლილების არე დავყოთ 5 ტოლი სიგრძის ქვეინტერვალად. შევადგინოთ სიხშირეთა, დაგროვილ სიხშირეთა და დაგროვილ ფარდობით სიხშირეთა ინტერვალური განაწილებები და ავაგოთ დიაგრამები.

1. საწყისი მონაცემებია:

170, 140, 150, 180, 178, 160, 155, 150, 170, 160, 155, 165, 175, 160, 175, 165, 175, 170, 165, 165

დავალაგოთ არაკლებადი მიმდევრობით:

140, 150, 150, 155, 155, 160, 160, 160, 165, 165, 165, 165, 170, 170, 170, 175, 175, 175, 178, 180.

2. მონაცემთა ცვლილების დიაპაზონი $x_{max}-x_{min}=$ $=180-140=40$-ის ტოლია. რადგან დაყოფის ინტერვალების რაოდენობა $k=5$-ია, ამიტომ თითოეული ქვეინტერვალის სიგრძე $h=40/5=8$. დაყოფა მოხდება შემდეგი სქემით:



3. ინტერვალებში გამოვყოფთ მონაცემთა ჯგუფებს

140, 150, 150, 155, 155, 160, 160, 160, 165, 165, 165, 165, 170, 170, 170, 175, 175, 175, 178, 180

უმცროსი კიდურა მონაცემი 140 მივაკუთვნოთ პირველ ქვეინტერვალს.

4. ქვეინტერვალების მიხედვით სიხშირეთა გამოთვლის შედეგები მოცემულია შემდეგი ცხრილით:

5.

ცხრილი 2.19.

<table>
<tr><th>ინტერვალის ნომერი</th><th>ინტერვალი</th><th>სიხშირეთა დათვლა</th><th>სიხშირე</th></tr>
<tr><td>1
2
3
4
5</td><td>[140; 148]
[148; 156]
[156; 164]
[164; 172]
[172; 180]</td><td>|
||||
|||
卌 ||
卌</td><td>1
4
3
7
5</td></tr>
<tr><td>სულ</td><td></td><td></td><td>n=20</td></tr>
</table>

დაჯგუფებულ მონაცემთა ფარდობითი სიხშირეები შესაბამისად ტოლია:

პირველი ინტერვალისათვის 1/20=0,05

მეორე ინტერვალისათვის 4/20=0,2

მესამე ინტერვალისათვის 3/20=0,15

მეოთხე ინტერვალისათვის 7/20=0,35

მეხუთე ინტერვალისათვის 5/20=0,25

სიხშირეთა ინტერვალური განაწილებაა:

ცხრილი 2.20

ინტერვალის ნომერი	ინტერვალი	ინტერვალში მონაცე-მების სიხშირეთა დათვლა	მონაცემთა ფარდობითი სიხშირე ინ-ტერვალებში
1	[140; 148]	1	0,05
2	[148; 156]	4	0,2
3	[156; 164]	3	0,15
4	[164; 172]	7	0,35
5	[172; 180]	5	0,25
ჯამი		n=20	1

5. ქვეინტერვალების კიდურა მონაცემებისათვის გამოთვლილი დაგროვილი $\tilde{N}_n(x)$ სიხშირეები ტოლია (n=20):

x=140, $\tilde{N}_{20}(140)=0$; x=148, $\tilde{N}_{20}(148)=0+1=1$

x=156, $\tilde{N}_{20}(156)=1+4=5$; x=164, $\tilde{N}_{20}(164)=8$

x=172, $\tilde{N}_{20}(172)=15$; x=180, $\tilde{N}_{20}(180)=20$

მიღებული შედეგების მიხედვით გამოთვლილი დაგროვილი ფარდობითი სიხშირეები შესაბამისად ტოლია: 0-ის; 0,05-ის; 0,25-ის; 0,4-ის; 0,75-ის; 1-ის.

დაგროვილ სიხშირეთა განაწილებაა:

ცხრილი 2.21

ინტერვალის ნომერი	ინტერვალი	დაგროვილი სიხშირე	დაგროვილი ფარდობითი სიხშირე
1	[140; 148]	1	0,05
2	[148; 156]	5	0,25
3	[156; 164]	8	0,4
4	[164; 172]	15	0,75
5	[172; 180]	20	1

მაგალითი 2.21. თუ ზემოთ განხილულ მაგალითში მონაცემთა დაჯგუფება მოხდება 8 ინტერვალად:

ა) რისი ტოლი იქნება ქვეინტერვალის სიგრძე და დაყოფის რა ქვეინტერვალები მიიღება?

ბ) გამოითვალეთ ქვეინტერვალებში მონაცემთა სიხშირე და ფარდობითი სიხშირე, მონაცემთა დაგროვილი სიხშირეები და დაგროვილი ფარდობითი სიხშირეები.

გ) როგორ შეამოწმებთ, რომ დაჯგუფებული მონაცემებისათვის სიხშირეები და ფარდობითი სიხშირეები სწორადაა ჩაწერილი?

§7. დაჯგუფებული მონაცემების სიხშირეთა გრაფიკული წარმოდგენა. ჰისტოგრამა. ოგივა. პოლიგონი. მოდალური ინტერვალი

ა) ჰისტოგრამის აგება.

ჰისტოგრამა – წარმოადგენს ქვეინტერვალებზე აშენებულ მართკუთხედებს, რომელთა სიმაღლეები შესაბამისად მითითებულ ქვეინტერვალის მონაცემთა სიხშირის (ფარდობითი სიხშირის) ინტერვალის სიგრძეზე განაყოფის ტოლია.

სიხშირეთა ჰისტოგრამას არტერიული სისტოლური წნევისათვის აქვს შემდეგი სახე:



ნახ. 2.10

ინტერვალის სიგრძე n=8, სიმაღლეებია: 0,125; 0,5; 0,375; 0,875; 0,625.

ქვეინტერვალს, რომლის მონაცემთა სიხშირე ყველაზე მეტია, **მოდალური ინტერვალი** ეწოდება. ჩვენს მაგალითში მოდალური ინტერვალია 164-172.

ბ) ოგივას აგება

ოგივა საკოორდინატო სიბრტყის იმ წერტილების შემაერთებელი ტეხილია, რომელთა აბსცისები ქვეინტერვალების მარცხენა საზღვრებია, ორდინატები კი – შესაბამისი დაგროვილი სიხშირეები (ან ფარდობითი სიხშირეები).

დაგროვილი ფარდობითი სიხშირეებისათვის აგებული ოგივა ნახ. 2.11 -ით მოცემული მრუდისაგან მხოლოდ მასშტაბით განსხვავდება.

ჩვენს მაგალითში დაგროვილი სიხშირეების მიხედვით აგებულ ოგივას ასეთი სახე აქვს:

გ) სიხშირეთა (ფარდობით სიხშირეთა) პოლიგონის აგება



ნახ. 2.11

დაგროვილ სიხშირეთა ოგივა

პოლიგონი საკოორდინატო სიბრტყის იმ წერტილების შემაერთებელი ტეხილია, რომელთა აბსცისები ქვეინტერვალების შუა წერტილებია, ორდინატები კი შესაბამისი სიხშირეები ან ფარდობითი სიხშირეები. ამასთან, ტეხილის ბოლოები შეერთებულია აბსცისათა ღერძის იმ წერტილებთან, რომლებიც პირველი და ბოლო ქვეინტერვალის შუა წერტილებიდან დაშორებულია ქვეინტერვალის სიგრძით (შესაბამისად მარცხნივ და მარჯვნივ).

გავიხსენოთ, რომ (a,b) ინტერვალის შუა წერტილი გამოითვლება ფორმულით: a+b/2.



ნახ. 2.12

სიხშირეთა პოლიგონი არტერიული წნევისათვის. ინტერვალის სიგრძე h=8, სიმაღლეებია: 0,125; 0,5; 0,375; 0,875; 0,625.

ფარდობით სიხშირეთა ჰისტოგრამა საშუალებას იძლევა ვიზუალურად შეფასდეს სტატისტიკური მონაცემების ფარდობით სიხშირეთა „განაწილების კანონი“.

კითხვები განმეორებისათვის

1. რა არის ჰისტოგრამა? როგორი მონაცემებისთვის აიგება ჰისტოგრამა?
2. რამდენი სახის ჰისტოგრამა შეიძლება აიგოს ერთი და იგივე მონაცემებისათვის?
3. რას წარმოადგენს ოგივა?
4. რა არის პოლიგონი? აღწერეთ პოლიგონის აგების სქემა.

შევნიშნოთ, რომ გარეგნული მსგავსების მიუხედავად, სვეტოვან დიაგრამასა და ჰისტოგრამას შორის არის არსებითი განსხვავება. სვეტოვანი დიაგრამის სვეტებს შორის შეიძლება იყოს ადგილები, სვეტების ფუძეების შესაბამის ღერძზე წარწერები უბრალოდ აღნიშნავენ ცვლადის კატეგორიებს, ხოლო მათ მიმდევრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. ჰისტოგრამის სვეტებს შორის არ არის ადგილები და ფუძეების შესაბამის ღერძზე მონიშნულია უწყვეტი რიცხვითი ცვლადის მნიშვნელობები, რომლებიც მთლიანად უნდა მოიცავდნენ უწყვეტი ცვლადის შესაძლო ცვლილების მთელ დიაპაზონს.

მაგალითი 2.22. იხ.[11] ცხრილში 2.22 მოცემულია 60 ერთტიპური მონ- სტრუქტურის დიელექტრიკული ფენების გამრღვევი ძაბვის გაზომვის შედეგები, რომლებიც ფიქსირებულია საზომ დანადგარზე მათი შემოსვლის თანმიმდევრობით.

60 ერთტიპური მონ სტრუქტურის დიელექტრიკული ფენების გამრღვევი ძაბვა ვოლტებში

ცხრილი 2.22

153	158	161	168	165	161	164	168	173	163
150	159	163	165	168	171	151	161	163	171
161	155	157	161	163	167	172	158	162	166
157	156	160	164	162	166	169	172	152	158
162	167	170	154	157	160	159	155	162	171
170	162	154	156	160	166	159	165	160	169

დააჯგუფეთ მონაცემები ინტერვალებად. ჩაწერეთ სიხშირეთა ინტერვალური განაწილების ცხრილი და ააგეთ სიხშირეთა განაწილების ჰისტოგრამა, ოგივა, პოლიგონი.

აღმოაჩინე შეცდომები:

ა) $h = \dfrac{170 - 130}{8} = 5$

ბ) 60 ერთტიპური მონ-სტრუქტურის დიელექტრიკული ფენების გამრღვევი ძაბვის სიხშირეთა ინტერვალური განაწილება

ცხრილი 2.23.

ინტერვალის (კლასის) №	ინტერვალი		მონაცემები	სიხშირე, m_i
	≥	<		
1	130	153					3
2	153	156	~~||||~~	5
3	156	159	~~||||~~ |||	8
4	159	162	~~||||~~ ~~||||~~ ||	12
5	162	165	~~||||~~ ~~||||~~		11
6	165	168	~~||||~~ |||	8
7	168	171	~~||||~~ ||	7
8	172	174	~~||||~~		6

$\sum m_i=60$

გ)



ნახ. 2.13 გამრღვევი ძაბვის ჰისტოგრამა

მაგალითი 2.23 . მოცემულია 100 მაღაზიაში ტელევიზორების გაყიდვის მონაცემები

ცხრილი 2.24.

გაყიდული ტელევიზორების რაოდენობა	მაღაზიების რაოდენობა
[100; 200]	0
[200; 300]	5
[300; 400]	39
[400; 500]	31
[500; 600]	16
[600; 700]	6
[700; 800]	3

ამ მონაცემების მიხედვით შეასრულეთ შემდეგი სავარჯიშოები:

1 შეადგინეთ ფარდობით სიხშირეთა განაწილების ცხრილი.

2. შეადგინეთ დაგროვილ სიხშირეთა განაწილების ცხრილი.

3. შეადგინეთ დაგროვილი ფარდობით სიხშირეთა განაწილების ცხრილი.

4. ააგეთ სიხშირეთა და ფარდობით სიხშირეთა ჰისტოგრამები.

5. ააგეთ სიხშირეთა და ფარდობით სიხშირეთა პოლიგონები.

6. ააგეთ დაგროვილ სიხშირეთა ოგივა და დაგროვილ ფარდობით სიხშირეთა ოგივა.

7. ააგეთ დაგროვილი ფარდობით სიხშირეთა გრაფიკი (კუმულატა).

§8. რიცხვითი მახასიათებლები დაჯგუფებული მონაცემებისათვის. სიხშირეთა განაწილების ტიპობრივი ფორმები

რიცხვითი მახასიათებლების განსაზღვრა დაჯგუფებული მონაცემებისათვის ხელსაყრელია იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა რაოდენობა დიდია, ან მონაცემთა მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ დაჯგუფებული სახით და ამავე დროს გვაკმაყოფილებს მიღებული მიახლოებითი პასუხის სიზუსტე.

მაგალითი 2.24. ცხრილით მოცემულია ფირმის ოფისის ერთ-ერთი ტელეფონიდან ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად განხორციელებული საერთაშორისო სატელეფონო საუბრების დრო (წუთებში):

6,2 11,2 10,4 6,8 5,5 6,1

15,3 12,3 8,5 2,3 18,7 8,8

10,2 8,0 11,4 13,5 9,6 19,5

8,9 9,1 7,7 15,9 12,1 11,7

11,8 3,6 16,6 7,2 4,8 14,5

დავაჯგუფოთ მონაცემები ტოლი სიგრძის ქვეინტერვალებად (კლასებად). უმცირესი მონაცემია 2,3; უდიდესია 19,5. 2,3 დავამრგვალოთ მთელამდე ნაკლებობით, ხოლო 19,5 მეტობით (მონაცემთა დიაპაზონი გაიზრდება მთელამდე სიზუსტით) (2,3) 2 (19,5) 20. დავყოთ მიღებული შუალედი (2;20) ექვს ტოლ ქვეინტერვალად. ინტერვალის სიგრძე:

$h=\frac{20-2}{6}=\frac{18}{6}=3$ მონაცემთა ქვეინტერვალებად (კლასებად) დაჯგუფებისა და შესაბამისი ინტერვალური სიხშირეების დათვლის შედეგებია:



ნახ. 2.14

დაყოფის ინტერვალების საზღვრებია: 2 5 8 11 14 17 20.
ინტერვალებში შესაბამისი n_i სიხშირეებია: 3 6 8 7 4 2.
ქვეინტერვალებში მოხვედრილ მონაცემთა სიხშირეები შეიძლება დაითვალოს ფოთლებიანი ღეროების მსგავსი დიაგრამითაც.

ავაგოთ სიხშირეთა განაწილების ჰისტოგრამა და პოლიგონი.

რადგან დაჯგუფება მოხდა ტოლი სიგრძის ქვეინტერვალებად, ამიტომ ჰისტოგრამის აგებისას დაჯგუფების ინტერვალებზე აგებული მართკუთხედების სიმაღლეებად შეგვიძლია ავიღოთ შესაბამის ინტერვალში მოხვედრილ მონაცემთა ჯამური სიხშირის განაყოფი ინტერვალის სიგრძეზე, რადგან ვაგებთ სიხშირეთა განაწილების ჰისტოგრამას და პოლიგონს (ან ჯამური

ფარდობითი სიხშირეების განაყოფი ინტერვალის სიგრძეზე, თუ ვაგებთ ფარდობით სიხშირეთა ჰისტოგრამას ან პოლიგონს).

აგებული მართკუთხედების ფართობები შესაბამის ინტერვალში მონაცემთა სიხშირეების (ან ფარდობითი სიხშირეების) ტოლი უნდა იყოს.

სიხშირეთა განაწილების ჰისტოგრამას აქვს შემდეგი სახე:



სატელეფონო საუბრების ხანგრძლივობა წთ-ში. ნახ. 2.15

დავალება: ააგეთ სიხშირეთა განაწილების პოლიგონი და მისი ფორმა შეადარეთ აგებული ჰისტოგრამის ფორმას.

მოდალურია ის ქვეინტერვალი (კლასი), რომლის შესაბამისი დაგროვილი ფარდობით სიხშირე უდიდესია.

სიხშირეთა აგებული ჰისტოგრამა და პოლიგონი სიმეტრიული (**ზარისებური**) ფორმისაა. [8,11] ქვეინტერვალი წარმოადგენს მოდალურ კლასს, რაც იმას ნიშნავს, რომ სატელეფონო საუბრების მაქსიმალური სიხშირე დაფიქსირდა 8 წთ-დან 11 წთ-იანი ხანგრძლივობით.

კლასებად (ქვეინტერვალებად) **დაჯგუფებული მონაცემების არითმეტიკული საშუალო** $\overline{X}$ **ასე** გამოითვლება:

ყოველი ქვეინტერვალის „შუა წერტილი“ (შესაბამისი კოორდინატი) უნდა გავამრავლოთ ამ ქვეინტერვალში მოხვედრილ მონაცემთა სიხშირეზე, შევაჯამოთ და გავყოთ მონაცემთა რაოდენობაზე.

თუ დაყოფის i-ური ქვეინტერვალისათვის აღვნიშნავთ: „შუა წერტილს“ $\tilde{x}_i$-ით, მონაცემთა სიხშირეს ქვეინტერვალში კი $\tilde{n}_i$-ით მაშინ

$$\overline{X} = \frac{1}{n}(\tilde{n}_1\tilde{x}_1 + \tilde{n}_2\tilde{x}_2 + \ldots + \tilde{n}_k\tilde{x}_k)$$

სადაც n არის მონაცემთა რაოდენობა, k - დაყოფის ქვეინტერვალთა რაოდენობა.

შევადგინოთ სატელეფონო საუბრების სიხშირეთა ინტერვალური განაწილების შემდეგი ცხრილი 2.25. (წთ-ში).

ცხრილი 2.25.

ინტერვალი i	შუა წერტილი $\tilde{x}_i$	სიხშირე ინტერვალში $\tilde{n}_i$	ნამრავლი $\tilde{n}_i\,\tilde{x}_i$
[2; 5]	3,5	3	10,5
[5; 8]	6,5	6	39
[8; 11]	9,5	8	76
[11; 14]	12,5	7	87,5
[14; 17]	15,5	4	62
[17; 20]	18,5	2	37
ჯამი		30	312

განხილული მეთოდით გამოთვლილი არითმეტიკული საშუალოა:

$$\overline{X} = \frac{3{,}5\cdot 3 + 6{,}5\cdot 6 + 9{,}5\cdot 8 + 12{,}5\cdot 7 + 15{,}5\cdot 4 + 18{,}5\cdot 2}{30} = \frac{312}{30} \approx 10{,}4$$

ამრიგად, მითითებული სატელეფონო საუბრების საშუალო დღიური დანახარჯია 10,4 წთ.

არითმეტიკული საშუალოდან მონაცემების გაფანტულობის საზომია დისპერსია და სტანდარტული გადახრა. გამოვთვალოთ ეს მახასიათებლები დაჯგუფებული მონაცემებისათვის.

დაჯგუფებული მონაცემების დისპერსია S^2 ასე გამოითვლება:

ყოველი ქვეინტერვალის „შუა წერტილის“ კვადრატისა და ამ ინტერვალში მონაცემთა სიხშირის ნამრავ-

ლების ჯამს უნდა გამოვაკლოთ მონაცემთა მოცულობის და არითმეტიკული საშუალოს კვადრატის ნამრავლი და მიღებული შედეგი გავყოთ მონაცემთა ერთი ერთეულით შემცირებულ რაოდენობაზე.

$$S^2 = \frac{(\tilde{n}_1\tilde{x}_1{}^2 + \tilde{n}_2\tilde{x}_2{}^2 + \ldots + \tilde{n}_k\tilde{x}_k{}^2) - n(\overline{X}^2)}{n-1}$$

სტანდარტული გადახრა $S = \sqrt{S^2}$

გამოთვლების გასაიოლებლად შევადგინოთ შემდეგი ცხრილი 2.26:

ცხრილი 2.26.

ინტერვალი i	შუა წერტილი $\tilde{x}_i$	$\tilde{x}_i{}^2$	სიხშირე ინტერვალში $\tilde{n}_i$	$\tilde{n}_i\tilde{x}_i$	$\tilde{n}_i\tilde{x}_i{}^2$
[2; 5]	3,5	12,25	3	10,5	36,75
[5; 8]	6,5	42,25	6	39	253,50
[8; 11]	9,5	90,25	8	76	722
[11; 14]	12,5	156,25	7	87,5	1093,75
[14; 17]	15,5	240,25	4	62	961
[17; 20]	18,5	342,25	2	37	684,5
ჯამი			30	312	

$$S^2 = \frac{1}{30} 3\cdot(3,5)^2 + 6\cdot(6,5)\ \ +8\cdot(9,5)^2\cdot 7\cdot(12,5)^2\cdot +4\cdot(15,5)^2\cdot +2\cdot(18.5)^2 - 30\cdot(10,4)^2 =$$

$$= \frac{1}{29}(3751,5 - 3244,8) \approx 17,47$$

$$S = \sqrt{17,47} \approx 4,18$$

განხილულ მაგალითში აღმოჩნდა, **რომ არითმეტიკული საშუალო $\overline{X}$≈10,4 მოთავსებულია მოდალურ [8;11] ინტერვალში**. ამდენად, **სიხშირეთა განაწილების პოლიგონი და ჰისტოგრამა სიმეტრიულია $\overline{X}$≈10,4 წრფის მიმართაც.** ასეთ შემთხვევაში, **გარკვეულ „სტანდარტულ" ინტერვალებში მოხვედრილ მონაცემთა პროცენტული რაოდენობები შეიძლება მიახლოებით გამოითვალოს ცნობილი წესით. კერძოდ:**

ა) ინტერვალი [$\overline{X}$-S; $\overline{X}$+S] შეიცავს მონაცემთა 68%-ს.

ბ) ინტერვალი [$\overline{X}$-2S; $\overline{X}$ 2S] შეიცავს მონაცემთა 95%-ს.

გ) ინტერვალი [$\overline{X}$-3S; $\overline{X}$+3S] შეიცავს მონაცემთა 99%ს.

დ) ინტერვალი [$\overline{X}$-4S; $\overline{X}$+4S] შეიცავს პრაქტიკულად ყველა მონაცემს.

საზოგადოდ, ზარისებული პოლიგონის შემთხვევაში [$\overline{X}$-4S; $\overline{X}$+4S] შუალედი წარმოადგენს დაჯგუფებული მონაცემების დიაპაზონს.

ჩვენი მაგალითის შემთხვევაში [$\overline{X}$-2S; $\overline{X}$+2S] არის [2,04; 18,76] შუალედი. მას არ ეკუთვნის მხოლოდ ერთი 19,5-ის ტოლი მონაცემი, რაც შეადგენს 30 მონაცემის 3,3%-ს. ე.ი. ამ შუალედში აღმოჩნდა მონაცემების 96,7%, რაც თეორიულ (95%-იან) წესს მიახლოებით ეთანადება. ეს ნიშნავს, რომ სატელეფონო საუბრების ძირითადი მასა ამ შუალედშია გაბნეული. თუმცა დიაპაზონია [$\overline{X}$- 4S; $\overline{X}$+4S] შუალედი.

სიხშირეთა (ფარდობით სიხშირეთა) ჰისტოგრამისა და პოლიგონის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ განაწილებათა ტიპობრივი ფორმები, რაც მნიშვნელოვანია შემდეგში მონაცემთა სიხშირეების განაწილებათა შედარებისას. ცხადია, პოლიგონის შესაბამისი ტეხილი (ასევე ჰისტოგრამა) მით უფრო მიიღებს მრუდის (წირის) სახეს, რაც უფრო დიდი რაოდენობის მონაცემებს და დაჯგუფებების ქვეინტერვალებს განვიხილავთ, ამასთან რაც უფრო მცირე იქნება ქვეინტერვალის სიგრძე. ამიტომ სიხშირეთა განაწილების სავარაუდო გავრცელებული ფორმები გრაფიკულად შეგვიძლია შემდეგი მრუდების (წირების) მეშვეობით წარმოვიდგინოთ:

მრუდი სიმეტრიულია. b მრუდი უფრო მდორედ (ნელა) იცვლება, ვიდრე *a* მრუდი. კიდურა მნიშვნელობები უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე შუალედური. აქვს ერთი წვერო.



ნახ. 2.17

სიხშირეთა (ფარდობით სიხშირეთა) განაწილების სიმეტრიული ტიპი



ნახ. 2.18.



ნახ. 2.19.

სიხშირეთა (ფარდობით სიხშირეთა) განაწილების ასიმეტრიული ტიპი

უმრავლეს შემთხვევაში უმჯობესია დაკვირვების მონაცემები თავიდანვე ჩაიწეროს სიხშირეთა ინტერვალური განაწილების (დაჯგუფებული) სახით. ეს ხდება მაშინ, როდესაც მონაცემთა რაოდენობა დიდია და ძნელია ცალ-ცალკე გამოირჩეს ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ინდივიდუალური მონაცემები.

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის

მაგალითი 2.25. მოცემულია მონაცემები ერთ-ერთ დიდ სავაჭრო ცენტრში საქონლის რეალიზაციით შემოსული თანხების დღეების მიხედვით განაწილების შესახებ (100 დღის განმავლობაში, 1000 ლარებში).

ცხრილი 2.27.

ინტერვალი n_i	ნავაჭრი თანხა	დღეების სიხშირე
1	[100; 200)	1
2	[200; 300)	4
3	[300; 400)	31
4	[400; 500)	38
5	[500; 600)	20
6	[600; 700)	5
7	[700; 800)	1

ა) შეადგინეთ ფარდობით სიხშირეთა განაწილების ცხრილი.

ბ) ააგეთ ფარდობით სიხშირეთა ჰისტოგრამა და პოლიგონი.

გ) დაახასიათეთ, როგორია განაწილების ფორმა (სიმეტრიულია თუ ასიმეტრიული).

დ) იპოვეთ მოდალური შუალედი, რამდენ დღეში დაფიქსირდა ყველაზე ხშირი შემოსავლების რაოდენობა და რას შეადგენს იგი.

ე) იპოვეთ შემოსავლების არითმეტიკული საშუალო.

ვ) იპოვეთ სტანდარტული გადახრა.

ზ) თუ ჩავთვლით, რომ შესაძლებელია მონაცემთა დიაპაზონის პოვნა, იპოვეთ იგი.

კითხვები გამეორებისათვის

1. როდის იყენებენ დაჯგუფებული მონაცემების რიცხვითი მახასიათებლების განსაზღვრას.

2. ამ შემთხვევაში როგორ პასუხს ვღებულობთ ზუსტს, თუ მიახლოებითს?

3. რას წარმოადგენს მოდალური კლასი?

4. რას წარმოადგენს არითმეტიკული საშუალო დაჯგუფებული მონაცემებისათვის? როგორ გამოითვლება იგი?

5. როგორ შეიძლება გამოვთვალოთ დისპერსია და სტანდარტული გადახრა დაჯგუფებული მონაცემებისათვის.

მაგალითი 2.26. ამოწერეთ მაგალითი 2.24-ის მონაცემები და გამოთვალეთ მონაცემთა რამდენ პროცენტს შეიცავს

ა) $[\overline{X}$-4S; $\overline{X}$+4S] ინტერვალი? $[\overline{X}$-3S; $\overline{X}$+3 S] ინტერვალი? $[\overline{X}$- S; $\overline{X}$+S] ინტერვალი?

ბ) იპოვეთ მედიანა და მოდა საწყისი მონაცემებისათვის.

გ) იპოვეთ არითმეტიკული საშუალო საწყისი მონაცემებისათვის. შეადარეთ მონაცემთა დაჯგუფებით მიღებულ პასუხს.

დ) იპოვეთ სტანდარტული გადახრა საწყისი მონაცემებისათვის და შეადარეთ მონაცემთა დაჯგუფებით მიღებულ პასუხს.

მაგალითი 2.27. სასურსათო მაღაზიის მარკეტინგის კონსულტანტმა შეისწავლა 30 მყიდველის მიერ მაღაზიაში დახარჯული თანხის რაოდენობა ლარებში. დაკვირვების რიგის მიხედვით მონაცემები მოცემულია ცხრილით:

10; 5; 8; 6; 1; 7; 15; 31; 32; 35; 42; 3; 9; 4; 5

40; 29; 30; 45; 22; 21; 11; 13; 15; 38; 30; 30; 17; 30; 14

დაყავით მონაცემთა ცვლილების არე 8 ტოლ ინტერვალად. იპოვეთ:

ა) დაყოფის ინტერვალები და ინტერვალებში მონაცემთა სიხშირეები და ფარდობითი სიხშირეები.

ბ) ააგეთ სიხშირეთა და ფარდობით სიხშირეთა განაწილების ჰისტოგრამები. იპოვეთ მოდალური კლასი. სიხშირეთა განაწილებები დაახასიათეთ სიმეტრიულობის, გაშლილობის მიხედვით.

გ) გამოთვალეთ არითმეტიკული საშუალო დაჯგუფებული და დაუჯგუფებელი მონაცემებისათვის და პასუხები შეადარეთ ერთმანეთს.

დ) იპოვეთ მონაცემთა გაბნევის დიაპაზონი, გამოთვალეთ სტანდარტული გადახრა და შეისწავლეთ [$\overline{X}$-2S; $\overline{X}$+2S], [$\overline{X}$-3S; $\overline{X}$+3S] და [$\overline{X}$-4S; $\overline{X}$+4S] ინტერვალებში მონაცემთა პროცენტული შემადგენლობა.

მაგალითი 2.28. **[3]** მოცემულია მონაცემები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კუნძულზე დაავადებულ ადამიანთა რაოდენობების შესახებ.

ცხრილი 2.27.

ასაკობრივი ჯგუფები (ინტერვალები)	1-5	6-10	11-15	16-20	21-25	26-30	31-35	36-40
დაავადებულთა რაოდენობა (სიხშირე)	8	56	163	204	143	144	79	89

ცხრილი 2.28.

ასაკობრივი ჯგუფები (ინტერვალები)	41-45	46-50	51-55	56-60	61-65	66-70	71-75	76-80	81-85	ჯამი
დაავადებულთა რაოდენობა (სიხშირე)	44	48	41	26	18	18	3	3	1	1058

ა) ააგეთ სიხშირეთა განაწილების ჰისტოგრამა. არის თუ არა იგი სიმეტრიული?

ბ) იპოვეთ მოდალური შუალედი.

გ) ააგეთ განაწილების პოლიგონი. არის თუ არა იგი სიმეტრიული?

დ) გამოთვალეთ არითმეტიკული საშუალო და სტანდარტული გადახრა.

ე) იპოვეთ [$\overline{X}$-S; $\overline{X}$+S] შუალედში მოხვედრილ მონაცემთა პროცენტული რაოდენობა.

მაგალითი 2.29 **[3]** იმ ფირმის მენეჯერს, რომელსაც შეუკვეთეს ქალის 10 000 წყვილი ფეხსაცმლის შეკერვა, სურს გაარკვიოს რომელი ზომის რამდენი წყვილი ფეხსაცმელი უნდა შეკეროს ფირმამ.

რადგან ყველა მომხმარებლის გამოკითხვა შეუძლებელია, ამიტომ მენეჯერმა ალალბედზე 100 ქალისაგან მოიპოვა ინფორმაცია მათი ფეხსაცმელების ზომის შესა-

ხებ. მიღებული მონაცემების სიხშირეებისა და ფარდობითი სიხშირეების განაწილებები მოცემულია შემდეგი ცხრილით:

ცხრილი 2.29.

ზომა	34	35	36	37	38	39	40	41
სიხშირე	2	6	15	20	24	24	8	1
ფარდობითი სიხშირე	0,02	0,06	0,15	0,2	0,24	0,24	0,08	0,01

ფარდობითი სიხშირეები მიუთითებს იმ პროპორციას, რომლის მიხედვითაც განაწილდება შეკვეთა. ამიტომ მენეჯერმა ფარდობითი სიხშირეები გაამრავლა 10 000 და ფირმას წარუდგინა პროგნოზი შესაკერ ფეხსაცმელთა წყვილების რაოდენობების შესახებ:

ცხრილი 2.30.

ზომა	34	35	36	37	38	39	40	41
რაოდენობა	200	600	1500	2000	2400	2400	800	100

მაგალითი 2.30 [7] რაიონში გამოცხადდა წინასაშობაო შეჯიბრი მათემატიკაში მეთერთმეტეკლასელთა შორის: - თითოეული სკოლიდან მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ერთ მოსწავლეს. ამიტომ (რადგან შეჯიბრი წერითი უნდა ყოფილიყო) მასწავლებელმა მეთერთმეტეკლასელებს წარუდგინა სექტემბრიდან 10 დეკემბრამდე ოთხი წარმატებული მოსწავლის წერით ნამუშევრებში (დამოუკიდებელ საკლასო და საკონტროლო სამუშაოებში) მიღწეული შემდეგი შედეგები:

ცხრილი 2.31.

მოსწავლე	1	2	3	4	5	6	7	8	9	საშუალო
ზურა	8	10	9	8	9	10	8	10	9	9
ნატო	9	9	8	7	10	9	9	8	10	8,8
დათო	6	8	8	9	10	10	9	10	10	8,9
მაია	9	8	10	7	8	9	9	8	10	8,6

ამ მონაცემთა წარმოდგენის ხერხებზე მსჯელობისა და მცირე კამათის შემდეგ მოსწავლეებმა გადაწყვიტეს დაეთვალათ სხვა მახასიათებლებიც:

ცხრილი 2.32.

მოსწავლე	მოდა	მედიანა	არითმეტიკული საშუალო	დიაპაზონი	სტანდარტული გადახრა
ზურა	10	9	9	2	≈0,8
ნატო	9	9	8,8	3	≈0,9
დათო	10	9	8,9	4	≈1,3
მაია	8 და 9	9	8,7	3	≈0,9

(გამოთვლათა შედეგების სისწორე შეამოწმეთ დამოუკიდებლად)

ზემო მონაცემების საფუძველზე (მისი შედეგების სტაბილურობას ყველაზე მცირე სტანდარტული გადახრა ადასტურებს) ზურა საუკეთესო ჩანს. ტრენდის გათვალისწინებით კლასმა გადაწყვიტა, რომ დათო იყო გამარჯვებული და ის უკეთეს შედეგებს აჩვენებდა მათემატიკურ შეჯიბრში (თუ საწინააღმდეგო მოსაზრება გაგიჩნდათ, შეგიძლიათ დაასაბუთოთ).

მაგალითი 2.31 [7] ერთ-ერთ რძის ქარხანაში მიწვეულმა ექსპერტთა 6-კაციანმა ჯგუფმა აქ წარმოებული ხაჭოს გემოსა და სუნზე დეგუსტაციის შედეგები შეაფასა ქულებით, რომელიც მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 2.33.

ექსპერტთა ნომრები	შეაფასებები (ქულები)
1	44
2	43
3	44
4	43
5	45
6	44

ეს მონაცემები წარმოდგენილია წერტილოვანი ნახ (2.20) და მესერული დიაგრამებით, (ნახ. 2.21) ხოლო მონაცემთა ფარდობითი სიხშირეები - წრიულ დიაგრამაზე. (ნახ. 2.22) თითოეული დიაგრამის აგებისას დაშვებულია შეცდომა.

ჩაატარეთ აუცილებელი გამოთვლები, იპოვეთ ეს შეცდომები და გაასწორეთ ისინი.



წერტილოვანი დიაგრამა

ნახ.2.20.



მესერული დიაგრამა

ნახ. 2.21.



წრიული დიაგრამა

ნახ. 2.22.

მაგალითი 2.31. [7] ერთ-ერთ სკოლაში მეთერთმეტეკლასელებმა ჩაატარეს X კლასის მოსწავლე-რესპოდენტთა გამოკითხვა - „რამდენი შვილი ჰყავს თქვენს მშობლებს?“ კითხვაზე პასუხი გასცა 100-მა რესპოდენტმა, რომელთაგან არც ერთი წყვილი არ იყო ერთი დედ-მამის შვილი. პასუხები წინასწარ შედგენილ ცხრილში ფიქსირდებოდა, რომელმაც ბოლოს ასეთი სახე მიიღო:

ცხრილი 2.34.

შვილების რაოდენობა	1	2	3	4	5 და მეტი
სიხშირე n_i	20	52	18	7	3

დადგინდა ისიც, რომ ყველაზე მეტი შვილი (8 ბავშვი) იყო მხოლოდ ერთ ოჯახში.

ა) ჩაატარეთ ამ მონაცემთა ანალიზი. დაალაგეთ შვილების რაოდენობის ყველა მონაცემი არაკლებადი მიმდევრობით და იპოვეთ მონაცემთა ფარდობითი სიხშირეები, მოდა და მედიანა, საშუალო, დიაპაზონი, დისპერსია და სტანდარტული გადახრა.

ბ) მონაცემთა სიხშირეების მიხედვით წარმოადგინეთ შესაბამისი სვეტოვანი დიაგრამა, ფარდობით სიხშირეთა ჰისტოგრამა, ხაზოვანი დიაგრამა (ფარდობით სიხშირეთა პოლიგონი), წრიული დიაგრამა.

გ) მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დაადგინეთ სტატისტიკური დასკვნა მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ.

მაგალითი 2.32. დავალება ჯგუფური მეცადინეობისთვის. სტუდენტთა ჯგუფში ორგანიზებულად შეადგინეთ კითხვარი.

დასმული საკითხის შესაბამისად ჩაატარეთ გამოკითხვა სასწავლებელში (სტუდენტთა რაოდენობა შეიძლება იყოს 100-ზე ნაკლები), შეადგინეთ სიხშირეთა და ფარდობით სიხშირეთა ცხრილი. ააგეთ სათანადო დიაგრამები.

მაგალითი 2.33. თქვენს ბაღში 120 ძირი მსხმოიარე ვაშლის ხეა დასაკრეფი. როგორ განვსაზღვრავდით მოსავლიანობას, თუ შეგიძლიათ წინასწარ დაკრიფოთ ვაშლი მხოლოდ 6 ხეზე, როცა:

ა) ყველა ვაშლის ხე „კეხურაა“

ბ) 40 „ანტონოვკა“ და 80 „კეხურაა“

გ) 20 „ანტონოვკა“, 40 „შაფრანი“ და 60 „კეხურაა“

რომელი ჯიშის რამდენ ხეს შეარჩევდით თითოეულ შემთხვევაში? გაკეთებული დასკვნა რომელ შემთხვევაში იქნებოდა უფრო ზუსტი?

მაგალითი 2.34. შეაგროვეთ მონაცემები თქვენი ჯგუფის სტუდენტი (სკოლის ან უფროსკლასელი) ვაჟების ფეხსაცმელების ზომის შესახებ. მაგალითი 2.29.-ის მიხედვით რა დასკვნას გააკეთებდა ფირმის მენეჯერი თქვენს მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით? დაეხმარეთ მას.

სავარჯიშოები

1. ფირმის მოგება და ზარალი მის შემოსავლებსა და ხარჯებზეა დამოკიდებული.

დიაგრამაზე (ნახ. 2.23) მოცემულია, რამდენ ათას ლარს შეადგენს ტურისტული ფირმის შემოსავლები და ხარჯები თვეების მიხედვით მთელი წლის განმავლობაში.



ნახ. 2.23

დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

ა) რომელ თვეში იყო ფირმის შემოსავლები 30 ათასი ლარის ტოლი?

ბ) მოიგო თუ იზარალა ფირმამ აგვისტოში და რამდენი?

გ) რამდენი ათასი ლარი იზარალა სულ ფირმამ წლის ბოლო მეოთხედში (ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეების განმავლობაში)?

2. ცხრილში 2.35 თვეების მიხედვით წარმოდგენილია მონაცემები ახალშობილი გოგონების და ვაჟების რაოდენობათა შესახებ.

ცხრილი 2.35

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი-წადში
გოგონები	3537	3407	3866	3711	3775	3665	3621	3596	3491	3391	3160	3371	42591
ვაჟები	3743	3550	4017	4173	4117	3944	3964	3797	3712	3512	3392	3761	45682
ერთად	7280	6957	7883	7884	7892	7609	7585	7393	7203	6903	6552	7132	88273

მოცემული ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

ა) რამდენი გოგონა დაიბადა მაისში?

ბ) თუ მთელი წლის განმავლობაში ახალშობილი ვაჟების რაოდენობა გოგონების რაოდენობაზე ხ-ითაა მეტი, მაშინ:

გ) რომელ თვეში იყო ახალშობილ ვაჟთა რაოდენობა ყველაზე მცირე?

დ) რამდენი თვეა ისეთი, რომელშიც ახალშობილთა საერთო რაოდენობა 7800-ზე მეტია?

ე) შეადარეთ ახალშობილ გოგონათა და ვაჟთა წლიური საშუალო რიცხვი. იპოვეთ თითოეული მათგანიდან გადახრის მაჩვენებლები.

3. ფსიქოლოგის თხოვნაზე, დაესახელებინათ თავისუფალი დროის გატარების მხოლოდ ერთი, მათთვის ყველაზე საყვარელი ფორმა, სტუდენტებმა დაასახელეს: მეგობრებთან ურთიერთობა, ტელევიზორის ყურება, მუსიკის მოსმენა, წიგნის კითხვა, სეირნობა.

სვეტოვან დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებსაც

თავისუფალი დროის ამა თუ იმ ფორმით გატარება უყვართ.

ნახ.2.24



მოცემული დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

ა) თავისუფალი დროის გატარების რომელი ფორმა დაასახელა სტუდენტთა ყველაზე მცირე ნაწილმა?

ბ) რამდენჯერ მეტია იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებმაც დაასახელეს ტელევიზორის ყურება, იმ სტუდენტთა რაოდენობაზე, რომლებმაც დაასახელეს მუსიკის მოსმენა?

გ) სტუდენტთა რამდენმა პროცენტმა დაასახელა წიგნის კითხვა?

დ) იმ სტუდენტების რაოდენობათა ჯამი, რომლებმაც დაასახელეს მეგობრებთან ურთიერთობა და სეირნობა, გამოკითხულთა საერთო რაოდენობის:ა) ნახევარზე მეტია, ბ) ნახევარზე ნაკლებია, გ) ნახევარზე ნაკლებია მაგრამ მესამედზე მეტია, დ) მესამედია, ე) მესამედზე ნაკლებია, მაგრამ მეოთხედზე მეტია.

ე) იპოვეთ გამოკითხულ სტუდენტთა რაოდენობა.

4. ახალ მხატვრულ ფილმს 4 დღის განმავლობაში უჩვენებდნენ. ფილმის ჩვენებას ყველაზე მეტი მაყურებელი პირველ დღეს დაესწრო. ყოველ მომდევნო დღეს კი მაყურებელთა რაოდენობა წინა დღესთან შედარებით 50-ით მცირდებოდა. ბოლო დღეს ეს ფილმი ნახა 200-მა მაყურებელმა საშუალოდ დღეში რამდენ მაყურებელს უნახავს ეს ფილმი?

5. ცხრილში 2.36 მითითებულია, თუ რამდენი ლარი იყო ზოგიერთი საკვები პროდუქტის საშუალო ფასი სხვადასხვა წელს (1995 წლიდან 1998 წლის ჩათვლით)

ცხრილი 2.36.

	1995	1996	1997	1998
საქონლის ხორცი (1 კგ)	3.72	3.30	3.80	4.10
ღორის ხორცი (1 კგ)	3.88	3.70	4.00	4.20
ქათამი (1 კგ)	4.62	4.50	4.00	3.62
კვერცხი (10 ცალი)	1.30	1.40	1.50	1.60
კარაქი (1 კგ)	5.20	5.00	5.00	6.20
ყველი (1 კგ)	4.90	3.80	3.80	3.80
შაქრის ფხვნილი (1 კგ)	0.80	0.91	0.84	0.97
ხორბლის ფქვილი (1 კგ)	0.85	1.00	0.94	1.00
ღვინო (0,7 ლ.)	1.13	1.37	1.37	1.37

მოცემული ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

ა) რამდენი ლარი იყო 1 კგ ყველის საშუალო ფასი 1995 წელს?

ბ) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი პროდუქტის საშუალო ფასი შემცირდა 1997 წელს წინა წელთან შედარებით?

გ) რომელი პროდუქტის საშუალო ფასი იმატებდა ყოველწლიურად 1995-1998 წლებში?

დ) რა ფარგლებში მერყეობდა (იცვლებოდა) ღორის ხორცის საშუალო ფასი 1995-1998 წლებში?

6. სვეტოვან დიაგრამაზე წარმოდგენილია მაღაზიაში ერთი თვის განმავლობაში გაყიდული სხვადასხვა სახის სათამაშოთა რაოდენობები:



ნახ.2.25

მოცემული დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

ა) რა სახის სათამაშოები გაიყიდა მაღაზიაში და რამდენი?

ბ) რა სახის სათამაშოები გაყიდულა ყველაზე დიდი რაოდენობით?

გ) რამდენჯერ ნაკლებია გაყიდული კონსტრუქ-ტორების რაოდენობა გაყიდული მანქანების რაოდე-ნობაზე?

დ) გაყიდული სათამაშოების საერთო რაოდენობის რამდენი პროცენტია გაყიდული ნაძვის ხის სათამაშოების რაოდენობა?

ე) გაყიდულ სათამაშოთა საერთო რაოდენობის მეოთხედზე მეტია, მაგრამ მესამედზე ნაკლები.

7. მეწარმის შემოსავალი იანვარში 1000 ლარი იყო. თებერვალში მისი თვიური შემოსავალი 100 ლარით გაიზარდა, მარტში - კიდევ 100 ლარით. აპრილიდან მოყო-ლებული სამი თვის განმავლობაში მეწარმის შემოსავალი ყოველთვიურად 200 ლარით მცირდებოდა. საშუალოდ რამდენი ლარი იყო მეწარმის შემოსავალი თვეში ამ 6 თვის მონაცემებით?

8. სვეტოვან დიაგრამაზე წარმოდგენილია მაღაზიაში ერთი თვის განმავლობაში გაყიდული სხვადასხვა სახის სათამაშოთა რაოდენობები:



ნახ. 2.26

მოცემული დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

ა) სულ რამდენი სათამაშო გაიყიდა?

ბ) რა სახის სათამაშოები გაყიდულა ყველაზე დიდი რაოდენობით?

გ) რამდენჯერ ნაკლებია გაყიდული კონსტრუქტორების რაოდენობა გაყიდული მანქანების რაოდენობაზე?

დ) გაყიდული სათამაშოების საერთო რაოდენობის რამდენი პროცენტია გაყიდული ნაძვის ხის სათამაშოების რაოდენობა?

ე) მანქანების და თოჯინების რაოდენობის ჯამი. გაყიდულ სათამაშოთა საერთო რაოდენობის მეოთხედზე მეტია, მაგრამ მესამედზე ნაკლები? დაასაბუთეთ.

ვ) საშუალოდ დღეში რამდენი სათამაშო იყიდებოდა?

ზ) საშუალოდ დღეში რამდენი ბურთი გაიყიდა?

შენიშვნა: იყო ნოემბრის თვე.

9. მეწარმის შემოსავალი იანვარში 3000 ლარი იყო. თებერვალში მისი თვიური შემოსავალი 100 ლარით გაიზარდა, მარტში - კიდევ 200 ლარით. აპრილიდან მოყოლებული სამი თვის განმავლობაში მეწარმის შემოსავალი ყოველთვიურად 200 ლარით მცირდებოდა. სულ რამდენი ლარი იყო თვეში მეწარმის საშუალო შემოსავალი ამ 6 თვის მონაცემებით?

10. ცხრილში 2.37 მითითებულია, თუ რამდენი ლარი იყო ზოგიერთი საკვები პროდუქტის საშუალო ფასი სხვადასხვა წელს (1995 წლიდან 1998 წლის ჩათვლით)

ცხრილი 2.37.

	1995	1996	1997	1998
საქონლის ხორცი (1 კგ)	3.72	3.30	3.80	4.10
ღორის ხორცი (1 კგ)	3.88	3.70	4.00	4.20
ქათამი (1 კგ)	4.62	4.50	4.00	3.62
კვერცხი (10 ცალი)	1.30	1.40	1.50	1.60
კარაქი (1 კგ)	5.20	5.00	5.00	6.20
ყველი (1 კგ)	4.90	3.80	3.80	3.80
შაქრის ფხვნილი (1 კგ)	0.80	0.91	0.84	0.97
ხორბლის ფქვილი (1 კგ)	0.85	1.00	0.94	1.00
ღვინო (0,7 ლ.)	1.13	1.37	1.37	1.37

მოცემული ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

ა) რამდენი ლარი იყო 1 კგ ყველის საშუალო ფასი 1995 წელს?

ბ) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი პროდუქტის საშუალო ფასი შემცირდა 1997 წელს წინა წელთან შედარებით?

გ) რომელი პროდუქტის საშუალო ფასი იმატებდა ყოველწლიურად 1995-1998 წლებში?

დ) რა ფარგლებში მერყეობდა (იცვლებოდა) ღორის ხორცის საშუალო ფასი 1995-1998 წლებში?

11. ცხრილში 2.38 მოცემულია ქალაქის მერის არჩევნების შედეგები. ქალაქი ხუთ საარჩევნო უბნად იყო დაყოფილი. არჩევნებში მხოლოდ ორმა - M და N კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა. გაიმარჯვა იმ კანდიდატმა, რომელმაც მეტი ხმა დააგროვა. განსაზღვრეთ, რომელ უბანში მიიღო გამარჯვებულმა კანდიდატმა ყველაზე მეტი ხმა?

შენიშვნა: იგულისხმება, რომ არჩევნებში ყველა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა და თითოეულმა მათგანმა ხმა მხოლოდ ერთ კანდიდატს მისცა.

ცხრილი 2.38

უბანი	**ამომრჩეველთა რაოდენობა**	**M კანდიდატის მომხრეთა პროცენტული რაოდენობა**	**N კანდიდატის მომხრეთა პროცენტული რაოდენობა**
1	1800	60%	40%
2	1000	25%	75%
3	700	50%	50%
4	1200	50%	50%
5	1800	75%	25%

12. ელენეს თავისი ელექტრონული ფოსტის კოდი დაავიწყდა. მას ახსოვს, რომ კოდი 6 სიმბოლოსგან შედგება. ამასთან, პირველი ოთხი სიმბოლო მისი სახელის პირველი ოთხი ასოა, მეხუთე სიმბოლო ციფრია, ხოლო

ბოლო სიმბოლო ხმოვანია (ა, ე, ი, ო, უ). ყველაზე უარეს შემთხვევაში, რამდენი ვარიანტის გადასინჯვა მოუწევს ელენეს თავისი კოდის მისაგნებად?

13. დიაგრამაზე (ნახ. 2.27) მითითებულია ვიდეოგაქირავების სალონში არსებული სხვადასხვა ჟანრის ფილმების რაოდენობების პროცენტული განაწილება.



ნახ.2.27

განსაზღვრეთ დოკუმენტური ჟანრის ფილმების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი.

14. ავეჯის საამქრო ამზადებს მაგიდებს, სკამებს, საწოლებს და კარადებს, რომელთა დღიური რაოდენობები მითითებულია სვეტოვან დიაგრამაზე, ხოლო პროცენტული განაწილება - წრიულ დიაგრამაზე. ცნობილიაბ რომ ყოველდღე მზადდება იმდენივე სკამი, რამდენიც მაგიდა. დიაგრამებზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინეთ, დღეში დამზადებულ ნაკეთობათა საერთო რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენს კარადები?

15. ცხრილში 2.39 მოცემულია, რამდენი სტუდენტი სწავლობდა 2000-2005 წლებში ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების სპეციალობებზე.

ცხრილი 2.39.

	ჰუმანიტარული ფაკულტეტი			საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი			
	ფილო-ლოგია	ისტო-რია	ფსიქო ლოგია	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	გეოლო-გია
2000	160	120	90	80	30	45	40
2001	180	100	85	75	25	40	35
2002	190	110	80	85	20	35	25
2003	180	105	90	80	25	30	20
2004	175	110	95	70	30	45	35
2005	170	100	95	65	35	40	25

ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

ა) რომელ წლებში იყო იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობაზე სწავლობდნენ, უფრო მეტი, ვიდრე მათი საერთო რაოდენობა, ვინც იმავე ფაკულტეტის ბიოლოგიის ან გეოლოგიის სპეციალობებზე სწავლობდა?

ბ) რამდენჯერ მეტი იყო იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც 2001 წელს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობაზე სწავლობდნენ, მათ რაოდენობაზე, ვინც იმავე წელს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბიოლოგიის სპეციალობაზე სწავლობდა?

გ) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნაა მართებული ცხრილის მიხედვით?

1) ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტთა ნახევარზე მეტი ფილოლოგიის სპეციალობაზე სწავლობს.

2) იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობაზე სწავლობდნენ, ყოველწლიურად იკლებდა, ხოლო მათი, ვინც ფსიქოლოგიის სპეციალობაზე სწავლობდა - იმატებდა.

3) იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოლოგიის სპეციალობაზე სწავლობდნენ, 2000-2002 წლებში ყოველწლიურად იკლებდა, ხოლო 2003-2005 წლებში - იმატებდა.

4) საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობაზე ყოველ წელს უფრო მეტი სტუდენტი სწავლობდა, ვიდრე იმავე ფაკულტეტის სხვა დანარჩენ სპეციალობებზე (ერთად).

5) ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობაზე ყოველ წელს სტუდენტთა უფრო ნაკლები რაოდენობა სწავლობდა, ვიდრე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის ან ქიმიის სპეციალობებზე (ერთად).

16. ქალაქის მუნიციპალიტეტის დავალებით სხვადასხვა წლებში გამოიკვლიეს, ქალაქის მოსახლეობის რა ნაწილი სარგებლობს კერძო ტრანსპორტით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამა თუ იმ სახეობით (აქაც და შეკითხვებშიც საუბარია იმაზე, რა სახეობის ტრანსპორტით სარგებლობს მოსახლეობა უპირატესად). ცხრილში 2.40 მოცემულია, 1990-1996 წლებში ქალაქის მცხოვრებთა რამდენი პროცენტი სარგებლობდა კერძო ტრანსპორტით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემდეგი სახეობებით: ავტობუსით, მიკროავტობუსით, ტროლეიბუსით, ტრამვაით თუ მეტროპოლიტენით.

ცხრილი 2.40

	კერძო ტრანსპორტი	საზოგადოებრივი ტრანსპორტი				
		ავტობუსი	იკროავტობუსი	ტროლეიბუსი	ტრამვაი	ეტროპოლიტენი
1990	11	35	8	15	7	24
1991	10	33	8	12	7	30
1992	11	32	10	12	5	30
1993	17	28	11	15	3	26
1994	15	30	12	15	3	25
1995	14	32	12	14	2	26
1996	12	35	10	13	2	28

- უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

ა) ქალაქის მცხოვრებთა რამდენი პროცენტი მგზავრობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით 1995 წელს?

ბ) რომელ წლებში იყო იმ მცხოვრებთა რაოდენობა, რომლებიც ტროლეიბუსით მგზავრობდნენ, უფრო ნაკლები, ვიდრე მათი საერთო რაოდენობა, ვინც მიკროავტობუსით ან ტრამვაით მგზავრობდა?

გ) რამდენჯერ მეტი იყო იმ მცხოვრებთა რაოდენობა, რომლებიც 1994 წელს ავტობუსით სარგებლობდნენ, მათ რაოდენობაზე, ვინც იმავე წელს კერძო ტრანსპორტით სარგებლობდა?

- ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნაა მართებული ცხრილის მიხედვით?

1) ქალაქის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი ავტობუსით სარგებლობს.

2) იმ მცხოვრებთა წილი, რომლებიც მეტროპოლიტენით სარგებლობდნენ, ყოველწლიურად იმატებდა, ხოლო მათი, ვინც მიკროავტობუსით სარგებლობდა - იკლებდა.

3) ყოველ წელს ქალაქის მცხოვრებთა უფრო ნაკლები რაოდენობა სარგებლობდა ტროლეიბუსით, ვიდრე - კერძო ტრანსპორტით ან ტრამვაით (ერთად).

4) საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახეობებიდან ავტობუსით ან ტროლეიბუსით (ერთად) ყოველ წელს უფრო მეტი მცხოვრები სარგებლობდა, ვიდრე - საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვა დანარჩენი სახეობებით (ერთად).

5) ყოველ წელს ქალაქის მცხოვრებთა უფრო მეტი რაოდენობა სარგებლობდა ავტობუსით, ვიდრე - ტრამვაით ან მეტროპოლიტენით (ერთად).

17. წრიულ დიაგრამებზე (2.28; 2.29) მითითებულია M და N ქალაქების მცხოვრებთა რამდენ პროცენტს შეადგენენ ბავშვები, ახალგაზრდები, შუახნის ადამიანები და მოხუცები.



ნახ.2.28
M ქალაქი



ნახ.2.29.
N ქალაქი

M ქალაქში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობა მეტია თუ N ქალაქში მცხოვრები მოხუცების რაოდენობა?

18. ცნობილია, რომ ადამიანის ფიზიოლოგიურ სისტემათა უმრავლესობის ქმედითუნარიანობა მაქსიმუმს, ანუ 100%-ს მაშინ აღწევს, როცა ადამიანი 20 წლისაა. დიაგრამაზე წარმოდგენილია, თუ როგორ იცვლება საშუალოდ ადამიანის გულსისხლძარღვთა და კუნთოვანი სისტემების ქმედითუნარიანობა პროცენტულად 20-დან 80 წლამდე ასაკში.



ნახ.2.30

მოცემული დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

ა) რამდენ პროცენტს შეადგენს ადამიანის კუნთოვანი სისტემის ქმედითუნარიანობა 70 წლის ასაკში?

ბ) რამდენჯერაა შემცირებული გულსისხლძარღვთა სისტემის ქმედითუნარიანობა 75 წლის ასაკში, 35 წლის ასაკთან შედარებით?

გ) ქვემოთ ჩამოთვლილი ასაკობრივი შუალედებიდან რომელში მცირდება კუნთოვანი სისტემის ქმედითუნარიანობა უფრო ნაკლებად, ვიდრე – გულსისხლძარღვთა სისტემისა?

დ) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა მართებული დიაგრამის მიხედვით?

1) 40-დან 80-წლამდე ასაკში ადამიანის როგორც კუნთოვანი, ასევე - გულსისხლძარღვთა სისტემის ქმედითუნარიანობა არ იცვლება.

2) 20-დან 50-წლამდე ასაკში ადამიანის გულსისხლძარღვთა სისტემის ქმედითუნარიანობა ხან იმატებს, ხან - იკლებს.

3) 70-დან 80-წლამდე ასაკში ადამიანის გულსისხლძარღვთა სისტემის ქმედითუნარიანობა უფრო მეტად მცირდება, ვიდრე - კუნთოვანი სისტემისა.

4) 30-დან 70-წლამდე ასაკში ადამიანის გულსისხლძარღვთა სისტემისა და კუნთოვანი სისტემის ქმედითუნარიანობა ერთნაირად იცვლება.

5) 50-დან 60-წლამდე ასაკში ადამიანის კუნთოვანი სისტემის ქმედითუნარიანობა უფრო მეტად მცირდება, ვიდრე - გულსისხლძარღვთა სისტემისა.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
კითხვები განმეორებისათვის

1) როგორ კანონზომიერებებს შეისწავლის მათემატიკა? მოკლედ ჩამოაყალიბეთ მათემატიკური მოდელირების ეტაპები.
2) როგორ წარმოგიდგენიათ ცვალებადობა და კანონზომიერებანი ჩვენს ცხოვრებაში, როგორი მოვლენებია შემთხვევითი? მაგალითებს ხომ ვერ გაიხსენებდით თქვენი ცხოვრებიდან?
3) რა იძლევა შემთხვევითი მოვლენების შესწავლის საფუძველს? როგორ გესმით მასობრივი შემთხვევითი მოვლენები. რა არის პროგნოზი და პროგნოზირება?
4) გაიხსენეთ სტატისტიკის, როგორც საგნის, წინასწარი, არაფორმალური განსაზღვრა.
5) ცვლადის ცნება ბიჰევიორისტულ მეცნიერებებში. ცვლადი, როგორც სტიმული ან შესასწავლ ობიექტთა თვისობრივი ან რაოდენობრივი მახასიათებელი.
6) როგორ მოიპოვება ინფორმაცია, გაზომვა, ჩამოთვალეთ ცვლადის გაზომვის სკალები.
7) განმარტეთ სახელდებისა და რიგის სკალა. შეადარეთ ერთმანეთს, როგორი ცვლადების გაზომვა შეიძლება ამ სკალებზე? რით განსხვავდებიან და რა აქვთ საერთო გაზომვის ამ სკალებს? რა ნაკლი აქვს სახელდების სკალას?
8) განმარტეთ ინტერვალების სკალა და შეფარდების სკალა.
9) რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლადები და მონაცემები.
10) განმარტეთ დისკრეტული და უწყვეტი ცვლადები.
11) განმარტეთ რიცხვის რეალური საზღვრები, რეალური ქვედა და რეალური ზედა საზღვარი.

12) რიცხვების დამრგვალების წესები. გამოთვლის შუალედური ნაბიჯები და გამოთვლის საბოლოო პასუხები.
13) რას წარმოადგენს შემთხვევითი ცდა (დაკვირვება, ექსპერიმენტი)?
14) რა არის მონაცემი? რა არის ხდომილობა?
15) რას წარმოადგენს თვისობრივი (ხარისხობრივი) მონაცემი? რას წარმოადგენს რაოდენობრივი მონაცემი?
16) როგორ რაოდენობრივ მონაცემს ვუწოდებთ დისკრეტულს? როგორ რაოდენობრივ მონაცემს ვუწოდებთ უწყვეტს?
17) როგორ ხდომილობას ეწოდება შეუძლებელი და როგორ აღინიშნება იგი?
18) როგორ ხდომილობას ეწოდება აუცილებელი და როგორ აღინიშნება იგი?
19) როგორ ხდომილობას ეწოდება შემთხვევითი და როგორ აღინიშნება იგი?
20) ძირითადად როგორ კანონზომიერებებს შეისწავლის მათემატიკა?
21) რას ეწოდება დინამიკური კანონზომიერებები? რას ეწოდება სტატისტიკური კანონზომიერებები?
22) რას ნიშნავს მოვლენათა პროგნოზირება?
23) მონაცემების წარმოდგენა ცხრილებით პრინციპულად რამდენნაირად შეგვიძლია?
24) რა არის ხდომილობის ფარდობითი სიხშირე?
25) რა არის მონაცემის სიხშირე და ფარდობითი სიხშირე?
26) როგორ დაკვირვებას ვუწოდებთ ორშედეგიან დაკვირვებას?
27) რა არის ფარდობით სიხშირეთა სტატისტიკური კანონზიმიერება?
28) მოიყვანეთ ფარდობით სიხშირეთა სტატისტიკური კანონზომიერების მაგალითი.
29) რა არის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საგანი?
30) როდის და სად წარმოიშვა ალბათობის თეორია?
31) როდის წარმოიშვა სტატისტიკის თეორიის დასაწყისი?
32) რა არის პოპულაცია (გენერალური ერთობლიობა)?
33) რას სწავლობს აღწერითი სტატისტიკა?
34) რას ეწოდება შემთხვევითი შერჩევა (ამოკრება)?

35) რას წარმოადგნეს შემთხვევითი შერჩევა დაბრუნებით?
36) რას წარმოადგენს შემთხვევითი შერჩევა დაბრუნების გარეშე?
37) რას ეწოდება პოპულაციისა და შერჩევის მოცულობა?
38) როგორ შერჩევას ეწოდება რეპრეზენტატული (წარმომადგენლობითი)?
39) პირობითად რამდენ ნაწილად შეიძლება დაიყოს სტატისტიკის თეორია და როგორ?
40) როგორ მონაცემებს ეწოდება „ნედლი“ მონაცემები?
41) ჩამოთვალეთ მონაცემთა მოპოვების მეთოდები.
42) როგორია დახურული და ღია კითხვები?
43) ვინაა კორესპოდენტი (ინტერვიუერი) და რესპოდენტი?
44) რას ეწოდება ცვლადი და რამდენი სახის ცვლადს იცნობთ? განმარტეთ დისკრეტული და უწყვეტი ცვლადები.
45) რა არის და როდის ხდება მონაცემთა ჩანაცვლება (დამახინჯება)?
46) ჩამოთვალეთ მონაცემთა წარმოდგენის ხერხები.
47) როგორ აიგება მონაცემთა სიხშირული განაწილების ცხრილი?
48) როგორ აიგება მონაცემთა ფარდობით სიხშირეთა განაწილების ცხრილი?
49) როგორ აიგება მონაცემთა პროცენტული განაწილების ცხრილი?
50) რას ეწოდება ვარიაციული მწკრივი?
51) რას ეწოდება სტატისტიკურ მონაცემთა დიაპაზონი?
52) როგორ ხდება სტატისტიკურ მონაცემთა წარმოდგენა წერტილოვანი დიაგრამით? (მითითება: „ნედლი“ მონაცემების მიხედვით და მონაცემთა სიხშირეების მიხედვით).
53) რას წარმოადგენს ხაზოვანი დიაგრამა და პრინციპულად რამდენი სახისაა იგი?
54) რას წარმოადგენს პიქტოგრამა?
55) როგორ აიგება ფოთლებიანი ღეროების დიაგრამა?
56) როგორ აიგება სვეტოვანი (მართკუთხოვანი) დიაგრამები და პრინციპულად რამდენი სახისაა იგი?
57) რა არის პიქტოგრამა და როგორ აიგება იგი?
58) რა არის მონაცემთა განაწილების პოლიგონი და როგორ აიგება იგი?

59) რა მსგავსება და განსხვავებაა მონაცემთა ხაზოვან დიაგრამასა და მონაცემების სიხშირეთა განაწილების პოლიგონს შორის?
60) რა მსგავსება და განსხვავებაა მონაცემთა მართკუთხოვანი დიაგრამით წარმოდგენასა და სიხშირეთა განაწილების ჰისტოგრამას შორის?
61) როდის და როგორ აიგება წრიული დიაგრამა?
62) წრიული დიაგრამის აგებისას როგორ გამოითვლება წრიული სექტორის კუთხე?
63) როგორ აიგება ოგივა?
64) როდის ხდება მონაცემთა დაჯგუფება?
65) რას ეწოდება მონაცემის რანგი და როგორ გამოითვლება იგი ა) განსხვავებული მონაცემებისათვის? ბ) განმეორებადი მონაცემებისათვის?
66) რას ეწოდება მოდა და როგორ ვიპოვით მას?
67) რას ეწოდება მონაცემების მედიანა და როგორ ვიპოვით მას?
68) რას ეწოდება მონაცემების არითმეტიკული საშუალო და როგორ ვიპოვით მას ა) დაუჯგუფებელი მონაცემებისათვის? ბ) დაჯგუფებული მონაცემებისათვის?
69) რას ეწოდება მონაცემთა დისპერსია და როგორ ვპოულობთ მას ა) დაუჯგუფებელი მონაცემებისათვის? ბ) დაჯგუფებული მონაცემებისათვის?
70) რას ეწოდება მონაცემთა საშუალო კვადრატული გადახრა (სტანდარტული გადახრა) და როგორ ვპოულობთ მას ა) დაუჯგუფებელი მონაცემებისათვის? ბ) დაჯგუფებული მონაცემებისათვის?
71) რას წარმოადგენს მოდალური ინტერვალი (ქვეინტერვალი)?
72) არითმეტიკული საშუალოსა და მოდალური ინტერვალის მიხედვით როგორ ვადგებთ სიხშირეთა განაწილების პოლიგონისა და ჰისტოგრამის სიმეტრიულობას?
73) როგორია მონაცემთა პროცენტული განაწილებები [X-iS; X+iS], (i=1,2,3,4), „სტანდარტულ ინტერვალებში?“
74) როგორ ვადგებთ სიხშირეთა განაწილების ტიპობრივ ფორმებს?

თავი III. ალბათობის თეორიის ელემენტები. თეორიული მასალა

§1. ელემენტარულ ხდომილობათა სივრცე. მოქმედებები ხდომილობებზე

გავიხსენოთ:

ცდა (ექსპერიმენტი, დაკვირვება) ეწოდება პირობათა გარკვეულ S კომპლექსის შესრულებას.

ცდის იმ შესაძლო შედეგთა ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთს გამორიცხავენ, ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად ხდება, ერთგვაროვანნი არიან და არ იშლებიან მასზე „მარტივი“ ხდომილობების სახით ელემენტარულ ხდომილობათა სივრცეს ქმნის. ამ სივრცის ელემენტებს ელემენტარულ ხდომილობებს უწოდებენ.

ელემენტარულ ხდომილობათა სივრცე აღინიშნება Ω, ხოლო ელემენტარული ხდომილობები ω სიმბოლოთი.

ცდის პირობათა S კომპლექსი ცალსახად განსაზღვრავს ელემენტარულ ხდომილობათა სივრცეს.

ელემენტარულ ხდომილობათა სივრცის ნებისმიერ ქვესიმრავლეს ხდომილობა ეწოდება.

ხდომილობები აღინიშნებიან ლათინური ანბანის დიდი ასოებით A, B, C,...

იმ ω ელემენტარულ ხდომილობებს, რომლებიც შედიან რაიმე ხდომილობაში, **ხდომილობის ხელშემწყობი ელემენტარული ხდომილობები** ეწოდებათ და ამ ფაქტს აღნიშნავენ შემდეგნაირად: $\omega \in A$.

ამბობენ, რომ A ხდომილობა მოხდა, თუ ცდის შედეგად ადგილი ჰქონდა მის ხელშემწყობ ერთ-ერთ ელემენტარულ ხდომილობას.

ხდომილობას, რომელიც მოცემული ცდის ყველა ელემენტარულ ხდომილობას შეიცავს, **აუცილებელი** ხდომილობა ეწოდება და, ბუნებრივია, ისევე როგორც ელემენტარულ ხდომილობათა სივრცე, Ω სიმბოლოთი აღინიშნება.

ხდომილობას, რომელიც მოცემული ცდის არცერთ ელემენტარულ ხდომილობას არ შეიცავს **შეუძლებელი ხდომილობა** ეწოდება და აღინიშნება $\varnothing$ სიმბოლოთი.

ხდომილობას, რომელიც არც აუცილებელია და არც შეუძლებელი, **შემთხვევითი ხდომილობა** ეწოდება.

თუ **Ω**-ს ყველა ის ელემენტარული ხდომილობა, რომელიც იწვევს (ხელს უწყობს) რაიმე A ხდომილობას, ამავე დროს იწვევს სხვა B ხდომილობასაც, მაშინ ამბობენ, რომ A ხდომილობა იწვევს B ხდომილობას ან A ხდომილობა შედის B ხდომილობაში და ამ ფაქტს ასე აღნიშნავენ - $A\subset B$.

თუ $A\subset B$ და $B\subset A$, მაშინ A და B-ს ექვივალენტური (ტოლძალოვანი) ხდომილობები ეწოდებათ და წერენ $A=B$.

მოცემული ცდის ყველა აუცილებელი ხდომილობა ექვივალენტურია; ყველა შეუძლებელი ხდომილობაც ექვივალენტურია.

ორი A და B **ხდომილობის ჯამი (გაერთიანება)** ეწოდება ხდომილობას, რომელიც ხდება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც A და B ხდომილობებიდან ერთი მაინც ხდება და აღინიშნება $A+B$ ან $A\cup B$ სიმბოლოთი.

ორი A და B **ხდომილობის ნამრავლი (თანაკვეთა) ეწოდება** ხდომილობას, რომელიც ხდება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება A და B ხდომილობები ერთდროულად და აღინიშნება AB ან $A\cap B$ სიმბოლოთი.

ორი A და B **ხდომილობის სხვაობა** ეწოდება ისეთ ხდომილობას, რომელიც ხდება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება A და არ ხდება B ხდომილობა და აღინიშნება $A-B$ ან $A\backslash B$ სიმბოლოთი.

A და B-ს **უთავსებადი** ხდომილობები ეწოდებათ, თუ მათი ერთდროული მოხდენა შეუძლებელია, ე.ი. $A\cdot B=\emptyset$.

A ხდომილობის არმოხდენას A-ს საწინააღმდეგო ხდომილობა ეწოდება და აღინიშნება $\bar{A}$ სიმბოლოთი. ცხადია, რომ $\Omega-A=\bar{A}$, $\bar{A}\cdot A=\emptyset$.

ხდომილობათა ჯამი და ნამრავლი ნებისმიერი სასრული და თვლადი რაოდენობის ხდომილობებისათვის ანალოგიურად განისაზღვრება.

სქემატურად, ორი A და B ხდომილობის ჯამი, ნამრავლი, სხვაობა, საწინააღმდეგო ხდომილობა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:



A+B A·B A·B =∅



A-B Ā

(ნახ. 3.1).

A, B, C ხდომილობებისათვის სრულდება შემდეგი თანაფარდობანი:

1.1. ჯამისა და ნამრავლის **კომუტატიურობა**

A+B=B+A, A·B=B·A

1.2. ჯამისა და ნამრავლის **ასოციატიურობა**

A+B+C=A+(B+C)=(A+B)+C, A·B·C=A·(B·C)=(A·B)·C

1.3. **დისტრიბუციულობა**

(A+B)·C=A·C+B·C; (A·B)+C=(A·C) · (B+C)

1.4. $\overline{A+B}=\bar{A}\cdot\bar{B}$; $\overline{A\cdot B}=\bar{A}+\bar{B}$; $\bar{\bar{A}}=A$; A+A= A; A·A=A

A+Ω=Ω; A+Ø=A; A·Ω=A; A·Ø=Ø; Ω=Ø; Ø= Ω

$A_1, A_2,..., A_n$ ხდომილობანი ქმნიან ხდომილობათა **სრულ ჯგუფს**, თუ სრულდება შემდეგი ორი პირობა:

ა) ერთ-ერთი A_i (i=1,...,n) ხდომილობა აუცილებლად ხდება, ე.ი. A1+A2+A3+…+An=Ω

ბ) ხდომილობები **წყვილ-წყვილად უთავსებადია**, ე.ი. $A_i A_j$=Ø, i≠j,

i, j=1,2,…n

§2. კომბინატორიკა

კომბინატორიკის ძირითადი პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: თანმიმდევრობით შესასრულებელია k მოქმედება. თუ პირველი მოქმედება შეიძლება შევასრულოთ n1, მეორე - n2, მესამე n3 და ა.შ.

k-ური n_k განსხვავებული წესით, მაშინ k მოქმედება მთლიანობაში შეიძლება შესრულდეს $n_1 \cdot n_2 \cdot \ldots \cdot n_k$ განსხვავებული წესით.



მაგალითად, თუ გიორგის აქვს 3 პერანგი და 2 ჰალსტუხი, მაშინ მათი არჩევის რამდენნაირი შესაძლებლობა გააჩნია მას?

ამოხსნა:

ჰალსტუხის არჩევის 2 ვარიანტი (2 განსხვავებული წესი) და ყოველ ვარიანტთან პერანგის შერჩევის 3 ვარიანტია, (3 განსხვავებული წესია) ე.ი. გიორგის სულ $2\times3=6$ არჩევანი აქვს.

განვიხილოთ შემდეგ მაგალითი: თუ მოცემულია ოთხ-ელემენტიანი (n=4) სიმრავლე $\{a,b,c,d\}$, მაშინ ამ სიმრავ-ლის ელემენტებისაგან რამდენი განსხვავებული ორ-ელემენტიანი (k=2) ქვესიმრავლის შედგენა შეიძლება?

ამოხსნა: პირველ რიგში დავაზუსტოთ, ქვესიმ-რავლეები რით უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან?

ა) ქვესიმრავლედ $\{a,a\},\{b,b\}$ და ა.შ. ორელემენტიანი სიმრავლეები და ა.შ. არ განიხილება, რადგან მოცემულ სიმრავლეში ელემენტი a,b,c ან d ორჯერ არ გვხვდება.

ბ) წამიერად დავუშვათ, რომ მოცემული სიმრავლის ელემენტები a,b,c და d რაიმე ორელემენტიანი კოდის (თუნდაც ორციფრიანი ტელეფონის ნომრის) ციფრებია. მაშინ ქვესიმრავლე $\{a;b\}$ და $\{b;a\}$ სხვადასხვა ქვესიმ-რავლე იქნება. ქვესიმრავლეში ელემენტების ადგილების შეცვლამ ქვესიმრავლის შეცვლა გამოიწვია. ვამბობთ: **ქვესიმრავლეში ელემენტების დალაგებას მნიშვნელობა ენიჭება.** მათ **დალაგებულ სიმრავლეებს** უწოდებენ, ხოლო თუ მათ განვიხილავთ როგორც რაიმე ოთხელემენტიანი სიმრავლის დალაგებულ ორელემენტიან ქვესიმრავლეებს, მაშინ მათ შესაბამისად, **ოთხელემენტიანი სიმრავლიდან შედგენილ ორელემენტიან წყობებს** უწოდებენ. გამორჩევის მიზნით მათ აღნიშნავენ (a,b) სიმბოლოთი.

მოცემული ოთხ-ელემენტიანი (n=4) სიმრავლიდან $\{a,b,c,d\}$, შედგება 12 ორელემენტიანი (k=2) წყობა: (a,b); (b,a); (a,c); (c,a); (a,d); (d,a); (b,c); (c,b).

ბუნებრივია, დაგებადათ კითხვა: ყოველთვის ამ ხერხით უნდა დავთვალოთ წყობათა რაოდენობები? პასუხი ცალსახაა: „ცხადია, არა“. არსებობს წყობათა

რაოდენობების აღნიშვნისა და გამოთვლის ზოგადი წესი. ამ საკითხს ამ პარაგრაფში ოდნავ მოგვიანებით განვიხილავთ.

ჯერჯერობით განვიხილოთ $\{a,b,c,d\}$, ოთხ ელემენტიანი (n=4) სიმრავლიდან ორ ელემენტიანი (k=2) დაულაგებელი ქვესიმრავლეების შედგენისა და მათი რაოდენობების დათვლის საკითხი. ამ ქვესიმრავლეებში ელემენტების გადალაგებით არ მიიღება ახალი ქვესიმრავლე, ანუ ***ქვესიმრავლის ელემენტების დალაგებას მნიშვნელობა არ ენიჭება.*** ასეთ ქვესიმრავლეებს ***ჯუფთებებს*** უწოდებენ. გამორჩევის მიზნით, მათ აღნიშნავენ $[a,b]$ სიმბოლოთი. $[a,b]$ და $[b,a]$ ერთიდაიგივეა (მუჭში გვაქვს a და b ბურთულა, გადმოატრიალებ მუჭს, მუჭში ისევ იმავე შემადგენლობის b და a ბურთულის წყვილია.

ოთხ ელემენტიანი (n=4) სიმრავლიდან შედგება ორ (k=2) ელემენტიანი 6 ჯუფთება: $[a,b]$; $[a,c]$; $[a,d]$; $[b,c]$; $[b,d]$ და $[c,d]$.

ჯუფთებათა რაოდენობის აღნიშვნასა და გამოსათვლელ ზოგად წესს ოდნავ მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

ოთხ (n=4) ელემენტიანი $\{a,b,c,d\}$, სიმრავლიდან შედგება k=4 ელემენტიანი 24 წყობა. ისინი მხოლოდ ელემენტების გადანაცვლებით მიიღებიან: $(a,b,c,d),(b,a,c,d)$ და ა.შ. (თუ არ გჯერათ, შეამოწმეთ!) მათ **გადანაცვლებებს** უწოდებენ. გადანაცვლებათა რაოდენობის აღნიშვნისა და გამოთვლის ზოგად წესს ქვემოთ შემოგთავაზებთ.

კომბინატორიკის ზოგადი წესები

n-ელემენტიანი სიმრავლის ყოველ k-ელემენტიან ისეთ ქვესიმრავლეს, რომლის ელემენტების ადგილების შეცვლა ქვესიმრავლეს არ ცვლის (ანუ ელემენტების დალაგებას მნიშვნელობა არ ენიჭება), n ელემენტიდან აღებული k-ელემენტიანი **ჯუფთება** ეწოდება; n-ელემენტიანი სიმრავლის ყველა k-ელემენტიან ჯუფთებათა რიცხვი აღინიშნება C_n^k სიმბოლოთი და გამოითვლება ფორმულით

$$C_n^k = \frac{n!}{k!(n-K)!} = \frac{n(n-1)....(n-k+1)}{1\cdot 2\cdot\cdot K}$$

n-ელემენტიანი სიმრავლის k-ელემენტიან ყოველ დალაგებულ ქვესიმრავლეს n ელემენტიდან აღებული k-ელემენტიანი **წყობა** ეწოდება.

n-ელემენტიანი სიმრავლის ყველა k-ელემენტიან **წყობათა რიცხვი**, რომელიც **აღინიშნება** A_n^k სიმბოლოთი, გამოითვლება ფორმულით

$$A_n^k = n(n-1)(n-2)....(n-k+1) = \frac{n!}{(n-k)!}$$

n-ელემენტიანი სიმრავლის n-ელემენტიან წყობას **გადანაცვლება** ეწოდება.

n-ელემენტიანი სიმრავლის ყველა გადანაცვლებათა რიცხვი აღინიშნება P_n სიმბოლოთი და გამოითვლება ფორმულით

$$P_n = n! \;\; (n! = 1\cdot 2\cdot ...\cdot (n-1); 0! = 1; 1! = 1).$$

ვთქვათ $k_1, k_2, \ldots k_m$ არაუარყოფითი მთელი რიცხვებია, ამასთან $\sum_{i=1}^{m} k_i = n$ წარმოვიდგინოთ n-ელემენტიანი A სიმრავლე, შესაბამისად, $k_1, k_2, \ldots k_m$-ელემენტიანი $A_1, A_2, \ldots A_m$ სიმრავლეების გაერთიანების სახით. A სიმრავლის ასეთ ჯგუფებად ყველა შესაძლო დაყოფათა რიცხვი აღვნიშნოთ $C_n(k_1, k_2, ..., k_m)$ და იგი განისაზღვრება ფორმულით

$$C_n(k_1, k_2, ..., k_m) = \frac{n!}{k_1! k_2! ... k_m!}$$

ვთქვათ, n-ელემენტიანი A სიმრავლე დაყოფილია შესაბამისად $n_1, n_2, ..., n_k$ ($\sum_{i=1}^{m} n_i = n$)-ელემენტიან სიმრავლეებად და B არის A სიმრავლის m-ელემენტიანი ქვესიმრავლე, რომელიც შეიცავს A_1 სიმრავლის m_1 ელემენტს, A_2 სიმრავლის m_2 ელემენტს და ა.შ. A_k სიმრავლის m_k ელემენტს ($\sum_{i=1}^{m} m_i = m$). მოცემული n-ელემენტიან A სიმრავლიდან ყველა ასეთ m-ელემენტიან B ქვესიმრავლეთა რიცხვი, კომბინა-

ტორიკის ძირითადი პრინციპის მიხედვით, ტოლია $C_{n_1}^{m_1} \times C_{n_2}^{m_2} \times \ldots \times C_{n_x}^{m_x}$

სავარჯიშოები

დაამტკიცეთ:

1. $C_m^n = \frac{A_m^n}{P_n} = \frac{m!}{(m-n)!n!} = \frac{P_m}{P_{m-n} \cdot P_n}$

2. $C_m^n = C_m^{m-n}$

მითითება ამ ტოლობის სამართლიანობა ცხადია, რადგან

$$C_m^n = \frac{m!}{[m-(m-n)]!(m-n)!} = \frac{m!}{n!(m-n)!} C_m^{m-n}$$

***შენიშვნა*:** გადანაცვლების, წყობის და ჯუფთების გამოსაანგარიშებლად, შესაბამისად, ვისარგებლებთ ფორმულებით:

$$P_m = m!; A_m^n = \frac{m!}{(m-n)!} = \frac{P_m}{P_{m-n}}; \; C_m^n = C_m^{(m-n)} = \frac{m!}{(m-n)!n!} = \frac{P_m}{P_{m-n} \cdot P_n}.$$

3. ერთ მერხზე 5 მოსწავლე უნდა დაჯდეს. რამდენი სხვადასხვა დაჯდომაა შესაძლებელი?

4. რამდენი ოთხნიშნა რიცხვი შეიძლება დაიწეროს შემდეგი ციფრებით: 0;1;2;3?

***მითითება*:** ოთხი ციფრისაგან შესაძლებელ ყოველგვარ გადანაცვლებათა რაოდენობას უნდა გამოვაკლოთ 0-ით დაწყებულ გადანაცვლებათა რაოდენობა.

5. სივრცეში სიბრტყის მდებარეობა 3 წერტილით ისაზღვრება. რამდენი სხვადასხვა სიბრტყე შეიძლება გავავლოთ: 1) 4; 2) 7; 3) 10; 4) 6 წერტილზე, თუ ამ წერტილთა არც ერთი სამეული ერთ სწორ ხაზზე არ მდებარეობს და არც ერთი ოთხეული არაა ერთ სიბრტყეზე მოთავსებული?

6. 32 კარტიდან ვარაუდით ვიღებთ ოთხ-ოთხ კარტს. კარტების ამოღების რამდენი სხვადასხვა შემთხვევა შეიძლება იყოს?

7. რამდენი სხვადასხვა გადანაცვლება შეიძლება 1; 2; 3; 4; 5; 6 ციფრებისაგან მოვახდინოთ ისეთი, რომ თი-

თოეული გადანაცვლება იწყებოდეს ციფრი 4-იანით? ციფრებით 45? ციფრებით 456?

8. კლასში 32 მოსწავლეა, მათგან 6 მოსწავლე პირველ მერხზე უნდა დავსვათ. რამდენი სხვადასხვა შემთხვევაა შესაძლებელი, თუ სახეში მივიღებთ მხოლოდ მოწაფეთა გვარებს და არა მათ თანმიმდევრობას ჯდომის დროს?

9. გამოთვალეთ: ა) $\dfrac{6!-4!}{3!}$; ბ) $\dfrac{P_6-P_5}{5!}$; გ) $\dfrac{A_8^5-A_8^4}{A_8^3}$;

10. ამოხსენით განტოლება $C_x^2=153$;

11. დაამტკიცეთ, რომ $A_n^k=\dfrac{n!}{(n-k)!}$ ბ) $A_n^k=\dfrac{C_n^m}{m!}$

კომბინატორიკის მარტივი სქემები

სასწავლო მიზნით ზოგჯერ სასარგებლოა შემდეგი მარტივი სქემების მიმოხილვა ***ხისებრი დიაგრამის (დენდოგრამის)*** გამოყენებით, მაგალითად:

ა) დენდოგრამით გამოსახულია შესაბამისად, ერთი და ორი „მონეტის“ სიბრტყეზე დაგდების შესაბამისი შესაძლო შედეგების სიმრავლე:

ერთი მონეტის აგდების შემთხვევაში



სულ 2 მოსალოდნელი შედეგია. ისინი ქმნიან სიმრავლეს $\Omega=\{ბ,ს\}$

ორი მონეტის აგდების შემთხვევაში (ან ერთი მონეტის ორჯერ აგდება)



სულ 4 მოსალოდნელი შედეგია. ისინი ქმნიან სიმრავლეს: $\Omega=\{(ბ,ბ),\ (ბ,ს),\ (ს,ბ),\ (ს,ს)\}$

შენიშვნა: (ბ) აღნიშნავს მონეტის ზედა მხარეზე ბორჯღალის დაფიქსირებას, (ს) კი – საფასურისას.

ბ) დენდოგრამით მოცემულია კამათელის გაგორების შემთხვევაში შესაბამისი შესაძლო „მარტივი“ შედეგების (ქულების) სიმრავლე:



სულ 6 მოსალოდნელი შედეგია. ისინი ქმნიან სიმრავლეს: $\Omega=\{1;2;3;4;5;6\}$. ერთი აღნიშნავს კამათელზე 1-იანის მოსვლის ფაქტს, 2-ორიანის მოსვლის ფაქტს და ა.შ.

დავალება. შეადგინეთ ორი კამათელის ერთდროულად გაგორების (ან ერთი კამათელის ორჯერ გაგორების შესაბამისი ხისებრი გრაფი (დენდოგრამა). ჩაწერეთ და დათვალეთ მოსალოდნელი შედეგები (რიცხვთა წყვილები).

შემთხვევითი ამოკრეფა პოპულაციიდან ყუთის მაგალითზე



$a_1, a_2, \ldots, a_n$

ვთქვათ, ყუთში 1-დან M რიცხვამდე გადანომრილი ერთნაირი ბურთულაა. ალალბედზე სათითაოდ იღებენ n ბურთულას. ყოველი i-ური ამოღების შემდეგ აფიქსირებენ ამოღებული ბურთულის ნომერს, აღვნიშნოთ ეს ნომერი a_i-ით ($i=1,\ldots,n$). ყუთში ბურთულები ქმნიან პოპულაციას, რომლის მოცულობაა M პოპულაციის ელემენტების (ობიექტების) რაოდენობას (M-ს) პოპულაციის მოცულობას უწოდებენ. ითვლება, რომ ყუთიდან ცალკეული ბურთულის ამოღება, ალალბედზე (ანუ შემთხვევით) ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ცალკეული ამოღების წინ ბურთულებს კარგად გადაურევენ ერთმანეთში და შემდეგ ალალბედზე იღებენ ბურთულას. შემდეგ აფიქსირებენ ამოღებული ბურთულის

ნომერს. პირველი ამოღების შედეგად დაფიქსირდება a_1 რიცხვითი ნომერი. a_1 არის ან 1, 2, 3,..., M-ის ტოლი ($a_1 \in \{1,2,3...M\}$-ს), შემდეგი ამოღების შედეგად დაფიქსირდება ბურთულის a_2 რიცხვითი ნომერი. თუ რა რიცხვითი სიმრავლიდან შეიძლება იყოს აღებული ეს a_2 რიცხვი, ეს ფაქტი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი წესით ხდება ყუთიდან ყოველი მომდევნო ბურთულის ალალბედზე ამოღება. ყუთიდან (ანუ M-მოცულობიანი პოპულაციიდან) ალალბედზე n-ჯერ ბურთულის ამოკრეფის $a_1,a_2,...,a_n$ შედეგს ეწოდება მოცემული პოპულაციიდან **შემთხვევითი შერჩევა** ან **შემთხვევითი ამოკრეფა** (როგორც არსებითი სახელი „შენარჩევი“, „ამონაკრეფი“, და არა როგორც „პროცესი“ და „ქმედება“). n არის შემთხვევითი შერჩევის (შემთხვევითი ამონაკრეფის) მოცულობა.

შეიძლება განიხილებოდეს ყუთიდან n ბურთულის **ერთდროული შემთხვევითი შერჩევაც.**

განასხვავებენ ყუთიდან (პოპულაციიდან) შემთხვევით ამოკრეფას დაბრუნებით და შემთხვევით ამოკრეფას დაბრუნების გარეშე.

შემთხვევითი ამოკრეფა დაბრუნებით



შემთხვევითი ამოკრეფა (როგორც პროცესი) **დაბრუნებით ხდება მაშინ, როდესაც ყუთიდან ალალბედზე ბურთულის ყოველი მომდევნო ამოღების წინ ნომრის დაფიქსირების შემდეგ ამ ბურთულას ისევ ყუთში აბრუნებენ.** ყუთში ბურთულებს კარგად აურევენ ერთმანეთში და შემდეგ ალალბედზე ამოკრეფის პროცესი ისევ გრძელდება. ამ შემთხვევაში შემთხვევით $a_1,a_2,...,a_n$ ამონაკრეფში a_i $(i=1,...,n)$ შემთხვევითი რიცხვები შეიძლება განმეორდნენ და თითოეული მათგანი $\{1,2,...,M\}$ რიცხვითი სიმრავლიდანაა შემთხვევით არჩეული, ანუ $a_i \in \{1,2,...,M\}$ $(i=1,...n)$, სადაც n ნებისმიერი

ნატურალური რიცხვია, ამასთან, ან $n<M$, ან $n=M$ ან $n>M$.

საზოგადოდ, განასხვავებენ დალაგებულ ამონაკრეფს და დაულაგებელ ამონაკრეფს. დალაგებული ამონაკრეფი აღინიშნება $(a_1,a_2,...,a_n)$ სიმბოლოთი, ხოლო დაულაგებელი – $[a_1,a_2,...,a_n]$ სიმბოლოთი.

კონკრეტულ შემთხვევით ამონაკრეფს შეიძლება შევუსაბამოთ კონკრეტული ელემენტარული ხდომილობა.

❖ დაბრუნებითი დალაგებული შემთხვევითი ამონაკრების შემთხვევაში ყველა შესაძლო n მოცულობიანი შემთხვევითი ამონაკრეფი ქმნის ელემენტარულ ხდომილობათა სივრცეს:

$$\Omega=\left\{\omega:\omega=(a_1,a_2,...a_n):a_i=1,2,...,M,\, i=1,...,n\right\}.$$

ყველა შესაძლო ელემენტარული ხდომილობათა რაოდენობა, რომელიც აღინიშნება $m(\Omega)$-ით, ტოლი იქნება M^n-ის ($m(\Omega)=M^n$).

❖ **დაბრუნებითი დაულაგებელი ამონაკრეფის შემთხვევაში ყველა** შესაძლო n მოცულობიანი შემთხვევითი ამონაკრეფი ქმნის ელემენტარულ ხდომილობათა სივრცეს:

$$\Omega=\left\{\omega:\omega=[a_1,a_2,...a_n]:a_i=1,2,...,M,\, i=1,...,n\right\}$$

ცნობილია, რომ ყველა შესაძლო ელემენტარული ხდომილობების რაოდენობა $m(\Omega)=C^n_{m+n-1}$-ის.

შემთხვევითი ამოკრეფა დაბრუნების გარეშე



შემთხვევითი ამოკრეფა (როგორც პროცესი) **დაბრუნების გარეშე ხდება მაშინ, როდესაც ყუთიდან ალალბედზე ყოველი მომდევნო ბურთულის ამოღების წინ ამოღებულ ბურთულას უკან ყუთში აღარ აბრუნებენ.** ამ შემთხვევაში $1<n\leq M$.

❖ **დაბრუნების გარეშე დალაგებული ამოკრეფის** შემთხვევაში n მოცულობიანი ამონაკრეფი ქმნის ელემენ-ტარულ ხდომილობათა სივრცეს:

$$\Omega=\left\{\omega:\omega=(a_1,a_2,...a_n):a_i\neq aj,\ i\neq j,\ a_i=1,2,...,M,\ i,j=1,...,n\right\}.$$

ყველა შესაძლო ელემენტარული ხდომილობების რაო-დენობა $m(\Omega)=A_M^n$ -ის.

❖ დაბრუნების გარეშე დაულაგებელი **ამოკრეფის** შემთხვევაში n მოცულობიანი ამონაკრეფი ქმნის ელემენ-ტარულ ხდომილობათა სივრცეს:

$$\Omega=\left\{\omega:\omega=[a_1,a_2,...a_n]:a_i\neq aj,\ i\neq j,\ a_i=1,2,...,M,\ i,j=1,...,n\right\}.$$

ყველა შესაძლო ელემენტარული ხდომილობების რაოდენობა $m(\Omega)=C_M^n$ -ის.

დავალება: კამათელის ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ და ხუთჯერ გაგორების შედეგები განიხილეთ ყუთის ზემოთ აღწერილი იმ სქემის სახით, რომელსაც თქვენ თვლით შესაბამისად მიზანშეწონილად და თითოეულ შემთხვევაში გამოთვალეთ ელემენტარული ხდომილობების რაოდენობა (მითითება: $M=6;n=1,2,3,4,5$).

§3. ალბათობის სტატისტიკური, კლასიკური და გეომეტრიული განსაზღვრა

ერთსა და იმავე პირობებში ჩატარებულ N ცდაში რაიმე A ხდომილობის მოხდენის K რიცხვის ფარდობას ცდათა რიცხვთან, ხდომილობის **ფარდობითი სიხშირე** ეწოდება, აღინიშნება W_m(A) სიმბოლოთი, ე.ი.

$$W_N(A)=\frac{K}{N};$$

როდესაც ცდათა N რიცხვი საკმაოდ დიდია, A ხდო-მილობის $W_N(A)$ ფარდობით სიხშირეს ღებულობენ A ხდომილობის ალბათობად, რომელსაც აღნიშნავენ $P(A)$ სიმბოლოთი, ე.ი.

$$P(A)\approx\frac{K}{N} \qquad (3.1)$$

(3.1) არის **ალბათობის სტატისტიკური განსაზღვრა.**

თუ Ω ელემენტარულ ხდომილობათა სივრცე შედგება თანაბრად შესაძლებელ ელემენტარულ ხდომილობათა სასრული რაოდენობისაგან, მაშინ A ხდომილობის ($A\subset\Omega$), $P(A)$ **ალბათობა განისაზღვრება ფორმულით:**

$$P(A)=\frac{m(A)}{n}, \qquad (3.2)$$

სადაც $m(A)$ არის A ხდომილობის ხელისშემწყობ ელემენტარულ ხდომილებათა რაოდენობა, ხოლო n - ცდის ყველა შესაძლო ელემენტარულ ხდომილობათა რაოდენობა $(n=m(\Omega))$

(3.2) არის **ალბათობის კლასიკური განსაზღვრა.**



ვთქვათ, რაიმე **Ω** არეში შემთხვევით ვირჩევთ წერტილს. ალბათობა იმისა, რომ წერტილი მოხვდება A არეში, $A\subset\Omega$, გამოითვლება ფორმულით:

$$P(A)=\frac{|A|}{|\Omega|}, \qquad (3.3)$$

სადაც $|A|$ და $|\Omega|$ აღნიშნავენ შესაბამისად A და **Ω** არეების ზომებს. ისინი რიცხვით ღერძზე მონაკვეთების სიგრძეებია, საკოორდინატო სიბრტყეზე – ფართობებია, ხოლო სივრცეში – მოცულობებია.

(3.3) არის **ალბათობის გეომეტრიული განსაზღვრა.**

§4. ხდომილობათა ჯამის ალბათობა. საწინააღმდეგო ხდომილობის ალბათობა

ნებისმიერი ორი A და B ხდომილობის ჯამის ალბათობა გამოითვლება ფორმულით:

$$P(A+B)=P(A)+P(B)-P(A\cdot B) \qquad (4.1)$$

თუ A და B ხდომილობები უთავსებადია, მაშინ P(A·B)=P(Ø)=0 და P(A+B)=P(A)+P(B).

ერთობლივ დამოუკიდებელი $A_1,A_2,...,A_n$ ხდომილობებისათვის მართებული შემდეგი ფორმულა:

$$P(\sum_{i=1}^{n} A_i) = 1 - P(\overline{A_1} \cdot \overline{A_2} ... \overline{A_n}) = 1 - \prod_{i=1}^{n} P(\overline{A_i}) \qquad (4.2)$$

თუ $A_1,A_2,...,A_n$ წყვილ-წყვილად უთავსებადი ხდომილობებია, მაშინ

$$P(\sum_{i=1}^{n} A_i) = \sum_{i=1}^{n} P(A_i) \qquad (4.3)$$

საწინააღმდეგო ხდომილობის ალბათობა გამოითვლება ფორმულით:

P(Ā)=1-P(A) (4.4)

§5. პირობითი ალბათობის ფორმულა. ხდომილობათა ნამრავლის ალბათობა

A ხდომილობის პირობითი ალბათობა იმ პირობით, რომ B ხდომილობას ადგილი უკვე ჰქონდა, აღინიშნება P(A|B) ან P∩B(A) სიმბოლოთი და ეწოდება გამოსახულებას:

$$P(A|B) = \frac{P(A \cdot B)}{P(B)}, \text{ თუ } P(B) \neq 0 \qquad (5.1)$$

ანალოგიურად განისაზღვრება P(B|A), როცა P(A)≠0

ცხადია, A და B ხდომილობათა ნამრავლის ალბათობის გამოსათვლელ ფორმულას ექნება სახე

P(A·B) =P(A)·P(B|A)=P(B) P(A|B) (5.2)

B ხდომილობა არაა დამოკიდებული A ხდომილობაზე, თუ P(B/B)=P(B) რაც იმას ნიშნავს, რომ A ხდომილობის მოხდენა ან არმოხდენა გავლენას არ ახდენს ხდომილობის ალბათობაზე. ამ შემთხვევაში არც A ხდომილობაა დამოკიდებული B-ზე და ვწერთ

P(A·B)=P(A) P(B) (5.3)

თუ A და B დამოუკიდებელი ხდომილობებია, მაშინ დამოკიდებულია აგრეთვე ხდომილობებიც: Ā და B, A და $\overline{B}$, Ā და $\overline{B}$.

$A_1, A_2, \ldots, A_n$ ხდომილობებს ეწოდებათ **ერთობლივად დამოუკიდებელი,** თუ ამ სისტემის ნებისმიერი k ხდომილობის ($1 < k \le n$) თანაკვეთის (ნამრავლის ალბათობა შესაბამისად, მათი ალბათობების ნამრავლის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ $i \le I, < \ldots < i_k \le n$ და $k = 2 \ldots n$ ნატურალური რიცხვებისათვის სრულდება ტოლობა

$$P(Ai_1 \cdot \ldots \cdot Ai_k) = P(Ai_1) \cdot \ldots \cdot P(Ai_k) \qquad (5.4)$$

თუ ეს ფორმულა მართებულია მხოლოდ k=2 მნიშვნელობისათვის, მაშინ $A_1, A_2, \ldots, A_n$ ხდომილობებს **წყვილ-წყვილად დამოუკიდებელი ხდომილობები** ეწოდებათ.

ე.ი. $A_1, A_2, \ldots, A_n$ წყვილ-წყვილად დამოუკიდებელი ხდომილობებია, თუ ამ სისტემის ხდომილობათა ნებისმიერი წყვილი ურთიერთდამოუკიდებელი ხდომილობაა.

ჩაიწერება:

$$P(A_i \cdot A_j) = P(A_i) \cdot P(A_j), \quad i \ne j, \quad i = \overline{1,n}; \quad j = \overline{1,n}$$

(5.4)-დან ვღებულობთ შედეგებს:

თუ $A_1, A_2, \ldots, A_n$ ერთობლივ დამოუკიდებელი ხდომილობებია, მაშინ ერთობლივ დამოუკიდებელი იქნება აგრეთვე მოცემული სისტემიდან ზოგიერთი ან ყველა ხდომილობის საწინააღმდეგო ხდომილობით შეცვლით მიღებული სისტემაც.

თუ $A_1, A_2, \ldots, A_n$ ერთობლივ დამოუკიდებელი ხდომილობებია, მაშინ:

$$P\left(\bigcap_{i=1}^{n} A_i\right) = \prod_{i=1}^{n} P(A_i) \qquad (5.5)$$

$A_1, A_2, \ldots, A_n$ ხდომილობების ერთობლივი დამოუკიდებლობიდან გამომდინარეობს მისი ნებისმიერი ქვესისტემის ერთობლივი დამოუკიდებლობა და ცხადია, წყვილ-წყვილად დამოუკიდებლობაც.

საწინააღმდეგო დებულება არ არის მართებული, ანუ თუ $A_1, A_2, \ldots, A_n$ წყვილ-წყვილად დამოუკიდებელი ხდომილობებია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთობლივ დამოუკიდებლები იქნებიან. ნათქვამის საილუსტრაციოდ, განვიხილოთ ***ბერნშტეინის მაგალითი***.

წესიერი ტეტრაედრის სამწახნაგზე აწერია თითო რიცხვი: 1, 2 ან 3, ხოლო მეოთხე წახნაგზე აწერია სამივე ეს რიცხვი ერთად. A_k აღნიშნავს ხდომილობას, რომელიც შეესაბამება იმ ფაქტს, რომ ბრტყელ ზედაპირზე დაგდებული ტეტრაედრი დაეცემა წახნაგზე, რომელსაც აწერია რიცხვი k. k=1,2,3. გამოვიკვლიოთ A_1, A_2, A_3 ხდომილობების წყვილ-წყვილად დამოუკიდებლობის და ერთობლივ დამოუკიდებლობის საკითხი.



წესიერი ტეტრაედრი ერთგვაროვანი მასალისგან არის დამზადებული. ამიტომ $P(A_1)=P(A_2)=P(A_3)=\frac{2}{4}=\frac{1}{2}$, რადგან ტეტრაედრს აქვს 4 წახნაგი და რიცხვი 1-იანი, 2-იანი და 3-იანი აწერია 2 წახნაგზე. ცხადია აგრეთვე, რომ: $P(A_1 \cdot A_2)=\frac{1}{4}$, $P(A_1 \cdot A_3)=\frac{1}{4}$, $P(A_2 \cdot A_3)=\frac{1}{4}$, ამიტომ სრულდება პირობა:

$P(A_1 \cdot A_2)=P(A_1)\cdot P(A_2)$, $P(A_1 \cdot A_3)=P(A_1)\cdot P(A_3)$,
$P(A_2 \cdot A_3)=P(A_2)\cdot P(A_3)$. აქედან გამომდინარეობს, რომ A_1, A_2, A_3 ხდომილობები წყვილ-წყვილად დამოუკიდებლები არიან.

ახლა შევამოწმოთ, A_1, A_2, A_3 არიან თუ არა ერთობლივ დამოუკიდებელი ხდომილობები. A_1, A_2, A_3 ხდომილობების ერთობლივ მოხდენას ხელს უწყობს ტეტრაედრის 4 წახნაგიდან მხოლოდ ერთი წახნაგი რიცხვებით: 1,2,3, ამიტომ: $P(A_1, A_2, A_3)=\frac{1}{4}$, მაგრამ:

$$P(A_1)\cdot P(A_2)\cdot P(A_3)=\frac{1}{2}\cdot\frac{1}{2}\cdot\frac{1}{2}=\frac{1}{8}$$

ამრიგად, $P(A_1, A_2, A_3)\neq P(A_1)\cdot P(A_2)\cdot P(A_3)$.

ეს ნიშნავს, რომ ხდომილობები A_1, A_2, A_3 ერთობლივ დამოუკიდებლები არ არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წყვილ-წყვილად დამოუკიდებლები იყვნენ.

§6. სრული ალბათობისა და ბაიესის ფორმულები

თუ $H_1, H_2, \ldots, H_n$ ხდომილობები ქმნიან ხდომილობათა სრულ ჯგუფს და $P(H_i) \neq 0$, $i=1,\ldots n$, მაშინ ნებისმიერი A ხდომილობისათვის, რომელსაც ცდის შედეგად შეიძლება ადგილი ექნეს რომელიმე H_i $(i=1,\ldots n)$ ხდომილობასთან ერთად, სრულდება ტოლობები:

$$P(A) = \sum_{i=1}^{n} P(H_i)P(A|H_i) \qquad \textbf{(6.1)}$$

$$P(H_k | A) = \frac{P(H_k)P(A|H_k)}{\sum_{i=1}^{n} P(H_i)P(A|H_i)}, \ \mathbf{k=1,\ldots,n} \qquad \textbf{(6.2)}$$

(6.1) არის **სრული ალბათობის ფორმულა,**
(6.2) – **ბაიესის ფორმულა.**

§7. დამოუკიდებელ ცდათა სქემა

ვთქვათ, ცდას ვატარებთ ერთსა და იმავე პირობებში n-ჯერ და თითოეულ ცდას გააჩნია მხოლოდ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგი: „წარმატება“ (რაიმე ხდომილობის მოხდენა), „მარცხი“ $\bar{A}$ (A ხდომილობის არ-მოხდენა). შემოვიღოთ ხდომილობები $\bar{A}_i$={i-ურ ცდაში ად-გილი აქვს „წარმატებას“}, მაშინ $\bar{A}\cap$={i-ურ ცდაში ადგილი აქვს „მარცხს“}, i=1,2…n, რომელთა ალბათობები აღვნიშნოთ შესაბამისად $P(A_i)$ და $P(\bar{A}_i)$-ით.

თუ ყოველ ცდაში „წარმატების“ ალბათობა არის მუდმივი არაუარყოფითი სიდიდე $P(A_i)=p$, $i=1,\ldots n$ და $A_1, A_2, \ldots A_n$ ხდომილობები ერთობლივად დამოუკიდებლები არიან, მაშინ ვამბობთ, რომ გვაქვს **დამოუკიდებელ ცდათა ბერნულის სქემა.**

ცხადია:

$P(\bar{A}_i)=1-P(A_i)=1-P=q$, $i=1,\ldots n$ და $p+q=1$

ალბათობა იმისა, რომ n დამოუკიდებელ ცდაში „წარმატებას“ ადგილი ექნება k-ჯერ და არ ექნება ადგილი (n-k)-ჯერ, აღინიშნება $P_n(k)$-თი და გამოითვლება **ბერნულის** ფორმულით

$$P_n(k)=C_n^k p^k q^{n-k}=\frac{n!}{k!(n-k)!}p^k q^{n-k}, \quad k=0,1,\ldots,n \qquad (7.1)$$

k-ს იმ k_o მნიშვნელობას, რომლისთვისაც (7.1) ფორმულით გამოთვლილი $P_n(k)$ ალბათობა უდიდესია, ეწოდება A ხდომილობის მოხდენის („წარმატების“), **უალბათესი რიცხვი.**

თუ $(n+1)p$ წილადია, მაშინ k_o გამოითვლება ფორმულით

$$k_o=[(n+1)p], \qquad (7.2)$$

სადაც [x] აღნიშნავს რიცხვის მთელ ნაწილს. თუ სიდიდე $(n+1)P$ მთელია, მაშინ k_o ღებულობს ორ მნიშვნელობას:

$$k_o=(n+1)p-1 \quad k_o=(n+1)p \qquad (7.3)$$

როდესაც $0<p<1$ n დიდი რიცხვია, ისეთი რომ **np>10;** მაშინ (7.1) ფორმულით სარგებლობა შრომატევადი ხდება, ამიტომ ამ შემთხვევაში უფრო მოსახერხებელია ვისარგებლოთ შემდეგი მიახლოებითი ფორმულებით:

$$P_n(k)\approx\frac{1}{\sqrt{npq}}\phi(x), \qquad (7.4)$$

სადაც $x=\frac{k-np}{\sqrt{npq}}$, $\varphi(x)=\frac{1}{\sqrt{2\pi}}e^{\frac{-x^2}{2}}$ ($\varphi(x)$ - ლაპლასის ფუნქციაა).

როდესაც A იშვიათი ხდომილობაა (p მცირე რიცხვია), ხოლო n დიდი რიცხვია ($n\to\infty$), მაშინ:

$$P_n(k)\approx\frac{\lambda^k}{n!}e^{-\lambda}, \qquad (7.5)$$

სადაც $p=p_n\to 0$, თუ $n\to\infty$ და $\lambda=np$. $\varphi(x)$ ფუნქციისა და (7.5) ფორმულით გამოსახული Pn(k)-ს მნიშვნელობები მოცემულია შესაბამისად დანართის I და III ცხრილებში, ამასთან (7.4) ფორმულით სარგებლობა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ $np>10$; თუ $np\leq 10$, უკეთეს მიახლოებას იძლევა (7.5) ფორმულა.

(7.4) არის მუავრ-ლაპრასის ლოკალური ზღვრული ფორმულა, ხოლო (7.5)-პუასონის ფორმულა.

ალბათობა იმისა, რომ n ჩატარებულ ცდაში „წარმატებათა“ (სასურველი A ხდომილობის მოსვლათა) k რიცხვი მოთავსებული იქნება [k_1, k_2] შუალედში, გამოითვლება ფორმულით

$$P(k_1 \le k \le k_2) = \sum_{k=k_1}^{k_2} C_n^k p^k q^{n-k} \qquad (7.6)$$

სადაც k_1 და k_2 დადებითი მთელი რიცხვებია.

თუ n დიდი რიცხვია, მაშინ ამ ალბათობის გამოსათვლელად შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი მიახლოებითი ფორმულები:

$$P(k_1 \le k \le k_2) \approx \Phi_0\left(\frac{k_2 - np}{\sqrt{npq}}\right) - \Phi_0\left(\frac{k_1 - np}{\sqrt{npq}}\right) \qquad (7.7)$$

სადაც

$$\Phi_0(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_0^x e^{-\frac{t^2}{2}} dt$$

ამასთან, npq>9, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ np≤10

$$P(k_1 \le k \le k_2) \approx \sum_{k=k_1}^{k_2} \frac{\lambda^k}{k!} e^{-\lambda} \qquad (7.8)$$

($\Phi_0(x)$ ფუნქციისა და (7.8) ფორმულით განსაზღვრული $\sum_{k=k_1}^{k_2} \frac{\lambda^k}{k!} e^{-\lambda}$ გამოსახულების მნიშვნელობები მოცემულია შესაბამისად II და IV ცხრილებში.

(7.7) არის მუავრ-ლაპლასის ინტერგალური ზღვრული ფორმულა, ხოლო (7.6) და (7.8) მიიღებიან შესაბამისად (7.1) და (7.5) ფორმულებიდან.

§8. შემთხვევითი სიდიდე. შემთხვევითი სიდიდის ალბათობების განაწილების კანონი, განაწილების ფუნქცია და სიმკვრივე. მაგალითები.

Ω ელემენტარულ ხდომილობათა სივრცეზე განსაზღვრულ ξ=ξ(ω) ფუნქციას ეწოდება შემთხვევითი სიდიდე, თუ ნებისმიერი x რიცხვისათვის სიმრავლე A={ω:ξ(ω)<x}={ξ<x} წარმოადგენს შემთხვევით ხდომილობას.

თუ A={ξ<x} არის შემთხვევითი ხდომილობა, მაშინ შემთხვევით ხდომილობებს წარმოადგენენ აგრეთვე სიმრავლეები:

{ξ≤x}, {ξ>x}, {ξ≥x}, {a≤ξ≤x}, {a≤ξ<b},

{a<ξ≤x}, {a<ξ<x},

სადაც a და b (a<b) ნამდვილი რიცხვებია.

ელემენტარულ ხდომილობათა **Ω** სივრცეზე განსაზღვრულ ორ ξ და η შემთხვევით სიდიდეს ეწოდება დამოუკიდებელი, თუ ნებისმიერი x და y რიცხვებისათვის ხდომილობები A={ξ<x} და B={η<y} დამოუკიდებელია.

$\xi_1 \ldots \xi_n$ შემთხვევით სიდიდეებს ერთობლივ დამოუკიდებელი ეწოდებათ, თუ ნებისმიერი $a_1, a_2 \ldots a_n$ რიცხვებისათვის ხდომილობები $A_1=\{\xi<a_1\} \ldots A_n=\{\xi<a_n\}$ ერთობლივ დამოუკიდებელია.

ξ=ξ(ω) შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქცია ეწოდება

$F_\xi(x)=P\{\omega:\xi(\omega)\le x\}$, $(-\infty<x<\infty)$ ფუნქციას.

თუ **Ω** ელემენტარულ ხდომილობათა სივრცე დისკრეტულია, მაშინ სიმრავლე {ω:ξ(ω)≤x} ყოველთვის წარმოადგენს შემთხვევით ხდომილობას.

დისკრეტულ ელემენტარულ ხდომილობათა **Ω** სივრცეზე განსაზღვრულ ξ=ξ(ω), ω ϵ **Ω**, შემთხვევით სიდიდეს დისკრეტული შემთხვევითი სიდიდე ეწოდება.

დისკრეტული ξ(ω) შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობათა სიმრავლე სასრული ან თვლადი სიმრავლეა:

$X=\{x_1, x_2 \ldots x_n\}$ ან $X=\{x_1 \lhd x_2 \ldots\} \cdot x_1\, x_2 \cdot \ldots \cdot x_n$ რიცხვებს დისკრეტული ξ **შემთხვევითი სიდიდის შესაძლო მნიშვნელობები** ეწოდებათ.

ალბათობა იმისა, რომ ξ შემთხვევითი სიდიდე მიიღებს x_k მნიშვნელობას, ტოლია:

$$P_\xi(x_k)=P\{\omega:\xi(\omega)=x_k\}=P\{\xi=x_k\}=p_k,\ k=1,2\ldots \qquad (8.1)$$

ცხადია $\sum_{i=1}^{\infty} p_k = 1$

თუ მოცემულია ξ შემთხვევითი სიდიდის შესაძლო Xk, k=1,2…, მნიშვნელობებისა და მათი შესაბამისი Pk ალბათობების ერთობლიობა, ვიტყვით, რომ მოცემული

გვაქვს ξ დისკრეტული შემთხვევითი სიდიდის განაწილება. ξ დისკრეტული შემთხვევითი სიდიდის განაწილება მოიცემა შემდეგი ცხრილის სახით:

ξ	x_1	x_2	...	x_n	...
P_ζ	p_1	p_2	...	p_n	...

$$\sum_{i=1}^{\infty} p_i = 1,$$

ცხრილის პირველ სტრიქონში ჩაწერილია ξ შემთხვევითი სიდიდის შესაძლო მნიშვნელობები, ხოლო მეორე სტრიქონში ამ მნიშვნელობების შესაბამისი ალბათობები.

დისკრეტული განაწილების მაგალითები

1. **ბერნულის** განაწილება (პარამეტრით p).

ξ	0	1
P_ξ	p	$1-p$

0<p<1

2. **ბინომიალური** განაწილება (პარამეტრებით (n, k, p)

ξ	0	1	2	...	n
P_ζ	p_0	p_1	p_2	...	p_n

$$p_k = C_n^k p^k q^{n-k}, \ 0<p<1, \ k=0,1,...,n.$$

3. **პუასონის** განაწილება (პარამეტრით λ)

ξ	0	1	2	...	n	...
P_ζ	p_0	p_1	p_2	...	p_n	...

$$p_k \approx \frac{\lambda^k}{k!} e^{-\lambda}, \lambda > 0, k = 0,1,...$$

შემთხვევით სიდიდეს ეწოდება უწყვეტი, თუ მისი განაწილების ფუნქცია შეიძლება მოცემულ იქნას შემდეგი სახით:

$$F_{\xi}(x) = \int_{-\infty}^{x} f_{\xi}(x)dx, \tag{8.2}$$

სადაც $f_{\xi}(x)$ არაუარყოფითი ფუნქციაა.

ინტეგრალქვეშა $f_{\xi}(x)$ ფუნქციას ეწოდება ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივე. ამასთან:

$$\int_{-\infty}^{+\infty} f_{\xi}(x)dx = 1.$$

(8.2) ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ:

$$f_{\xi}(x) = F_{\xi}^{1}(x) = \frac{dF_{\xi}(x)}{dx}$$

უწყვეტი განაწილების მაგალითები

1. **თანაბარი განაწილება** $[a,b]$ ინტერვალზე

$$f_{\xi}(x) = \begin{cases} \dfrac{1}{b-a}, & \text{თუ} \quad x \in [a,b] \\ 0, & \text{თუ} \quad x \notin [a,b] \end{cases} \qquad (-\infty < a < b < +\infty)$$

2. **მაჩვენებლიანი განაწილება** (λ პარამეტრით)

$$f_{\xi}(x) = \begin{cases} \lambda e^{-\lambda x}, \text{თუ} \ x > 0 \\ 0, \text{თუ} x \le 0, (\lambda > 0) \end{cases}$$

3. **ნორმალური განაწილება** (პარამეტრებით (-a, σ^2)

$$f_{\xi}(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}\sigma} e^{-\frac{(x-a)^2}{2\sigma^2}}, \quad -\infty < a < +\infty, \quad \sigma > 0$$

ნორმალურ განაწილებას პარამეტრებით (0;1) **სტანდარტული ნორმალური განაწილება ეწოდება** და მისი განაწილების ფუნქციას აქვს სახე

$$\Phi(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_{-\infty}^{x} e^{-\frac{t^2}{2}} dt.$$

$\Phi(x)$ ფუნქციასა და ლაპლასის $\Phi_0(x)$ (იხ.7.7) ფუნქციას შორის არის შემდეგი კავშირი:

$$\Phi(x) = \frac{1}{2} + \Phi_0(x)$$

ალბათობა იმისა, ξ რომ შემთხვევითისიდიდე მიიღება მნიშვნელობებს $[a,b]$ ინტერვალიდან, გამოითვლება ერთ-ერთი შემდეგი ფორმულით:

$$P\{a\le\xi\le b\}=F_\xi(b)-F_\xi(a) \tag{8.3}$$

$$P\{a\le\xi\le b\}=\int_a^b f_\xi(x)dx \tag{8.4}$$

განაწილების ფუნქციას აქვს შემდეგი თვისებები:

1. $0\le F_\xi(x)\le 1$
2. $\lim\limits_{x\to+\infty} F_\xi(x)=1 \quad \lim\limits_{x\to+\infty} F_\xi(x)=0$
3. განაწილების ფუნქცია არაკლებადი ფუნქციაა
4. განაწილების ფუნქცია მარცხნიდან უწყვეტია.

§9. ორი შემთხვევითი სიდიდის ერთობლივი განაწილება

განვიხილოთ ორგანზომილებიანი შემთხვევითი სიდიდე (ვექტორი) (ξ, η), სადაც ξ და η დისკრეტული ტიპის შემთხვევითი სიდიდეებია, რომელთა განაწილებებს აქვს სახე:

ξ	x_1	x_2	...	x_m
P_ζ	p_1	p_2	...	p_m

$$p_i=P_\xi(x_i)=P\{\xi=x_i\},\ i=1,...,m \tag{9.1}$$

η	y_1	y_2	...	y_n
P_η	q_1	q_2	...	q_n

$$q_j=P_\eta(y_j)=P\{\eta=y_j\},\ j=1,...,n \tag{9.2}$$

(ξ,η) შემთხვევითი სიდიდის შესაძლო მნიშვნელობათა სიმრავლე წარმოადგენს (x_i, y_j) i=1,…m, j=1…n, ყველა შე-საძლო მნიშვნელობათა ერთობლიობას, რომელთა შესაბამისი ალბათობები განიმარტება შემდეგნაირად:

$$p_{ij} = p_{\xi\eta}(x_i y_j)=P(\{\xi(\omega)=x_i\}\cap\{\eta(\omega)=y_i\})=P\{\xi=x_i,\ \eta=y_j\}$$

i=1,..., m; j=1,...., n;

$$\sum_{i=1}^{n}\sum_{j=1}^{m} P_{ij} = 1, \qquad (9.3)$$

ორგანზომილებიანი (ξ, η) დისკრეტული შემთხვევითი სიდიდის (ვექტორის) განაწილების კანონი შეიძლება მოცემულ იქნას შემდეგი ცხრილის საშუალებით:

$\xi \backslash \eta$	y_1	y_2	$\cdots$	y_n
x_1	p_{11}	p_{12}	$\cdots$	p_{13}
x_2	p_{21}	p_{22}	$\cdots$	p_{2n}
$\cdots$	$\cdots$	$\cdots$	$\cdots$	$\cdots$
x_m	p_{m1}	p_{m2}	$\cdots$	p_{mn}

(9.4)

სადაც p_{ij} ალბათობები აკმაყოფილებენ (9.3) ტოლობას.

თუ ვიცით შემთხვევითი (ξ, η) დისკრეტული ვექტორის (9.4) განაწილების კანონი, მაშინ შეიძლება მისი საშუალებით აღვადგინოთ ξ და η შემთხვევითი სიდიდეების (9.1) და (9.2) განაწილების კანონები შემდეგი ფორმულების გამოყენებით:

$$p = P_{\xi}(x_i) = \sum_{j=1}^{n} P_{\xi\eta}(x_i, y_j), i = 1, ..., m \qquad (9.5)$$

$$q_j = P_{\eta}(y_j) = \sum_{i=1}^{m} P_{\xi\eta}(x_i, y_j), \; j = 1, ..., n \qquad (9.6)$$

ორგანზომილებიანი (ξ, η) შემთხვევითი ვექტორის, სადაც ξ და η უწყვეტი შემთხვევითი სიდიდეებია, განაწილების ფუნქცია (ანუ ξ და η შემთხვევითი სიდიდეების ერთობლივი განაწილების ფუნქცია) $F_{\xi\eta}(x,y)$ ნებისმიერი x და y რიცხვებისათვის განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$F_{\xi\eta}(x, y) = P(\{\xi(\omega) < x\} \cap \{\eta(\omega) < y\}) = P\{\xi < x, \eta < y\} \qquad (9.7)$$

სარგებლობენ შემდეგი განმარტებითაც:

თუ არსებობს ისეთი არაუარყოფითი $f_{\xi\eta}(x,y)$ ფუნქცია, რომ $F_{\xi\eta}(x,y)$ წარმოადგენს $F_{\xi\eta}(x, y) = \int_{-\infty}^{x}\int_{-\infty}^{y} f_{\xi\eta}(u, v) du dv$ სახით მაშინ ორგანზომილებიან (ξ, η) შემთხვევით ვექტორს უწოდებენ უწყვეტს, ხოლო $f_{\xi\eta}(x,y)$ მისი განაწილების სიმკვრივეს

$$\int_{-\infty}^{+\infty}\int_{-\infty}^{+\infty} f_{\xi\eta}(x,y)dxdy=1 \qquad (9.8)$$

უწყვეტი ξ და η შემთხვევითი სიდიდეების განაწილების $F_\xi(x)$ და $F_\eta(y)$ სიმკვრივეები $F\xi\eta(x,y)$-ის საშუალებით გამოითვლება შემდეგი სახით:

$$f_\xi(x)=\int_{-\infty}^{+\infty} f_{\xi\eta}(x,y)dy,\ f_\eta(y)\int_{-\infty}^{+\infty} f_{\xi\eta}(x,y)dx \qquad (9.9)$$

ξ და η სიდიდეებს ეწოდებათ დამოუკიდებელნი, თუ x და y ცვლადების ნებისმიერი მნიშვნელობისათვის მათი ერთობლივი განაწილების ფუნქცია $F\xi\eta(x,y)$ წარმოიდგინება როგორც თითოეული შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქციათა ნამრავლი

$$F_{\xi n}(x,y)=F_\xi(x)\cdot F_n(y)$$

თუ (ξ,η) დისკრეტული ტიპის შემთხვევითი ვექტორია, მაშინ ξ და η შემთხვევითი სიდიდეების დამოუკიდებლობის პირობას წარმოადგენს ტოლობა

$$P_{ij}=p_i q_j,\ i=1,2,\ldots,m,\ j=1,2,\ldots,n \qquad (9.10)$$

ხოლო უწყვეტი ტიპის ξ და η შემთხვევითი სიდიდეებისათვის

$$f_{\xi\eta}(x,y)=f_\xi(x)\cdot f_\eta(y) \qquad (9.11)$$

§10. შემთხვევითი სიდიდის ფუნქცია

ვთქვათ, ξ=ξ(ω), ω∈Ω არის რაიმე შემთხვევითი სიდიდე, ხოლო $\varphi(x)$ - ნამდვილ რიცხვთა ღერძზე განსაზღვრული ისეთი ფუნქცია, რომ $\eta=\varphi(\xi(\varpi))$ აგრეთვე შემთხვევითი სიდიდეა. განვიხილოთ შემთხვევები:

1) არის (9.1) განაწილების კანონით განსაზღვრული დისკრეტული ტიპის შემთხვევითი სიდიდე. თუ $\eta=\varphi(\xi)$ შემთხვევითი ფუნქციის შესაძლო მნიშვნელობები $\varphi_1=\varphi(x_1)\ldots\varphi_m=\varphi(x_m)$ ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაშინ ხდომილობები $\{\omega:\xi(\omega=x_i\}$ და $\{\omega:\eta(\omega)=y_i=\varphi(x_i)\}$ ტოლია და

$p_i=P_\xi(x_i)=P\{\xi=x_i\}=P\{\eta=y_i\}=P_\eta(y_i)$, i=1…m

ამიტომ η-ს განაწილებას აქვს სახე

$$\frac{\eta}{P_\eta}\left|\frac{y_1}{p_1}\right|\frac{...}{...}\left|\frac{y_n}{p_n}\right| \tag{10.1}$$

თუ η=φ(ξ) შემთხვევითი ფუნქციის $y_1=\varphi(x_1),\dots y_n=\varphi(x_n)$ მნიშვნელობებს შორის არის ერთმანეთის ტოლი მნიშვნე-ლობები, მაშინ ამ მნიშვნელობებს η-ს განაწილების კანონში წერენ ერთჯერ და შესაბამის ალბათობად იღებენ ტოლ მნიშვნელობათა შესაბამისი ალბათობის ჯამს.

2) ვთქვათ, ორი $\xi_1=\xi_1(\omega)$ და $\xi_2=\xi_2(\omega)$, $\omega\epsilon\Omega$, დისკრეტული შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონია შესაბამისად

$$\frac{\xi_1}{P_\zeta}\left|\frac{x_1}{p_1}\right|\frac{...}{...}\left|\frac{x_n}{p_n}\right|,\ p_i=P_{\xi 1}(x_i)=P\{\xi_1=x_i\},\ i=1,\dots,m$$

და

$$\frac{\xi_2|y_1|....|y_n|}{P_\xi|q_1|....|q_n|},\ q_j=P_{\xi 2}(y_j)=P\{\xi_2=y_j\},\ j=1,\dots,n$$

მაშინ ξ_1 და ξ_2 შემთხვევით სიდიდეთა $\xi=\xi(\omega)=\varphi(\xi_1,\xi_2)$ ფუნქციის განაწილების კანონს ექნება სახე

$$\frac{\eta}{P_\eta}\left|\frac{z_{ij}}{p_{ij}}\right|=\frac{\varphi(x_i,y_j)}{P(\xi_1=x_i,\xi_2=y_j)},\ i=1,\dots,m;\ j=1,\dots,n \tag{10.2}$$

დისკრეტული ξ_1 და ξ_2 შემთხვევით სიდიდეთა $\eta_1=\varphi_1(\xi_1,\xi_2)=\xi_1+\xi_2$ ჯამის განაწილების კანონს ექნება სახე:

$$\frac{\eta_1}{P_{\eta 1}}\left|\frac{x_i+y_j}{p_{ij}}\right|,\ p_{ij}=P(\xi_1=x_i,\ \xi_2=y_j) \tag{10.3}$$

დისკრეტული ξ_1 და ξ_2 შემთხვევითი სიდიდეთა $\xi_2=\varphi_2(\xi_1\cdot\xi_2)=\xi_1\cdot\xi_2$ ნამრავლის განაწილების კანონს ექნება სახე:

$$\frac{\eta_2}{P_{\eta_2}}\left|\frac{x_i+y_j}{p_{ij}}\right|,\ ,\ i=1,\dots,m;\ j=1,\dots,n \tag{10.4}$$

ξ_1 და ξ_2 დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდე-ებისათვის (10.3) და (10.4) განაწილებებში (9.10) ფორმულის საფუძველზე სათანადოდ შეიცვლება მხოლოდ pij ალბათობები p_i და q_j-თი.

ცხადია,

$$\frac{K\xi_1}{P_{\xi 1}}\left|\frac{Kx_1}{p_1}\right|\frac{...}{...}\left|\frac{Kx_m}{P_m}\right. \qquad \frac{\xi^k{}_1}{P_{\xi 1}}\left|\frac{x^k{}_1}{p_1}\right|\frac{...}{...}\left|\frac{x^k{}_m}{p_m}\right. \tag{10.5}$$

3) ξ უწყვეტი ტიპის შემთხვევითი სიდიდეა $f_\xi(x)$ განაწილების სიმკვრივით.

თუ $y = f(x)$ მონოტონური, უწყვეტი და დიფერენცირებადი ფუნქციაა, მაშინ $\eta = f(\xi)$ შემთხვევითი ფუნქციის განაწილების უცნობი სიმკვრივე $f_n(y)$ მოიძებნება შემდეგი ფორმულით:

$$f_\eta(y) = f_\xi(x)\left|\frac{d\varphi(y)}{dy}\right| = f_\xi(\varphi(y)\left|\frac{d\varphi(y)}{dy}\right| \tag{10.6}$$

სადაც $x = \varphi(y)$ არის $y = \varphi(x)$-ის შებრუნებული ფუნქცია.

თუ $y = \varphi(x)$ არაა მონოტონური, ანუ შებრუნებული $x = \varphi(y)$ ფუნქცია ცალსახა არაა, რაც ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე y-ს შეესაბამება x-ის რამოდენიმე მნიშვნელობა: $x_1 = \varphi_1(y),...,x_n = \varphi_n(y)$, მაშინ ვსარგებლობთ ფორმულით

$$f_\eta(y) = \sum_{i=1}^{n} f_\xi(\varphi i(y)/\varphi'_i(y) \tag{10.7}$$

§11. შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი და დისპერსია

ξ შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი აღინიშნება M(ξ) სიმბოლოთი.

დისკრეტული ξ შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი ეწოდება რიცხვს

$$M(\xi) = \sum_{k=1}^{n} x_k p_k \tag{11.1}$$

თუ შემთხვევითი სიდიდე ღებულობს თვლადი რაოდენობის მნიშვნელობებს, მაშინ

$$M(\xi) = \sum_{k=1}^{\infty} x_k p_k \tag{11.2}$$

და მოითხოვება (11.2) მწკრივის აბსოლუტური კრებადობა.

უწყვეტი ξ შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი ეწოდება რიცხვს

$$M(\xi)=\int_{-\infty}^{+\infty} x f_{\xi}(x)dx, \qquad (11.3)$$

სადაც $f_{\xi}(x)$ არის ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივე, ამასთან მოითხოვება, რომ (11.3) ინტერვალი იყოს აბსოლუტურად კრებადი.

თუ გავითვალისწინებთ §10-ს, შეგვიძლია დავწეროთ, რომ:

$$M(\varphi(\xi))=\sum_{i=1}^{n}\varphi(x_i)P_{\xi}(x_i),$$

$$M[\varphi(\xi_1,\xi_2)]=\sum_{i=1}^{n}\sum_{j=1}^{m}\varphi(x_i,y_i)P(\xi_1=x_1,\xi_2=x_2),$$

სადაც ξ_1, ξ_2 დისკრეტული ტიპის შემთხვევითი სიდიდეებია. ანალოგიურად:

$$M(\varphi(\xi))=\int_{-\infty}^{+\infty}\varphi(x)f_{\xi}(x)dx,$$

$$M(\varphi(\xi_1,\xi_2))=\int_{-\infty}^{+\infty}\int_{-\infty}^{+\infty}\varphi(x,y)f_{\xi_1\xi_2}(x,y)dxdy,$$

სადაც ξ_1 და ξ_2 უწყვეტი ტიპის შემთხვევითი სიდიდეებია, ხოლო $f_{\xi_1\xi_2}(x,y)$ - შემთხვევით სიდიდეთა ერთობლივი განაწილების სიმკვრივე.

ξ შემთხვევითი სიდიდის დისპერსია D(ξ) ეწოდება $(\xi-M(\xi))^2$ შემთხვევითი სიდიდის მათემატიკურ ლოდინს

$D(\xi)=M(\xi-M(\xi))^2$.

დისპერსია შეიძლება გამოთვლილი იქნას შემდეგი ფორმულით:

$D(\xi)=M(\xi^2)-M(\xi))^2$ (11.4)

ξ დისკრეტული ტიპის შემთხვევითი სიდიდისათვის დისპერსია გამოითვლება ფორმულით:

$$D(\xi)=\sum_{k=1}^{n}(x_k-M(\xi))^2P_k=\sum_{k=1}^{n}x_k^2P_k-(\sum_{k=1}^{n}x_kP_k)^2 \qquad (11.5)$$

ხოლო უწყვეტისათვის

$$D(\xi)=\int_{-\infty}^{+\infty}(x-M(\xi))^2 f_\xi(x)dx=\int_{-\infty}^{+\infty}x^2 f_\xi(x)dx-(\int_{\infty}^{\infty}xf_\xi(x)dx)^2 \qquad (11.6)$$

თუ მოცემულია (ξ,η) შემთხვევითი ვექტორის ერთობლივი განაწილება, მაშინ ξ და η შემთხვევით სიდიდეების მათემატიკური ლოდინი და დისპერსია გამოითვლება შემდეგი წესით:

ა) თუ დისკრეტული (ξ, η) ვექტორის განაწილება მოცემულია (9.4) სახით, მაშინ

$$m_\xi=M(\xi)=\sum_{i=1}^{n}\sum_{j=1}^{m}x_i P_{ij},\ m_\eta=M(\eta)=\sum_{i=1}^{n}\sum_{j=1}^{m}y_j P_{ij} \qquad (11.7)$$

$$\sigma_\xi^2=D(\xi)=\sum_{i=1}^{n}\sum_{j=1}^{m}(x_i-m_\xi)^2 P_{ij},\sigma_\eta^2=D(\eta)=\sum_{i=1}^{n}\sum_{j=1}^{m}(y_j-m_\eta)^2 P_{ij}$$

ბ) თუ უწყვეტ (ξ, η) შემთხვევით ვექტორს გააჩნია განაწილების $f_{\xi\eta}(x,y)$ სიმკვრივე, მაშინ

$$m_\xi=M(\xi)=\int_{-\infty}^{+\infty}\int_{-\infty}^{+\infty}xf_{\xi\eta}(x,y)dxdy, \quad \sigma_\eta^2=D(\eta)=\int_{-\infty}^{+\infty}\int_{-\infty}^{+\infty}yf_{\xi\eta}(x,y)dy, \quad (11.8)$$

$$\sigma_\xi^2=D(\xi)=\int_{-\infty}^{+\infty}\int_{-\infty}^{+\infty}(x-m_\xi)^2 f_{\xi\eta}(x,y)dxdy,$$

$$\sigma_\eta^2=D(\eta)=\int_{-\infty}^{+\infty}\int_{-\infty}^{+\infty}(y-m_\eta)^2 f_{\xi\eta}(x,y)dxdy,$$

მათემატიკური ლოდინისა და დისპერსიის თვისებები:

1. თუ c=const , მაშინ M(c)=c;
2. თუ c=const, მაშინ M(cξ)=cM(ξ);
3. $M(\xi_1+\xi_2)=M(\xi_1)+M(\xi_2)$;
4. თუ c=const, მაშინ D(c)=0;
5. თუ c=const, მაშინ $D(c\xi)=c^2 D(\xi)$
6. თუ ξ_1 და ξ_2 დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეებია, მაშინ:

$M(\xi_1\,\xi_2)=M(\xi_1)\cdot M(\xi_2)$;

§12. კოვარიაცია და კორელაციის კოეფიციენტი

ორი ξ=ξ(ω), η=η(ω)(ω∈Ω) შემთხვევითი სიდიდეებისათვის M[(ξ-M(ξ)(η-M(η)] გამოსახულებას ეწოდება ξ და η შემთხვევითი სიდიდეების **კოვარიაცია** და აღინიშნება **cov(ξ,η)** სიმბოლოთი.

cov(ξ,η)=M[(ξ-M(ξ) Ω-M(η)]=M(ξ,η)-M(ξ)M(η)

უწყვეტი ტიპის შემთხვევითი სიდიდეებისათვის კოვარიაციის გამოსათვლელ ფორმულას აქვს სახე:

$$\mathrm{cov}(\xi,\eta)=\int_{-\infty}^{+\infty}\int_{-\infty}^{+\infty}(x-M(\xi))(y-M(\eta))\,f_{\xi\eta}(x,y)dxdy=$$

$$\int_{-\infty}^{+\infty}\int_{-\infty}^{+\infty}xyf_{\xi n}(x,y)dxdy+M(\xi)\cdot M(\eta), \qquad (12.1)$$

ხოლო დისკრეტული ტიპის შემთხვევითი სიდიდეებისათვის

$$\mathrm{cov}(\xi,\eta)=\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}(x_i-m_\xi)(y_j-m_\eta)p_{ij}=$$

$$=\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}x_i y_j P_{ij}-m_\xi m_\eta \qquad (12.2)$$

სიდიდეს $r_{\xi\eta}=\dfrac{\mathrm{cov}(\xi,\eta)}{\sqrt{D(\xi)D(\eta)}}$ ეწოდება ξ და η შემთხვევითი სიდიდეების **კორელაციის კოეფიციენტი.**

კორელაციის კოეფიციენტი გამოხატავს ξ და η შემთხვევით სიდიდეებს შორის დამოკიდებულების ხარისხს. კერძოდ, რაც უფრო დიდია კორელაციის კოეფიციენტის მოდული, მით უფრო დიდია დამოკიდებულება ξ და η-ს შორის. თუ კორელაციის კოეფიციენტი უდრის ნულს, მაშინ ξ და η შემთხვევით სიდიდეებს არაკორელირებულები ეწოდება.

კორელაციის კოეფიციენტის თვისებები

1. კორელაციის კოეფიციენტის მოდული არ აღემატება ერთს, $|r_{\xi\eta}|\le 1$.

2. თუ ξ და η დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეებია, მაშინ $r_{\xi\eta}=0$.

3. თუ ξ და η-ს შორის არსებობს წრფივი დამოკიდებულება, ე.ი. ξ=aη+b, a,b=const, მაშინ $|r_{\xi\eta}|=1$.

4. $r_{\xi\eta}=.\ r_{\eta\xi}$

§13. დიდ რიცხვთა კანონი. ჩებიშევის უტოლობა. ჩებიშევის თეორემა, ბერნულის თეორემა

ჩებიშევის I უტოლობა: თუ ξ შემთხვევით სიდიდეს გააჩნია სასრული მათემატიკური ლოდინი M(ξ), მაშინ ნებისმიერი ε>0 რიცხვისათვის, მართებულია უტოლობა

$$P(|\xi| \geq \varepsilon) \leq \frac{M|\xi|}{\varepsilon}. \tag{13.1}$$

ჩებიშევის II უტოლობა: თუ ξ შემთხვევით სიდიდეს გააჩნია სასრული მათემატიკური ლოდინი M(ξ) და დისპერსია D(ξ), მაშინ ნებისმიერი ε>0 რიცხვისათვის მართებულია უტოლობა

$$P(|\xi - M(\xi)| \geq \varepsilon) \leq \frac{D|\xi|}{\varepsilon^2}. \tag{13.2}$$

(13.1) და (13.2) უტოლობები საშუალებას იძლევიან შევაფასოთ შემთხვევითი სიდიდის გაბნევა.

ჩებიშევის უტოლობების გამოყენებით მტკიცდება თეორემები, რომლებიც ატარებენ **დიდ რიცხვთა კანონის** სახელს.

დიდ რიცხვთა კანონის ქვეშ გულისხმობენ იმ თეორემებს, რომელთაც აერთიანებთ ცდათა დიდი რიცხვის დროს საშუალო შედეგთა მდგრადობის იდეა.

ჩებიშევის თეორემა. ვთქვათ ξ_1, ξ_2,…ξ_n შემთხვევითი სიდიდეები წყვილ-წყვილად დამოუკიდებელნი არიან და D(ξ_i)≤C, i=1,2…, სადაც C ნებისმიერი მუდმივია. მაშინ ნებისმიერი ε>0 რიცხვისათვის მოიძებნება რაგინდ მცირე δ>0 რიცხვი, ისეთი, რომ საკმაოდ დიდი n რიცხვისათვის შესრულდება პირობა

$$P\left(\left|\frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} \xi_i - \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} M(\xi_i)\right| < \varepsilon\right) > 1-\delta \tag{13.3}$$

ამ უტოლობაში შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ $0 < \delta < \dfrac{D(\mathrm{X})}{n\varepsilon^2}$, სადაც $D(\mathrm{X})$ არის X შემთხვევითი სიდიდის დისპერსია, ($\mathrm{X} = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}\xi_i$).

ბერნულის თეორემა. ვთქვათ, m არის „წარმატებათა“ რიცხვით, n დამოუკიდებელ ცდაში, ხოლო ყოველ ცდაში „წარმატების“ ალბათობაა p, მაშინ ნებისმიერი ε>0 რიცხვისათვის მოიძებნება ისეთი δ>0 რიცხვი, რომ საკმაოდ დიდი n-ებისათვის

$$P\left(\left|\frac{m}{n}-p\right|<\varepsilon\right)>1-\delta \tag{13.4}$$

(ამასთან შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ $0<\delta\le\frac{pq}{n\varepsilon^2}$

§14. ცენტრალური ზღვარითი თეორემა ერთნაირად განაწილებულ შესაკრებთა ჯამის შესახებ

ვთქვათ, $\xi_1,\xi_2,...,\xi_n...$ დამოუკიდებელ ერთნაირად განაწილებულ შემთხვევით სიდიდეთა მიმდევრობაა, სასრული მათემატიკური ლოდინით $M(\xi i)=m$ და დისპერსიით $D(\xi_i)=\sigma^2>0$ მაშინ, როცა $n\to\infty$, ნორმირებული $\eta_n=\frac{\sum_{i=1}^{n}(\xi_i-m)}{\sigma\sqrt{n}}$ ჯამის განაწილების ფუნქცია მიისწრაფვის ნორმალური განაწილების ფუნქციისაკენ პარამეტრებით (0; 1), ე.ი. ნებისმიერი x-სათვის

$$\lim_{n\to\infty}P(\eta_n<x)=\frac{1}{\sqrt{2\pi}}\int_{-\infty}^{+\infty}e^{-\frac{t^2}{2}}dt \tag{14.1}$$

საკმაოდ დიდი n-ებისათვის მართებულია შემდეგი მიახლოებითი ტოლობა:

$$P\{x_1<\eta_n<x_2\}\approx\Phi_0(x_2)-\Phi_0(x_1) \tag{14.2}$$

Φ_o უნქციის მნიშვნელობები გამოითვლება II ცხრილის საშუალებით (იხ. დამატება). (14.2) ფორმულით შეიძლება გამოვთვალოთ η_n შემთხვევითი სიდიდის $[x_1,x_2]$ ინტერვალში ჩავარდნის ალბათობა.

თავი IV. დასკვნითი სტატისტიკის ელემენტები. თეორიული მასალა

§1. შერჩევითი მეთოდი. პოლიგონი. ჰისტოგრამა

შერჩევითი მეთოდი არის ისეთი სტატისტიკური მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ რაიმე ობიექტთა ერთობლიობის ზოგადი თვისებები ამ ობიექტთა მხოლოდ რაღაც შემთხვევით ამოკრეფილი ნაწილის (რომელსაც ***შემთხვევით შერჩევას*** უწოდებენ) თვისებების შესწავლის საფუძველზე.

შემთხვევით შერჩევაზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი სქემა: ვთქვათ, ყუთში მოთავსებულია ფირფიტები ნომრებით $X_1, X_2 \ldots X_N$ და ალალბედზე ვიღებთ n ფირფიტას, რომელთა ნომრებიც აღმოჩნდა $x_1, x_2 \ldots x_n$.

$$x_1, x_2 \ldots x_n \qquad (15.1)$$

წარმოადგენს n მოცულობის შერჩევას $X_1, X_2 \ldots X_N$ გენერალური ერთობლიობიდან. (პოპულაციიდან).

(15.1)-ს ეწოდება ***შერჩევა დაბრუნებით,*** თუ ყოველ ამოღებულ ფირფიტას ყუთში ვაბრუნებთ შემდეგი ფირფიტის ამოღებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი (ე.ი. თუ ამოღებულ ფირფიტას ყუთში არ ვაბრუნებთ) (15.1)-ს ეწოდება ***შერჩევა დაბრუნების გარეშე.***

შემთხვევითი შერჩევა და შემთხვევითი ამოკრეფა სინონიმებია (შემდეგში შერჩევა).

ვთქვათ, (15.1) არის შერჩევა დაბრუნებით, მაშინ $x_1, x_2 \ldots x_n$ წარმოადგენენ დამოუკიდებელ, ერთნაირად განაწილებულ შემთხვევით სიდიდეებს; თითოეული მათგანის განაწილების კანონი ემთხვევა იმ ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონს, რომელიც ღებულობს მნიშვნელობებს $X_1, X_2 \ldots X_N$ ერთი და იგივე $1/N$-ის ტოლი ალბათობით. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ $x_1, x_2 \ldots x_n$ წარმოადგენს ξ შემთხვევით სიდიდეზე n დამოუკიდებელი დაკვირვების შედეგს.

თუ (15.1) შერჩევის მნიშვნელობებს დავალაგებთ ზრდის მიხედვით, მივიღებთ ე.წ. ***ვარიაციულ მწკრივს***

$$x_{(1)}, x_{(2)} \ldots x_{(n)} \qquad (x_{(1)} \leq x_{(2)} \leq \ldots \leq x_{(n)})$$

ფუნქციას

$$F_n(x)=\begin{cases}0, \text{როცა } x\le x_{(1)}\\ \frac{k}{n}, \text{როცა } x_{(k)}\le x\le x_{(k+1)}, k=\overline{1,n-1}\\ 1, \text{როცა } x> x_{(n)}\end{cases}. \qquad (15.2)$$

ეწოდება (15.1) შერჩევაზე დაფუძნებული ***ემპირიული განაწილების ფუნქცია.***

იმ შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი და დისპერსია, რომლის განაწილების ფუნქციაც არის $F_n(x)$, გამოითვლებიან ფორმულებით:

$$\overline{X}=\frac{1}{n}\sum_{k=1}^{n}x_k; \qquad S^2=\frac{1}{n}\sum_{k=1}^{n}(x_k-\overline{X})^2; \qquad (15.3)$$

$\bar{X}$-ს ეწოდება შერჩევითი (ემპირიული) საშუალო, ხოლო S^2-ს შერჩევითი (ემპირიული) დისპერსია.

ვთქვათ, (15.1) შერჩევაში გვაქვს r განსხვავებული მნიშვნელობა ($\xi_1, \xi_2, \ldots \xi_r$); ამასთან, ξ_i შერჩევაში გვხვდება n_i-ჯერ $i=\overline{1,n}(\sum_{i=1}^{r}n_i=n)$; ფარდობას $\frac{n_i}{n}$ ეწოდება ξ_i მნიშვნელობის ფარდობითი სიხშირე და აღინიშნება w_i სიმბოლოთი. ცხადია, $\sum_{i=1}^{r}w_i=1.$

ცხრილს, რომელიც ამყარებს კავშირს შერჩევის ξ_i მნიშვნელობებსა და შესაბამის w_i ფარდობით სიხშირეებს შორის, ეწოდება ξ შემთხვევითი სიდიდის ფარდობით სიხშირეთა სტატისტიკური განაწილება. იგი მოიცემა შემდეგი სახით:

ცხრილი 4.1.

შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობა	ξ_1	ξ_2	...	ξ_r
ფარდობითი სიხშირეები W_{ξ_i}	W_1	W_2	...	W_r

თუ ξ უწყვეტი ტიპის შემთხვევითი სიდიდეა, მაშინ მიზანშეწონილია მისი სტატისტიკური განაწილება. წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი 4.2

ინტერვალები	$]y_1, y_2]$	$]y_2, y_3]$	...	$]y_{e-1},y_e]$
ინტერვალის შესაბამისი ფარდობითი სიხშირე	W_1	W_2	...	W_{e-i}

სადაც $y_1, y_2,..., y_\ell$ წარმოადგენს ξ შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობათა სიმრავლის დაყოფის წერტილებს, ხოლო Wi არის $[y_i,y_{i+1}]$ ინტერვალში ჩავარდნილ შერჩევის მნიშვნელობათა ფარდობითი სიხშირე.

თვალსაჩინოებისათვის დისკრეტული შემთხვევითი სიდიდის ***სტატისტიკურ განაწილებას*** წარმოადგენენ ე.წ. ***პოლიგონის*** სახით, რისთვისაც საკოორდინატო სიბრტყეზე აღნიშნავენ (ξ_1, W_i), $(\xi_2, W_2)\ldots(\xi_{r-1},W_r)$ წერტილებს და აერთებენ წრფის მონაკვეთებით, უწყვეტი ტიპის შემთხვევითი სიდიდეებისათვის კი აგებენ დიაგრამას, რომელსაც ***ჰისტოგრამას*** უწოდებენ.

ჰისტოგრამის აგებისას $y_i(i=1,\ell)$ დანაყოფებს იღებენ ისე, რომ y_i-y_{i-1}=h $(i=\overline{2,\ell})$ სხვაობა მუდმივი იყოს (h-ს ეწოდება ცხრილის ბიჯი) და აგებენ ფუნქციას $y=\dfrac{w_i}{h}$, როცა $x\in]y_{i-1},y_i[, i=\overline{2,\ell}.$

§2. უცნობი პარამეტრისათვის შერჩევაზე დაფუძნებული წერტილოვანი შეფასებები. კლასიფიკაცია და შეფასებათა მიღების მეთოდები

ვთქვათ, ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვირივეა f(x,θ), სადაც θ უცნობი პარამეტრია. უცნობი **θ** ***პარამეტრის შეფასება*** ვუწოდოთ ξ შემთხვევით სიდიდეზე $\xi_1, \xi_2,...\xi_n$ დაკვირვებათა ნებისმიერ $\theta^*_n= \theta_n^*(\xi_1, \xi_2,...\xi_n)$ ფუნქციას. მას ***სტატისტიკურ შეფასებასაც***

უწოდებენ. იგი ეფუძნება დაკვირვების (ცდების) შედეგებს (მონაცემებს ან შერჩევებს).

სტატისტიკურ შეფასებას ეწოდება ***წერტილოვანი შეფასება***, თუ იგი განისაზღვრება ერთი რიცხვითი მნიშვნელობით.

ცხადია, ნებისმიერი θ_n^* შეფასება შეუძლება არ იყოს ახლოს შესაფასებელ θ პარამეტრთან. იმისათვის, რომ უცნობი θ პარამეტრის θ_n^* შეფასება იყოს პრაქტიკულად ***ღირებული*** (***„კარგი“***) შეფასება, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს:

- სასურველია, რომ θ_n^* შეფასება არ იძლეოდეს სისტემატურ ცდომილებას, ე.ი. სრულდებოდეს პირობა:

$$M\theta_n^* (\xi_1, \xi_2,...\xi_n)= \theta$$

იმ θ_n^* შეფასებას, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნულ თვისებას, **გადაუადგილებადი, ჩაუნაცვლებელი** შეფასება ეწოდება.

- თუ n-ის ზრდასთან ერთად θ_n^* ალბათობით კრებადია θ -კენ, ე.ი.

$$P(\lim_{n\to\infty}\theta_n^*(\xi_1,\xi_2,...,\xi_n)=\theta)=1,$$

მაშინ θ_n^*-ს ეწოდება θ პარამეტრის ძალდებული შეფასება.

ძალდებულება ნიშნავს, რომ შერჩევის მოცულობის ზრდასთან ერთად შეფასების ხარისხი უმჯობესდება.

- ***შემთხვევითი შერჩევის მიხედვით გამოთვლილი წერტილოვანი შეფასება პრაქტიკულად ღირებულია („კარგია“), თუ იგი ჩაუნაცვლებელი, ძალდებული და ეფექტურია.***

თუ $\overline{X}$ და S^2 წარმოადგენენ (15.3) ტოლობებით განსაზღვრულ შერჩევით საშუალოსა და შერჩევით დისპერსიას, მაშინ $\overline{X}$ და $\frac{n}{n-1}S^2$ წარმოადგენენ ξ შემთხვევითი სიდიდის, შესაბამისად, მათემატიკური ლოდინისა და დისპერსიის ჩაუნაცვლებელ და წერტილოვან შეფასებებს.

შეფასებათა მიღების მეთოდები

1. მომენტთა მეთოდი. ვთქვათ, ξ უწყვეტი ტიპის შემთხვევითი სიდიდეა $f(x,\theta)$ განაწილების სიმკვრივით, სადაც θ უცნობი პარამეტრია. მაშინ $M(\xi)$ მათემატიკური ლოდინი წარმოადგენს θ-ს ფუნქციას

$$M(\xi)=\int_{-\infty}^{+\infty} xf(x,\theta)dx=\mu_1(\theta)$$

რადგანაც შერჩევითი საშუალო $\bar{x}$ ღებულობს $M(\xi)$-თან ახლომდგომ მნიშვნელობას, ამიტომ θ პარამეტრის დასადგენად შეიძლება გამოვიყენოთ განტოლება $\mu_1(\theta)=\overline{X}$ ანალოგიურად გამოიყენება მომენტთა მეთოდი დისკრეტული შემთხვევითი სიდიდეებისთვისაც.

2. მაქსიმალური დასაჯერობის მეთოდი. ვთქვათ, ξ უწყვეტი ტიპის შემთხვევითი სიდიდეა განაწილების სიმკვრივით $f(x,\theta)$, სადაც θ უცნობი პარამეტრია, ხოლო x_1, $x_2 \ldots x_n$ – ξ შემთხვევითი სიდიდეზე n დამოუკიდებელი დაკვირვების შედეგი. $(x_1, x_2 \ldots x_n)$ ვექტორის განაწილების სიმკვრივე განისაზღვრება ტოლობით:

$L(x_1,x_2, ..., x_n, \theta)= f(x,\theta)\ f(x_2, \theta)\ldots f(x_n, \theta)$ (16.1)

ამ ტოლობით განსაზღვრულ θ პარამეტრის $L(x_1,\ldots x_n,\theta)$ ფუნქციას ეწოდება დასაჯერობის ფუნქცია.

θ პარამეტრის იმ $\theta^*= \theta^*(x_1, x_2,\ldots,x_n)$ მნიშვნელობას, რომლისთვისაც (16.1) ფუნქცია აღწევს მაქსიმუმს, შერჩევის ყოველი $(x_1,x_2,\ldots,x_n)$ მნიშვნელობისათვის, ***მაქსიმალური დასაჯერობის შეფასება*** ეწოდება.

მაქსიმალური დასაჯერობის მეთოდი ძალაში რჩება მაშინაც, როცა ξ არის დისკრეტული ტიპის შემთხვევითი სიდიდე განაწილებით

$P(\xi=\xi_i)=P_i(\theta).\ \overline{1,n}$.

ამ შემთხვევაში დასაჯერობის ფუნქციას აქვს სახე:

$L(x_1,x_2, ..., x_n)= P_1^{n_1}(\theta)\cdot P_2^{n_2}(\theta)\cdot\ldots\cdot P_N^{n_N}(\theta)$ (16.2)

სადაც $n_k(k=\overline{1,N})$ არის ξ_i მნიშვნელობის რაოდენობა $(x_1, x_2\ldots x_n)$ შერჩევაში.

§3. ნდობის ინტერვალი

განაწილების უცნობი θ პარამეტრის მნიშვნელობის დასადგენად, გარდა წერტილოვანი შეფასებებისა, გამოიყენება ე.წ. ნდობის ინტერვალები: მოიცემა არა მხოლოდ ერთი θ_n^*(x_1, $x_2 \ldots x_n$) რიცხვი, არამედ ინტერვალი ($\underline{\theta_n}, \overline{\theta_n}$), რომელსაც მოცემული p ალბათობით ეკუთვნის θ პარამეტრის ჭეშმარიტი მნიშვნელობა

$$P(\underline{\theta_n} < \theta < \overline{\theta_n}) = p \qquad (17.1)$$

p რიცხვს (0<p<1) ეწოდება ***ნდობის ალბათობა***: იგი ახასიათებს მიღებული შეფასების ***საიმედობას***. რაც უფრო ახლოა p ერთთან, მით უფრო საიმედოა შეფასება (როგორც წესი, ირჩევენ p=0,9; 0,95 ან 0,99).

$\underline{\theta_n}$ და $\overline{\theta_n}$-ს ეწოდებათ ***ნდობის ინტერვალის საზღვრები***. ისინი წარმოადგენენ შერჩევის ფუნქციებს: $\underline{\theta_n}=\underline{\theta_n}$ (x_1, $x_2 \ldots x_n$), $\overline{\theta_n}=\overline{\theta_n}$ (x_1, $x_2 \ldots x_n$) და ამიტომ წარმოადგენენ შემთხვევით სიდიდეებს.

იმ ($\underline{\theta_n}, \overline{\theta_n}$) ინტერვალს, შემთხვევითი საზღვრებით

$\underline{\theta_n}=\underline{\theta_n}$ (x_1, $x_2 \ldots x_n$) და $\overline{\theta_n}=\overline{\theta_n}$ (x_1, $x_2 \ldots x_n$), რომელიც θ-ს ყოველი დასაშვები მნიშვნელობისათვის აკმაყოფილებს (17.1)-ს, უცნობი θ პარამეტრის **ნდობის ინტერვალი** ეწოდება.

ნდობის ინტერვალის მაგალითები

1. ცნობილი σ^2 დისპერსიის მქონე, ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდის m მათემატიკური ლოდინის ნდობის ინტერვალს აქვს სახე:

$$(\overline{X} - U_p \frac{\sigma}{\sqrt{n}}, \overline{X} + U_p \frac{\sigma}{\sqrt{n}}) \qquad (17.2)$$

სადაც $(\overline{X} = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} x_i$ ხოლო U_p განისაზღვრება მოცემული p ნდობის ალბათობით მე-5 (V) ცხრილის საშუალებით (იხ. დამატება).

2. უცნობი σ^2 დისპერსიის მქონე, ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდის m მათემატიკური ლოდინისათვის ნდობის ინტერვალს აქვს სახე:

$$(\overline{\mathrm{X}}-t_p\frac{s}{\sqrt{n-1}},\overline{\mathrm{X}}+t_p\frac{s}{\sqrt{n-1}}) \qquad (17.3)$$

სადაც $\overline{\mathrm{X}}$ და S^2 გამოითვლება (15.3) ფორმულებით, ხოლო t_p განისაზღვრება მოცემული P ნდობის ალბათობითა და შერჩევის მოცულობით VI ცხრილის საშუალებით (იხ. დამატება).

განვიხილოთ ξ1,…ξk შემთხვევითი სიდიდეები, რომელთაგან თითოეული განაწილებულია ნორმალურად პარამეტრებით (0;1).

$X^2=\xi_1^2+\ldots+\xi_k^2$ შემთხვევითი სიდიდის განაწილებას სიმკვრივით

$$\mathrm{P}_k(x)=f_{x_k^2}(x)=\frac{x^{\frac{k}{2}-1}}{2^{\frac{k}{2}}\tilde{A}(\frac{k}{2})}e^{-\frac{x}{2}},x>0 \qquad (17.4)$$

უწოდებენ χ^2 განაწილებას K თავისუფლების ხარისხით (k=1,2,…n) Γ (·) გამა-ფუნქციაა.

თუ k=2, მაშინ მიიღება მაჩვენებლიანი განაწილება $(\lambda=\frac{1}{2})$

3. ნორმალური განაწილების σ^2 დისპერსიისათვის ნდობის ინტერვალს აქვს სახე:

$$\left(\frac{nS^2}{x_{(1)}^2},\frac{nS^2}{x_{(2)}^2}\right), \qquad (17.4)$$

სადაც n შერჩევის მოცულობაა, S^2 განისაზღვრება (17.4) ფორმულით, ხოლო $x^2_{(1)}$ და $x^2_{(2)}$ შემდეგი განტოლების ფესვებია:

$$\int_0^{x_{(1)}^2}P_{(n-1)}(x)dx=\frac{1-P}{2};\int_{x_{(2)}^2}^{+\infty}P_{n-1}(x)dx=\frac{1-P}{2}, \qquad (17.5)$$

სადაც ინტეგრალქვეშა $P_{n-1}(x)$ ფუნქცია წარმოადგენს χ^2 განაწილების სიმკვრივეს n-1 თავისუფლების ხარისხით.

(17.5) განტოლებები, მოცემული P ნდობის ალბათობისათვის, იხსნება VII ცხრილის საშუალებით (იხ. დამატება). $X^2_{(1)}$-ის განსაზღვრისას საწყის მონაცემებს წარმოადგენენ ν=n-1 და $\alpha = \frac{1-P}{2}$, ხოლო $X^2_{(2)}$-ის გამოთვლისას ν=n-1 და $\alpha = \frac{1-P}{2}$

§4. ჰიპოთეზათა შემოწმება

ვთქვათ, ξ შემთხვევით სიდიდეს გააჩნია უცნობ θ პარამეტრზე დამოკიდებული $f(x,\theta)$ განაწილების სიმკვრივე.

ნებისმიერ დაშვებას θ უცნობი პარამეტრის მნიშვნელობის შესახებ სტატისტიკური ჰიპოთეზა ეწოდება.

სტატისტიკური ჰიპოთეზის შემოწმების ამოცანა ისმება შემდეგნაირად: ვთქვათ, მოცემულია ξ შემთხვევით სიდიდეზე n დამოუკიდებელი დაკვირვების შედეგი

$x_1, x_2 \ldots x_n$ (18.1)

და გვსურს შევამოწმოთ Ho ჰიპოთეზა $Ho: \theta=\theta_o$, სადაც θ_o რაღაც ფიქსირებული რიცხვია. ამისათვის უნდა ავაგოთ რაიმე წესი, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ შეთანხმებულია თუ არა (18.1) შერჩევა Ho ჰიპოთეზასთან. ჰიპოთეზის შემოწმების წესს კრიტერიუმი ეწოდება.

როგორც წესი, კრიტერიუმი იგება კრიტიკული არის საშუალებით:

$x = (x_1, x_2 \ldots x_n)$ შერჩევის ყველა შესაძლო მნიშვნელობათა სიმრავლიდან არჩევენ ისეთ U ქვესიმრავლეს, რომ როცა (18.1) შერჩევა ეკუთვნის U სიმრავლეს, მაშინ Ho ჰიპოთეზა უკუიგდება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში Ho ჰიპოთეზა მიიღება. U-ს უწოდებენ კრიტიკულ სიმრავლეს.

კრიტიკული სიმრავლეს არჩევენ ისე, რომ X შერჩევის U სიმრავლეში მოხვედრის ალბათობა, როცა Ho ჰიპოთეზა მართებულია $P_{Ho}(U)=\int_s P(x,\theta_o)\,dx$, სადაც $P(x,\theta_o)= f(x_1,\theta_o)$ $f(x_1,\theta_o)\ldots(x_n,\theta_o)$, იყოს რაც შეიძლება მცირე. ცხადია,

---

* იხ. ქ.ს.ე. ტ. 2, გვ. 424, სტატიის ავტ. ა. შეროზოა, თბ., 1977 წ.

რომ ისეთი სიმრავლე, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნულ თვისებას შეიძლება შერჩეულ იქნას უამრავი ხერხით. უფრო კონკრეტულად U-ს არჩევა შესაძლებელია, როცა მოცემულია ალტერნატიული ჰიპოთეზა H1:θ=θ1

ყოველ კრიტერიუმს უკავშირდება ორი გვარის შეცდომა: თუ Ho ჰიპოთეზას უკუვაგდებთ (ე.ი. X შერჩევა ეკუთვნის U კრიტიკულ სიმრავლეს), როცა იგი მართებულია, ამბობენ, რომ გვაქვს პირველი გვარის შეცდომა, ხოლო თუ x∈u, ე.ი. Ho ჰიპოთეზას მივიღებთ, როცა იგი მცდარია (ჭეშმარიტია ალტერნატიული 1 ჰიპოთეზა) - მეორე გვარის შეცდომა.

შემოვიღოთ აღნიშვნა $P_i(B) = \int\limits_B P(x,\Theta_i)dx, i = 0,1.$,

მაშინ კრიტერიუმის პირველი გვარის შეცდომის ალბათობა ტოლია $P_o(U)$-ის, ხოლო მეორე გვარის შეცდომისა $\beta=P_1(\bar{U})$, სადაც $\bar{U}$ არის U სიმრავლის დამატება: ***1-β-ს კრიტერიუმის სიმძლავრე ეწოდება.***

ჰიპოთეზათა შემოწმების წესი შემდგომში მდგომარეობს:

1) იღებენ მცირე α>0 რიცხვს, რომელსაც კრიტერიუმის მნიშვნელიანობის დონეს უწოდებენ (როგორც წესი, იღებენ α=0,05; 0,01 ან 0,001).

2) კრიტიკული არის დასადგენად განიხილავენ პირობას:

$$Po(U)\le \alpha \qquad (18.2)$$

ცხადია, რაც უფრო მცირეა α, მით უფრო ნაკლებია პირველი გვარის შეცდომის ალბათობა. ყველა იმ U სიმრავლიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ (18.2)-ს, ირჩევენ იმას, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალურ მეორე გვარის შეცდომას, რაც ეთანადება კრიტერიუმის სიმძლავრის მაქსიმუმს.

3) ატარებენ ცდას, რომლის მიხედვითაც იღებენ შერჩევას $x=(x_1,\dots x_n)$ და პოულობენ კრიტერიუმის ემპირიულ მნიშვნელობას. თუ x∈u, მაშინ ძირითად H_o ჰიპოთეზას უარყოფენ. წინააღმდეგ შემთხვევაში თვლიან, რომ H_o ჰიპოთეზა არ ეწინააღმდეგება ცდის მონაცემებს. ჰიპოთეზის შემოწმების შედეგი აღიწერება შემდეგი სიტყვებით:

H_0 ჰიპოთეზა უარყოფილია (ან შესაბამისად H_0 ჰიპოთეზა მიღებულია) მნიშვნელიანობის α დონით.

შეთანხმებულობის χ^2 კრიტერიუმი

კრიტერიუმებს, რომლებიც შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონის შესახებ ჰიპოთეზათა გამოსაკვლევად გამოიყენება, შეთანხმებულობის კრიტერიუმები ეწოდებათ.

ვთქვათ, ძირითადი H_0 ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქცია F არის მოცემული F_0 ფუნქცია (H_0:$F=F_0$)

დავყოთ რიცხვითი ღერძი z ინტერვალად:

$(-\infty=a_0,\ a_1),\ [a, a_2], \dots, [a_{r-1},\ a_{r=+\infty}]),$

სადაც $a_1<a_2<\dots<a_{r-1}$. ჭეშმარიტი H_0 ჰიპოთეზისათვის $[a_{i-1},\ a_i]$ ინტერვალს ეთანადება ალბათობა $P_i=F_0(a_1)-F_0(a_{i-1})$, $i=\overline{1,r}$.

ვთქვათ, ξ შემთხვევითი სიდიდის n შერჩევითი მნიშვნელობიდან i-ურ $I_i=[a_{i-1},.a_i]$ ინტერვალში ხვდება m_i რაოდენობა $\sum_{i=1}^{r} m_i = n$

თუ H_0 ჰიპოთეზა მართებულია, მაშინ I_i ინტერვალში ჩავარდნილი შერჩევის მნიშვნელობათა $\frac{m_i}{n}$ ფარდობითი სიხშირე ახლოს უნდა იყოს P_i ალბათობასთან.

სიდიდე $$\chi^2=\sum_{i=1}^{r}\left(\frac{n}{P_i}\frac{m_i}{n}-P_i\right)^2=\sum_{i=1}^{r}\frac{(m_i-nP_i)^2}{nP_i} \qquad (18.3)$$

ახასიათებს H_0 ჰიპოთეზის ცდის მონაცემებთან (შერჩევასთან) შეთანხმებულობას.

VII ცხრილის საშუალებით (იხ.დამატება) პოულობენ χ^2_α-ს გამოთვლილს მნიშვნელიანობის დონისა და v=r-1 მნიშვნელობისათვის.

თუ სრულდება თანაფარდობა $\chi^2>\chi^2_\alpha$, მაშინ H_0 ჰიპოთეზას უარყოფენ მნიშვნელიანობის α დონით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰიპოთეზა იღებენ იგივე α დონით.

შევნიშნოთ, რომ χ^2 კრიტერიუმის გამოყენებაც ხდება ჰიპოთეზათა შემოწმების ზოგადი წესით. ამ შემთხვევაში კრიტერიუმის ემპირიული მნიშვნელობები გამოითვლება (18.3) ფორმულით, ხოლო კრიტიკულ სიმრავლედ აირჩევა (χ^2_α+∞) ინტერვალი.

შენიშვნა 1: თითოეულ ინტერვალში შერჩევით მნიშვნელობათა mi რიცხვი 5-10-ზე მცირე არ უნდა იყოს. თუ ეს პირობა არ სრულდება, რეკომენდებულია ინტერვალების გაერთიანება.

შენიშვნა 2: შეთანხმებულობის χ^2 კრიტერიუმი გამოიყენება არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ξ შემთხვევითი სიდიდის ჰიპოთეზური განაწილების F_0 ფუნქცია მოცემულია, არამედ მაშინაც თუ იგი დამოკიდებულია ℓ უცნობ პარამეტრზე, ე.ი. აქვს სახე $F_0(x, \theta_1, \theta_2, \ldots \theta_\ell)$ და პარამეტრები $\theta_1, \theta_2, \ldots \theta_\ell$ ფასდებიან შერჩევის საფუძველზე მაქსიმალური დასაჯერობის მეთოდით. თუმცა ამ დროს VII ცხრილიდან X2 მნიშვნელობა უნდა ვიპოვოთ v=r-ℓ-1 სიდიდისათვის.

თავი V. სავარჯიშოები ალბათობის თეორიაში მეთოდური მითითებებით

§1. ელემენტარულ ხდომილობათა სივრცე. მოქმედებანი ხდომილობებზე

(1-30) ვაგორებთ კამათელს. ააგეთ ელემენტარულ ხდომილობათა სივრცე. შემდეგი ხდომილობები ჩაწერეთ ელემენტარულ ხდომილობათა სიმრავლის სახით და იპოვეთ მათი ხელშემწყობ ელემენტარულ ხდომილობათა რიცხვი.
A={კამათელზე მოვა ლუწი რიცხვი},
B={კამათელზე მოვა კენტი რიცხვი},
C={კამათელზე მოვა რიცხვი, რომელიც არ აღემატება 3-ს},
D={კამათელზე მოვა მარტივი რიცხვი},
E={კამათელზე მოვა რიცხვი, რომელიც იყოფა 3-ზე}.

1. $A+B$; $A\cdot C$	2. $A\cdot\overline{D}$; $A-B$
3. $A+C$; $A\cdot B$	4. $\overline{A}\cdot E$; $\Omega-D$
5. $A+D$; $A\cdot D$	6. $B\cdot\overline{E}$; $D-E$
7. $A+E$; $A\cdot E$	8. $D\cdot\overline{E}$; $A-E$
9. $A+\Omega$; $A\cdot\Omega$	10. $\overline{A}\cdot B$; $C-B$
11. $B\cdot\varnothing+$; $B\cdot\Omega$	12. $\overline{A}\cdot B$; $\Omega-\overline{D}$
13. $C+\Omega$; $C\cdot\Omega$	14. $\overline{A}\cdot\overline{C}$; $\Omega-E$
15. $D+\Omega$; $D\cdot\varnothing$	16. $\overline{A}\cdot\overline{D}$; $\Omega-B$
17. $B+\Omega$; $D\cdot\Omega$	18. $\overline{A}\cdot\overline{E}$; $-B$
19. $E+\Omega$; $E\cdot\Omega$	20. $\overline{B}\cdot\overline{C}$; $\Omega-\overline{E}$
21. $A\cdot A$; A	22. $\overline{A}+\overline{B}$; $\Omega\cdot\overline{A}$
23. $A\cdot\overline{A}$; B	24. $\overline{A}+\overline{C}$; $\Omega\cdot\overline{B}$
25. $A\cdot\overline{B}$; C	26. $\overline{A}+\overline{D}$; $\Omega\cdot\overline{C}$
27. $\overline{A}+B$; $\overline{E}$	28. $\overline{A}+\overline{E}$; $\Omega\cdot\overline{D}$
29. $\overline{B}+\overline{D}$; D	30. $\overline{B}+\overline{D}$; $\Omega\cdot\overline{E}$

(31-60) დაამტკიცეთ, რომ ნებისმიერი A, B და C ხდომილობებისთვის მართებულია შემდეგი დამოკიდებულებანი:

31. $A+(A\cdot B)=A$	32. $(A+B)-B=A-B$
33. $A+B=(A-A\cdot B)+B$	34. $A\cdot B+B\cdot C=(A+C)\cdot B$
35. $(A-B)+B=A+B$	36. $(A+C)(B+C)=(A\cdot B)+C$

37. $A+B=(A-B)+(B-A)+A\cdot B$

38. $(B-C)-(B-A)=A-C$

39. $A-B=A-(A\cdot B)$

40. $A-B=(A+B)-B$

41. $A\cdot(B-C)=A\cdot B-A\cdot C$

42. $(A+B)-C=(A-C)+(B-C)$

43. $(A-C)\cdot(B-C)=A\cdot B-C$

44. $(A-B)-C=A-(B+C)$

45. $A-(B-C)=(A-B)+(A\cdot C)$

46. $(A-B)\,(C-B)=A(C-B)-B\,(C-B)$

47. $A+B+C=A+(B-A\cdot B)+(C-A\cdot C)$

48. $(A+B)-A=B\cdot\overline{A}\cdot$

49. $A\cdot\overline{B}\cdot C=A+B$

50. $\overline{A}\cdot\overline{B}=\overline{A+B}$

51. $\overline{A}+\overline{B}=\overline{A\cdot B}$

52. $\overline{A}\cdot B\cdot C=A+B$

53. $(\overline{A+B})\cdot C=\overline{A}\cdot\overline{B}\cdot C$

54. $(\overline{A+B})\cdot\overline{C}=\overline{A}\cdot\overline{B}\cdot\overline{C}$

55. $\overline{A}\cdot\overline{B}\cdot C=(\overline{A}+\overline{B})\cdot C$

56. $(\overline{A\cdot B})+C=\overline{A}+\overline{B}+\overline{C}$

57. $\Omega-\overline{\overline{A}}=\overline{A}$

58. $\varnothing+\overline{A}\cdot\overline{B}\cdot C=(\overline{A+B})\cdot C$

59. $A+B=A+(B-A\cdot B)$

60. $(A\cdot B)+C=(A+C)\cdot(B+C)$

§2. ალბათობის კლასიკური, სტატისტიკური და გეომეტრიული განსაზღვრება

1. ყუთიდან, რომელშიც 25 თეთრი და 20 წითელი ბირთვია, შემთხვევით იღებენ ბირთვს. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ იგი თეთრია?

2. ვაგორებთ ორ კამათელს (აქ და შემდეგშიც ვგულისხმობთ, რომ კამათლები „წესიერია“). იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ კამათლებზე მოსული რიცხვების ჯამი ტოლია 12-ის.

3. მონეტას ვაგდებთ ორჯერ (აქ და შემდეგშიც ვგულისხმობთ, რომ მონეტა „წესიერია“). იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ორივეჯერ მოვა „ღერბი“.

4. კრებაზე, რომლის მსვლელობაში მონაწილეობას იღებდა 25 მამაკაცი და 5 ქალი, ფარული კენჭისყრით აირჩიეს დელეგატად 5 პიროვნება. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ არჩეულია 5 ქალი?

5. ვაგორებთ ორ კამათელს. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ კამათლებზე მოსული რიცხვების სხვაობის აბსოლუტური მნიშვნელობა ტოლია ოთხის.

6. ვაგდებთ ორ მონეტას. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ „ღერბი“ მოვა ერთ მონეტაზე მაინც.

7. 30 დეტალიანი პარტიიდან, რომელშიც 5 დეფექტიანი დეტალია, შემთხვევით იღებენ ერთ დეტალს. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ ამოღებულია დეფექტიანი დეტალი?

8. ქარხანა უშვებს 50% უმაღლეს და 45% პირველი ხარისხის ნაწარმს. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული ნაწარმი აღმოჩნდება უმაღლესი ხარისხის?

9. ლატარიის 50 ბილეთიდან მომგებიანია ორი ბილეთი. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით ნაყიდი ბილეთი მომგებიანია.

10. ტელეფონის ნომრის აკრეფისას აბონენტს დაავიწყდა ბოლო ციფრი. მან ალალბედზე აკრიფა ეს ციფრი. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ აკრეფილია საჭირო ციფრი.

11. ტექნიკური კონტროლის განყოფილება ამოწმებს მზა 100 დეტალიან პარტიას, რომელშიც 90 არის პირველი ხარისხის. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული პირველივე დეტალი პირველი ხარისხისაა.

12. M და N დასახლებულ პუნქტებს შორის გაჭიმული სატელეფონო ხაზის სიგრძეა 100 კმ. ხაზი გაწყდა რომელიღაც C წერტილში. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მანძილი M-დან C-მდე არ აღემატება 30 კმ-ს.

13. კვადრატზე შემოხაზულია R რადიუსიანი წრეწირი. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ წრეში შემთხვევით არჩეული წერტილი მოხვდება კვადრატის შიგნით?

14. 40 სმ-ის ტოლ რადიუსიან წრეში ჩახაზულია კვადრატი, რომლის გვერდის სიგრძეა 10 სმ. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ წრეში შემთხვევით დასმული წერტილი აღმოჩნდება კვადტარის შიგნით.

15. საამქროში აწყობილი 991 ბლოკ-სქემის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვარგისია 923. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული ბლოკ-სქემა ვარგისია.

16. ახალი, ერთნაირი ტიპის ძრავების ტექნიკური გამოცდის შედეგად დადგინდა, რომ ვარგისი ძრავების ფარდობითი სიხშირეა 0,96. იპოვეთ 200 შემთხვევით აღებული ძრავიდან ვარგის ძრავათა რიცხვი.

17. ყუთში 40 ვატი სიმძლავრის 10 და 100 ვატი სიმძლავრის 50 ნათურაა. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით ამოღებული ნათურა 40 ვატი სიმძლავრისაა.

18. ტექნიკური კონტროლის განყოფილებამ შემთხვევით აღებული 100 დეტალიდან აღმოაჩინა 5 წუნდებული დეტალი. იპოვეთ წუნდებულ დეტალთა ფარდობითი სიხშირე და არაწუნდებულ დეტალთა ფარდობითი სიხშირე.

19. საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის 99% სტანდარტულია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული ნაწარმი არაა სტანდარტული.

20. ორი კონცენტრირებული წრეწირიდან ერთის რადიუსია R სმ და მეორის - r სმ. ($r<R$). იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ დიდ წრეში შემთხვევით დასმული წერტილი აღმოჩნდება პატარა წრეშიც.

21. სამკუთხედზე შემოხაზულია R რადიუსიანი წრეწირი. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ წრეში შემთხვევით დასმული წერტილი აღმოჩნდება სამკუთხედის შიგნით.

22. საწყობში მიიღეს I საამქროში დამზადებული 7, II საამქროში დამზადებული 8 და III საამქროში დამზადებული 10 ელექტროძრავი. მომხმარებელთან გაგზავნეს შემთხვევით არჩეული ძრავი. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ იგი დამზადებულია I საამქროში.

23. წესიერ სამკუთხედში ჩახაზულია R რადიუსიანი წრეწირი. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ სამკუთხედში შემთხვევით დასმული წერტილი აღმოჩნდება წრეში.

24. წესიერი სამკუთხედის შიგნით, რომლის გვერდის სიგრძე 30 სმ-ია, ჩახაზულია 2 სმ-ის ტოლ რადიუსიანი წრე. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ სამკუთხედში შემთხვევით დასმული წერტილი აღმოჩნდება წრის შიგნით.

25. სტუდენტმა 25 საგამოცდო ბილეთიდან ისწავლა 20 ბილეთი. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ მას შეხვდება ნასწავლი ბილეთი, თუ იგი პირველი გავიდა გამოცდაზე (ბილეთის აღება შემთხვევითი წესით ხდება).

26. შემთხვევით ასახელებენ ერთ რიცხვს 1-დან 25-მდე (ჩათვლით). რას უდრის ალბათობა იმისა, რომ დასახელებულია 5-ის ჯერადი რიცხვი?

27. საწყობში 18 პირველი და 7 მეორე ხარისხის მილია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული მილი მეორე ხარისხისაა.

28. ვაგდებთ სამ მონეტას. იპოვეთ სამივე მონეტაზე „ღერბის“ მოსვლის ალბათობა.

29. 8 სმ-ის ტოლ რადიუსიან წრეში ჩახაზულია კვადრატი. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ წრეში შემთხვევით დასმული წერტილი აღმოჩნდება კვადრატის შიგნით.

30. საწყობში ერთად დევს პირველი ხარისხის 20 და მეორე ხარისხის 6 საბურავი. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული საბურავი პირველი ხარისხისაა?

ამოცანები, რომლებიც ამოიხსნებიან კომბინატორიკის გამოყენებით

31. ტელეფონის ნომრის აკრეფის დროს აბონენტს დაავიწყდა ბოლო სამი ციფრი, ახსოვდა მხოლოდ, რომ ციფრები განსხვავებულია ერთმანეთისაგან. მან შემთხვევით აკრიფა ეს ციფრები. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ აკრეფილია საჭირო ციფრები.

32. ყუთში 15 დეტალია, მათ შორის 10 უმაღლესი ხარისხისაა. ამწყობი შემთხვევით იღებს 3 დეტალს. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ სამივე ამოღებული დეტალი უმაღლესი ხარისხისაა.

33. საამქროში მუშაობს 6 მამაკაცი და 4 ქალი. სამსახურში გამოცხადების განრიგის მიხედვით შემთხვევით აარჩიეს 7 ადამიანი. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მათ შორის 5 ქალია.

34. 20 პერფობარათი დანომრილია 1-დან 20-მდე. შემთხვევით აიღეს ორი ბარათი. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ამოღებულია 1 და 2-ნომრიანი ბარათები.

35. საწყობში 15 კინესკოპია, მათ შორის 10 დამზადებულია თბილისის ქარხანაში. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული 5 კინესკოპიდან 3 აღმოჩნდება თბილისის ქარხანაში დამზადებული.

36. ჯგუფში 12 სტუდენტია, მათ შორის 8 ფრიადოსანია. სიით შემთხვევით აარჩიეს 9 სტუდენტი.

იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ არჩეულ სტუდენტებს შორის 5-ია ფრიადოსანი.

37. ქარხნის მიერ გამოშვებული ერთიდაიგივე მარკის 5 ავტომანქანიდან 3 უმაღლესი ხარისხისაა. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით არჩეული 3 მანქანიდან ორი მანქანა უმაღლესი ხარისხისაა.

38. ტელეფონის ნომერი შედგება 6 ციფრისაგან. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ეს ციფრები სხვადასხვაა, თუ ა) ტელეფონის ნომერი შეიძლება 0-ით დაიწყოს; ბ) ტელეფონის ნომერი 0-ით არ იწყება.

39. 25 ნათურიდან 5 უმაღლესი ხარისხისაა. შემთხვევით იღებენ 8 ნათურას. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მათ შორის 4 ნათურაა უმაღლესი.

40. აპარატი 5 ელემენტისაგან შედგება, რომელთაგან 2 გაცვეთილია. აპარატის ჩართვისას შემთხვევით ჩაირთვება 3 ელემენტი. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ჩართული იქნება ორი გაცვეთილი ელემენტი.

41. სათამაშო კარტის კომპლექტიდან (36 კარტით) შემთხვეთით იღებენ 3 კარტს. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ამოღებული სამივე კარტი ტუზია.

42. ლატარიის 100 ბილეთიდან მომგებიანია 10. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით ნაყიდი 5 ბილეთიდან მოიგებს 3 ბილეთი.

43. „სპორტლოტოს“ (49-დან 6) ტირაჟის მონაწილემ შეავსო ერთი ბილეთი (შემთხვევით გადახაზა 6 ნომერი). იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მომგებიანი აღმოჩნდება გადახაზული ოთხი ნომერი.

44. ბავშვი შემთხვევით ალაგებს გვერდიგვერდ 4 კუბიკს, რომლებზედაც აწერია ასოები m, m, a, a. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ მიიღება სიტყვა „მამა“.

45. ყუთში 3 თეთრი და 7 წითელი ფერის ბირთვია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით ამოღებული ორი ბირთვი აღმოჩნდება წითელი ფერის.

46. A, B და კიდევ 8 ადამიანი დგას რიგში. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ და B პიროვნება ერთმანეთისგან დაშორებულია 3 ადამიანით.

47. საწყობში ერთიდაიგივე ტიპის 10 ძრავია, რომელთა შორის 2 წუნდებულია. მომხმარებელთან

შემთხვევით აგზავნიან 2 ძრავს. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ ორივე კარგია.

48. სათამაშო კარტის კომპლექტიდან (52 კარტით) შემთხვევით იღებენ ოთხ კარტს. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ ოთხივე ათიანია?

49. მაღაზიაში მიღებული 10 წიგნიდან 3 წუნდებულია, მომხმარებელს შემთხვევით მისცეს 3 წიგნი. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ მათ შორის 2 წიგნია წუნდებული?

50. სათამაშო კარტის კომპლექტიდან (52 კარტით) შემთხვევით იღებენ 4 კარტს. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ ორი ტუზია და ორი ათიანი?

§3. ხდომილობათა ჯამის ალბათობა. საწინააღმდეგო ხდომილობის ალბათობა. პირობითი ალბათობის გამოსათვლელი ფორმულა. ნამრავლის ალბათობა. სრული ალბათობისა და ბაიესის ფორმულები

1. ორი მსროლელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ესვრის სამიზნეს. პირველი მსროლელი სამიზნეს აზიანებს 0,9-ის ტოლი ალბათობით, მეორე - 0,8-ის ტოლი ალბათობით. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ სამიზნე დაზიანდება მხოლოდ ერთი ტყვიით?

2. ელექტრო სქემა შეიცავს 4 ბლოკს. თითოეული ბლოკის გამართული მუშაობის (საიმედობის) ალბათობა შესაბამისად ტოლია 0,6; 0,7; 0,8; 0,9-ის. ბლოკები მწყობრიდან გამოდიან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. იპოვეთ სქემის საიმედოდ მუშაობის ალბათობა, თუ ბლოკები მიმდევრობითაა ჩართული.

3. წინა ამოცანის პირობებში იპოვეთ სქემის საიმედოდ მუშაობის ალბათობა, თუ ბლოკები პარალელურადაა ჩართული.

4. ორი ქვემეხი ერთდროულად ესვრის სამიზნეს. პირველი ქვემეხისათვის სამიზნის დაზიანების ალბათობაა 0,9, მეორისათვის - 0,8. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ სამიზნეს დააზიანებს ორივე ქვემეხი.

5. ფეიქარი ემსახურება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მომუშავე სამ ავტომატურ საქსოვ დაზგას.

ალბათობა იმისა, რომ ერთი საათის განმავლობაში ფეიქრის მომსახურება არ დასჭირდება პირველ დაზგას ტოლია 0,8, მეორე დაზგას - 0,9, მესამე დაზგას 0,95. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ერთი საათის განმავლობაში ფეიქრის მომსახურება დასჭირდება ერთ დაზგას მაინც.

6. წინა ამოცანის პირობებში იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ერთი საათის განმავლობაში ფეიქრის მომსახურება არ დასჭირდება არცერთ დაზგას.

7. კამათლის ის წახნაგები, რომლებზედაც აწერია რიცხვები 1, 2, 3, შეღებილია ყვითლად, ხოლო დანარჩენი - თეთრად (რიცხვები 4, 5, 6). იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ კამათელზე მოვა ლუწი ნომერი, თუ ვიცით, რომ კამათელზე მოვა თეთრი ფერი.

8. მაღაზია ღებულობს სამი ქარხნის მიერ დამზადებულ კინესკოპებს. პირველი ქარხანა ამზადებს მთელი პროდუქციის 45%-ს, მეორე - 40%-ს, მესამე - 15%-ს. პირველი ქარხნის პროდუქციის 70% უმაღლესი ხარისხისაა, მეორე - 80%, მესამისა - 90%. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ მაღაზიაში შემთხვევით ნაყიდი კინესკოპი უმაღლესი ხარისხისაა?

9. საბურავების დეფექტების აღმოსაჩენი გამოსაცდელი სტენდი იძლევა 95% გარანტიას. ცდიან საბურავების პარტიას, რომელთაგან თითოეული 0,005-ის ტოლი ალბათობითაა დეფექტური. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული საბურავი დეფექტურია, თუ სტენდის პასუხი დადებითია (რაც იმას ნიშნავს, რომ სტენდმა აჩვენა დეფექტურობა).

10. ლატარიის 1000 ბილეთიდან 24 ფულადი და 10 ნივთის მომგებიანია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით ნაყიდი ორი ბილეთიდან ერთი მაინც იქნება მომგებიანი.

11. საწყობში 20 პირველი და 6 მეორე ხარისხის დეტალია. შემთხვევით ვიღებთ ერთ დეტალს, ვამოწმებთ და უკან ვაბრუნებთ საწყობში. შემდეგ ისევ ვიღებთ შემთხვევით ერთ დეტალს. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ორივეჯერ პირველი ხარისხის დეტალია ამოღებული.

12. მუშა ემსახურება სამ ჩარხს, რომლებზედაც ერთიდაიგივე დეტალები მზადდება. პირველი ჩარხისათვის

დეფექტური დეტალის დამზადების ალბათობა ტოლია 0,02-ის, მეორისათვის - 0,03, მესამისათვის - 0,04. პირველ ჩარხზე სამჯერ მეტი დეტალი მზადდება, ვიდრე მეორეზე, ხოლო მეორეზე ორჯერ ნაკლები, ვიდრე მესამეზე. სამივე ჩარხის დეტალები მოწმდება ტექნიკური კონტროლის მიერ. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით შემოწმებული ერთი დეტალი აღმოჩნდება დეფექტური.

13. თვითმფრინავს სამჯერ ესვრიან. პირველი სროლის დროს მოხვედრის ალბათობა ტოლია 0,5, მეორე სროლის დროს - 0,6 და მესამის დროს - 0,8-ის. თვითმფრინავი გამოდის მწყობრიდან სამი მოხვედრის შემთხვევაში, მისი მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა ერთი მოხვედრის დროს ტოლია 0,3-ის, ხოლო ორი მოხვედრისას - 0,6. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ თვითმფრინავი გამოვა მწყობრიდან.

14. ერთ ყუთში 2 თეთრი და 4 შავი ბირთვია, მეორეში - 3 თეთრი და 5 შავი, მესამეში 4 თეთრი და 6 შავი. პირველი ყუთიდან მეორეში გადადეს ერთი ბირთვი, მეორედან მესამეშიც ერთი ბირთვი და ბოლოს მესამიდან პირველში ისევ ერთი ბირთვი. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ბირთვების შემადგენლობა ყუთებში არ შეიცვლება.

15. პირველი საამქრო ამზადებს დეტალების საერთო რაოდენობის 70%-ს, ხოლო მეორე - 30%-ს. დეტალები მოწმდება ტექნიკური კონტროლის მიერ. პირველი საამქროს პროდუქცია შეიცავს 10% დეფექტურ დეტალს, მეორის - 20%-ს. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემოწმებული ერთი დეტალი არ აღმოჩნდება დეფექტური.

16. მომხმარებელს ეგზავნება სამი ქარხნის მიერ დამზადებული პროდუქცია. პირველი ქარხანა უშვებს პროდუქციის 20%-ს, მეორე - 45%-ს, მესამე 34%-ს. პირველი ქარხნის პროდუქცია შეიცავს 3%, მეორე 2% და მესამე 1% - წუნდებულ ნაკეთობებს. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მომხმარებლის მიერ შეძენილი ნაკეთობა არის პირველ ქარხანაში დამზადებული, თუ ის აღმოჩნდა წუნდებული.

17. გვაქვს ათი ერთნაირი ყუთი. ცხრა მათგანში 2 თეთრი და 2 შავი ფერის საგანია, ერთში კი - 5 თეთრი და 1 შავი საგანი. შემთხვევით არჩეული ყუთიდან ვიღებთ ერთ საგანს. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ საგანი

ამოღებულია ყუთიდან, რომელშიც 5 თეთრი და 1 შავი ფერის საგანია, თუ იგი აღმოჩნდა თეთრი ფერის.

18. პირველ ჩარხზე უმაღლესი ხარისხის დეტალის დამზადების ალბათობა ტოლია 0,7-ის, მეორეზე - 0,8-ის. გვაქვს ორი პირველ და სამი მეორე ჩარხზე დამზადებული დეტალი. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ხუთივე დეტალი უმაღლესი ხარისხისაა.

19. ელექტრონული მოწყობილობა მწყობრიდან გამოდის თუ გაფუჭდა პირველი, მეორე ან მესამე ელემენტიდან ერთ-ერთი. ელემენტების დაზიანების ალბათობები შესაბამისად ტოლია 0,3; 0,2 და 0,2-ის. იპოვეთ ელექტრონული მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა, თუ ელემენტების დაზიანება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია.

20. გათამაშების 100 ბილეთიდან 10 მომგებიანია. იპოვეთ მოგების ალბათობა, თუ გვაქვს 4 ბილეთი.

21. ერთ ყუთში 12, ხოლო მეორეში 10 ნათურაა. ორივე ყუთში თითო წუნდებული ნათურაა. პირველიდან მეორეში გადააქვთ ერთი ნათურა. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მეორე ყუთიდან შემთხვევით ამოღებული ნათურა იქნება წუნდებული.

22. დეტალის გარკვეული მახასიათებელი შეიძლება იცვლებოდეს ექვს სხვადასხვა ინტერვალში შესაბამისი ალბათობებით: 0,09; 0,16; 0,25; 0,25; 0,16 და 0,09. დეტალის ამ მახასიათებელზე დამოკიდებულებით სტანდარტული ნაკეთობის მიღების ალბათობები ტოლია შესაბამისად 0,2; 0,2; 0,4; 0,3; 0,2. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ნაკეთობა იქნება სტანდარტული.

23. ყუთში 15 ტენისის ბურთია, რომელთა შორის 9 ახალია. პირველი თამაშისათვის იღებენ სამ ბურთს და თამაშის შემდეგ ისევ ყუთში აბრუნებენ. მეორე თამაშისათვის იღებენ აგრეთვე სამ ბურთს, იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მეორე თამაშისათვის შემთხვევით აღებული სამივე ბურთი ახალი იქნება.

24. თხუთმეტ საგამოცდო ბილეთში ორი განსხვავებული საკითხია. სტუდენტს შეუძლია პასუხის გაცემა მხოლოდ 25 საკითხზე. იპოვეთ გამოცდის ჩაბარების ალბათობა, თუ ამისათვის საკმარისია პასუხის გაცემა ერ-

თი ბილეთის ორივე საკითხზე, ან ერთი ბილეთის ერთ-ერთ საკითხზე და მეორე ბილეთის გარკვეულ საკითხზე.

25. საავარიო სიტუაციაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება ჩაირთოს ორი ხელსაწყო შესაბამისად ალბათობებით: 0,95 და 0,9. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ავარიის შემთხვევაში ჩაირთვება მხოლოდ ერთი ხელსაწყო.

26. ტექნიკური კონტროლის განყოფილება ამოწმებს ორი ტიპის დეტალების სტანდარტულობას. სტანდარტულობის ალბათობები I და II ტიპის დეტალებისათვის შესაბამისად ტოლია 0,7 და 0,8-ის. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ორი შემოწმებული დეტალიდან მხოლოდ ერთი იქნება სტანდარტული.

27. ხელსაწყო შედგება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მომუშავე ორი ელემენტისაგან. ელემენტების მწყობრიდან გამოსვლის ალბათობები შესაბამისად ტოლია 0.05 და 0,08-ის. იპოვეთ ხელსაწყოს მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა, თუ ამისათვის საკმარისია ერთი ელემენტის მაინც მწყობრიდან გამოსვლა.

28. სამი ასტრონომიური ობსერვატორია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აწარმოებს ერთიდაიგივე ფიზიკური სისტემის გაზომვას. გაზომვის შედეგებში შეცდომის ალბათობები თითოეული ობსერვატორიისათვის შესაბამისად ტოლია 0,1; 0,15 და 0,2-ის. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ სამივე ობსერვატორიაში წარმოებული ერთჯერადი გაზომვის შედეგებიდან ერთში მაინც იქნება შეცდომა.

29. გამოთვლით ლაბორატორიაში 6 ავტომატური და 4 ნახევრადავტომატური გამომთვლელი მანქანაა. თითოეული ტიპის მანქანის მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა შესაბამისად ტოლია 0,05 და 0,2-ის. სტუდენტი აწარმოებს გამოთვლებს შემთხვევით არჩეულ მანქანაზე. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მანქანა არ გამოვა მწყობრიდან.

30. გამომთვლელი მანქანის სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მომუშავე ელემენტიდან ორი გამოვიდა მწყობრიდან. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მწყობრიდან გამოვიდა პირველი და მეორე ელემენტი, თუ ელემენტების მწყობრიდან გამოსვლის ალბათობები შესაბამისად ტოლია 0,2; 0,4 და 0,3-ის.

§4. მეთოდური მითითებები

1. ვამოწმებთ ორ ნათურას ვარგისიანობაზე ისე, რომ ვიხილავთ შემდეგ ხდომილობებს: ω_{i1}={i-ური ნათურა ვარგისია}, ω_{i2}={გაწყვეტილია i-ური ნათურის სპირალი}, ω_{i3}={გატეხილია i-ური ნათურის კოლბა}, i=1,2;… A={ვარგისია ერთი ნათურა}, B ={ვარგისია ერთი ნათურა მაინც}, C={ვარგისია ორივე ნათურა} და E={უვარგისია ორივე ნათურა (ან სპირალია გაწყვეტილი, ან კოლბაა გატეხილი)}. ავაგოთ ელემენტარულ ხდომილობათა Ω სივრცე; A, B, C, E, A+B, A·B, B-A - ხდომილობები ჩავწეროთ ელემენტარულ ხდომილობათა სიმრავლის სახით და ვიპოვოთ თითოეული მათგანის ხელშემწყობ ელემენტარულ ხდომილობათა რიცხვი.

ამოხსნა. ელემენტარულ ხდომილობათა Ω სივრცეს ექნება სახე:

$\Omega=\{(\omega_{11}, \omega_{21}), (\omega_{11}, \omega_{22}), (\omega_{11}, \omega_{23}), (\omega_{12}, \omega_{21}), (\omega_{12}, \omega_{22}), (\omega_{12}, \omega_{23}), (\omega_{13}, \omega_{2}1), (\omega_{13}, \omega_{22}), (\omega_{13}, \omega_{23})\}$.

აღვნიშნოთ m(Ω)-თი Ω-ს ხელშემწყობ ელემენტარულ ხდომილობათა, ანუ ცდის ყველა შესაძლო ელემენტარულ ხდომილობათა რიცხვი

ანალოგიურად ჩავწეროთ, რომ:

$A= \{(\omega_{11}, \omega_{22}), (\omega_{11}, \omega_{23}), (\omega_{12}, \omega_{21}), (\omega_{13}, \omega_{21})\}$

$m(A)=4$

$B=\{(\omega_{11}, \omega_{21}), (\omega_{11}, \omega_{22}), (\omega_{11}, \omega_{23}), (\omega_{12}, \omega_{21}), (\omega_{13}, \omega_{21})\}$

$M(B)=5$

$C=\{(\omega_{11}, \omega_{21})\}$, $m(c)=1$

$E=\{(\omega_{12}, \omega_{22}), (\omega_{12}, \omega_{23}), (\omega_{13}, \omega_{22}), (\omega_{13}, \omega_{23})\}= \Omega\text{-}B=\overline{B}$, $m(E)=m(\overline{B})=4$

$A+B=\{(\omega_{11}, \omega_{21}), (\omega_{11}, \omega_{22}), (\omega_{11}, \omega_{23}), (\omega_{12}, \omega_{21}), (\omega_{13}, \omega_{21})\}$

$m(A+B)=5$

$A\cdot B=\{(\omega_{11}, \omega_{22}), (\omega_{11}, \omega_{23}), (\omega_{12}, \omega_{21}), (\omega_{13}, \omega_{21})\}$

$m(A \cdot B)=4$

$B-A=\{(\omega_{11}, \omega_{21})=C$

$m(B-A)=m(c)=1$

2. დავამტკიცოთ, რომ ნებისმიერი A, B და C ხდომილობებისათვის $(A\,B)+C=(A+C)\,(B+C)$

ამოხსნა.

ა) ვთქვათ $\forall\omega\in\Omega$ და $\omega\in(A\cdot B)+C \Rightarrow \omega\in(A\cdot B)$, ან $\omega\in C$, ან $\omega\in(A\cdot B)$ და $\omega\in C \Rightarrow \omega\in A$ და $\omega\in B$, ან $\omega\in C$, ან $\omega\in A$, $\omega\in B$ და $\omega\in C \omega\in(A+C)$ და $\omega\in(B+C) \Rightarrow \omega\in(A+C)\cdot(B+C)$ ე.ი. $(A\cdot B)+C\subset(A+C)\,(B+C)$

ბ) ანალოგიურად $\forall\omega\in(A+C)\cdot(B+C)\Rightarrow \omega\in(A+C)$ და $\omega\in(B+C)\Rightarrow(\omega\in A$, ან $\omega\in C$ ან $\omega\in(A\cdot C))$ და $(\omega\in B$, ან $\omega\in C$, ან $\omega\in(B\cdot C))\Rightarrow\omega\in(A\cdot B)$, ან $\omega\in C$, ან $\omega\in(A\cdot B\cdot C)\Rightarrow\omega\in(A\cdot B)+C$ ე.ი. $(A+C)\,(B+C)\subset(A\cdot B)+C$

მიღებული ჩართვებიდან გამომდინარეობს დასამტკიცებელი ტოლობა (ექვივალენტობა).

3. ტექნიკური დათვალიერების დროს 1000 ავტომანქანიდან გაუმართავი აღმოჩნდა 100 მანქანა. ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით არჩეული ავტომანქანა გაუმართავია (ხდომილობა A).

ამოხსნა. ვისარგებლოთ ხდომილობის ალბათობის სტატისტიკური განსაზღვრით $P(A)\approx\frac{N(A)}{N}$, სადაც N ცდების რიცხვია, N(A) – A ხდომილობის სიხშირე. დავწეროთ:

$$P(A)\approx\frac{100}{1000}=0.1$$

4. საამქროს საწყობში M დეტალია, მათ შორის m არასტანდარტულია. შემთხვევით ვიღებთ r დეტალს, ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ ამოღებულია k(r) არასტანდარტული დეტალი (ხდომილობა A).

ამოხსნა. M დეტალიდან r დეტალის შემთხვევითი ამოღების ყველა შესაძლო შემთხვევა თანაბრად შესაძლებელია და მათი რაოდენობა ტოლია M

ელემენტიდან აღებული m ელემენტიანი ჯგუფთებათა რიცხვისა $C_M^m = \dfrac{M!}{m!(M-m)!}$ K არასტანდარტული დეტალი შეიძლება აღებულ იქნას m არასტანდარტული დეტალიდან $C_M^k = \dfrac{m!}{k!(m-k)!}$ წესით ამავე დროს დანარჩენი r-k დეტალი უნდა იყოს სტანდარტული, ე.ი. აღებული იქნება M-m სტანდარტული დეტალიდან $C_{M-m}^{r-k} = \dfrac{(M-m)!}{(r-k)!(M-m-r+k)}$ წესით. თუ ვისარგებლებთ ალბათობის კლასიკური განსაზღვრით $P(A) = \dfrac{m(A)}{n}$, რადგან $n = m(\Omega) = C_M^r$ და $m(A) = C_m^k \cdot C_{M-m}^{r-k}$ მივიღებთ:

$$P(A) = \frac{C_m^k \cdot C_{M-m}^{r-k}}{k!(m-k)!}$$

5. R რადიუსიან წრეში, რომელშიც ჩახაზულია წესიერი ექვსკუთხედი შემთხვევით ვსვამთ წერტილს. ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ წერტილი მოხვდება წესიერ ექვსკუთხედში (ხდომილობა A).



ნახ. 5.1.

ამოხსნა. ალბათობის გეომეტ-რიული განსაზღვრის საფუძ-ველზე მივიღებთ:

$$P(A) = \frac{S_{ABCDEF}}{S_{(O;R)წრ}} = \frac{\frac{3\sqrt{3}}{2}R^2}{\pi R^2} = \frac{3\sqrt{3}}{2\pi}$$

6. გიორგიმ შეავსო სპორტლოტოს ერთი ბილეთი (45 ნომრიდან გადახაზა 6). რას უდრის ალბათობა იმისა, რომ ამ გათამაშებაში გიორგი მოიგებს?

ამოხსნა. აღვნიშნოთ ხდომილობები:

A={გიორგი მოიგებს}, Ai={გიორგის მიერ გადახა-ზული i ნომერი დაემთხვევა გათამაშებულიდან i ნომერს} i=1, 2,..., 6. სპორტლოტოს გათამაშების წესების მიხედვით

ბილეთი იგებს, თუ დაემთხვა გადახაზული 3 ან მეტი ნომერი გათამაშებულიდან შესაბამისი რაოდენობის ნომრებს. ე.ი. $A=A_3+A_4+A_5+A_6$, აქედან გამომდინარე საწინააღმდეგო ხდომილობა $\bar{A}$={გიორგი ვერ მოიგებს} ჩაიწერება შემდეგი სახით:

$\bar{A}=A_0+A_1+A_2$, $A_0+A_1+A_2$ უთავსებადი ხდომილობებია. უთავსებად ხდომილობათა ჯამის ალბათობის გამოსათვლელი ფორმულის მიხედვით, დავწერთ

$(\bar{A})=P(A_0)+P(A_1)+P(A_2)$

ვისარგებლოთ ამოცანა 4-ის ამოხსნის სქემით. M=45, m=r=6, k=0, 1 ან 2.

$$P(A_0)=\frac{C_6^0 C_{39}^6}{C_{45}^6}=0{,}377,\quad P(A_1)=\frac{C_6^1 C_{39}^5}{C_{45}^6}=0{,}424,$$

$$P(A_2)=\frac{C_6^2 C_{39}^4}{C_{45}^6}=0{,}151$$, ამიტომ

$P(\bar{A})\approx 0.377+0{,}424+0{,}151=0{,}952$.

მოგების ალბათობა გამოვთვალოთ საწინააღმდეგო ხდომილობის ალბათობის გამოსათვლელი ფორმულით

$P(A)=1-P(\bar{A})=1-0{,}952=0{,}048$

შენიშვნა: საძიებელი ალბათობა შეიძლება გამოვთვალოთ ფორმულით

$P(A)=P(A_3+A_4+A_5+A_6)=P(A_3)+P(A_4)+P(A_5)+P(A_6)$

7. ელექტროსქემა შეიცავს პარალელურად შეერთებულ 3 კვანძს (იხ. ნახ.2). თითოეული კვანძის საიმედოდ მუშაობის ალბათობა შესაბამისად ტოლია 0,6; 0,7; 0,8. კანძები მწყობრიდან გამოდიან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ვიპოვოთ სქემის საიმედოდ მუშაობის ალბათობა (ხდომილობა A).



ნახ.5.2.

ამოხსნა. აღვნიშნოთ ხდომილობები ი={ი-ური კვანძი მუშაობს გამართულად}, i=1, 2,3, $\bar{A}i$={i-ური კვანძი გამოვა მწყობრიდან}. $\bar{A}$={სქემა გამართულად არ მუშაობს}. ე.ი. $\bar{A}=\bar{A}_1\ \bar{A}_2\ \bar{A}_3$

ამოცანის პირობით $(A_1)=0,6$; $(A_2)=0,7$; $(A_3)=0,8$.

საწინააღმდეგო ხდომილობის ალბათობის გამოსათვლელი ფორმულით:

$(\bar{A}_1)=1\text{-}P(A_1)=0,4$;

$P(\bar{A}_2)=1\text{-}P(A_2)=0,3$;

$P(\bar{A}_3)=1\text{-}P(A_3)=0,2$.

$\bar{A}_1$, $\bar{A}_2$, $\bar{A}_3$ ხდომილობების ერთობლივ დამოუკიდებლობის გამო დავწერთ:

$(\bar{A})=P(\bar{A}_1)\ P(\bar{A}_2)\ P(\bar{A}_3)=0,4\cdot 0,3\cdot 0,2=0,024$

ამიტომ სქემის საიმედოდ მუშაობის ალბათობა ტოლია $P(A)=1\text{-}P(\bar{A})=1\text{-}0,024=0.976$.

8. ორი მსროლელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ესვრის ერთიდაიგივე სამიზნეს. პირველი მსროლელი სამიზნეს აზიანებს 0,6-ის ტოლი ალბათობით, მეორე - 0,7-ის ტოლი ალბათობით. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ სამიზნეს დააწიანებს ერთი მსროლელი მაინც (ხდომილობა A).

ამოხსნა. შემოვიღოთ ხდომილობები ი={სამიზნეს დააზიანებს ი-ური მსროლელი}, ი=1,2. ამოცანის პირობით $P(A_1)=0,6$; $P(A_2)=0,7$. ცხადია, $A=A_1+A_2$, ამიტომ ნებისმიერი ორი ხდომილობის ჯამის ალბათობისა და დამოუკიდებელ ხდომილობათა ნამრავლის ალბათობის გამოსათვლელი ფორმულების გამოყენებით მივიღებთ:

$P(A)=P(A_1+A_2)=P(A_1)+P(A_2)\text{-}P(A_1A_2)=P(A_1)+P(A_2)\text{-}P(A_1)$

$P(A_2)=0,6+0,7\text{-}0,6\cdot 0,7=0,88$

9. ელექტრომონტიორი ემსახურება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მომუშავე სამ ობიექტს. ალბათობა იმისა, რომ ერთი საათის განმავლობაში ერთი მონტიორის მომსახურება არ დასჭირდება პირველ ობიექტს ტოლია 0,95-ის, მეორე ობიექტისთვის - 0,9-ის, მესამესათვის - 0,8-ის. ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ ერთი საათის

განმავლობაში ელექტრომონტიორის მომსახურება დასჭირდება ერთ ობიექტს მაინც (ხდომილობა A).

ამოხსნა. აღვნიშნოთ ხდომილობები Ai={ერთი საათის განმავლობაში ელექტრომონტიორის მომსახურება არ დასჭირდება i-ურ ობიექტს}, i=1,2,3; ამოცანის პირობებით $P(A_1)=0{,}95$; $P(A_2)=0{,}9$; $P(A_3)=0{,}8$

ცხადია

$A=\overline{A_1 \cdot A_2 \cdot A_3}=\bar{A}_1+\bar{A}_2+\bar{A}_3$

A_1, A_2, A_3 ხდომილობების ერთობლივ დამოუკიდებლობის გამო $\bar{A}_1$, $\bar{A}_2$ და $\bar{A}_3$ ხდომილობებიც ერთობლივ დამოუკიდებელია. ვისარგებლოთ ერთობლივი დამოუკიდებელ ხდომილობათა ჯამის ალბათობის გამოსათვლელი ფორმულით

$P(A)=P(\bar{A}_1+\bar{A}_2+\bar{A}_3)=1-P(\bar{\bar{A}}_1)\ P(\bar{\bar{A}}_2)\ P(\bar{\bar{A}}_3)=1-P(A_1)\ P(A_2)\ P(A_3)=1-0{,}684=0{,}316$

10. ხარატის მიერ დამზადებული ყოველი 100 დეტალიდან 97 არის ვარგისი და 68 პირველი ხარისხისაა. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული ვარგისი დეტალი პირველი ხარისხისაა.

ამოხსნა. აღვნიშნოთ ხდომილობები: A={შემთხვევით აღებული დეტალი ვარგისია}, B={შემთხვევით აღებული დეტალი პირველი ხარისხისაა}. საძიებელია პირობითი ალბათობა P(B/A). ამოცანის პირობით A და B ხდომილობას ერთდროულად ხელს უწყობს 100 ელემენტარული ხდომილობიდან 68. ალბათობის გამოსათვლელი კლასიკური ფორმულის გამოყენებით დავწერთ:

$$P(A\cdot B)=\frac{m(A\cdot B)}{n}=\frac{68}{100}=0{,}68$$

A ხდომილობას ხელს უწყობს 97 ელემენტარული ხდომილობა, ამიტომ $P(A)=\frac{97}{100}=0{,}97$ ვისარგებლოთ პირობითი ალბათობის გამოსათვლელი ფორმულით

$$P(B/A)=\frac{P(AB)}{P(A)}$$

ჩვენ შემთხვევაში მივიღებთ

$$P(B/A)=\frac{0.68}{0.97}\approx 0.7$$

11. გვაქვს სამი ერთნაირი ყუთი. პირველ ყუთში 10 თეთრი და 5 შავი ბირთვია. მეორეში - 8 თეთრი და 4 შავი, ხოლო მესამეში ყველა ბირთვი თეთრია. ბავშვი შემთხვევით იღებს ერთ-ერთ ყუთიდან ბირთვს. ვიპოვოთ: 1) ალბათობა იმისა, რომ ამოღებულია თეთრი ფერის ბირთვი (ხდომილობა); 2) ალბათობა იმისა, რომ ბირთვი ამოღებულია პირველი ყუთიდან, თუ ვიცით, რომ იგი თეთრი ფერისაა.

ამოხსნა. აღვნიშნოთ ხდომილობები H_i={ბირთვი ამოღებულია i-ური ყუთიდან}, i=1,2,3; რადგან $H_1+H_2+H_3=\Omega$ და $H_i.H_j=\emptyset$, $i\neq j$, i=1,2,3, j=1,2,3 ამიტომ H_1,H_2,H_3 - ჰიპოთეზებია. ამოცანის პირობით

$$P(H_1)=P(H_2)=P(H_3)=\frac{1}{3},P(A/H_1)=\frac{10}{10+5}=\frac{2}{5}$$

$$P(A/H_2)=\frac{8}{8+4}=\frac{2}{3},P(A)=1,$$

1) სრული ალბათობის ფორმულის გამოყენებით დავ-წეროთ

$$P(A)=\sum_{i=1}^{3}P(H_i)P(A/H_i)=\frac{1}{3}\left(\frac{2}{5}+\frac{2}{3}+1\right)=\frac{31}{45}$$

2) ბაიესის ფორმულის გამოყენებით მივიღებთ

$$P(H_1/A)=\frac{P(H_1)P(A/H_1)}{\sum_{i=1}^{3}P(H_i)P(A/H_i)}=\frac{\frac{1}{3}\cdot\frac{2}{5}}{\frac{1}{3}\left(\frac{2}{5}+\frac{2}{3}+1\right)}=\frac{6}{31}$$

4.1 ტესტური ამოცანები

1. თუ $P(A)=0,5,$ მაშინ $P(\overline{A})$ ტოლია:

ა) 0,1 ბ) 0,3 გ) 0,5 დ) 0,9.

2. თუ $P(\overline{A})=0,75,$ მაშინ $P(\overline{A})$ ტოლია:

ა) 0,35 ბ) 0,25 გ) 0,05 დ) 0,15

3. A და B უთავსებადი ხდომილობებია, $P(A)=0,1$ და $P(B)=0,5$, მაშინ $P(A+B)$ ტოლია:

ა) 0,5 ბ) 0,05 გ) 0,65 დ) 0,6

4. A და B უთავსებადი ხდომილობებია, $P(A)=0,3$; $P(A+B)=0,7$, მაშინ $P(B)$ ტოლია:

ა) 0,3 ბ) 0,5 გ) 1 დ) 0,4

5. $P(\overline{A})=0,985,$ მაშინ $P(A)$ ტოლია:

ა) 0,05 ბ) 0,005 გ) 0,015 დ) 1

6. $P(A+B)=1,$ $P(A)=0,9$, $A\cdot B=\varnothing$, მაშინ $P(B)$ ტოლია:

ა) 0,1 ბ) 0,9 გ) 0,8 დ) 0,09

7. A და B დამოუკიდებელი ხდომილობებია, $P(A)=0,1,$ $P(B)=0,5$, მაშინ $P(A\cdot B)$ ტოლია:

ა) 0,5 ბ) 0,05 გ) 0,6 დ) 1

8. A და B დამოუკიდებელი ხდომილობებია, $P(A)=0,4$; $P(B)=0,5$, მაშინ $P(A+B)$ ტოლია:

ა) 0,9 ბ) 0,2 გ) 0,1 დ) 0,7

9. A და B დამოუკიდებელი ხდომილობებია, $P(B)=0,3$, $P(A+B)=0,65$, მაშინ $P(A)$ ტოლია:

ა) 0,35 ბ) 0,96 გ) 0,5 დ) 0,15

მითითება:

$$P(A+B)=P(A)+P(B)-P(A)P(B)\Rightarrow 0,65=$$

$$P(A)+0,3-0,3\cdot P(A)\Rightarrow P(A)=\frac{0,35}{0,7}=0,5$$

10. A და B დამოუკიდებელი ხდომილობებია, $P(B)=0,4$, $P(A+B)=0,9$, მაშინ $P(A\cdot B)$ ტოლია:

ა) $\frac{1}{3}$ ბ) $\frac{4}{9}$ გ) 0,5 დ) 0,6

მითითება:

$$P(A+B)=P(A)+P(B)-P(A)P(B)\Rightarrow 0,9=$$

$$=0,4+P(B)-0,4\cdot P(B)\Rightarrow 0,6P(B)=0,5\Rightarrow P(B)=$$

$$\frac{0,5}{0,6}=\frac{5}{6}\Rightarrow P(A\cdot B)=P(A)P(B)=0,4\cdot\frac{5}{6}=\frac{1}{3}$$

11. A და B უთავსებადი ხდომილობებია, $P(A)=P(B)=0,1$, მაშინ $P(A+B)$ ტოლია:

ა) 0,01 ბ) 0,2 გ) 0,5, დ) 0,19

12. $P(A+B)=0,2$, $P(A)=P(B)=P$ და $A\cdot B=\varnothing$, მაშინ P ტოლია:

ა) 0,4 ბ) 0,1 გ) 0,8 დ) 0

მითითება: $2P=0,2\Rightarrow P=0,1$

13. $P(A+B)=0,36,$ $P(A)=P(B)=P,$ A და B დამოუკიდებელი ხდომილობებია, მაშინ P ტოლია:

ა) 0,18 ბ) 0,1 გ) 0,64, დ) 0,2

მითითება:

$$P(A+B)=P+P-P\cdot P\Rightarrow 2P+0,36$$

$$=0\Rightarrow\begin{cases} D=2,56 \\ P_1=0,2 \\ P_2=1,8 \quad \text{არ გამოდგება}\end{cases}$$

14. A და B უთავსებადი ხდომილობებია, $P(A)=P(B)=0,1$, მაშინ $P(A+B)$ ტოლია:

ა) $\frac{1}{5}$, ბ) $\frac{2}{5}$, გ) $\frac{1}{2}$, დ) 0.15.

15. $P(A+B)=\varnothing$, $P(A)=0,4$, $P(B)=0,7$, მაშინ $P(A+B)$ ტოლია:

ა) 0,28 ბ) 1,1 გ) 0,3 დ) პასუხი არ აქვს.

16. ყუთში, რომელშიც 5 მწვანე და 4 თეთრი ბურთულაა, ჩაუმატეს მწვანე ბურთულა. ამის შემდეგ ბურთულები ერთმანეთში აურიეს და ყუთიდან ალალბედზე ამოიღეს ერთი ბურთულა. ალბათობა იმისა, რომ ეს ბურთულა მწვანეა, ტოლია:

ა) $\frac{5}{9}$ ბ) $\frac{5}{10}$ გ) $\frac{6}{10}$ დ) $\frac{1}{10}$.

17. თუ A და B დამოუკიდებელი ხდომილობებია, $P(A)=0,3$ $P(B)=0,4$, მაშინ:

1) ალბათობა $P(\overline{A}\cdot B)$ ტოლია:

ა) 0,12 ბ) 0,7 გ) 0,28 დ) არ გამოითვლება

2) ალბათობა $P(\overline{A}\cdot\overline{B})$ ტოლია:

ა) 0,12 ბ) 0,28 გ) 0,42 დ) არ გამოითვლება.

18. თუ $P(A)=0,7,$ $P(B)=0,4,$ $P(\overline{B}\,|\,A)=0,3,$ მაშინ: $P(A\,|\,\overline{B})$ ტოლია:

ა) 0,28 ბ) 0,7 გ) 0,6 დ) 0,35

19. თუ ხდომილობა $B\subset A,$ $P(B)=0,3,$ $P(A)=0,5,$ მაშინ პირობით ალბათობა $P(A\,|\,\overline{B})$ ტოლია:

ა) 0,15 ბ) 0,6 გ) 0,8 დ) 0,2

20. თუ $P(B|A)=0,5,$ $P(A|B)=0,3,$ $P(B)=0,4,$ მაშინ $P(A)$ ტოლია:

ა) 0,7 ბ) 0,15 გ) 0,2 დ) 0,24

21. თუ ყუთიდან, რომელშიც 2 თეთრი და 3 მწვანე ერთნაირი ზომის ბურთულაა, ალალბედზე ვიღებს ორ

ბურთულას დაბრუნებით, მაშინ ალბათობა იმისა, რომ ორივე ამოღებული ბურთულა თეთრი აღმოჩნდენა, ტოლია:

ა) $\frac{2}{5}$ ბ) $\frac{4}{25}$ გ) $\frac{2}{25}$ დ) $\frac{1}{10}$

22. თუ ყუთიდან, რომელშიც აწყვია 2 თეთრი და 3 მწვანე ერთნაირი ზომის ბურთულა, ალაბედზე ვიღებს ორ ბრთულას დაბრუნების გარეშე, მაშინ ალბათობა იმისა, რომ ორივე ბურთულა თეთრი აღმოჩნდება, ტოლია:

ა) $\frac{4}{25}$ ბ) $\frac{2}{5}$ გ) $\frac{1}{10}$ დ) $\frac{2}{25}$

პასუხები:

§2

1. 5/9	**2.** 1/36	**3.** 0,25	**4.** $1/C_{30}^{5}$	**5.** 1/9	**6.** 0,75
7. 1/7	**8.** 0,5	**9.** 0,04	**10.** 0,1	**11.** 0,9	**12.** 0,3
13. 2/π	**14.** 1/16π	**15.** 923/991	**16.** 192	**17.** 1/6	
18. 1/20; 19/20					
19. 0,01	**20.** $(r/R)^2$	**21.** 33/4π	**22.** 7/25	**23.** $\sqrt{3\pi}/9$	**24.** 2π/125
25. 0,8	26. 0,2	27. 0,28	28. 1/8	29. 2/π	30. 10/13
31. 1/720	32. 24/91	33. 0,5	34. 1/190	35. ≈0,4	36. 14/55
37. 0,3	38. 0,1512	39. ≈0,023	40. 0,3	41. ≈0,0006	42. ≈0,007
43. ≈0,001	44. 1/6	45. ≈0,23	46. 2/15	47. ≈0,62	48. $\approx 4.10^{-6}$
49. ≈0,18	50. 12.10^{-5}				

§3

1. 0,26	2. 0,3024	3. 0,0024	4. 0,72	5. 0,316	6. 0,684
7. 2/3	8. 0,77	9. 0,0872	10. 0,064	11. 0,046	12. 0,024
13. 0,594	14. 173/495	15. 0,87	16. 0,322	17. 0,156	18. 0,251
19. 0,328	20. 0,348	21. 13/132	22. 0,332	23. 0,089	24. 190/203
25.0.14	26.0,38	27. 0,126	28. 0,388	29. 0,89	30. 14/45

ტესტის პასუხები:

1. გ	2. ბ	3. დ	4. დ	5. გ	6 ა
7. ბ	8. დ	9. გ	10. ა	11. დ	12. ბ
13. გ	14. ა	15. დ	16. გ	17. 1)გ 2)გ	18. დ
19. ბ	20. დ	21. ბ	22. გ		

§5. დამოუკიდებელ ცდათა მიმდევრობა. ბერნულის ფორმულა. მუავრ-ლაპლასის ლოკალური და ინტეგრალური ზღვარითი თეორემები. პუასონის ასიმპტოტური ფორმულა. უალბათესი რიცხვი

1. მონეტას ვაგდებთ ხუთჯერ (ვგულისხმობთ, რომ მონეტა „წესიერია“). იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ბორჯღალი(გერბი) მოვა ორზე ნაკლებ შემთხვევაში.

2. კამათელს ვაგდებთ ექვსჯერ. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ რიცხვი ხუთი მოვა არაუმეტეს 3 შემთხვევისა.

3. ორი თანაბარი ძალის მოჭადრაკე თამაშობს ჭადრაკს (თითოეულის მოგების ალბათობა ტოლია 0,5-ის). იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ პირველი მოჭადრაკე ოთხი პარტიიდან მოიგებს 3-ს (ყაიმი მხედველობაში არ მიიღება).

4. წინა ამოცანის პირობებში, რომლის ალბათობაა მეტი ოთხი პარტიიდან ორის მოგებისა, თუ ექვსი პარტიიდან სამის?

5. ტექნიკური კონტროლი ამოწმებს 10 დეტალისაგან შემდგარ პარტიას. დეტალის სტანდარტულობის ალბათობა ტოლია 0,75. იპოვეთ სტანდარტული დეტალების უალბათესი რიცხვი.

6. იპოვეთ 19 პერფობარათში სწორად პერფორირებული ბარათების უალბათესი რიცხვი, თუ ბარათის არასწორად პერფორირების ალბათობა ტოლია 0,1-ის.

7. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ოთხ დამოუკიდებელ ცდაში A ხდომილობა მოხდება არანაკლებ სამჯერ, თუ ცალკეულ ცდაში A ხდომილობის მოხდენის ალბათობა ტოლია 0,4-ის.

8. ცალკეულ დამოუკიდებელ ცდაში ხდომილობის მოხდენის ალბათობაა 0,7. იპოვეთ ცდათა n რიცხვი, რომლის დროსაც უალბათესი რიცხვი ტოლი იქნება 20-ის.

9. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ კალათბურთელი 10 სროლიდან კალათში ბურთს მოათავსებს არანაკლებ 9-ჯერ, თუ ყოველ ცალკეულ სროლაში კალათში ბურთის ჩაგდების ალბათობა ტოლია 0,8-ის.

10. ბერნულის სქემაში ხდომილობის ალბათობა ტოლია 0,3-ის. იპოვეთ ცდათა რიცხვი n, რომლის დროსაც უალბათესი რიცხვი ტოლია 30-ის.

11. იპოვეთ ალბათობა იმისაბ რომ 2400 დამოუკიდებელ ცდაში A ხდომილობა მოხდება 1400-ჯერ, თუ ცალკეულ ცდაში P(A)=0,6.

12. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ 2100 დამოუკიდებელ ცდაში ხდომილობა მოხდება არანაკლებ 1470 და არაუმეტეს 1500-ისა, თუ ცალკეულ ცდაში P(A)=0,7.

13. ტექნიკური კონტროლი ამოწმებს 475 დეტალს. დეტალის დეფექტიანობის ალბათობა 0,05-ის ტოლია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ დეფექტური აღმოჩნდება არანაკლებ 400 და არაუმეტეს 450 დეტალი.

14. ნაკეთობის 30% უმაღლესი ხარისხისაა. ვამოწმებთ 6 ნაკეთობას. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ 4 მათგანია უმაღლესი ხარისხის.

15. საწყობში მიღებული დეტალების 60% უმაღლესი ხარისხისაა. ვიღებთ 10 დეტალს. რას უდრის ალბათობა იმისა, რომ 3 დეტალია უმაღლესი ხარისხის.

16. ალბათობა იმისა, რომ საამქროში ელექტროენერგიის დანახარჯი ერთი დღე-ღამის განმავლობაში არ გადააჭარბებს ნორმას ტოლია 0,9-ის. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ 5 დღე-ღამიდან ელექტროენერგიის დანახარჯი არ გადააჭარბებს ნორმას 4 დღე-ღამეში.

17. ყუთში 10 თეთრი და 5 შავი საგანია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ალალბედზე თუ ამოვიღებთ თანმიმდევრობით 14 საგანს დაბრუნებით, მათ შორის აღმოჩნდება არანაკლებ 12 თეთრი საგანი.

18. ვაჟის დაბადების ალბათობა 0,515-ის ტოლია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ 10 ახალშობილს შორის 4 გოგო იქნება.

19. მაღაზიაში შევიდა 8 მომხმარებელი. თითოეულისათვის რაიმეს ყიდვის ალბათობა ტოლია 0,3. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ სამი მათგანი იყიდის.

20. ცალკეულ ცდაში ხდომილობის ალბათობა ტოლია 0,64. რამდენი დამოუკიდებელი ცდა უნდა ჩავატაროთ, რომ უალბათესი რიცხვი ტოლი იყოს 51-ის.

21. არასტანდარტული დეტალის დამზადების ალბათობა ტოლია 0,05-ის. რამდენი დეტალი უნდა იყოს პარტიაში, რომ მასში არასტანდარტული დეტალების უალბათესი რიცხვი 63-ის ტოლი იყოს.

22. 28 ნერგიდან თითოეულს გაზრდის ტოლი ალბათობა გააჩნია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ გაიზრდება 20 ნერგი.

23. საგარანტიო ტელევიზორის კინესკოპის მტყუნების ალბათობა ტოლია 0,12-ის. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ 46 ტელევიწორიდან 36 გაუძლებს საგარანტიო ვადას.

24. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ 700 ნაკეთობიდან უმაღლესი ხარისხის ნაკეთობათა რიცხვი არანაკლებ 460 და არაუმეტეს 600 იქნება, თუ ალბათობა იმისა, რომ ნაკეთობა უმაღლესი ხარისხისაა, ტოლია 0,7-ის.

25. „ცაციები" შეადგენენ საშუალოდ 1%-ს. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ 200 ადამიანიდან 4 „ცაცია" იქნება.

26. დეტალის დეფექტურობის ალბათობა ტოლია 0,02. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ 100 დეტალიდან არც ერთი დეფექტური არ იქნება.

27. ალბათობა იმისა, რომ 1000 საათის მუშაობის შემდეგ ნათურა არ გადაიწვება ტოლია 0,2-ის. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ სამი ნათურიდან ერთი მაინც არ გადაიწვება 1000 საათის მუშაობის შემდეგ.

28. T დროში კონდენსატორის გაფუჭების ალბათობა ტოლია 0,2. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ T დროში 100 კონდენსატორიდან გაფუჭდება არანაკლებ 20.

29. T დროში ტელევიზორის მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა 0,01-ის ტოლია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ T დროში 100 ტელევიწორიდან მწყობრიდან გამოვა არანაკლებ 95 ტელევიზორისა.

30. T დროში ხელსაწყოს მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა ტოლია 0,2-ის. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ 100 ხელსაწყოდან მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოების რიცხვი არანაკლებ 14 და არაუმეტეს 26-ია.

5.1. ტესტური ამოცანები

31. თუ A ხდომილობის მოხდენის ალბათობა $p = P(A) = 0,4$ და ტარდება $n = 5$ დამოუკიდებელი ცდა, მაშინ A ხდომილობის მოხდენათა უალბათესი რიცხვი ტოლია:

ა) 4 ბ) 2 გ) 3 დ) პასუხი არ აქვს

32. თუ A ხდომილობის მოხდენის ალბათობა $p=P(A)=0,7$ და ტარდება $n=9$ დამოუკიდებელი ცდა, მაშინ A ხდომილობის მოხდენათა უალბათესი რიცხვი ტოლია:

ა) 7 ბ) 6,3 გ) 6 და 7 დ) პასუხი არ აქვს

33. თუ დავაგდებთ იატაკზე მონეტას 4-ჯერ, მაშინ {ბორჯღალი}-ს მოსვლათა უალბათესი რიცხვი ტოლია:

ა) 4 ბ) 2 გ) 1 დ) პასუხი არ აქვს

34. თუ გავაგორებთ კამათელს 5-ჯერ, მაშინ ხდომილობა $\omega_3=\{3\}-$ის მოსვლათა უალბათესი რიცხვი ტოლია:

ა) 1 ბ) 5 გ) 0 და 1 დ) პასუხი არ აქვს

35. მონეტას ვაგდებთ ქვიშაში 4-ჯერ და ხდომილობები $A=\{$ბორჯღალი$\}$, $B=\{$საფასური$\}$, C ={მონეტა დარჩება წიბოზე} ტოლალბათია, მაშინ ხდომილობა {ბორჯღალი}-ის მოსვლათა უალბათესი რიცხვი ტოლია:

ა) 3 ბ) 1 გ) 0 და 1 დ) პასუხი არ აქვს.

36. თუ გავაგორებთ კამათელს 3-ჯერ, მაშინ ხდომილობა $A=\{$მოვა ლუწი ნომერი$\}$-ს მოსვლათა უალბათესი რიცხვი ტოლია:

ა) 3 ბ) 0 გ) 1 და 2 დ) პასუხი არ აქვს

37. მცირეკალიბრიანი შაშხანით მიზანში საცდელი სროლებისას მსროლელმა 100-ჯერ ესროლა სამიზნეს და 90-ჯერ მოარტყა მიზანში). თუ მსროლელი 11-ჯერ ესვრის სამიზნეს, მაშინ მიზანში მოხვედრათა უალბათესი რიცხვი ტოლია:

ა) 11 ბ) 9 გ) 10 ან 11 დ) 10

38. თუ ყუთიდან, რომელშიც 8 თეთრი და 2 ლურჯი ბურთულაა, ალალბედზე სათითაოდ დაბრუნებით ამოვიღებთ 3 ბურთულას, მაშინ ხდომილობის – $A=$

{ამოღებული ბურთულა ლურჯია}, მოხდენის უალბათესი რიცხვი ტოლია:
ა) 0 ბ) 2 გ) 1 და 3 დ) პასუხი არ აქვს

39. თუ მონეტაზე ხდომილობა $A=\{$საფასური$\}$–ს მოსვლათა უალბათესი რიცხვი $k_0'=0$ და $k_0''=1$, მაშინ მონეტის დაგდებათა n რიცხვი ტოლია:
ა) 2 ბ) 3 გ) 1 დ) პასუხი არ აქვს.

40. თუ ხდომილობა $B=\{$ბორჯღალი$\}$-ს მოსვლათა უალბათესი რიცხვი ტოლია 1-ის, მაშინ მონეტის დაგდებათა n რიცხვი ტოლია:
ა) 2 ბ) 3 გ) პასუხი არ აქვს დ) 1

41. თუ ხდომილობა $A=\{$საფასური$\}$-ს მოსვლათა უალბათესი რიცხვი ტოლია $k_0'=1$ და $k_0''=2$, მაშინ მონეტის დაგდებათა რიცხვი ტოლია:
ა) 3 ბ) 2 გ) 4 დ) პასუხი არ აქვს

42. თუ მონეტის n-ჯერ დაგდებისას ხდომილობა $A=$ $\{$საფასური$\}$-ს მოსვლათა უალბათესი რიცხვი ტოლია: $k_0'=2$ და $k_0''=4$, მაშინ მონეტის დაგდებათა რიცხვი ტოლია:
ა) 7 ბ) 5 გ) 6 დ) პასუხი არ აქვს

43. თუ კამათელის n-ჯერ გაგორებისას ხდომილობა ω_4 $\{$მოვა 4-იანი$\}$-ს მოსვლათა უალბათესი რიცხვია, $k_0'=3$ და $k_0''=5$, მაშინ კამათელის გაგორებათა რიცხვი ტოლია:
ა) 8 ბ) 15 გ) 10 დ) პასუხი არ აქვს

44. თუ კამათელის n-ჯერ გაგორებისას ხდომილობა $\omega_5=\{$მოვა 5-იანი$\}$-ს მოსვლათა უალბათესი რიცხვია: $k_0=5$, მაშინ კამათელის გაგორებათა რიცხვი ტოლია:
ა) 6 ბ) 25 გ) 30 დ) პასუხი არ აქვს

45. თუ რომელიმე მცენარის თესლის აღმოცენების უნარი უდრის 90%-ს, მაშინ 4 დათესილი თესლიდან აღმოცენებულ მცენარეთა უალბათესი რიცხვი ტოლი იქნება:

ა) 2 ბ) 3 გ) 4 დ) 3 ან 4

46. საწყობში მიღებულია 30 ყუთი მინის ნაკეთობა. ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებულ ყუთში ყველა ნაკეთობა აღმოჩნდება მთელი უდროს 0,9-ს. იმ ყუთების უალბათესი რიცხვი, რომლებშიც ყველა ნაკეთობა მთელია, არის:

ა) 9 ბ) 30 გ) 7 დ) 3

47. A ხდომილობის ალბათობა ყოველ ცდაში $p = P(A) = 0{,}3$. იმისათვის, რომ A ხდომილობის მოსვლის უალბათესი რიცხვი იყოს 60, საჭიროა ჩატარდეს დამოუკიდებელი ცდების შემდეგი რაოდენობა:

ა) 180 ბ) 200, 201, 202 გ) 1800 დ) 250, 260

48. ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული დეტალი წუნდებულია, უდრის 0,1-ს. იმისათვის, რომ ვარგისი დეტალების უალბათესი რიცხვი იყოს 50, საჭიროა აღებული იყოს დეტალების რაოდენობა:

ა) 500 ბ) 55 გ)70 დ) პასუხი არ აქვს

49. ორი ტოლძალოვანი მოთამაშე თამაშობს ჭადრაკს. ყაიმით დამთავრებული პარტია ხელახლა გადათამაშდება. რომელი უფრო ალბათია?

ა) ერთი მეორეს მოუგებს 4 პარტიიდან 3-ს, თუ
ბ) 8 პარტიიდან მოუგებს 5-ს?
თითოეული ალბათობა გამოთვალეთ ცალ-ცალკე.

50. მიზანში ისვრიან 14-ჯერ. თითოეული გასროლისას მიზანში მოხვედრის ალბათობა 0,2-ია. მაშინ მიზანში მოხვედრათა უალბათესი რიცხვი ტოლია:

ა) 7 ბ) 28 გ) 2 და 3 დ) 10

51. წინა ამოცანის პირობებში უალბათესი რიცხვის შესაბამისი ალბათობა ტოლია:

ა) 0   ბ) 0,25   გ) 0,2   დ) პასუხი არ აქვს

52. კალათბურთელი საჯარიმო ტყორცნისას კალათში ბურთს ათავსებს 0,8-ის ტოლი ალბათობით. რომელი უფრო ალბათია:

ა) კალათბურთელი 6 საჯარიმოდან ჩააგდებს 4-ს

ბ) 6 საჯარიმოდან ჩააგდებს 6-ს

გ) 6 საჯარიმოდან ვერცერთს ვერ ჩააგდებს.

53. წინა ამოცანის პირობებში გამოთვალეთ ა), ბ), გ) შემთხვევების შესაბამისი ალბათობები.

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

§4

1. 3/16	2. 0,99	3. 5/16	4. $P_4(2)>P_6(3)$	5. 8	6. 17; 18
7. ≈0,18	8. 28≤n≤29	9. 1,8 0,89	10. 100≤n≤102	11. 0,0041	12. 0,4236
13. 0,001	14. 0,06	15. 0,036	16. 0,328	17. 0,105	18.0,217
19. 0,254	20. 79≤n≤80	21. 1259≤n≤1279	22. 18/29	23. 0,972	24. 0,993
25. 0,09	26. 0,14	27. 0,488	28. 0,5	29. 0,02	30. 0,99

ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

31. ბ	32. გ	33. ბ	34. გ	35 ბ	36. გ	37. დ
38. ა	39.გ	40. ა	41. ა	42 დ	43. დ	44. გ
45. გ	46. გ	47. ბ	48. ბ	49. ა	50. გ	51. ბ
52. ბ	53. ა) 0,246; ბ) 0,26; გ) 0,000064.					

§6. ᲛᲔᲗᲝᲓᲣᲠᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲔᲑᲘ, ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. ფიქსირებულ t დროში ოთხმოტორიანი თვითმფრინავის თითოეული მოტორის მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა ერთიდაიგივეა და უდრის 0,1. მოტორები მწყობრიდან გამოდიან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ვიპოვოთ:

ა) ალბათობა იმისა, რომ t დროში მწყობრიდან გამოვა თვითმფრინავის 2 მოტორი.

ბ) ალბათობა იმისა, რომ მწყობრიდან გამოსულ მოტორთა რიცხვი მეტია ერთზე.

გ) t დროში მწყობრიდან გამოსული მოტორების უალბათესი რიცხვი.

ამოხსნა: აღვნიშნოთ ხდომილობა A={თვითმფრინავის მოტორი გამოდის მწყობრიდან t დროში}. ამოცანის პირობით

$P=P(A)=0,1$ $q=P(\bar{A})=1-P=0,9$, $n=4$

ა) ვისარგებლოთ ბერნულის ფორმულით

$$P_n(k)=\frac{n!}{k!(n-k)!}p^K q^{n-k}$$

სადაც $0<p<1$, $0\le k\le n$ რადგან $k=2$, მივიღებთ:

$$P_4(2)=\frac{4!}{2!2!}(0,1)^2(0,9)^2=0,0486$$

ბ) ზოგადი საძიებელია $Pn(k_1\le k\le k_2)$ – ალბათობა იმისა, რომ n ცდაში A ხდომილობის მოხდენათა რიცხვი k მიიღებს მნიშვნელობას $[k_1,k_2]$ შუალედიდან. ცხადია:

$$P_n(k_1\le k\le k_2)=\sum_{k=k_1}^{k_2}P_n(k)$$

რადგან $\lambda=np=4\cdot0,1=0,4<10$, ამიტომ თუ ვისარგებლებთ პუასონის ასიმპტოტური ფორმულით

$$P_n(K)\approx\frac{\lambda^K}{K!}e^{-\lambda}$$

საძიებელი ალბათობის გამოსათვლელად მივიღებთ გამოსახულებას

$$P_n(k_1\le k\le k_2)\approx\sum_{k=k_1}^{k_2}\frac{\lambda}{k!}e^{-\lambda}$$

მაშასადამე

$$P_4(2\le k\le 4)\approx\sum_{k=2_1}^{4}\frac{(0,4)^k}{k!}e^{-\lambda}0,4=\sum_{K=0}^{4}\frac{(0,4)^K}{k!}e^{-0.4}-\sum_{K=0}^{1}\frac{(0,4)^K}{k!}e^{-0.4}$$

ვისარგებლოთ ცხრილი IV-ით (იხ. დამატება). რადგან m=4, ან m=1 $\lambda=0,4$, გვექნება:

$$P_4(2\le k\le4)\approx0,9999-0,9384=0,0615$$

შენიშვნა: ჩვენ შემთხვევაში n=4 არაა დიდი რიცხვი, ამიტომ საძიებელი ალბათობის გამოსათვლელად შეიძლება ვისარგებლოთ ბერნულის ფორმულითაც. მივიღებთ

$$P_4(2 \le k \le 4) = \sum_{K=2}^{4} C_4^k P^k q^{n-k} = P_4(2) + P_4(3) + P_4(4) =$$

$$= \frac{4!}{2!2!}(0,1)^2(0,9)^2 + \frac{4!}{3!1!}(0,1)^3(0,9) + \frac{4!}{2!0!}(0,1)^4 = 0,0523$$

მაგრამ ეს მეთოდი უფრო შრომატევადია და თანაც როგორც აღვნიშნეთ, რადგან np<10, უკეთეს მიახლოებას გვაძლევს ზემოთ განხილული მეთოდი პუასონის ასიმპტოტური ფორმულის გამოყენებით,

გ) როგორც ცნობილია, t დროში მწყობრიდან გამოსული მოტორების რიცხვის უალბათესი მნიშვნელობა K_o იქნება (n+1)p რიცხვის მთელი ნაწილის - [(n+1)p] ტოლი (თუ (n+1)p მთელი რიცხვია, მაშინ გვაქვს ორი უალბათესი მნიშვნელობა Ko=(n+1)p-1 და Ko=(n+1)p). ჩვენ შემთხვევაში

$$(n+1)p=(4+1).0,1=0,5$$

ამიტომ

$$K_o=[(n+1)p]=[0,5]=0$$

შენიშვნა: ზოგიერთ ამოცანაში უმჯობესია დავწეროთ უტოლობა, რომელსაც აკმაყოფილებს უალბათესი მნიშვნელობა Ko. კერძოდ,

$$np-q \le Ko \le np+q$$

2. ავტომატური დაზგის მიერ სტანდარტული დეტალის დამზადების ალბათობა ტოლია 0,9-ის. ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ დაზგის მიერ დამზადებული 100 დეტალიდან სტანდარტულია: ა) 93 დეტალი: ბ) არანაკლებ 81 და არაუმეტეს 93 დეტალი.

ამოხსნა: ჩავთვალოთ, რომ ავტომატური დაზგა ცალკეულ დეტალს ამზადებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. n=100 სტანდარტული დეტალის დამზადების (ხდომილობა A) ალბათობა p=p(A)=0,9

$q=P(\bar{A})=1-P=1-0,9=0,1$; $npq=100.0,9.0,1=9$; $np=100.0,9=90>10$

ა) რადგან K=93, n=100 საკმარისად დიდი რიცხვია, ამიტომ საძიებელი $P_n(k)$ ალბათობის გამოთვლა ბერნულის ფორმულით ტექნიკურად რთულდება.

როგორც ვნახეთ np>10, npq=9. მაშასადამე, შეგვიძლია ვისარგებლოთ მუავრ-ლაპლასის ლოკალური ზღვარითი ფორმულით:

$$P_n(k) \approx \frac{1}{\sqrt{npq}}\phi(x)$$

სადაც

$$x = \frac{k-np}{\sqrt{npq}},$$

$$0 < p < 1 \text{ და } \phi(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}}e^{-\frac{x}{2}}$$

φ (x) ფუნქციის მნიშვნელობები მოცემულია ცხრილი I-ით (იხ. დამატება). Φ(-x)= φ(x), φ(x)≈0,0001, როცა x≥ 4 ჩვენ შემთხვევაში

$$x = \frac{93-90}{\sqrt{9}} = 1,$$

ცხრილი I-ის მიხედვით ვპოულობთ φ(1)≈0,242 მაშასადამე,

$$P_{100}(93) \approx \frac{1}{\sqrt{9}}\phi(1) \approx 0.081$$

გ) საძიებელია ალბათობა $P_n(k_1 \le k \le k_2)$, $k_1=81$, $k_2=93$

np>10 ვისარგებლოთ მუავრ-ლაპლასის ინტეგრალური ზღვარითი თეორემით, კერძოდ, როცა 0<p<1, საკმაოდ დიდი n-თვის ვწერთ:

$P_n(k_1 \le k \le k_2) \approx \Phi_o(x_2) - \Phi_o(x_1)$,

სადაც

$$X_{10} = \frac{K_1-np}{\sqrt{npq}}, x_2 = \frac{K_2-np}{\sqrt{npq}}, \Phi_0(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}}\int_0^x e^{-\frac{t^2}{2}}dt$$

ფუნქციის მნიშვნელობები მოცემულია ცხრილი II-ით (იხ.დანართი).

ამასთან $\Phi_o(-X) = -\Phi_o(X)$

ჩვენ შემთხვევაში

$$x_1 = \frac{81-90}{\sqrt{9}} = -3, x_2 = \frac{93-90}{\sqrt{9}} = 1$$

ვინაიდან

$\Phi_o(-3)=-\Phi o(3)\approx 0,4986$ და $\Phi_o(1)\approx 0,3413$

ამიტომ

$P_{10}(81\leq k\leq 93)\approx 0,3413+0,4986=0,8399$

3. ქარხანაში არასტანდარტული ნაწარმის დამზადების ალბათობა ტოლია 0,004. ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ დამზადებული 1000 ნაწარმიდან არასტანდარტული აღმოჩნდება 10.

ამოხსნა: აღვნიშნოთ ხდომილობა A={ქარხნის მიერ დამზადებული ნაწარმი არასტანდარტულია}, ამოცანის პირობის თანახმად

$P=P(A)=0,004$, $q=P(\bar{A})=1-P=1-0,004=0,996$

n=1000 საკმარისად დიდი, ხოლო P=0,004 საკმარისად მცირე რიცხვია, ამასთან

$\lambda=n\,P=1000\cdot 0,004=4<10$, $npq=1000\cdot 0,004\cdot 0,996=3,984<9$

ამიტომ შეგვიძლია ვისარგებლოთ პუასონის ასიმეტრიული ფორმულით

$$Pn(k)\approx\frac{\lambda^k}{k!}e^{-\lambda}$$

ცხრილი III-ის გამოყენებით (იხ. დამატება) k=10 და $\lambda=4$

$P_{1000}(10)\approx 0,00529$.

§7. დისკრეტული ტიპის შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონი, მათემატიკური ლოდინი და დისპერსია

(1-30) ვიპოვოთ დისკრეტული ტიპის შემთხვევითი სიდიდის

ა) მათემატიკური ლოდინი; ბ) დისპერსია, საშუალო კვადრატული გადახრა; გ) $P\{-1\leq\xi<5\}$, თუ ξ-ს განაწილების კანონს აქვს სახე:

1.

ξ	-5	0	3	4	5
P_ξ	0.2	0.1	0.3	0.2	P

2.

ξ	-1	0	2	5
P_ξ	0.5	P	0.1	0.1

3.

ξ	-10	-2	3	5
P_ξ	P	0.2	0.4	0.1

4.

ξ	0	3	5	10
P_ξ	0.1	0.2	0.3	P

5.

ξ	-10	-4	1	2
P_ξ	0.1	0.1	0.2	P

6.

ξ	-1	1	4	5
P_ξ	0.2	0.1	P	0.3

7.

ξ	10	11	12
P_ξ	0.4	0.1	P

8.

ξ	5	5.1	6.5
P_ξ	P	0.4	0.2

9.

ξ	1	2.5	5
P_ξ	0.1	P	0.3

10.

ξ	6	6.5	10
P_ξ	0.3	P	0.5

11.

ξ	-10	-8.5	0
P_ξ	0.3	P	0.4

12.

ξ	15	20	25
P_ξ	0.4	P	0.4

13

ξ	-12	-11	12
P_ξ	0.4	P	0.3

14

ξ	-15	-12	1
P_ξ	P	0.7	0.2

15

ξ	-1.5	1.5	2.5
P_ξ	0.1	0.2	P

16

ξ	-1	-0.5	1	5
P_ξ	0.1	0.2	0.3	P

17

ξ	-4	-2.5	0	1.5
P_ξ	0.2	0.1	0.3	P

18

ξ	-3.5	3	25
P_ξ	P	0.4	0.3

19

20

ξ	-2.5	-2	3	5
P_ξ	0.1	0.2	0.4	P

ξ	25	30	35
P_ξ	P	0.2	0.4

21

22

ξ	-1.7	0	2	3
P_ξ	0.1	P	0.5	0.1

ξ	1.8	1.9	2	3	4
P_ξ	P	0.1	0.1	0.3	0.2

23

24

ξ	-0.5	-0.1	0	9
P_ξ	P	0.1	0.3	0.4

ξ	-15	-10	-5	-1
P_ξ	0.4	P	0.1	0.3

25

26

ξ	25	25.1	26	27
P_ξ	0.1	0.2	P	0.5

ξ	13	17	19	20
P_ξ	P	0.4	0.2	0.1

27

28

ξ	-2.5	5	11	21
P_ξ	P	0.1	0.3	0.2

ξ	0.1	0.15	0.16	0.17
P_ξ	0.1	0.2	P	0.3

29

30

ξ	-30	-20	10	11
P_ξ	P	0.5	0.1	0.1

ξ	5	10	15	20	25
P_ξ	0.1	0.1	0.1	0.1	P

§8. უწყვეტი ტიპის შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქცია, განაწილების სიმკვრივე, მათემატიკური ლოდინი და დისპერსია

(1-20) იპოვეთ უწყვეტი ტიპის ξ შემთხვევითი სიდიდის ა) განაწილების სიმკვრივე და პარამეტრი; ბ) მათემატიკური ლოდინი; გ) დისპერსია; დ) მოცემულ ინტერვალში მოხვედრის ალბათობა, თუ ξ-ის განაწილების ფუნქციას აქვს სახე:

1. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 0\\ \alpha x^2, & \text{თუ } 0<x\le 1\\ 1, & \text{თუ } x>0\end{cases}$

$P(\frac{1}{2}<\xi<1)$

2. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 1\\ \alpha(x^2-x), & \text{თუ } 1<x\le 2\\ 1, & \text{თუ } x>2\end{cases}$

$P(\frac{1}{2}<\xi<1\frac{1}{2})$

3. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 1\\ \alpha x^3, & \text{თუ } 0<x\le 1\\ 1, & \text{თუ } x>1\end{cases}$

$P(0<\xi<\frac{1}{2})$

4. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 0\\ \alpha(x^2+2x), & \text{თუ } 0<x\le \frac{1}{3}\\ 1, & \text{თუ } x>\frac{1}{3}\end{cases}$

$P(0<\xi<\frac{1}{4})$

5. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 2\\ ax-1, & \text{თუ } 2\le x\le 4\\ 1, & \text{თუ } x>4\end{cases}$

$P(3<\xi<3\frac{1}{2})$

6. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 0\\ ax^2, & \text{თუ } 0<x\le 3\\ 1, & \text{თუ } x>3\end{cases}$

$P(1<\xi<2)$

7. $$F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 0\\ ax^2, & \text{თუ } 0<x\le 2\\ 1, & \text{თუ } x>2\end{cases}$$

$P(1<\xi<2)$

8. $$F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le -\frac{\pi}{2}\\ a\cos x, & \text{თუ } x\in \left]-\frac{\pi}{2},0\right]\\ 1, & \text{თუ } x>0\end{cases}$$

$P(-\frac{\pi}{6}<\xi<0)$

9. $$F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 0\\ a\sin x, & \text{თუ } 0<x\le \frac{\pi}{6}\\ 1, & \text{თუ } x>\frac{\pi}{6}\end{cases}$$

$P(0<\xi<\frac{\pi}{8})$

10. $$F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le \frac{3}{4}\pi\\ a\cos 2x, & \text{თუ } \frac{3\pi}{4}<x\le \pi\\ 1, & \text{თუ } x>\pi\end{cases}$$

$P(\frac{3}{4}\pi<\xi<\pi)$

11. $$F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le -1\\ a(x+1), & \text{თუ } -1<x\le 2\\ 1, & \text{თუ } x>2\end{cases}$$

$P(0\le\xi\le 1)$

12. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le \frac{1}{2}\\ ax^2, & \text{თუ } \frac{1}{2}<x\le 1\\ 1, & \text{თუ } x>1\end{cases}$

$P(0.5\le\xi\le 0.9)$

13. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 0\\ ax^2, & \text{თუ } 0<x\le 2\\ 1, & \text{თუ } x>2\end{cases}$

$P(0<\xi\le 1)$

14. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 2\\ a(2x-3), & \text{თუ } 2<x\le 4\\ 1, & \text{თუ } x>4\end{cases}$

$P(2\le\xi<3)$

15. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le -\frac{\pi}{2}\\ a\sin x, & \text{თუ } -\frac{\pi}{2}<x\le \frac{\pi}{2}\\ 1, & \text{თუ } x>\frac{\pi}{2}\end{cases}$

$P(0\le\xi\le\frac{\pi}{6})$

16. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 0\\ ax, & \text{თუ } 0<x\le 4\\ 1, & \text{თუ } x>4\end{cases}$

$P\{0<\xi\le 3\}$

17. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 0\\ ax, & \text{თუ } 0<x\le 4\\ 1, & \text{თუ } x>4\end{cases}$

$P\{1\le\xi\le 3\}$

18. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 0\\ a\sin x, & \text{თუ } 0<x\le \dfrac{\pi}{2}\\ 1, & \text{თუ } x>\dfrac{\pi}{2}\end{cases}$

$P\{0<\xi\le\frac{\pi}{2}\}$

19. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 0\\ a\sin 2x, & \text{თუ } 0<x\le \dfrac{\pi}{4}\\ 1, & \text{თუ } x>\dfrac{\pi}{4}\end{cases}$

$P\{\frac{\pi}{8}<x<\frac{\pi}{4}\}$

20. $F(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le \dfrac{\pi}{6}\\ a\cos 3x, & \text{თუ } \dfrac{\pi}{6}<x\le \dfrac{\pi}{3}\\ 1, & \text{თუ } x>\dfrac{\pi}{3}\end{cases}$

$P\{\frac{\pi}{6}<\xi\le\frac{\pi}{2}\}$

(21-30) იპოვეთ უწყვეტი ტიპის ξ შემთხვევითი სიდიდის: ა) განაწილების ფუნქცია, განაწილების უცნობი პარამეტრი a, ბ) მათემატიკური ლოდინი, დისპერსია, გ) მოცემულ ინტერვალში მოხვედრის ალბათობა, თუ ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივეს აქვს სახე:

21. $f(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le -2\\ a/2, & \text{თუ } -2<x\le 2\\ 0, & \text{თუ } x>2\end{cases}$

$P\{0<\xi\le 2\}$

22. $f(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x<\dfrac{1}{3}\\ 3a, & \text{თუ } \dfrac{1}{3}\le x\le 1\\ 0, & \text{თუ } x>1\end{cases}$

$P\{\frac{1}{2}<x\le 1\}$

23. $f(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x<4\\ ax, & \text{თუ } 4\le x\le 4.5\\ 0, & \text{თუ } x>4.5\end{cases}$

$P\{4.3\le \xi\le 4.5\}$

24. $f(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x\le 1\\ 2ax, & \text{თუ } 1<x\le \sqrt{2}\\ 0, & \text{თუ } x>1\end{cases}$

$P\{1<x<1.1\}$

25. $f(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x<-1\\ a(x+1), & \text{თუ } -1\le x\le 0\\ 0, & \text{თუ } x>0\end{cases}$

$P\{-\frac{1}{2}<\xi\le 0\}$

26. $f(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x<0\\ 3ax^2, & \text{თუ } 0\le x\le 1\\ 0, & \text{თუ } x>1\end{cases}$

$P\{0\le x\le \frac{1}{2}\}$

27. $f(x)=\begin{cases}0, & \text{თუ } x<0\\ 2ax, & \text{თუ } 0\le x\le \dfrac{\sqrt{2}}{2}\\ 0, & \text{თუ } x>\dfrac{\sqrt{2}}{2}\end{cases}$

$P\{0\le \xi\le 1\}$

28. $f(x)=\begin{cases}0, \text{ თუ } x<21\\ a, \text{ თუ } 21\le x\le 22\\ 0, \text{ თუ } x>22\end{cases}$

$P\{21\le x\le 21.5\}$

29. $f(x)=\begin{cases}0, \text{ თუ } x>\frac{1}{8}\\ 8a, \text{ თუ } \frac{1}{8}\le x\le 1\\ 0, \text{ თუ } x\ge 1\end{cases}$

$P\{\frac{1}{8}\le x\le \frac{1}{4}\}$

30. $f(x)=\begin{cases}0, \text{ თუ } x<0\\ ax^3, \text{ თუ } 0\le x\le 2\\ 0, \text{ თუ } x>2\end{cases}$

$P\{1\le x\le 2\}$

§9. თანაბარი, მაჩვენებლაინი და ნორმალური განაწილების კანონი

1. ξ შემთხვევითი სიდიდე თანაბრადაა განაწილებული [5;6] შუალედში. დაწერეთ ξ-ს განაწილების სიმკვრივე, იპოვეთ ξ-ს განაწილების ფუნქცია, მათემატიკური ლოდინი და საშუალო კვადრატული გადახრა.

2. გამზომი ხელსაწყოს სკალის დანაყოფის ფასია 0,2. ხელსაწყოს მაჩვენებელი მრგვალდება უახლოეს მთელ დანაყოფამდე. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ათვლისას დაშვებულია შეცდომა (ცდომილობა), რომელიც არ აღემატება 0,004-ს.

3. წინა ამოცანის პირობებში იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ათვისას დაშვებული ცდომილობა აღემატება 0,05-ს.

4. ელექტროსაათის წუთების ისარი გადაადგილდება ნახტომებით ყოველი წუთის ბოლოს. იპოვეთ ალბათობა

იმისა, რომ მოცემულ მომენტში საათი აჩვენებს დროს, რომელიც ჭეშმარიტი დროისაგან განსხვავდება არა უმეტეს 20 წამისა.

5. იპოვეთ]2;8[ინტერვალში თანაბრად განაწილებული ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქცია, დისპერსია და საშუალო კვადრატული გადახრა.

6. ქარხანა ამზადებს ერთი სახის მილებს. მილის დიამეტრი იზომება მიახლოებით [9; 9,5] შუალედში, ამასთან ჩავთვალოთ მილის დიამეტრი ξ შემთხვევით სიდიდედ, რომელიც თანაბრადაა განაწილებული [9; 9,5] შუალედში. დაწერეთ ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქცია, გამოთვალეთ M(ξ) და D (ξ).

7.]5-b, 5+b[ინტერვალებში თანაბარი კანონით განაწილებული ξ შემთხვევითი სიდიდისათვის დაწერეთ განაწილების სიმკვრივე და გამოთვალეთ მათემატიკური ლოდინი და საშუალო კვადრატული გადახრა.

8. იპოვეთ]-9;5[შუალედში თანაბრად განაწილებული შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივე და [-10;5] ინტერვალში მოხვედრის ალბათობა.

9. დაწერეთ მაჩვენებლიანი კანონით განაწილებული ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივე, განაწილების ფუნქცია, როცა პარამეტრი λ=5 და გამოთვალეთ ამ შემთხვევითი სიდიდის [0,1;1] ინტერვალში მოხვედრის ალბათობა.

10. დაწერეთ მაჩვენებლიანი კანონით განაწილებული ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივე და გამოთვალეთ M(ξ) და D(ξ), თუ განაწილების პარამეტრი λ=6.

11. მაჩვენებლიანი კანონი განაწილებული უწყვეტი ტიპის ξ შემთხვევაში სიდიდის განაწილების სიმკვრივეს აქვს სახე

$$f(x)=\begin{cases}0, & \text{როცა } x<0\\ 0{,}04e^{-0{,}04x}, & \text{როცა } x\geq 0\end{cases}$$

იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ξ შემთხვევითი სიდიდე მიიღებს მნიშვნელობას (1;2) ინტერვალიდან და გამოთვალეთ საშუალო კვადრატული გადახრა.

12. მაჩვენებლიანი კანონით განაწილებული უწყვეტი ტიპის ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქციას აქვს სახე

$$f(x)=\begin{cases}1-e^{-0,6x}, \text{ როცა } x\geq 0\\ 0, \text{როცა } x<0\end{cases}$$

იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ξ მიიღებს მნიშვნელობას]2;5[ინტერვალიდან და დაწერეთ განაწილების სიმკვრივე.

13. იპოვეთ დისპერსია და საშუალო კვადრატული გადახრა მაჩვენებლიანი კანონით განაწილებული ξ შემთხვევითი სიდიდისათვის, თუ მისი განაწილების სიმკვრივეს აქვს სახე

$$f(x)=\begin{cases}0, \quad \text{როცა } x<0\\ 10e^{-10x}, \text{როცა } x\geq 0\end{cases}$$

14. ჩაწერეთ ნორმალური კანონით განაწილებული ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივისა და განაწილების ფუნქციის ანალიზური სახე, ააგეთ შესაბამისი გრაფიკები, თუ ξ-ს განაწილების პარამეტრებია:

a=M(ξ)=3, $\sigma=\sqrt{D(\xi)}=2$

15. ξ შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია ნორმალური კანონით, რომლის პარამეტრებია a=M(ξ)=10 და $\sigma=\sqrt{D(\xi)}=2$. იპოვეთ P{12<ξ<14}

16. ξ შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია ნორმალური კანონით, რომლის პარამეტრებია a=M(ξ)=20, $\sigma=\sqrt{D(\xi)}=5$. იპოვეთ P{15<ξ<25}

17. გაზომვის შედეგების შეცდომები განაწილებულია ნორმალური კანონით პარამეტრებით a=0მმ და σ=20მმ. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ გაზომვის შეცდომის აბსოლუტური სიდიდე ნაკლები იქნება 10მმ-ზე.

18. ნორმალური კანონით განაწილებული ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივეს აქვს სახე:

$$f(x)=\frac{1}{5\sqrt{2\pi}}\ell^{-\frac{(x-1)^2}{50}}$$

იპოვეთ ξ-ის განაწილების ფუნქცია, მათემატიკური ლოდინი და დისპერსია.

19. ავტომატი ამზადებს დეტალებს. იზომება დეტალის სიგრძე ξ, რომელიც განაწილებულია ნორმალური კანონით 50მმ-ის ტოლი მათემატიკური ლოდინით (საპროექტო სიგრძე). ფაქტიურად დამზადებული დეტალების სიგრძეები არანაკლებია 32მმ-ზე და არ აღემატება 67მმ-ს. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული დეტალის სიგრძე მეტია 55მმ-ზე.

20. წინა ამოცანის პირობებში იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული დეტალის სიგრძე ნაკლებია 40მმ-ზე.

21. რაღაც ნივთიერების აწონვის დროს დაშვებული შემთხვევითი შეცდომები (ცდომილება) ξ განაწილებულია ნორმალური კანონით, რომლის საშუალო კვადრატული გადახრა σ=20გ. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ აწონის დროს დაშვებული შეცდომების აბსოლუტური მნიშვნელობა არ აღემატება 10გ-ს.

22. ტექნიკური კონტროლის განყოფილება ამოწმებს ქარხანაში დამზადებული ერთიდაიგივე სახის ნაწარმის ξ სიგრძეს, ითვლება, რომ იგი განაწილებულია ნორმალური კანონით =0,4მმ-ის ტოლი საშუალო კვადრატული გადახრით. ნაწარმი ვარგისია, თუ მისი სიგრძის გაზომვის შედეგის საპროექტო ზომისაგან გადახრის აბსოლუტური მნიშვნელობა ნაკლებია 0,7მმ-ზე. იპოვეთ რამდენია ვარგისი 150 ნაწარმში.

23. ξ შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია ნორმალური კანონით a=M(ξ)=0, σ^2=D(ξ)=1 პარამეტრებით. დაწერეთ ξ-ს განაწილების ფუნქციის ანალიზური სახე, ააგეთ შესაბამისი გრაფიკები და იპოვეთ P{|ξ|<2}

24. ნორმალური კანონით განაწილებული ξ შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი და დისპერსია შესაბამისად ტოლია 10 და 4-ის. იპოვეთ {12<ξ<14}

25. ξ შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია ნორმალური კანონით, რომლის პარამეტრებია a=M(ξ)=30 და σ^2= (ξ)=400. იპოვეთ $P\left\{\left|\dfrac{\xi-a}{\sigma}\right|<\delta\right\}$, თუ δ=5.

26. ξ შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია ნორმალური კანონით, რომლის მათემატიკური ლოდინი 0-ია. ამ შემთხვევითი სიდიდის]-1;1[ინტერვალში მოხვედრის

ალბათობა ტოლია 0,5-ის. იპოვეთ შემთხვევითი სიდიდის საშუალო კვადრატული გადახრა - σ.

მითითება: ისარგებლეთ (7.7) ფორმულით და ცხრილი II-ით.

27. ξ შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია ნორმალური კანონით, რომლის პარამეტრებია $a=M(\xi)=20$ და $\sigma^2=D(\xi)=100$. იპოვეთ $P\{|\xi-a|<\delta\}$ თუ $\delta=3$

28. ξ შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია ნორმალური კანონით, რომლის პარამეტრებია $a=M(\xi)=30$ და $\sigma^2=D(\xi)=100$. იპოვეთ $P\{10<\xi<50\}$

29. ξ შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია ნორმალური კანონით, რომლის პარამეტრებია $a=M(\xi)=7$ და $\sigma^2=D(\xi)=49$. დაწერეთ ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივისა და განაწილების ფუნქციის ანალიზური სახე. ააგეთ შესაბამისი გრაფიკები.

30. წინა ამოცანის პირობები გამოთვალეთ $P\{-10<\xi<10\}$

დისკრეტული განაწილების თეორიული მაგალითები

31. მონეტას აგდებენ ბრტყელ ზედაპირზე ერთხელ. დაწერეთ ხდომილობა $A=\{$ბორჯღალი$\}$-ის მოხდენათა X რიცხვის განაწილების კანონი, იპოვეთ განაწილების რიცხვითი მახასიათებლები: მათემატიკური ლოდინი, დისპერსია, სტანდარტული გადახრა, შეადგინეთ შესაბამისი განაწილების ფუნქცია.

32. საინფორმაციო არხზე ინფორმაცია გადაიცემა 0 ან 1 სიმბოლოს გამოყენებით ყოველ ბიტ ინფორმაციაში. 0-ის გადაცემის ალბათობა 0,4-ის ტოლია. იპოვეთ 0-ის გადაცემათა X რიცხვის განაწილების კანონი, შესაბამისი მათემატიკური ლოდინი, დისპერსია, სტანდარტული გადახრა და განაწილების ფუნქცია, თუ გადაიცა 1 ბიტი ინფორმაცია.

33. მიზანში ისვრიან ერთხელ. მოხვედრის ალბათობა უდრის 0,3-ს იპოვეთ მიზანში მოხვედრათა X რიცხვის განაწილების კანონი, იპოვეთ $M(x), D(x), \sigma_x$ და განაწილების $F(x)$ ფუნქცია.

34. დისკრეტული ტიპის შემთხვევითი სიდიდე ღებულობს მნიშვნელობებს $x_1 = 3,\quad x_2 = 5,\quad x_3 = 8,$ შესაბამისი ალბათობებით $P_1 = 0,4;\quad P_2 = 0,15;$ და $P_3 = P,$ დაწერეთ X შ.ს.-ის განაწილების კანონი და ააგეთ შესაბამისი განაწილების ფუნქცია.

35. (დისკრეტული თანაბარი განაწილების მაგალითი) X **შ**ემთხვევითი **ს**იდიდე არის კამათელის გაგორებისას მოსული ქულა. დაწერეთ ამ **შ.ს.-**ის სიდიდის განაწილების კანონი. იპოვეთ შესაბამისი რიცხვითი მახასიათებლები $M(x), D(x), \sigma_x$

36. თითოეული ბიტი ინფორმაცია გადაიცემა 0 ან 1 სიმბოლოს გამოყენებით თანაბარი ალბათობით. გადაცემულია 3 ბიტი ინფორმაცია. დაწერეთ 1-იანის გადაცემათა რიცხვის განაწილების კანონი. იპოვეთ შესაბამისი რიცხვითი მახასიათებლები $(M(x), D(x), \sigma_x)$, ააგეთ შესაბამისი განაწილების ფუნქცია.

37. მსროლელი მიზანში ისვრის 3-ჯერ. ყოველი გასროლისას მიზანში მოხვედრის ალბათობა უდრის 0,4-ს. ყოველი მოხვედრის შემთხვევაში მსროლელს 5 ქულა ეწერება, შეადგინეთ მსროლელის მიერ მიღებული X ქულის განაწილების კანონი. იპოვეთ შესაბამისი განაწილების ფუნქცია და განაწილების რიცხვითი მახასიათებლები $(M(x), D(x), \sigma_x)$.

38. მონეტას აგდებენ ბრტყელ ზედაპირზე 4-ჯერ. დაწერეთ {საფასურის} მოსვლათა X რიცხვის განაწილების კანონი, იპოვეთ შესაბამისი რიცხვითი მახასიათებლები, ააგეთ განაწილების ფუნქცია.

39. მსროლელი, რომელსაც 3 ვაზნა აქვს, ესვრის მიზანში პირველ მოხვედრამდე. ყოველ გასროლისას მოხვედრის (ხდომილობა A) ალბათობა 0,8-ის ტოლია. იპოვეთ დახარჯული ვაზნების განაწილების კანონი და შესაბამისი რიცხვითი მახასიათებლები.

§10. მეთოდური მითითებები

1. ვიპოვოთ დისკრეტული ტიპის ξ შემთხვევითი სიდიდის ა) მათემატიკური ლოდინი; ბ) დისპერსია და საშუ-

ალო კვადრატული გადახრა, თუ ξ-ს განაწილების კანონს აქვს სახე

ξ	-1	2
P_ξ	P	0.6

ამოხსნა: როგორც ცნობილია დისკრეტული განაწილების კანონის შესაბამისი ალბათობების ჯამი ტოლია ერთის, ე.ი.

P+0,6=1 P=0,4

ა) ვისარგებლოთ დისკრეტული ტიპის შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინის გამოსათვლელი ფორმულით

$$M(\xi)=\sum_{i=1}^{n} x_i P_i$$

რის შედეგადაც მივიღებთ

$M(\xi)=-1\cdot 0{,}4+2\cdot 0{,}6=0{,}8$

გ) დისპერსიის გამოსათვლელად ვისარგებლოთ ფორმულით

$$D(\xi)=M(\xi^2)-[M(\xi)]^2=\sum_{i=1}^{n} x_i^{\,2} P_i-(\sum_{i=1}^{n} x_i P_i)^2$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს შემთხვევაში $M(\xi)=0{,}8$, მივიღებთ:

$D(\xi)=1\cdot 0{,}4+4\cdot 0{,}6-(0{,}8)^2=2{,}16$

საშუალო კვადრატული გადახრა აღვნიშნოთ σ_ξ -თი. ცნობილია, რომ

$\sigma_\xi=\sqrt{D(\xi)}$, ე.ი.

$$\sigma_\xi=\sqrt{2.16}\approx 1.47$$

2. უწყვეტი ტიპის ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქციას აქვს სახე:

$$F(x)=\begin{cases}0, & \text{როცა } x\le 0\\ ax^3, & \text{როცა } 0<x\le 1\\ 1, & \text{როცა } x>1\end{cases}$$

ვიპოვოთ: ა) ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივე f(x) და a პარამეტრი. ბ) მათემატიკური ლოდინი, დისპერსია და საშუალო კვადრატული გადახრა. გ) ალბათობა იმისა, რომ ξ შემთხვევითი სიდიდე მიიღებს მნიშვნელობებს [0; $\frac{1}{2}$] შუალედიდან.

ამოხსნა: ა) როგორც ცნობილია $f(x) = F'(x)$, ამიტომ გვექნება:

$$f(x) = \begin{cases} 0, & \text{როცა } x \le 0 \\ 3ax^2, & \text{როცა } 0 < x \le 1 \\ 0, & \text{როცა } x > 1 \end{cases}$$

პარამეტრის გამოსათვლელად ვისარგებლოთ პირობით $\int\limits_{-\infty}^{+\infty} f(x)dx = 1$, მივიღებთ

$$\int\limits_{-\infty}^{0} odx + \int\limits_{0}^{1} 3ax^2 dx + \int\limits_{1}^{+\infty} odx = 1,$$

მაშასადამე

$a = 1$

ე.ი

$$f(x) = \begin{cases} 0, & \text{როცა } x \le 0 \\ 3x^2, & \text{როცა } 0 < x \le 1 \\ 0, & \text{როცა } x > 1 \end{cases}$$

ბ) შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინის გამოსათვლელად ვისარგებლოთ ფორმულით:

$$M(\xi) = \int\limits_{-\infty}^{+\infty} xf(x)dx,$$

მივიღებთ:

$$M(\xi) = 3\int\limits_{0}^{1} x^3 dx = \frac{3}{4}x^4 \Big|_0^1 = \frac{3}{4},$$

ხოლო დისპერსია გამოვთვალოთ ფორმულით:

$$D(\xi) = M(\xi^2) - [M(\xi)]^2 = \int\limits_{-\infty}^{+\infty} x^2 f(x)dx - (\int\limits_{-\infty}^{+\infty} xf(x)dx)^2,$$

რის შედეგადაც მივიღებთ:

$$D(\xi)=3\int_0^1 x^4dx-\left(\frac{3}{4}\right)^2=\frac{3}{5}x^5\ \Big]_0^1-\frac{9}{16}=\frac{3}{5}-\frac{9}{16}=\frac{3}{80},$$

საშუალო კვადრატული გადახრა σ_ξ ტოლი იქნება:

$$\sigma_\xi=\sqrt{\frac{3}{80}}\approx 0.2,$$

გ) საძიებელია ალბათობა $P\{0\le\xi\le\frac{1}{2}\}$

როგორც ცნობილია ალბათობა იმისა, რომ ξ შემთხვევითი სიდიდე მიიღებს მნიშვნელობას $[a,b]$ შუალედიდან, გამოითვლება ფორმულით

$P\{a\le\xi\le b\}=F(b)-F(a)$

ან

$$P\{a\le\xi\le b\}=\int_a^b f(x)dx$$

ვისარგებლოთ ერთ-ერთი მათგანით, მივიღებთ:

$$P\{a\le\xi\le b\}=F(\frac{1}{2})-F(0)=\left(\frac{1}{2}\right)^3-0=\frac{1}{8}$$

3. ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივეს აქვს სახე:

$$f(x)=\begin{cases}0, & \text{როცა } x<0\\ \cos x, & \text{როცა } 0\le x\le\frac{\pi}{2}\\ 0, & \text{როცა } x>\frac{\pi}{2}\end{cases}$$

ვიპოვოთ ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქცია.

ამოხსნა

რადგან $F(x)=\int_{-\infty}^{x} f(t)dt$, ამიტომ:

როცა $x<0$, მაშინ

$$F(x)=\int_{-\infty}^{x} f(t)dt=\int_{-\infty}^{x} 0dt=0,$$

როცა $0\le x\le\frac{\pi}{2}$, მაშინ

$$F(x)=\int_{-\infty}^{x} f(t)dt=\int_{-\infty}^{0} 0dt+\int_{0}^{x}\cos t dt=\sin t\ \Big]_{0}^{x}=\sin x,$$

როცა $x>\dfrac{\pi}{2}$, მაშინ

$$F(x)=\int_{-\infty}^{x} f(t)dt=\int_{-\infty}^{0} 0dt+\int_{0}^{\frac{\pi}{2}}\cos t dt+\int_{\frac{\pi}{2}}^{x} 0dt=1.$$

მაშასადამე

$$F(x)=\begin{cases}0, & \text{როცა } x<0\\ \sin x, & \text{როცა } 0\le x\le\dfrac{\pi}{2}\\ 1, & \text{როცა } x>\dfrac{\pi}{2}\end{cases}$$

4. ამპერმეტრის სკალას დანაყოფის ფასია 0,1 ამპ. გაზომვის შედეგი მრგვალდება უახლოეს მთელ დანაყოფამდე. ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ ათვლისას დაშვებული ცდომილება აღემატება 0,02 ამპ-ს.

ამოხსნა: ანათვალის დამრგვალებით გამოწვეული ცდომილება შეიძლება განვიხილოთ როგორც შემთხვევითი სიდიდე ξ, რომელიც განაწილებულია თანაბრად 0,1-ის ტოლი სიგრძის ინტერვალში. (ანუ ξ მოთავსებულია ინტერვალში ორ მეზობელ მთელ დანაყოფს შორის). ამიტომ ξ-ს განაწილების სიმკვრივე $f(x)=\dfrac{1}{b-a}$, b-a არის იმ ინტერვალის სიგრძე, სადაც მოთავსებულია ξ და $f(x)=0$ ამ ინტერვალის გარეთ ჩვენ შემთხვევაში $f(x)=\dfrac{1}{0.1}=10$.

ცხადია, რომ ანათვალის ცდომილობა გადააჭარბებს 0,02 ამპ-ს თუ იგი მოთავსებული იქნება [0,03; 0,08[ინტერვალში. ზემოთ განხილული ამოცანა 2-ის გ) პირობის ანალოგიურად გამოვითვლით:

$$P\{0.02<\xi<0.08\}=\int_{0.02}^{0.08}10dx=0.6$$

5. უწყვეტი ტიპის ξ შემთხვევითი სიდიდის განაწილების სიმკვრივეს აქვს სახე

$$f(x)=\begin{cases}3e^{-3x}, & \text{როცა } x\geq 0\\ 0, & \text{როცა } x<0\end{cases}$$

ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ ξ მიიღებს მნიშვნელობას]0,13; 0,7[ინტერვალიდან.

ამოხსნა: როგორც ვხედავთ ξ შემთხვევითი სიდიდე განაწილებულია მაჩვენებლიანი განაწილების კანონით, ამიტომ საძიებელი ალბათობის გამოსათვლელად ვისარგებლოთ ფორმულით:

$$P\{\alpha\leq\xi\leq\beta\}=e^{-\lambda\alpha}-e^{-\lambda\beta},$$

ჩვენ შემთხვევაში λ=3; α=0,13; β=0,7. ამიტომ მივიღებთ

$$P\{0.13<\xi<0.7\}=e^{-3\cdot0.13}-e^{-3\cdot0.7}=e^{-0.39}-e^{-2.1},$$

ვისარგებლოთ e^{-x} ფუნქციის მნიშვნელობათა ცხრილებით, რის შედეგადაც მივიღებთ, რომ:

$$P\{0.13<\xi<0.7\}=0.671-0.122=0.555$$

6. ავტომატი ამზადებს ბურთულებს. ბურთულა ვარგისია, თუ მისი დიამეტრის საპროექტო ზომიდან ξ გადახრის აბსოლუტური მნიშვნელობა 0,7 მმ-ზე ნაკლებია. ξ განაწილებულია ნორმალურად a=0მმ-ის ტოლი მათემატიკური ლოდინითა და σ=0,4მმ-ის ტოლი საშუალო კვადრატული გადახრით. რამდენი ვარგისი ბურთულაა დამზადებული ავტომატის მიერ 100 ბურთულიდან?

ამოხსნა: ξ შემთხვევითი სიდიდე აღნიშნავს ბურთულის დიამეტრის საპროექტო ზომიდან გადახრას, ξ განაწილებულია ნორმალური განაწილების კანონით და M(ξ)=a=0. ვისარგებლოთ ფორმულით:

$$P(|\xi-a|<\delta)=2\Phi_0\left(\frac{\delta}{\sigma}\right),$$

სადაც $\Phi_0(x)=\frac{1}{\sqrt{2\pi}}\int_0^x e^{-t\frac{1}{2}}dt$ ლაპლასის ფუნქცია და მისი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილი II-ით (იხ. დამატება).

ჩვენ შემთხვევაში δ=0,7, σ=0,4, a=0, რის გამოც მივიღებთ

$$P\{|\xi| < 0.7\} = 2\Phi_0(\frac{0.7}{0.4}) = 2\Phi(1.75)$$

ცხრილი II-დან ვპოულობთ $\Phi_0(1,75)\approx 0,4599$. ამიტომ

$$P\{|\xi| < 0.7\} = 2 \cdot 0.4599 = 0.92$$

პასუხები

§5

1. 0,2: 1,7; 13,01; 3,6
2. 0,3; 0,2; 3,36; 1,8
3. 0,1; -2,3; 31,61; 5,6
4. 0,4; 6,1; 12,09; 3,5
5. 0,6; 0; 14,2; 3,3
6. 0,4; 3; 5,2; 2,3
7. 0,5; 11,1; 0,89; 0,94
8. 0,4; 5,31; 28,9; 5,3
9. 0,6; 3,1; 1,74; 1,3
10. 0,2; 8,1; 3,64; 1,9
11. 0,3; -5,55; 20,9; 4,3
12. 0,2; 20; 20; 4,2
13. 0,3; -4,5; 116,45; 10,8
14. 0,1; -9,7; 29,41; 5,4
15. 0,7; 1,9; 1,14; 1,2
16. 0,4; 2,1; 6,04; 2,49
17. 0,4; -0,45; 4,56; 2,1
18. 0,3; 8,65; 120; 11
19. 0,3; 2,05; 12,3; 3,5
20. 0,4; 30; 21; 4.6
21. 0,3; 1,13; 1,91; 1,4
22. 0,3; 2,63; 0,64; 0,8
23. 0,2; 2,59; 25,7; 5,07
24. 0,2; 08,8; 35,4; 5,9
25. 0,2; 16,22; 424,1; 20,8
26. 0,3; 16,5; 6,25; 2,5
27. 0,4; 7; 80,5; 9
28. 0,4; 0,16; 0,169; 0,4
29. 0,3; -16,9; 183,1; 13,5
30. 0,6; 20; 50; 7,07

§6

1. 1; $\frac{2}{3}$; $\frac{1}{6}$; $\frac{3}{4}$
2. 1; $\frac{9}{2}$; $\frac{13}{2}$;$\frac{3}{4}$;
3. $\frac{1}{3}$; $\frac{1}{4}$;$\frac{23}{240}$; $\frac{1}{24}$
4. $\frac{9}{7}$; $\frac{11}{63}$; 0,33; $\frac{81}{112}$
5. 0,5; 3; $\frac{1}{3}$; 0,25
6. $\frac{1}{9}$; 2; 0,5; $\frac{1}{3}$
7. 0,25; $\frac{4}{3}$; $\frac{2}{9}$; 0,75
8. 1; -1; π+1; $\frac{2-\sqrt{3}}{2}$

9. 2; $\dfrac{\pi+6\sqrt{3}-12}{6}$; $\dfrac{2}{3}\pi+4\sqrt{3}-5$; $2\sin\dfrac{\pi}{8}$;

10. -1; $\pi-\dfrac{1}{2}$; $3\pi^2-\dfrac{11}{4}$; 1

11. $\dfrac{1}{3}$; 0,5; 0,75; $\dfrac{1}{3}$

12. $\dfrac{4}{3}$; $\dfrac{7}{9}$; $\dfrac{71}{216}$;1

13. 0,25; $\dfrac{4}{3}$; 2; 0,25

14. $\dfrac{1}{4}$; 3; $\dfrac{1}{3}$; $\dfrac{3}{4}$

15. 0,5; $\dfrac{\pi}{2}$; $\dfrac{3\pi^2-4}{4}$; 0,25

16. 0,25; 2; $\dfrac{4}{3}$; 0,75

17. 0,25; 2; $\dfrac{4}{3}$; 0,5

18. 1; $\dfrac{\pi}{8}$; $\dfrac{\pi}{8}$-1;1

19. 1; $\dfrac{\pi}{4}-\dfrac{1}{2}$; $\dfrac{\pi^2-4\pi-12}{16}$; 1

20. -1; $\dfrac{\pi-1}{3}$; $\dfrac{\pi-3}{9}$; 1

21. 0,5; 0; $\dfrac{4}{3}$; 0,5

22. 0,5; $\dfrac{2}{3}$; $\dfrac{1}{27}$; 1

23. $\dfrac{8}{17}$; $\dfrac{217}{51}$; 1,5; 0,45

24. 1; 1,2; 0,66

25. $\dfrac{3}{2}$; -$\dfrac{5}{12}$; $\dfrac{189}{576}$; $\dfrac{3}{4}$

26. 1; $\dfrac{3}{4}$; $\dfrac{95}{32}$; $\dfrac{1}{8}$

27. 2; $\dfrac{\sqrt{2}}{3}$; $\dfrac{1}{36}$; 1

28. 1; $\dfrac{43}{2}$; $\dfrac{1}{12}$; $\dfrac{1}{2}$

29. $\dfrac{1}{7}$; $\dfrac{9}{16}$; $\dfrac{49}{768}$; $\dfrac{1}{7}$

30. $\dfrac{1}{4}$; $\dfrac{8}{5}$; $\dfrac{368}{25}$; $\dfrac{15}{16}$

თავი VI. სავარჯიშოები მათემატიკურ სტატისტიკაში. დასკვნითი სტატისტიკა

§1. შემთხვევითი ამოკრეფა პოპულაციიდან. ვარიაციული მწკრივი. ემპირიული განაწილების კანონი. ფარდობით სიხშირეთა ჰისტოგრამა და პოლიგონი. ემპირიული განაწილების ფუნქცია. ემპირიული საშუალო და დისპერსია. ნდობის ინტერვალი

1. მოცემულია შემდეგი ამონაკრეფი გენერალური ერთობლიობიდან:

5, 3, 7, 10, 5, 5, 2, 10, 7, 2, 7, 7, 4, 2, 4

ჩაწერეთ იგი ვარიაციული მწკრივის სახით, შეადგინეთ ემპირიული განაწილების კანონი. ააგეთ სიხშირეთა პოლიგონი და ემპირიული განაწილების ფუნქცია.

2. მოცემულია ξ შემთხვევით სიდიდეზე დაკვირვების შედეგები

-3; 5; 5; 4; 1; 2; -3; -2; 2; 2; -1; 5; 0; 0; 2

შეადგინეთ ვარიაციული მწკრივი, ემპირიული განაწილება, ემპირიული განაწილების ფუნქცია და ააგეთ ფარდობით სიხშირეთა პოლიგონი.

3. ააგეთ ξ შემთხვევითი სიდიდის შემდეგი ემპირიული განაწილების ფარდობითი სიხშირეების ჰისტოგრამა, თუ ამოკრეფითი ერთობლიობის მოცულობა n=100.

ცხრილი 6.1.

ინტერვალის №	ინტერვალის საზღვრები (h=5)	ინტერვალში მოხვედრილი ξ-ს მნიშვნელობების სიხშირე
i	x_i~x_{i+1}	n_i
1	5-10	4
2	10-15	6
3	15-20	16
4	20-25	36
5	25-30	24
6	30-35	10
7	35-40	4

იპოვეთ ემპირიული განაწილების ფუნქცია და ააგეთ მისი გრაფიკი.

4. მონახეთ ამოკრეფითი ერთობლიობის ისეთი მინიმალური მოცულობა, რომლისთვისაც 0,99-ის ტოლი საიმედობის ალბათობით გენერალური ერთობლიობის *a* მათემატიკური ლოდინის ემპირიული საშუალო შეფასების სიზუსტე δ=0,33, თუ ნორმალური კანონით განაწილებული გენერალური ერთობლიობის დისპერსია ტოლია 1,44.

5. ააგეთ შემდეგი ემპირიული განაწილების ფარდობით სიხშირეთა ჰისტოგრამა, თუ ამოკრეფითი ერთობლიობის მოცულობა n=55.

ცხრილი 6.2.

ინტერვალის №	ინტერვალის საზღვრები (h=2)	ინტერვალში მოხვედრილი ამოკრეფითი ერთობლიობის სიხშირე
i	$x_i \sim x_{i+1}$	n_i
1	10-12	2
2	12-14	4
3	14-16	8
4	16-18	12
5	18-20	16
6	20-22	10
7	22-24	3

იპოვეთ ემპირიული განაწილების ფუნქცია და ააგეთ მისი გრაფიკი.

6. ააგეთ შემდეგი ემპირიული განაწილების ფარდობით სიხშირეთა ჰისტოგრამა, თუ ამოკრეფითი ერთობლიობის მოცულობა n=100.

ცხრილი 6.3.

ინტერვალის №	ინტერვალის საზღვრები (h=2)	ინტერვალში მოხვედრილი ამოკრეფითი ერთობლიობის სიხშირე
i	$x_i \sim x_{i+1}$	n_i
1	0-2	20
2	2-4	30
3	4-6	50

იპოვეთ ემპირიული განაწილების ფუნქცია და ააგეთ მისი გრაფიკი.

7. გაზომეს შემთხვევით არჩეული 100 სტუდენტის სიმაღლე, შედეგები წარმოდგენილია შემდეგი ცხრილით:

ცხრილი 6.7.

სიმაღლე (სმ-ში)	154-158	158-162	162-166	166-170	170-174	174-178	178-182
აღნიშნული სიმაღლის სტუდენტთა რიცხვი	10	14	26	28	12	8	2

იპოვეთ გამოკვლეულ სტუდენტთა ემპირიული საშუალო და ემპირიული დისპერსია.

მითითება: X_i ვარიანტად ჩათვალეთ ინტერვალის შუა წერტილი.

8. წარმოებს რაღაც ფიზიკური სიდიდის ხუთი დამოუკიდებელი გაზომვა, გაზომვის შედეგები მოცემულია ცხრილით

ცხრილი 6.4.

გაზომვის ნომერი	1	2	3	4	5
გაზომვის შედეგი X_i	2781	2836	2807	2763	2858

იპოვეთ გაზომვის ცდომილობის ემპირიული დისპერსია, თუ გასაზომი სიდიდის ჭეშმარიტ მნიშვნელობად მიჩნეულია 2800.

9. გადაწერეთ ამოცანა 8-ის პირობები და იპოვეთ ემპირიული საშუალო, ემპირიული დისპერსია და შესწორებული ემპირიული დისპერსია, თუ გასაზომი სიდიდის ჭეშმარიტი მნიშვნელობა ცნობილი არაა.

10. მოცემულია ξ შემთხვევით სიდიდეზე რვა დამოუკიდებელი დაკვირვების შედეგი 90, 0; 93,1; 95,0; 95,0; 96,0; 100,0; 101,0; 106,0. იპოვეთ ემპირიული საშუალო და ემპირიული დისპერსია.

11. იპოვეთ ამოკრეფითი ერთობლიობის ისეთი მინიმალური მოცულობა, რომლისთვისაც საიმედობის 0,925-ის ტოლი ალბათობით გენერალური ერთობლიობის ა მათემატიკური ლოდინის ემპირიული საშუალო შეფასების

სიზუსტე $\delta=0{,}2$, თუკი ნორმალური კანონით განაწილებული გენერალური ერთობლიობის დისპერსია $\sigma^2=2{,}25$.

12. ფიზიკური სიდიდის ოთხჯერ გაზომვის შედეგად მიღებულია: 8, 9, 11, 12; ხელსაწყოს სისტემატური ცდომილობები არა აქვს. იპოვეთ გაზომვათა შედეგების ემპირიული საშუალო, ემპირიული დისპერსია და შესწორებული ემპირიული დისპერსია.

13. გენერალური ერთობლიობიდან n=50-ის ტოლი მოცულობიანი შემდეგი ამოკრეფითი ერთობლიობის სიხშირეთა ემპირიული განაწილების მიხედვით იპოვეთ ემპირიული დისპერსია

ცხრილი 6.5.

x_i	18.4	18.9	19.3	19.6
n_i	5	10	20	5

14. გენერალური ერთობლიობიდან n=100 ტოლი მოცულობიანი შემდეგი ამოკრეფითი ერთობლიობის სიხშირეთა განაწილების მიხედვით იპოვეთ ემპირიული დისპერსია.

ცხრილი 6.6.

x_i	2502	2804	2903	3028
n_i	8	30	60	2

15. რაიმე ფიზიკური სიდიდის ერთიდაიგივე ხელსაწყოთი ხუთჯერ გაზომვის შედეგად (სისტემატური შეცდომები გამორიცხულია) მიიღეს (მმ-ში) 92; 94; 103; 105; 106. დაწერეთ ემპირიული განაწილების კანონი, გამოთვალეთ ემპირიული საშუალო და შესწორებული ემპირიული დისპერსია.

16. იპოვეთ ნორმალური კანონით განაწილებული ξ გენერალური ერთობლიობის უცნობი a მათემატიკური ლოდინის ემპირიული საშუალოთი შეფასების ნდობის ინტერვალი P=0,99 საიმედობის ალბათობით, თუ გენერალური ერთობლიობის დისპერსია $\sigma^2=16$ ამოკრეფითი საშუალო $\bar{x}=10{,}2$ და ამოკრეფის მოცულობა n=16.

17. იპოვეთ ნორმალური კანონით განაწილებული გენერალური ერთობლიობის ნდობის უცნობი a მათემატიკური ლოდინის ემპირიული საშუალოთი შეფასების ნდობის ინტერვალი P=0,99 - საიმედობის ალბათობით, თუ მოცემულია გენერალური ერთობლიობის საშუალო კვადრატული გადახრა σ=5, ემპირიული საშუალო $\bar{x} = 16{,}8$ და ამოკრეფითი ერთობლიობის მოცულობა n=25.

18. დიდ რაოდენობიანი ნათურების პარტიიდან წარმოებს n=100 ნათურიანი ამოკრეფა გადაწვამდე ნათების ხანგრძლივობის დროის დასადგენად. ეს დრო შემთხვევითი სიდიდეა და განაწილებულია ნორმალური განაწილების კანონით, რომლის საშუალო კვადრატული გადახრა σ=40 სთ, ემპირიული საშუალო, ანუ ნათურის გადაწვამდე ნათების საშუალო დრო $\bar{X} = 1000$ სთ. იპოვეთ გენერალური ერთობლიობის მათემატიკური ლოდინისათვის (გადაწვამდე ნათების საშუალო დროისათვის) ნდობის ინტერვალი საიმედობის P=0,95-ის ტოლი ალბათობით.

19. ავტომატი ამზადებს ლილვაკებს. ლილვაკის დიამეტრის ზომა შემთხვევითი სიდიდეა და იგი განაწილებულია ნორმალური განაწილების კანონით, რომლის საშუალო კვადრატული გადახრა σ=2 მმ-ს. n=100 მოცულობიანი ამოკრეფითი ერთობლიობის მიხედვით გამოთვალეს ლილვაკის დიამეტრის ამოკრეფითი საშუალო მნიშვნელობა $\bar{X}$. იპოვეთ P=0,95-ის ტოლი საიმედობის ალბათობით იმ შეფასების δ სიზუსტე, რომლითაც ამოკრეფითი საშუალო აფასებს დამზადებული ლილვაკების დიამეტრების a მათემატიკურ ლოდინს.

20. ლილვაკების პარტიიდან წარმოებს n=100 მოცულობიანი ამოკრეფა დიამეტრის გაზომვის მიზნით. ემპირიული მონაცემებით დიამეტრის საშუალო ზომა $\bar{x} = 15$ მმ-ს. ლილვაკის დიამეტრის ზომა არის ნორმალური კანონით განაწილებული შემთხვევითი სიდიდე, რომლის საშუალო კვადრატული გადახრა σ=2მმ, ხოლო მათემატიკური

ლოდინი a უცნობია. იპოვეთ ნდობის ინტერვალი a პარამეტრისათვის საიმედობის P=0,95 ალბათობით.

21. ნორმალური კანონით განაწილებული გენერალური ერთობლიობიდან წარმოებს n=12 მოცულობითი ამოკრეფა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ემპირიული განაწილების კანონით

ცხრილი 6.7.

x_i	-0.5	0.4	-0.2	0	0.2	0.6	0.8	1	1.2	1.5
n_i	1	2	1	1	1	1	1	1	2	1

საიმედობის 0,95-ის ტოლი ალბათობით ააგეთ ნდობის ინტერვალი გენერალური ერთობლიობის უცნობი a მათემატიკური ლოდინისათვის.

22. წარმოებს 9 დამოუკიდებელი დაკვირვება ნორმალური კანონით განაწილებული შემთხვევით სიდიდეზე. ესპირიული საშუალო $\overline{X} = 30{,}1$ და შესწორებული ემპირიული დისპერსია S^2=36. საიმედობის P=0,99 ალბათობით ააგეთ ნდობის ინტერვალი ξ შემთხვევითი სიდიდის a მათემატიკური ლოდინისათვის.

23. ნორმალური კანონით განაწილებული ფიზიკური სიდიდის 16-ჯერ დამოუკიდებელი გაზომვის შედეგად გამოთვლილია განაზომთა ემპირიული საშუალო $\overline{x} = 42{,}8$ და შესწორებული ემპირიული დისპერსია $\dfrac{n}{n-1}S^2 = 64$. P=0,999-ის ტოლი ალბათობით შეაფასეთ გასაზომი ფიზიკური სიდიდის ჭეშმარიტი a მნიშვნელობა (ანუ ააგეთ ნდობის ინტერვალი გენერალური ერთობლიობის a მათემატიკური ლოდინისათვის).

24. ააგეთ სიხშირეთა ჰისტოგრამა და ემპირიული განაწილების ფუნქციის გრაფიკი, თუ მოცემულია გენერალური ერთობლიობიდან n=100 მოცულობითი ამოკრეფის შემდეგი ემპირიული განაწილება.

ცხრილი 6.8.

ინტერვალის №	ინტერვალის საზღვრები	ინტერვალში მოხვედრილი ამოკრეფითი ერთობლიობის სიხშირე
i	x_i~x_{i+1}	n_i
1	1-5	10
2	5-9	20
3	9-13	40
4	13-17	12
5	17-21	10
6	21-25	8

25. ააგეთ ფარდობით სიხშირეთა განაწილების პოლიგონი და ემპირიული განაწილების ფუნქციის გრაფიკი შემდეგი ემპირიული განაწილებისათვის:

ცხრილი 6.9.

x_i	4	7	9	12
n_i	6	5	11	18

26. ξ შემთხვევით სიდიდეზე დამოუკიდებელი დაკვირვების შედეგებია: -0,1; 0; -0,1; 2; 0,5; -1; 0; 1,5; 2; 2. შეადგინეთ ვარიაციული მწკრივი, ემპირიული განაწილების კანონი, იპოვეთ ემპირიული განაწილების ფუნქცია, ააგეთ სიხშირეთა განაწილების პოლიგონი და ემპირიული განაწილების ფუნქციის გრაფიკი.

27. გამოთვალეთ ემპირიული დისპერსია და შესწორებული ემპირიული დისპერსია თუ მოცემულია გენერალური ერთობლიობიდან n=10 მოცულობიანი ამონაკრეფის ემპირიული განაწილება.

ცხრილი 6.10.

x_i	0.01	0.05	0.09
n_i	2	3	5

28. მოცემულია ξ შემთხვევით სიდიდეზე დაკვირვების შედეგები: 1,2,-1,-1,1,2,0,0,-2,3,-1,1,3,-3,2. ჩაწერეთ იგი ვარიაციული მწკრივის სახით. შეადგინეთ ემპირიული განაწილების კანონი. იპოვეთ ემპირიული განაწილების ფუნქცია.

29. მოცემულია ξ შემთხვევით სიდიდეზე დაკვირვების შედეგები: 5.6,5,6,4,5,4,4,4,3. ჩაწერეთ იგი ვარიაციული მწკრივის სახით, შეადგინეთ ემპირიული განაწილების კანონი, ააგეთ ფარდობით სიხშირეთა განაწილების პოლიგონი.

30. მოცემულია ემპირიული განაწილების კანონი

ცხრილი 6.11

x_i	0	1	3	5
n_i	3	5	5	2

იპოვეთ ემპირიული განაწილების ფუნქცია და ააგეთ მისი გრაფიკი. ააგეთ ფარდობით სიხშირეთა განაწილების პოლიგონი.

§2. მეთოდური მითითებები

1. ჯგუფში 25 სტუდენტია. ჟურნალიდან სიის მიხედვით ამოწერეს მოცემული სემესტრის განმავლობაში თითოეული სტუდენტის მიერ უმაღლეს მათემატიკაში გაცდენილ მეცადინეობათა რაოდენობა შემდეგი სახით:

2; 5; 0; 1; 6; 3; 0; 1; 5; 4; 0; 3; 3; 2; 1; 4; 0; 0; 2; 3; 6; 0; 3; 0; 1

ა) შეადგინეთ შესაბამისი შემთხვევითი სიდიდის ემპირიული (სტატისტიკური) განაწილება.

ბ) ავაგოთ ფარდობით სიხშირეთა განაწილების პოლიგონი.

გ) დავყოთ [0,6] შუალედი ხუთ ტოლ ნაწილად, შევადგინოთ ემპირიული განაწილება და ავაგოთ ფარდობით სიხშირეთა ჰისტოგრამა.

დ) ვიპოვოთ გენერალური ერთობლიობის მათემატიკური ლოდინისა და დისპერსიის გადაუადგილებადი და ძალდებული წერტილოვანი ემპირიული შეფასებები.

ე) ვიპოვოთ ემპირიული განაწილების ფუნქცია და ავაგოთ მისი გრაფიკი.

ამოხსნა: სტუდენტის მიერ გაცდენილ მეცადინეობათა რაოდენობა შემთხვევითი სიდიდეა, აღვნიშნოთ იგი ξ-თი.

ა) ამოკრეფის მოცულობა n=25 ამოცანის მონაცემების მიხედვით ამოვწერთ შემდეგ ვარიაციულ მწკრივს 0,1,2,3,4,5,6, შესაბამისი სიხშირეებით 7,4,3,5,2,2,2. ემპირიულ (სტატისტიკურ) განაწილებას ექნება სახე:

ცხრილი 6.12.

x_i	0	1	2	3	4	5	6
$y_i = \frac{n_i}{n}$ n_i	$\frac{7}{25}$	$\frac{4}{25}$	$\frac{3}{25}$	$\frac{1}{5}$	$\frac{2}{25}$	$\frac{2}{25}$	$\frac{2}{25}$

ბ) ფარდობით სიხშირეთა პოლიგონის ასაგებად ξ0 საკოორდინატო სიბრტყეზე ავიღოთ (0; $\frac{7}{25}$), (1; $\frac{4}{25}$), (2; $\frac{3}{25}$), (3; $\frac{1}{5}$), (4; $\frac{2}{25}$), (5;$\frac{2}{25}$), (6;$\frac{2}{25}$)

წერტილები და შევაერთოთ წრფის მონაკვეთებით (იხ.ნახ.3)



ნახ. 6.1.

გ) რადგან $h = \frac{|6-0|}{5} = 1{,}2$, ამიტომ მივიღებთ შემდეგ ემპირიულ განაწილებას

ცხრილი 6.13.

ინტერვალები I	[0;1,2[	[1,2;2,4[	[2,4;3,6[	[3,6;4,8[	[4,8;6[
შესაბამისი ფარდობითი სიხშირეები $\frac{m_i}{n}$	$\frac{11}{25}$	$\frac{3}{25}$	$\frac{5}{25}$	$\frac{2}{25}$	$\frac{4}{25}$
$\frac{m_i}{nh}$	$\frac{11}{30}$	$\frac{3}{30} = \frac{1}{10}$	$\frac{5}{30} = \frac{1}{6}$	$\frac{2}{30} = \frac{1}{15}$	$\frac{4}{30} = \frac{2}{15}$

ფარდობით სიხშირეთა ჰისტოგრამას ექნება სახე (იხ. ნახ. 6.2).



ნახ.6.2.

დ) როგორც ცნობილია გენერალური ერთობლიობის მათემატიკური ლოდინის გადაუადგილებლად და ძალდებულ შეფასებას წარმოადგენს ემპირიული საშუალო $\bar{X}$, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$\bar{X} = \frac{1}{n}\sum_{i-1}^{K} x_i n_i$$

სადაც $\sum_{i-1}^{K} n_i = n = 25,$ k=7 მივიღებთ, რომ

$$\bar{X} = 0\cdot\frac{7}{25} + 1\cdot\frac{4}{25} + 2\cdot\frac{3}{25} + \frac{3\cdot 5}{25} + 4\cdot\frac{2}{25} + 5\cdot\frac{2}{25} + 6\cdot\frac{2}{25} = 2.2$$

ემპირიული დისპერსიის გამოსათვლელად ვისარგებლოთ ფორმულით:

$$S^2 = \frac{1}{n}\sum_{i-1}^{K}(x_i - \bar{X})n_i$$

ჩვენ შემთხვევაში გვექნება:

$$S^2 = \frac{1}{25}(0-2.2)^2\cdot 7 + (1-2.2)^2\cdot 4 + (2-2.2)^2\cdot 3 + (3-2.2)^2\cdot 5 +$$

$$+(4-2.2)^2\cdot 2 + (5-2.2)^2\cdot 2 + (6-2.2)^2\cdot 2] = 3.76$$

მაგრამ გენერალური ერთობლიობის დისპერსიის გა-დაუადგილებლად და ძალდებულ შეფასებას წარმოადგენს არა ემპირიული დისპერსია, არამედ შესწორებული ემპირიული დისპერსია.

$$S^2 = \frac{n}{n-1} S^2 = \frac{25}{24} \cdot 3.76 \approx 3.918$$

ე) აღვნიშნოთ ემპირიული განაწილების ფუნქცია Fn(x)-ით. ვისარგებლოთ ფორმულით:

$$\widehat{F}_n(x) = \begin{cases} 0, \text{ როცა } x < x_1 \\ \frac{m}{n}, \text{როცა } \mathrm{x_m} \le x \le \mathrm{x_{m+1}} \\ 1, \text{ როცა } x > x_n, m = \overline{1, k-1} \end{cases}$$

რადგან ჩვენ შემთხვევაში ამოკრეფის მოცულობა n=25 x_1=0, x_2=1, x_3=2, x_4=3, x_4=4, x_5=5, x_7=6, ამიტომ ემპირიული განაწილების მიხედვით მივიღებთ:

$$\widehat{F}_n(x) = \begin{cases} 0, \text{ როცა } x \le 0 \\ \frac{7}{25}, \text{როცა } 1 < \mathrm{x} \le 1 \\ \frac{11}{25}, \text{როცა } 1 < x \le 2 \\ \frac{14}{25}, \text{როცა } 2 < x \le 3 \\ \frac{19}{25}, \text{როცა } 3 < x \le 4 \\ \frac{21}{25}, \text{როცა } 4 < x \le 5 \\ \frac{23}{25}, \text{როცა } 5 < x \le 6 \\ 1, \text{ როცა } x > 6 \end{cases}$$

ამ ფუნქციის გრაფიკს ექნება შემდეგი სახე (იხ. ნახ. 6.3.)



ნახ.6.3

2. გენერალური ერთობლიობა განისაზღვრება ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდით, რომლის მათემატიკური ლოდინი a უცნობია, ხოლო საშუალო კვადრატული გადახრა σ=5. გვაქვს n=25-ის ტოლი მოცულობიანი ამოკრეფა ξ გენერალური ერთობლიობიდან. ემპირიული საშუალო $\bar{X}=14$. ვიპოვოთ 95%-იანი, ანუ P=0,95 საიმედობის ალბათობის შესაბამისი ნდობის ინტერვალი გენერალური ერთობლიობის უცნობი მათემატიკური ლოდინისათვის.

ამოხსნა: ცნობილი σ^2 დისპერსიის მქონე, ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდის a მათემატიკური ლოდინისათვის ნდობის ინტერვალს აქვს სახე:

$$\bar{X} - U_p \frac{\sigma}{\sqrt{n}} < a < \bar{X} + U_p \frac{\sigma}{\sqrt{n}}$$

ვისარგებლოთ ცხრილი V-ით (იხ.დამატება), მოცემული P=0,95-თვის ვპოულობთ U_p=1,96, ამიტომ მივიღებთ:

$$14 - 1.96 \frac{5}{\sqrt{25}} < a < 14 + 1.96 \cdot \frac{5}{\sqrt{25}}$$

ამრიგად, უცნობი a მათემატიკური ლოდინისათვის ნდობის ინტერვალი საიმედობის P=0,95-ის ტოლი ალბათობით იქნება

$12,4<a<15,96$

3. წარმოებს n მოცულობიანი ამოკრეფა ნორმალური კანონით განაწილებული გენერალური ერთობლიობიდან, რომლის საშუალო კვადრატული გადახრა σ=1,2. ემპირიული საშუალოს გამოყენებით საიმედობის =0,98 ალბათობით აგებულია ნდობის ინტერვალი გენერალური ერთობლიობის უცნობი a მათემატიკური ლოდინისათვის. ვიპოვოთ ამონაკრეფის მინიმალური მოცულობა, თუ შეფასების სიზუსტე =0,3.

ამოხსნა: ნდობის ინტერვალის ჩანაწერში სიზუსტე $\delta = U_p \cdot \dfrac{\sigma}{\sqrt{n}}$, საიდანაც ვპოულობთ, რომ $n = \dfrac{Up^2\sigma^2}{\delta^2}$, ცხრილი V-ის მიხედვით (იხ. დამატება) საიმედობის მოცემული P=0,98 ალბათობის მიხედვით ვიპოვოთ U_p=2,326. ჩვენ შემთხვევაში σ=1.2; δ=0,3, ამიტომ საბოლოოდ მივიღებთ

$$n = \left(\frac{2.326 \cdot 1.2}{0.3}\right)^2 = 87$$

4. მოცემულია n=10 მოცულობიანი შემდეგი ამონაკრები ნორმალური კანონით განაწილებული გენერალური ერთობლიობიდან

1; -1; -2; 3; 4; 2; 5; 3; 2; 4

ვიპოვოთ P=0,95 საიმედობის ტოლი ალბათობის შესაბამისი ნდობის ინტერვალი გენერალური ერთობლიობის მათემატიკური ლოდინისათვის.

ამოხსნა: ამოკრეფითი ერთობლიობა დავალაგოთ ვარიაციული მწკრივის სახით შესაბამისი სიხშირეებით და ფარდობითი სიხშირეებით. მივიღებთ ემპირიული განაწილების კანონს.

ცხრილი 6.14.

ვარიანტი x_i	-2	1	2	3	4	5
სიხშირე n_i	2	1	2	2	2	1
ფარდობითი სიხშირე n_i/n	$\frac{1}{5}$	$\frac{1}{10}$	$\frac{1}{5}$	$\frac{1}{5}$	$\frac{1}{5}$	$\frac{1}{10}$

$i=\overline{1,6}$

n=10

$$\sum_{i=1}^{6}\frac{n_i}{n}=\frac{4}{5}+\frac{2}{10}=1$$

გამოთვლით ემპირიული საშუალო ფორმულით

$$\bar{X}=\frac{1}{n}\sum_{i=1}^{k}x_i n_i$$

მივიღებთ

$$\bar{X}=\frac{1}{10}((-2)\cdot 2+1\cdot 1+2\cdot 2+3\cdot 2+4\cdot 2+5\cdot 1)=2$$

ემპირიული დისპერსიის გამოსათვლელად ვისარგებლოთ ფორმულით

$$S^2=\frac{1}{n}\sum_{i=1}^{k}(x_i-\bar{X})^2 n_i\ ,$$

რის შედეგადაც მივიღებთ:

$$S^2=\frac{1}{10}\left[(-2-2)^2+(1-2)^2\cdot 1+(2-2)^2\cdot 2+(3-2)^2\cdot 2+(4-2)^2\cdot 2+(5-2)^2\cdot 1\right]=5.184$$

S≈2.28.

როგორც ცნობილია უცნობი 2 დისპერსიის მქონე, ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდის ა მათემატიკური ლოდინისათვის ნდობის ინტერვალს აქვს სახე

$$\bar{X}-t_p\frac{S}{\sqrt{n-1}}<a<\bar{X}+t_p\frac{S}{\sqrt{n-1}}$$

რადგან საიმედობის ალბათობა P=0,95, ცხრილი VI-ის დახმარებით (იხ. დამატება) ნ-1=9 მნიშვნელობისათვის ვიპოვოთ t_p=2,262, ამიტომ საძიებელი ნდობის ინტერვალს ექნება სახე:

$$2-2.262\cdot\frac{2.28}{3}<a<2+2.262\,\frac{2.28}{3}$$

ანუ

0,28<a<3,71

პასუხები:

§8

4. $n=86$; 7. 166; 8. 1287,8; 9. 2809; 1206,8; 1508,5;

10. 97,0; 24,8; 11. 178; 12. 10; 2,5; 3,3; 13. 0,5916; 14. 12603;

15. 100; 42,5; 16. $7,63<a<12,77$; 17. $14,23<a<19,37$; 18. $992,16<a<1007,84$;

19. 0,392მმ; 20. $14,608$მმ$<a<15,392$მმ; 21. $-0,04<a<0,88$; 22. $23,38<a<36,82$;

23. $34,66<a<50,94$; 27. 0,00765; 0,0085.

დანართი 1

ცხრილი I

$\varphi(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} e^{-\frac{x^2}{2}}$ ფუნქციის მნიშვნელობათა ცხრილი

x	0	1	2	3	4	5	6	7	8	9
0.0	0.3989	8989	3989	3988	3986	3984	3982	3980	3977	3973
0.1	3970	3965	3961	3956	3951	3945	3939	3932	3925	3918
0.2	3910	3902	3894	3885	3876	3867	3857	3847	3836	3825
0.3	3814	3802	3790	3778	3765	3752	3739	3726	3712	3797
0.4	3683	3668	3653	3637	3621	3605	3589	3572	3555	3538
0.5	3521	3503	3485	3467	3448	3429	3410	3391	3372	3352
0.6	3332	3312	3292	3271	3251	3230	3209	3187	3166	3144
0.7	3123	3101	3079	3056	3034	3011	2989	2966	2943	2920
0.8	2897	2874	2850	2827	2803	2780	2756	2732	2709	2685
0.9	2661	2637	2613	2589	2565	2541	2516	2492	2468	2444
1.0	0.2420	2396	2371	2347	2323	2299	2275	2251	2227	2203
1.1	2179	2155	2131	2107	2083	2059	2036	2012	1989	1965
1.2	1714	1691	1669	1647	1626	1604	1582	1561	1539	1518
1.4	1497	1476	1456	1435	1415	1394	1374	1354	1334	1315
1.5	1295	1276	1257	1238	1219	1200	1182	1163	1145	1127
1.6	1109	109	1074	1057	1040	1023	0006	0989	0973	0957
1.7	0940	0925	0909	0893	0878	0863	0848	0833	0818	0804
1.8	0790	0775	0761	0748	0734	0721	0707	0694	0681	0669
1.9	0656	0644	0632	0620	0608	0596	0584	0573	0562	0551
2.0	0.0540	0529	0519	0508	0498	0488	0478	0468	0459	0449
2.1	0440	0431	0422	0413	0404	0396	0387	0379	0371	0363
2.2	0355	0347	0334	0332	0325	0317	0310	0303	0297	0290
2.3	0289	0277	0270	0264	0258	0252	0246	0241	0235	0229
2.4	0224	0219	0213	0208	0203	0198	0194	0189	0184	0180
2.5	0175	0171	0167	0163	0158	0154	0151	0147	0143	0139
2.6	0136	0132	0129	0126	0122	0119	0116	0113	0110	0107
2.7	0104	0101	0099	0096	0093	0091	0088	0086	0084	0081
2.8	0079	0077	0075	0073	0071	0069	0067	0065	0063	0061
2.9	0060	0058	0056	0058	0053	0051	0050	0048	0047	0046
3.0	0.0044	0043	0042	0040	0039	0038	0037	0036	0035	0034
3.1	0033	0032	0031	0030	0029	0028	0027	0026	0025	0025
3.2	0024	0023	0022	0022	0021	0020	0020	0019	0018	0018
3.3	0017	0017	0016	0016	0015	0015	0014	0014	0013	0013
3.4	0012	0012	0012	0011	0011	0010	0010	0010	0009	0009
3.5	0009	0008	0008	0008	0008	0007	0007	0007	0007	0006
3.6	0006	0006	0006	0005	0005	0005	0005	0005	0005	0004
3.7	0004	0004	0004	0004	0004	0004	0003	0003	0003	0003
3.8	0003	0003	0003	0003	0003	0002	0002	0002	0002	0002
3.9	0002	0002	0002	0002	0002	0002	0002	0002	0001	0001

$$\Phi_0(x)=\frac{1}{\sqrt{2\pi}}\int_0^x e^{-\frac{z^2}{2}}dz$$ ფუნქციის მნიშვნელობათა ცხრილი

x	0	1	2	3	4	5	6	7	8	9
0.0	0.00000	00899	00798	01197	01595	01994	02392	02790	03188	03586
0.1	03983	04380	04776	05172	05567	05962	06356	06749	07142	07535
0.2	07926	08317	08706	09095	09483	09871	10257	10642	11026	11409
0.3	11791	12172	12552	12930	13307	13683	44058	14431	14803	15173
0.4	15542	15910	16276	16640	17003	17363	17724	18082	18439	18793
0.5	19146	19497	19847	20194	20540	20884	21226	21566	21904	22240
0.6	22575	22907	23237	23565	23891	24215	24537	24857	25175	25490
0.7	25804	26115	26424	26730	27035	27337	27637	27935	28230	28524
0.8	28814	29103	29389	29673	29955	20234	30511	30785	31057	31327
0.9	31594	31859	32121	32381	32639	32894	33147	33398	33646	33891
1.0	34134	34375	34614	34850	35083	35314	35542	35769	35993	36214
1.1	36433	36650	36864	37076	37286	37493	37698	37900	38100	38298
1.2	38493	38686	38877	39065	39251	39435	39617	39796	39973	40147
1.3	40320	40490	40658	40824	40988	41149	41309	41466	41621	41774
1.4	41924	42073	42220	42364	42507	42647	42786	42922	43056	43189
1.5	43319	43448	43574	43699	43822	43943	44062	44179	44295	44408
1.6	44520	44630	44738	44845	44950	45053	45154	45254	45352	45449
1.7	45543	45637	45728	45818	45907	45994	46080	46164	46246	46327
1.8	46407	46485	46562	46638	46712	46784	46856	46926	46995	47062
1.9	47126	47193	47256	47320	47381	47441	47500	47558	47615	47670
2.0	47725	47778	47831	47682	47932	47982	48030	48077	48124	48169
2.1	48214	48257	48300	48341	48382	48422	48461	48500	48537	48574
2.2	48610	48645	48679	48713	48745	48778	48809	48840	48870	48899
2.3	48928	48956	48683	49010	49036	49061	49086	49111	49134	49158
2.4	49180	49202	49224	49245	49266	49286	49305	49324	49343	49361
2.5	49379	49396	49413	49430	49446	49461	49477	49492	49506	49520
2.6	49534	49547	49560	49573	49585	49598	49609	49621	49632	49643
2.7	49653	49664	49674	49683	49693	49702	49711	49721	49728	49736
2.8	49744	49752	49760	49767	49774	49781	49788	49795	49801	49807
2.9	49813	49819	49825	4831	49836	49841	49846	49851	49856	49861
3.0	0.49865		3.1	49903	3.2	49931	3.3	49952	3.4	49965
3.5	49977		3.6	49984	3.7	49993	3.8	49993	3.9	49995
4.0	499968									
4.5	499997									
5.0	49999997									

ცხრილი III

$\frac{\lambda^k}{K!}e^{-\lambda}$ ფუნქციის მნიშვნელობები

(პუასონის განაწილება)

λ / K	0.1	0.2	0.3	0.4	0.5
0	0.90484	0.81873	0.74082	0.67032	0.60653
1	0.09048	0.16375	0.22225	0.26813	0.30327
2	0.00452	0.01638	0.03334	0.05363	0.07582
3	0.00015	0.00109	0.00333	0.00715	0.01264
4		0.00006	0.00025	0.00072	0.00158
5			0.00002	0.00006	0.00016
6					0.00001
λ / K	**0.6**	**0.7**	**0.8**	**0.9**	
0	0.54881	0.49659	0.44933	0.40657	
1	0.32929	0.34761	0.35946	0.36591	
2	0.09879	0.12166	0.14379	0.16466	
3	0.01976	0.02839	0.03834	0.04940	
4	0.00296	0.00497	0.00767	0.01112	
5	0.00036	0.00070	0.00123	0.00200	
6	0.00004	0.00006	0.00016	0.00030	
7		0.00001	0.00002	0.00004	
λ / K	**1.0**	**2.0**	**3.0**	**4.0**	**5.0**
0	0.36788	0.12534	0.04879	0.01832	0.00674
1	0.36788	0.27067	0.14936	0.07326	0.03369
2	0.18994	0.27067	0.22404	0.14653	0.08422
3	0.06131	0.18045	0.22404	0.19537	0.19537
4	0.01533	0.09022	0.16803	0.12537	0.17547
5	0.000307	0.03609	0.10082	0.15629	0.17547
6	0.00051	0.01203	0.05041	0.10419	0.14622
7	0.00007	0.00344	0.02160	0.05954	0.10445
8	0.00001	0.00086	0.00810	0.02977	0.06528
9		0.00019	0.00270	0.01323	0.03627
10		0.00004	0.00081	0.00529	0.01813
11		0.00001	0.00022	0.00193	0.00824
12			0.00006	0.00064	0.00343
13			0.00001	0.00020	0.00132
14				0.00006	0.00047
15				0.00002	0.00016
16					0.00005
17					0.00001

$\sum_{k=0}^{m} \frac{\lambda^k}{k!} e^{-\lambda}$ ფუნქციის მნიშვნელობათა ცხრილი ცხრილი IV

λ / m	0.1	0.2	0.3	0.4	0.5	0.6
0	0.904837	0.818731	0.730818	0.670320	0.606531	0.548812
1	0.995321	0.982477	0.963063	0.938448	0.909796	0.878099
2	0.999845	0.998852	0.996400	0.992074	0.985612	0.976885
3	0.999996	0.999943	0.999734	0.999224	0.998248	0.996642
4	1.000000	0.999998	0.999984	0.999939	0.999825	0.999606
5	1.000000	1.000000	0.999996	0.999996	0.999986	0.999962
6	1.000000	1.000000	1.000000	1.000000	1.999999	0.999997
7	1.000000	1.000000	1.000000	1.000000	1.000000	1.000000
λ / m	0.7	0.9	0.9	1.0	2.0	3.0
0	0.496585	0.449329	0.406570	0.357879	0.135335	0.049787
1	0.844195	0.808792	0.772483	0.735759	0.406006	0.199148
2	0.965858	0.952577	0.937144	0.919699	0.676677	0.423190
3	0.994246	0.990920	0.986542	0.981012	0.857124	0.647232
4	0.999214	0.998589	0.997657	0.996340	0.947348	0.815263
5	0.999909	0.999816	0.999658	0.999406	0.983437	0.916082
6	0.999990	0.999980	0.999958	0.999917	0.995467	0.966491
7	0.999998	0.999999	0.999997	0.999990	0.998904	0.988095
8	1.000000	1.000000	1.000000	0.999999	0.999763	0.996196
9				1.000000	0.999954	0.998997
10					0.999992	0999707
11					0.999999	0.999928
12					1.000000	0.999983
13						0.999996
14						0.999999
15						1.000000
λ / m	4.0	5.0	6.0	7.0	8.0	9.0
0	0.018316	0.006738	0.002479	0.000912	0.000335	0.000123
1	0.091579	0.040428	0.017352	0.007295	0.004019	0.001234
2	0.238105	0.124652	0.061970	0.29636	0.013754	0.006232
3	0.466472	0.265026	0.151205	0.081765	0.042380	0.021228
4	0.628839	0.440493	0.285058	0.172991	0.099632	0.054963
5	0.785132	0.613960	0.445681	0.300708	0.191236	0.115690
6	0.889326	0.762183	0.606304	0.449711	0.313374	0.206780
7	0.948866	0.866628	0.743981	0.598714	0.452961	0.323896
8	0.978636	0.931806	0.847239	0.729091	0.592548	0.455652
9	0.991867	0.968172	0.916077	0.830496	0.716625	0.587840
10	0.997159	0.986305	0.957380	0.901479	0.815887	0.705988
11	0.999084	0.994547	0.979909	0.946660	0.888077	0.803003
12	0.999726	0.997081	0.991173	0.973000	0.936206	0.875773
13	0.999923	0.999202	0.996372	0.987188	0.965820	0.925149
14	0.999979	0.999774	0.998600	0.994282	0.982744	0.958533
15	0.999994	0.999931	0.999491	0.997593	0.991770	0.977964

16	0.999998s	0.999980	0.999825	0.999041	0.906283	0.988894
a / k	4.0	5.0	6.0	7.0	8.0	9.0
17	0.999999	0.999994	0.999943	0.999637	0.998407	0.994680
18	0.999999	0.999998	0.999982	0.999869	0.999351	0.997573
19	0.999999	0.999999	0.999994	0.999955	0.999748	0.998943
20	1.000000	0.999999	0.999998	0.999985	0.999907	0.999560
21		1.000000	0.999999	0.999995	0.999967	0.999824
22			0.999999	0.999998	0.999989	0.999932
23			1.000000	0.999999	0.999997	0.999974
24				0.999999	0.999999	0.999990
25				1.000000	0.999999	0.999996
26					1.000000	0.999998
27						0.999999
28						1.000000

Up-ის მნიშვნელობაშიბ $2\Phi(U_p)=p$ ცხრილი V

ρ	0.9	0.95	0.98	0.99	0.998
U_p	1.645	1.960	2.326	2.576	3.09

ცხრილი VI

t_p-ის მნიშვნელობები. $2\int_0^{t_p} f_{n-1}(x)dx = P$, სადაც $f_{n-1}(x)$ არის სტუდენტის განაწილების სიმკვრივე თავისუფლების ხარისხით

ρ / n-1	0.9	0.98	0.98	0.99
5	2.085	2.576	3.365	4.032
6	3.943	2.447	3.143	3.707
7	1.895	2.365	2.998	3.499
8	1.860	2.306	2.896	3.355
9	1.833	2.262	2.821	3.250
10	1.812	2.228	2.764	3.169
12	3.782	2.179	2.681	3.055
14	1.761	2.145	2.624	2.977
16	1.746	2.120	2.583	2.921
18	7.734	2.101	2.552	2.878
20	1.725	2.086	2.528	2.845
22	1.717	2.074	2.508	2.819
